# კვირის პალიტრა

32 გვ

№ 48 (293) ◆ 27 ნოემბერი — 3 დეკემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## არ შეგეშინდეთ ხალხო! მესაზღვრეებს აწყობთ სავიზო რეჟიმი...



— არა მგონია, რუსეთი ძალისმიერი მეთოდით დაგვემუქროს, მაგრამ რაღაც „ხრიკების“ მოწყობას შეეცდება — ორჯონიკიძეები დღესაც ცოცხლობენ;

— გიგლა ბარამიძემ, უმჯობესია, რეგიონში დენს, ხელფასებს და პენსიებს მიხედოს, საზღვრის დაცვა მისი გასარკვევი არ არის;

— რა დროს ღრეობაა, როცა ჯარისკაცი მშიერია;

— არანაირ შემთხვევაში საქართველო არ დარჩება მარტო, რუსეთს შეექმნება უამრავი პრობლემა.

გვ.3

## დამალულ-დაფარული ბოლმა გასკდა...

ქართულ პოლიტიკაში გრანდიოზული დომხალი იწყება... გვ.7

ქვანიას გარდა, პრეზიდენტის ჯერ კიდევ დაკავებული სავარძლის ახალ პატრონად პაატა შევარდნაძესაც ასახელებენ...

## ჯოხთაბერიძეს სიმამრი წყალობს?! გვ.7-12

პრეზიდენტი სიძის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს?

„მაგთი“ სულ ადვილად ჩაიგდებს ხელში ქართული წარმოების ფლაგმანს — „აზოტის“ აქციები მას გადაეცემა.

ჯოხთაბერიძის უკან აშკარად იკვეთება გუბერნატორ მამალაძის ფიგურა...

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გეტყვით...

— დამირეკოს თქვენმა ინფორმატორმა ტელეფონზე და მითხრას... ნურაფრის შეეშინდება...

— ციხის უფროსი ქურდებს თავისი მანქანით ასეირნებდა... გვ.5



## მოჰყვება ციხის მთავარი ექიმი დაგებულ ხაფანგში?..

## ელოდეთ „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტს...

შთამომავლობას — XXI საუკუნის მოქალაქეებს...

ნაწილობრივ „ვხსნით“ პროექტს... გვ.24

უახლესი წარსულიდან მკითხველის გვ.31

კეთილგანწყობა — მერაბ კოსტავას

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## თბილისელებს აწრადაც არ მოხვლიათ, რომ...

...თარგამაძეს ერთი სული ჰქონდა, ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა;

...ამ შემთხვევაში ჯოკერი თუ არა, „ტუზკოზირი“ მაინც უვარდებოდა ხელში... გვ.7

## სამხედრო თემაზე:

...რუსები გადიან და ახალ პრობლემებს გვიტოვებენ...

...მოწვეულმა გერმანელმა სპეციალისტებმა რუსულ სამხედრო ბაზებზე ეკოლოგიური დაბინძურების მრავალი კერა აღმოაჩინეს.

გვ.9



## ელჩობამისჯილნი...

— ცვლილება კანონში „დიპლომატიის შესახებ“ ნიშნავს, რომ საქართველოს ელჩებსა და კონსულებს უფლებამოსილება სამუდამოდ გაუგრძელდებათ...

მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი რამ არ ხდება... გვ.8

## ავტოსაგზაო ბაქქანალია საქართველოში გვ.6

ჩვენს ქუჩებში მოძრაობის უფლებებს განსაზღვრავს —

— ვინ რა მარკის და ელიტარულ ნომრებიანი მანქანის საჭეს უზის.



## მინგრეული სახელმწიფო — მონგრეული გზები...

## პირველად: გვ.14

მართლმადიდებლური საკითხავი მთელი ოჯახისათვის...

## რას წერენ ჩვენზე:

ქართულ ჯარში სახმელეთო ტექნიკისთვის განკუთვნილი სარეზერვო საწვავი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მხოლოდ ერთხელ გამართვას ეყოფა. გვ.12

## დეპეშა რუსეთიდან



— დავალიანების გამო აიკრძალა რუსეთის რკინიგზის კუთვნილ ვაგონებში საქართველოსკენ მომავალი ტვირთების ჩატვირთვა...

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს... პირიქით!... გვ.21

როიალი, რომელზეც სტალინს ველისციხეში ეძინა, დღესაც სიღნაღში, კულტურის სახლში დგას... გვ.25

## ბათუმიდან გვატყობინებენ

— აჭარის მთავრობამ ბათუმში მცხოვრები აფხაზეთიდან ლტოლვილები დასაჯა. გვ.12

საქართველოდან გაშვილებული ბავშვი ამერიკაში დიდი ქონების პატრონი და მილიონერი გახდა... გვ.8

## ვეძებ
## ვინ იყო საშკა „ჩერქეზი“, რატომ ეშინოდა ყველას მისი

— კაპლანი, ლენინს რომ ესროლა, ჩვენს „ზონაში“ ბიბლიოთეკას დაატარებდა...

— ისეთი შიფრით მივწერე წერილი ბერიას, საბჭოთა კავშირის მთელმა „კგბ“-მ ვერ გაშიფრა;

— თქვენ, ქართველებს, გარეთ სტალინი გყავთ, ლაგერში — საშკა „ჩერქეზი“, რა გიჭირთო, — მეუბნებოდნენ...

— ახალმოყვანილმა ქურდმა, რომ გაუგია, საშკას „ზვერიც“ ამ ზონაში იყო, დაკრა ფეხი და „პაბეგი“ აწია, მიქარული ქონდა და იმიტომ... ტაიგიდან ცოცხალი ვინ გამოვიდოდა? გვ.10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




## საკვირაო ტელე-კინოაფიშა

27 ნოემბერი

3 დეკემბერი

გვ. 16-17

Неделя · КОММАНДОС · ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ · ТЕЛОХРАНИТЕЛЬ · За РУБЕЖОМ · МОСКОВСКИЕ НОВОСТИ · Newsweek · FOCUS · общая газета · DER SPIEGEL · КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА · МК · stern · СЕГОДНЯ · Клюква · ИЗВЕСТИЯ · ТРУД · СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО · АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ · Иностранец · LE FIGARO magazine · PARIS MATCH · ТВ ПАРК · ЛИЦА · ОГОНЁК · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

„კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას...

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## შემოიღებს თუ არა რუსეთი სავიზო რეჟიმს?

დიდი ხნის „შესვენება-სიჩუმის“ შემდეგ, როგორც იქნა, პარლამენტი კვლავ დაუბრუნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა თემას და პარლამენტართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოპოზიციაც და ოფიციოზიც არნახულად ერთსულოვანი იყო რუსეთის განზრახვის მიმართ — ცალმხრივად შემოიღოს სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს დაუტოვოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. პარლამენტარებმა მუქარის კორიანტელი დააყენეს და მიღებულ განცხადებაში დაგმეს მოსკოვის ეს მორიგი ზეწოლის მცდელობა საქართველოზე და ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ღირსების შემლახავი განზრახვა. მეტიც, პარლამენტარები დაიმუქრნენ, რომ თუ რუსეთი მართლაც შემოიღებს სავიზო რეჟიმს, პარლამენტი კენჭს უყრის დსთ-დან საქართველოს გასვლის საკითხს.

ზურაბ ჟვანიას თქმით, „საქართველომ მთელ მსოფლიოს გასაგონად უნდა იყვიროს, თუ როგორი ველური და თავხედური მეთოდებით ცდილობს რუსეთი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების ანექსირებას, თორემ შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს“. ახლა მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნება დსთ-ის ლიდერთა სამიტისადმი, რომელიც 1-ელ დეკემბერს გაიმართება მინსკში და სადაც შევარდნაძე შეეცდება, გადაათქმევინოს პუტინს სავიზო რეჟიმის შემოღების განზრახვა. თუმცა ყველა მონაცემი და ინფორმაცია აშკარად მიუთითებს იმას, რომ მოსკოვს ეს გადაწყვეტილება უკვე აქვს მიღებული და მას არავითარ შემთხვევაში არ შეცვლის.

ყველაზე შეშფოთებულნი კი ის ათასობით ჩვენი თანამოქალაქეა, რომლებიც დღეს პურის ფულის საშოვნელად არიან გადახვეწილნი რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, აღარაფერს ვამბობთ აქ დარჩენილ მათ ოჯახებზე, რომლებიც რუსეთიდან გამოგზავნილი ფულით არსებობენ... ერთი სიტყვით, წინ დიდი ვნებათაღელვა და პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური ბატალიები ელის ქვეყანას. ამჟამად კი უკვე ლაპარაკობენ იმაზეც, თუ რა ეღირება რუსეთში წასასვლელი ვიზის მიღება და ასახელებენ სავარაუდო თანხას — 50 დოლარს(!).

ამასობაში კი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში პარტია-პარტიად ჩააქვთ რუსეთის მოქალაქეობის პასპორტები(!), ანუ საქართველოს ტერიტორიების მორიგი ანექსიის პროცესი, შეიძლება ითქვას, ძალას იკრებს! რუსეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს კი 5 დეკემბრიდან ვიზების საკითხის მოსაგვარებლად სამი თვის ვადა მიეცემათ.

## მაფიოზურმა კლანებმა ნადირობა დაიწყეს?..

როგორც ჩანს, მაფიოზურმა კლანებმა უკვე გამოაცხადეს ნადირობა კონტროლის პალატის თანამშრომლებზე. პალატის წარმომადგენელთა თქმით, რაც უფრო იზრდება ამ უწყების მუშაობის ეფექტურობა, სულ უფრო ხშირდება მუქარა მისი ცალკეული თანამშრომლების მისამართით. ახლახან კონტროლის პალატის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს მთავარ ინსპექტორს, გია სალუქვაძეს საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ და ბეისბოლის ბიტათი სცემეს.

სულხან მოლაშვილის განცხადებით, სალუქვაძის ცემის მიზეზი მის მიერ თამბაქოს იმპორტის საქმეების შესწავლა შეიქნა. კონტროლის პალატის ინსპექტორმა თამბაქოს ბიზნესიდან ბიუჯეტისათვის მიყენებული მილიონობით ლარის ზარალის ფაქტები მოიკვლია. მოლაშვილისვე თქმით, მიუხედავად გახშირებული მუქარებისა, მისი უწყება დაწყებულ ყველა საქმეს ბოლომდე მიიყვანს და მოპოვებულ ფაქტებს და მასალებს პროკურატურას გადასცემს!

კონტროლის პალატამ უკვე მოახერხა უცხოეთის იმ ფირმების მოძიება, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოში სიგარეტის იმპორტის ბიზნესში და, როგორც ჩანს, „ენერგომამების“ მსგავსად, შეიძლება, სიგარეტის კონტრაბანდის ბოსებიც ვიხილოთ იქ, სადაც ჯერ არს. თუმცა არც იმის გაუთვალისწინებლობა გვმართებს, რომ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სიგარეტის ბიზნესს ბევრი მძლავრი „კრიშა“ მფარველობს უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში.

## ლტოლვილები აპროტესტებენ

აფხაზეთიდან ლტოლვილთა ნამდვილი რისხვა გამოიწვია პარლამენტარ ირაკლი გოგავას განცხადებამ, რომ უნდა გაუქმდეს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა და სტრუქტურები, რადგან მათი არსებობა ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას!

თბილისის უნივერსიტეტის აფხაზეთის ფილიალის ათასამდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი საპროტესტო აქციით მიადგა პარლამენტის შენობას. მათ მმართველი ძალისგან პასუხი და ახსნა-განმარტება მოითხოვეს „მოქალაქე“ გოგავას განცხადებასთან დაკავშირებით. ლტოლვილებმა დაგმეს გოგავას განცხადება და შეახსენეს პარლამენტს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების გაუქმება ნიშნავს არძინბას რეჟიმის ოფიციალურ აღიარებას!

პროტესტანტები მას შემდეგ დაიშალნენ, როცა მათ რეზო ადამია და ვახტანგ ყოლბაია შეხვდნენ და დაარწმუნეს, გოგავას აზრი მისი პირადი აზრი იყო და არა საქართველოს ხელისუფლებისაო. თავად გოგავამ კი აქცია მიიჩნია იმ პირების შეკვეთად, რომლებიც საკუთარ სკამებს ებღაუჭებიან(!).

## გორელიკს, თურმე, ინტერპოლიც „იცნობს“

როგორც ჩანს, ბავშვების ყიდვა-გაყიდვაში ეჭვმიტანილი ოლგა გორელიკის საქმე საინტერესო გაგრძელებას პოვებს. ინტერპოლის თბილისის ბიურომ ვაშინგტონიდან მიიღო ცნობა, რომლის თანახმად, გორელიკი ანალოგიური „ბიზნესით“ ამერიკაშიც საქმიანობდა. მეტიც, ინტერპოლის ცნობითვე, ამ მიზნით გორელიკს თურმე ამერიკაში რუსეთიდან ორსული ქალებიც გაჰყავდა, იქვე ამშობიარებდა და ჩვილებს ყიდდა. გორელიკის ადვოკატები ინტერპოლის ამ ინფორმაციას დეზინფორმაციად ნათლავენ! თუმცა ეს რა გასაკვირია იმ ქვეყანაში, სადაც ყველა ჯურის კრიმინალი, მკვლელი, კონტრაბანდისტი, ქურდი, კორუფციონერი ჩინოვნიკი თუ ბანდიტი თავს მამა აბრაამის ბატკნად მიიჩნევს, მათ „უდანაშაულობას“ კი ერთხმად ამტკიცებენ დაქირავებული ადვოკატები!

პროკურორებმა უკვე დაჰკითხეს გორელიკის საქმეში დასახელებული №1 სამშობიარო სახლის ექიმი-გინეკოლოგი მაია მდივანი...

კვანძის გახსნას გამოძიება უახლოეს მომავალში ვარაუდობს.

## ვისია „ბაკური“?!

ამ ხნის მანძილზე გაურკვეველი რჩებოდა ეგეოსის ზღვაში თურქების მიერ დაკავებული გემის — „ბაკურის“ ბედი. ქართული მხარე ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებს, თუ რომელი ფირმის კუთვნილებაა ეს გემი, რომელსაც ახლახან თურქეთისა და საბერძნეთის სანაპირო დაცვის კატარღებმა ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად, დაიჭრა გემის კაპიტანი, რომელიც აზერბაიჯანელია. გემზე არ იმყოფებოდა საქართველოს არც ერთი მოქალაქე, თუმცა კაპიტანი აცხადებს, რომ გემი ფირმა „ბაკურს“ ეკუთვნის, რომლის ოფისიც ბათუმშია.

გემი თურქეთის ერთ-ერთმა ფირმამ დაიქირავა, რომლის ვინაობაც, ჯერჯერობით, არ არის დადგენილი. წინასწარი მონაცემებით, ამ გემით თურქეთიდან იტალიაში არალეგალურად გადაჰყავდათ არაბეთის ქვეყნებიდან სამუშაოს საძებნელად წამოსული ადამიანები, სულ 46 კაცი. ყველა მათგანი დაპატიმრებულია.

**(გეა)** უკანასკნელი ინფორმაციით, ბათუმის საზღვაო პორტზე მიწერილი გემი „ბაკური“, რომელიც შპს „ბაკურის“ კუთვნილება იყო, 1-ელ ნოემბერს გაიყიდა. მართალია, „ბაკურის“ წევრები აცხადებენ, რომ გემი გაიყიდა და იგი თურქულმა ფირმამ შეისყიდა, მაგრამ საქართველოს საელჩომ თურქეთში ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ფირმა „ბაკური“ ეკუთვნის ბათუმის ყოფილ ვიცე-მერს, ამჟამად აჭარის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრს თენგიზ ბაკურიძეს, რომელიც აცხადებს, რომ გემი მან მართლაც 1-ელ ნოემბერს გაყიდა, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება ვერ მოასწრო და ამიტომ გემი ქართული დროშით დაცურავდა.

## სექტანტს ხატები სარდაფებში ჰქონია გადამალული

**(სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესსამსახური)** სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა წინასწარ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე დააკავეს ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის №63-ში მცხოვრები დავით ბდეიანი, რომელსაც კერძო სახლის და წერეთლის პროსპექტის №67-ში მდებარე ფოტოატელიეს სარდაფებში გადამალული ჰქონდა მოპარული საეკლესიო ნივთები, კერძოდ, 21 ხატი, რომლებიც საპატრიარქოს ექსპერტთა წინასწარი შეფასებით, მე-18-19 საუკუნეებშია შესრულებული, ასევე, დიდი საეკლესიო ჯვარი, 2 საეკლესიო წიგნი და მე-18 საუკუნის საეპისკოპოსო ჯვარი. ჩხრეკისას დავით ბდეიანს აღმოაჩნდა 2 ცალი რგდ-ის ტიპის ხელყუმბარა, 1 დეტონატორი, 37 ცალი აკმ-ის სისტემის ვაზნა, მცირე რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებები — მარიხუანა და მორფიუმი. დავით ბდეიანის აღიარებით, ხატები და საეკლესიო ნივთები მან სხვადასხვა ეკლესიიდან მოიპარა. აღსანიშნავია, რომ დავით ბდეიანი სტაროვერული მიმდინარეობის ერთი-ერთი ლიდერია. ხატები, საეკლესიო ნივთები, საბრძოლო მასალა და ნარკოტიკები ამოღებულია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

## გამოქვეყნდა კატასტროფის მიზეზები

რუსეთის სახელმწიფო კომისიამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ბათუმთან დაღუპული Ил-18-ის კატასტროფის მიზეზები, რომლის თანახმად, თვითმფრინავის მთასთან შეჯახება გამოიწვია დადგენილი ტრაექტორიიდან გადახრამ. თვითმფრინავი დასაშვებ სიმაღლეზე ქვემოთ აღმოჩნდა და მტირალას მთას შეასკდა. კომისია მთავარ დამნაშავედ ეკიპაჟს და მის შეცდომას ასახელებს, თუმცა ბრალდების ობიექტი ბათუმის აეროპორტის დისპეტჩერიცაა, რომელმაც, რუსების თქმით, ვერ განსაზღვრა თვითმფრინავის ზუსტი კოორდინატები, რის შედეგადაც გაწყდა კავშირი ეკიპაჟთან.

## ზოგის ბამბაც ჩხრიალებს...

დანაშაულის დამალვის „უნიკალური“ ხერხი გამოიყენა შემოსავლების სამინისტროს ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელმა შოთა ფირცხალაიშვილმა, რომელმაც ერთ-ერთი ობიექტის შემოწმებისას, კერძო მეწარმისგან ქრთამად აღებული თანხა კუჭში გადაუძახა, როცა ის პოლიციამ ფაქტზე წაასწრო. დაკავებული ფირცხალაიშვილი მალე ცუდად შეიქნა და პოლიციელებს აუწყა, რომ ცხრა ოცლარიანი კუპიური გადაყლაპა. იგი სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში და გადაყლაპულმა ოცლარიანებმა კვლავ იხილა დღის სინათლე, თუმცა რამდენიმე მათგანი „ოპერატიულ კუჭს“ უკვე საფუძვლიანად ჰქონდა გადამუშავებული და ქირურგებმა ბიუჯეტის კუთვნილ ოცლარიანებს უკვე მონელების პროცესშილა მიუსწრეს. ისე კი მართლაც ამაზრზენია, რომ მაშინ, როცა საირმის გორაზე სასახლეებისა და უცხოეთის ბანკებში სოლიდური ანგარიშების მფლობელი ჩინოვნიკები თავს კვლავაც არხეინად გრძნობენ, ასოთხმოცი ლარის ქრთამად აღებ ფირცხალაიშვილს 5 წლამდე ციხე უკვე გარანტირებული აქვს!

## კიდევ მორიგი საგზაო შემთხვევა

საზარელი ავარია მოხდა საქართველოში. ქუთაისი-სამტრედიის გზაზე, სოფელ ქვიტირთან, ამავე სოფლის მცხოვრებ 52 წლის გურამ ჩოგოვაძეს თურქეთის ავტობუსი დაეჯახა და... 70 მეტრზე ათრია. შედეგი სავალალო აღმოჩნდა: დაღუპულის დანაწევრებულ-დაგლეჯილ სხეულს თანასოფლელები კარგა ხნის მანძილზე აგროვებდნენ და აკოწიწებდნენ.

თურქი მძღოლი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, ასევე, მგზავრთა უმრავლესობაც, რომლებიც ქართველები იყვნენ. ავტობუსი სტამბოლიდან თბილისში მიდიოდა და ეკუთვნოდა ფირმა „კამაზოღლუს“. ცნობილია, რომ მძღოლის სახელია დაუთა, გვარს არკვევენ, მაგრამ გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ დამნაშავე მძღოლმა უკვე მოასწრო თურქეთში გადასვლა და მიმალვა!

## სქოულს ლეგენდარული ბლოკების იმედი არ აქვს

საქართველოში კვლავ მძვინვარებს ენერგოკრიზისი. „ეი-ი-ეს-თელასი“ და ენერგეტიკის სამინისტრო კი კვლავ ურთიერთბრალდებებით არიან დაკავებულნი. დავით მირცხულავა უარყოფს „თელასისა“ და თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ენგურჰესზე წყლის ორი დღის მარაგია დარჩენილი.

მირცხულავა „თელასს“ ადანაშაულებს იმაშიც, რომ იგი ელექტროენერგიას უთიშავს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, მათ შორის, საავადმყოფოებს. მირცხულავა კატეგორიულად მოითხოვს „ეი-ი-ეს-თელასისგან“, რომ აამუშაოს თბილსრესის მე-9 და მე-10 ბლოკები და განახორციელოს ელექტროენერგიის იმპორტი. „თელასი“ ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს ორი ლეგენდარული ბლოკი ზამთრის მანძილზე სტაბილურად იმუშავებს.

## ვინ ემუქრება პიესას?!

დიდი ამბები მოხდა მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც იმის გამო, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა უარი უთხრა რეჟისორ დათო დოიაშვილს იმ პიესის დადგმაზე, რომელიც 1983 წელს თვითმფრინავის გამტაცებელთა გახმაურებულ ისტორიას ეხება, დოიაშვილმა თეატრიდან წასვლა გადაწყვიტა. საქმეს ვერ უშველა ამ დავაში ვერც კულტურის სამინისტროს ჩარევამ.

საგულისხმოა, რომ ოთარ მეღვინეთუხუცესს ცენზორობაში დასდეს ბრალი, დათო ტურაშვილი (პიესის ავტორი) კი აცხადებს, პიესა საიმედო ადგილზეა გადამალულიო! თუმცა გაურკვეველია, რატომ არის გადამალული და ვინ ემუქრება პიესას განადგურებით?!

## ამჯერად ისევ ტუღუშმა გაიმარჯვა

ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში და მისი ოპონენტები პირდაპირ ეთერში გადიოდნენ „მოთელვას“. აშკარა იყო, გადამწყვეტი რაუნდი დაუნდობელი იქნებოდა — დუელიანტები — ირაკლი ტუღუში და მაია ბოკუჩავა, რომელიც „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი გახლავთ, საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ.

პირველი ბრალდება მოქკავშირს ტუღუშმა ჯერ კიდევ თავმჯდომარის არჩევნების დღემდე ესროლა — ჩვენს ქონებაზე გიჭირავთ თვალი და ბოკუჩავას თავმჯდომარეობა პროფკავშირულ მოძრაობაზე გაბატონებისათვის გჭირდებათო. პარასკევს, ხალხით გადაჭედილ დარბაზში ტუღუშმა ნავთი დაასხა თავის მიერ დანთებულ ცეცხლს და პირდაპირ დაასახელა მოქკავშირელი „ლობები“, რომლებიც მას მშვიდობით გაცლას „ურჩევდნენ“ — მათ შორის, კავშირის ძველი და ახალი გენერალური მდივნები... ამ გასროლამ „შიგ გულში დაჭრა“ მოქკავშირელთა „დამრტყმელი ძალა“ და გიგი წერეთელი, აჩიკო გოგელია, ვლადიმერ ქარსელაძე და კობა ამირხანაშვილი სხდომის დარბაზთან გაჩნდნენ... უფრო სწორად, მის ჩარაზულ კართან, რადგანაც ტუღუშმა აქაც „იმპროვიზირება“ არჩია და... დეპუტატები დარბაზში არ შეუშვა! „ოპერგრუპამ“ თათბირი დარბაზს გარეთ მოაწყო და ტუღუში „არასახელმწიფოებრივად მოაზროვნედ“ გამოაცხადა.

ჟურნალისტების თანდასწრებით გამართულმა საზავო მოლაპარაკებამ მეტად დაძაბულად ჩაიარა, მაგრამ გადაწყდა, რომ „დაუპატიჟებელ სტუმრებს მაინც შეიპატიჟებდნენ...“

გიგი წერეთლის ემოციურმა სიტყვებმა უემოციოდ არც დამსწრენი დატოვა, მაგრამ ამ ვნებათაღელვამ „მოქკავშირელთა სასარგებლოდ“ ვერაფერი შეცვალა. ტუღუშმა 90 ხმით აჯობა ოპონენტს.

სხვათა შორის, ბოლო დროს ხშირად იხსენიებენ „მერსედესს“, რომელიც ტუღუშმა შეიძინა, მაგრამ არაფერს ამბობენ შემოსავლის სხვა, უფრო სარფიან წყაროებზე — ე.წ. საზკვების ობიექტებსა თუ სადაზღვევო კომპანიებზე, არც იმ დასასვენებელ სახლებზე, რომლებიც დიდი ფეშენებელურობით არ გამოირჩევა, მაგრამ თავიანთ ფუნქციას მაინც ასრულებენ.




## მიწისძვრა აზერბაიჯანში

26 ნოემბერს, გვიან ღამით, აზერბაიჯანში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ბაქოში რიხტერის შკალით, მიწისძვრის სიმძლავრე 6 ბალი იყო, რამაც რამდენიმე შენობის ნგრევა გამოიწვია. წინასწარი მონაცემებით, არის მსხვერპლი. მოსახლეობამ მთელი ღამე ქუჩებში გაატარა.

მიწისძვრის ეპიცენტრი კასპიის ზღვაში, ბაქოდან 100 კმ-ის მოშორებით იყო და რიხტერის შკალით 7 ბალს შეადგენდა. მიღებული ინფორმაციით, მიწისძვრამ დააზიანა კასპიის ზღვის შელფში არსებული ჭაბურღილებიც.

## რატომ ჩავიდა არაფატი მოსკოვში?

**(რუსული პრესის მიხედვით)** პალესტინის ლიდერის რუსეთში ვიზიტი მოულოდნელი, უფრო სწორად, ოპერატიულიც კი იყო: რაც დრო გადის, პალესტინის ტერიტორიებზე სიტუაცია კრიტიკული ხდება. ამიტომ არაფატი ძალზე დაინტერესებულია, რომ მას მოსკოვი „გაგებით“ მოეკიდოს.

უპირველეს ყოვლისა, პალესტინელებს სურთ გაეროს დაახლოებით 2000 მშვიდობისმყოფლის თავიანთ ტერიტორიაზე განლაგება. ისრაელისათვის ეს იდეა მიუღებელია — ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან. ისრაელი მზადაა, თუნდაც ახლავე დაიწყოს მოლაპარაკებები. არაფატიც არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგი. ამის შესახებ მან განაცხადა კიდეც მადლენ ოლბრაითთან სატელეფონო საუბარში, მაგრამ ამერიკელებს, „ჯერჯერობით, არ სცალიათ“ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ხმების დასათვლელი ბატალიების გამო.

ასე რომ, რუსეთს უნიკალური საშუალება ეძლევა, აჩვენოს მსოფლიო საზოგადოებრიობას, „ვინ არის სახლში უფროსი“. მით უმეტეს, რომ რუსეთის მონაწილეობით ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში დაინტერესებულია თავად თელ-ავივიც. შემთხვევითი არ არის, რომ ახლა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ პუტინის დეკემბრის თვეში ისრაელში ვიზიტზე.

კრემლმა მოქმედი შუამავლის როლის შესრულება შეძლო ორივე მხარისათვის — არაფატთან მოლაპარაკებისას პუტინი ესაუბრა ტელეფონით ბარაქსაც, მერე კი პალესტინის ლიდერთან გააგრძელა საუბარი. ეს შეიძლება შეფასდეს როგორც უეჭველი წარმატება: დაპირისპირებული მხარეების ლიდერთა შორის მოლაპარაკება, მართალია, შუამავლის საშუალებით, მაგრამ მაინც შედგა.

## ალბათ, ალ გორს სასწაულიც ვეღარ იხსნის

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების გაჭიანურებამ ისიც მოიტანა, რომ ვიცე-პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატს, 59 წლის დიკ ჩეინს გულმა ვეღარ გაუძლო და მიკროინფარქტი მიიღო. იგი რეანიმაციაში მოხვდა. მართალია, ჩეინი ირწმუნება, რომ ინფარქტს არანაირი კავშირი არ აქვს საარჩევნო ბატალიებისგან მიღებულ ნერვულ სტრესებთან, მაგრამ საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ჩეინმა ინფარქტი სწორედ უკიდურესი დაძაბულობისა და განცდების შედეგად მიიღო.

ექიმთა ცნობით, ჩეინი სამ კვირაში ჩადგება მწყობრში და მოელიან, რომ იგი საავადმყოფოდან პირდაპირ თეთრ სახლში აღმოჩნდება ვიცე-პრეზიდენტის რანგში, რადგან ფლორიდის შტატში გამართული ხმების ხელახალი დათვლის მონაცემებით, ალ გორს სასწაულიც ვეღარ იხსნის და აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იქნება!

# გაერო, ევროკავშირი, ეუთო და ნატო ჩაერთვებიან ამ საქმეში და საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დარჩება მარტო!



*რუსეთ-საქართველოს შორის არსებული აბსურდული და ხშირ შემთხვევაში მტრული ურთიერთობები, რაშიც საქართველოს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ, ლოგიკურ ფინალს უახლოვდება. მიუხედავად ოფიციალური თბილისის განცხადებებისა, რომ საქართველოს სურს რუსეთთან თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობები, საეჭვოა, მოსკოვმა შეცვალოს სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება, საერთოდ, პოლიტიკა ჩვენ მიმართ და არ შეეცადოს ბოლომდე მიიყვანოს საქართველოს დასაკაბალებლად დაწყებული მრავალწლიანი საქმე... მრავლისმთქმელია ისიც, რომ ამ დღეებში რუსეთის მასმედიამ ზარ-ზეიმით ამცნო მსოფლიოს — დამთავრდა ყაზახეთ-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის მშენებლობა, უკვე 2001 წლის ივნისში დაიწყება კასპიის დიდი ნავთობის ტრანსპორტირება ამ მარშრუტით, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი „არარენტაბელურიაო“ და ა.შ. ვფიქრობ, საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთი ააქტიურებს დიპლომატიურ ძალისხმევას თურქეთთან, რისი შედეგიცაა ის, რომ ანკარიდან ჩამიჩუმიც არ ისმის თურქეთის სრუტეებში კასპიის ნავთობით დატვირთული რუსეთის ტანკერების გატარების საწინააღმდეგოდ, რაზეც თურქები ადრე მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვიროდნენ! ყველაფერ ამას დაემატა წინასაარჩევნო კამპანიისას ალ გორის მიერ 1995 წელს რუსეთ-ამერიკას შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულების გამჟღავნებაც, რომლის თანახმადაც. რუსეთი უარს ამბობდა ირანისთვის სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიწოდებაზე. გორის ამ განცხადებით, შესანიშნავად ისარგებლა მოსკოვმა და შეუთვალა აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ რუსეთი განაახლებს სამხედრო თანამშრომლობას ირანთან, ანუ აშკარაა, რომ მოსკოვი გააქტიურებს მოქმედებას ირანის მიმართულებითაც, უწინარესად, სომხეთის ფაქტორის გამოყენებით! ამ და სხვა გლობალური პოლიტიკური პროცესების ფონზე კი, ნათლად იხატება ის სამწუხარო პერსპექტივა, რაშიც კორუფციისგან გამოხრული ჩვენი ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს უახლოეს მომავალში. პრეზიდენტი შევარდნაძე კი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს და, საუბედუროდ, კვლავ გაურკვეველი რჩება, თუ კონკრეტულად რა ძალისხმევას მიმართავს ქვეყანა ამ უმძიმესი მდგომარეობიდან თავდასახსნელად. მართლაც სამწუხაროა, რომ ჯერ გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი აღიარებს „რუსეთის კანონიერ ინტერესებს კავკასიაზე“ (თუმცა, ძნელი სათქმელია, ვინ დაუკანონა ეს ინტერესები მოსკოვს, ვთქვათ, იმავე საქართველოში...), იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის ინტერესები კავკასიის ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით განხორციელდება (!), რომ საბედნიეროდ, სტრატეგიულ საკითხებში ეს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს (!). რამდენიმე დღეში კი იმავე რუსეთს ემუქრება ჩეჩნეთთან საზღვრის გახსნით, თუ „მოსკოვი უვიზო მიმოსვლას დააკანონებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან.“ აი, მათ მიმართ რუსებს მართლაც რომ აქვთ „კანონიერი ინტერესები“, ეს კი ფაქტია! მოკლედ, ძნელია, მთელი ამ დომხალიდან დასკვნის გამოტანა, მით უმეტეს, რომ საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო თანამეგობრობის, უწინარესად, ნატოს და დასავლეთის სხვა სტრუქტურების ზეწოლით ემუქრება მოსკოვს, მაგრამ საუბედუროდ, ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს ტერიტორიების ანექსიის შემთხვევაში, დასავლეთმა, ვთქვათ, ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქციოს რუსეთი...*

*ამასობაში კი ქართველი და რუსი მესაზღვრეები ემზადებიან სავიზო რეჟიმის შესაძლო შემოღებისთვის. მოსკოვიდან დაბრუნდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე* ***ვალერი ჩხეიძე****, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო ჯარების სარდალთან. სწორედ ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრები მას:*

— ბატონ ტოცკისთან შეხვედრისას განვიხილეთ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთზე არსებული მდგომარეობა, რა ღონისძიებებს ვსახავთ ჩვენ და რუსები, ოპერატიული ინფორმაციის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რათა მუდმივად გვქონდეს შესაძლო მოვლენათა წინმსწრები ინფორმაცია და ა.შ. ეს აუცილებელია ორივე მხარისთვის, რადგან სავიზო რეჟიმის შემოღებისას, ყველაზე მეტად დავზარალდებით მესაზღვრეები — რუსებიც და ქართველებიც. წავაწყდებით პრობლემებს სახელმწიფო საზღვარზე. როცა თბილისიდან ვნუკოვოს აეროპორტში უვიზოდ ჩასულ ადამიანს, ან პირიქით, მოსკოვიდან თბილისში უვიზოდ ჩამოფრენილს არ შეუშვებ ქვეყანაში, მათი რისხვა პირველ რიგში მესაზღვრეებს დაატყდებათ თავს. სწორედ იმიტომ, რომ დაძაბულობა არ შეიქმნას საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე, ამ დღეებში რუსეთიდან ჩამოსულ კოლეგებთან შევიმუშავებთ მოქმედების მექანიზმს. სავიზო რეჟიმთან მესაზღვრეებს არაფერი გვესაქმება — ეს პოლიტიკური საკითხია, ჩვენ მხოლოდ შემსრულებლები ვართ და ამთავითვე ვიჭერთ თადარიგს, რათა მესაზღვრეებს ჰქონდეთ ნორმალური მუშაობის საშუალება.

**— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ტოცკისთან შეხვედრისგან, აქვთ თუ არა რუსებს საბოლოოდ გადაწყვეტილი სავიზო რეჟიმის შემოღება, თუ მაინც რჩება მცირეოდენი შანსი, რომ ეს არ მოხდეს?**

— ვფიქრობ, რუსები შემოიღებენ სავიზო რეჟიმს... წმინდა მერკანტილური პოზიციით, მესაზღვრეებს ხელს გვაძლევს სავიზო რეჟიმი, რადგან წესრიგი იქნება საზღვარზე. დღეს კი, ვინ შედის, ვინ გადის დსთ-ის სივრცეში, ძნელია ამის გარკვევა და დაფიქსირება. სავიზო რეჟიმი კი მკაცრ კონტროლს დააკანონებს. ტოცკისთან მქონდა კონფიდენციალური საუბარი მრავალ აქტუალურ საკითხზე და ჩემი აზრით, არ ღირს, ჯერჯერობით, ამ სავიზო რეჟიმის შემოღების დრამატიზება. იმედი მაქვს ყველაფერი მოგვარდება...

**— რუსების გაუთავებელ ბრალდებებს, რომ პანკისის ხეობას თავს აფარებენ ჩეჩენი საველე მეთაურები, დაემატა გროზნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კადიროვის განცხადებაც, რომ პანკისის ხეობაში იმყოფება ათამდე ჩეჩენი საველე მეთაური. თუ გქონდათ ტოცკისთან ამ თემაზე საუბარი?**

— ეს ყველაფერი ანტიქართული კამპანიის შემადგენელი ნაწილია. შემთხვევით არ იყო, რომ ანტიქართული ისტერია დაიწყო სელეზნიოვის ბრალდებებიდან, რასაც გაგრძელება მოჰყვა და მიმართული იყო რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად, რომ თუ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდებოდა სადამსჯელო ოპერაცია, საზოგადოება შეგუებული ყოფილიყო. ამასთან, ანტიქართული პროპაგანდა ალბათ მიმართული იყო სავიზო რეჟიმის შემოღების გასამართლებლადაც.

**— ფაქტია, რომ ჩეჩენ ბოევიკთა დიდი ჯგუფი შემოვიდა საქართველოში. ამასთან, ხევსურეთის მკვიდრნი აცხადებდნენ, რომ ნამდვილად ნახეს გელაევი, პირდაპირ ადანაშაულებდნენ ქართველ მესაზღვრეებს ჩეჩენ ბოევიკთა საზღვარზე გადაყვანა-გადმოყვანაში, რაშიც, მათივე თქმით, კარგ გასამრჯელოს იღებდნენ მესაზღვრეები და ა.შ. არიან თუ არა დღეს პანკისის ხეობაში ჩეჩენი საველე მეთაურები?**

— საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ასეთი ინფორმაცია არ გააჩნია! საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს სასაზღვრო წარმომადგენლების ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ საზღვარზე ფუნქციონირებს. მათი ამოცანაა, საზღვარზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტი იქვე გაარკვიონ და პრობლემა ამოწურონ, და არა ის, რომ თბილისიდან და მოსკოვიდან დარბოდნენ საზღვარზე. ჯერჯერობით, ეს ინსტიტუტი არ არის საქართველო-რუსეთის საზღვარზე და ვფიქრობ, დეკემბერში გაფორმდება ხელშეკრულება მისი შექმნის შესახებ, რაც გაგვიადვილებს მსგავსი ინციდენტების გამოძიებას, დარეგულირებას. ამ კონკრეტული ფაქტის მიმართ, გვაქვს ინფორმაცია, რომ ბოევიკები ინგუშეთიდან შემოვიდნენ, რუსები გვეუბნებიან, რომ საქართველოდან შედიოდნენ რუსეთში. მე და ტოცკი შევთანხმდით, რომ ბოლოს და ბოლოს, ერთობლივი გამოძიებით დავადგინოთ სიმართლე... რაც შეეხება იმას, რომ ქართველი მესაზღვრეები ფულს იღებდნენ ჩეჩენ ბოევიკთა საზღვარზე გადაყვანა-გადმოყვანაში და დასახელდა გვარებიც, — კოპაძე და სალია, ჩვენ მათი მასალები გადავეცით სამხედრო პროკურატურას და ძიება დაადგენს მათ დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობას. თუ დამნაშავენი არიან, დაისჯებიან, მაგრამ ვინ უნდა დასაჯოს ის სულელი არაბული, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი? ან რა უნდა ვუპასუხო მის აბსურდულ ბრალდებებს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისადმი? მე გენერალი ვარ და არა ცხონებული ავლიპ ზურაბაშვილი...

**— პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღების შემთხვევაში, თუ მოსკოვი არ გაავრცელებს ამ რეჟიმს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, მაშინ საქართველო ანალოგიურ საპასუხო ზომებს მიმართავს მეზობლებთან ურთიერთობაში, ანუ აქ პირდაპირ იყო მინიშნება ჩეჩნეთსა და მასთან საზღვრის შესაძლო გახსნაზე. თქვენი, როგორც მესაზღვრის კომენტარი:**

— პრეზიდენტი — მთავარსარდალია, მე მისი — ხელქვეითი! როგორც წესი, გენერლები კომენტარს არ უკეთებენ მთავარსარდლის განცხადებებს...

**— გასაგებია. პრეზიდენტმა ეს განცხადება მოსკოვზე ერთგვარი ზეწოლისთვის გააკეთა, მაგრამ მაინც, რას ნიშნავს ჩეჩნეთთან საზღვრის გახსნა? რა, საქართველო მწვანე შუქს აუნთებს ისლამისტ ბოევიკებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გავლით შევლენ ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად?**

— არა მგონია, ასე იყოს აღქმული. საქართველო არაერთხელ დააზარალა ტერორიზმმა, საქართველოს ინტერესებს და იმიჯს არანაირად არ აძლევს ხელს, რომ ტერორისტებს ხელი შეუწყოს. მეორეც: ყველას კარგად გვესმის, თუ რა ყოფაში აღმოჩნდება საქართველო, თუ აქ ბოევიკები და ტერორისტები დაიწყებენ მოძრაობას. მესამეც: ჩვენ ვართ უამრავი საერთაშორისო კონვენციის მონაწილე ქვეყანა და ნაკისრი გვაქვს რიგი ვალდებულებები. ასე რომ, გამორიცხულია მოვლენათა მსგავსი განვითარება. აქ საქმე გვაქვს — პოლიტიკურ თამაშთან! რუსეთში ბევრს მცდარი ინფორმაცია აქვს და ფიქრობს, ჩვენ გავალთ თუ არა, საქართველოში უმალ შევლენ ნატოს ჯარებიო. ეს აბსურდია. ჯერ ერთი, ნატოში არავინ მიგვიღებს, რადგან მის სტანდარტებამდე მრავალი წელი გვაშორებს. მეორეც, პრობლემების მოგვარების პანაცეა არც ნატოს წევრობა არ უნდა იყოს და არც დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში მონაწილეობა. ჩვენ უნდა გვქონდეს ნათლად გამოკვეთილი ეროვნული მოდელი სახელმწიფოებრიობისა, დაყრდნობილი ისტორიულ ტრადიციებსა და ფსიქოლოგიაზე. საქართველომ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ თამაშში გამსვლელი ან შესაწირი პაიკის როლი კი არ უნდა ითამაშოს, არამედ ჩვენს ქვეყანას საკუთარი მყარი და ძლიერი ადგილი და მისია უნდა ჰქონდეს ამ ურთულეს და ჭრელ „საჭადრაკო დაფაზე“. ვფიქრობ, საამისოდ საქართველოს სჭირდება — ნეიტრალიტეტი! ამჟამად კი არა მგონია, რუსეთი ძალისმიერი მეთოდებით დაგვემუქროს, მაგრამ ქართველების ხელით რომ შეეცდებიან რაღაც „ხრიკების“ კეთებას, ესეც აშკარაა... ორჯონიკიძეები დღესაც ცოცხლობენ.

**— კვლავ სავიზო რეჟიმს დავუბრუნდეთ და მისი შემოღების შემთხვევაში, რა ვითარება იქნება ჯავახეთში? ვგულისხმობ რუს სამხედრო მოსამსახურეთა მიმოსვლას საქართველო-სომხეთის საზღვარზე. საერთოდ, რა ვითარებაა დღეს ამ რეგიონში?**

გიგლა ბარამიძემ, სჯობს, რეგიონში დენის, ხელფასებისა და პენსიების პრობლემებს მიხედოს. საზღვრის დაცვის საკითხი მისი გასარკვევი არ არის. ქართველი მესაზღვრეები ჩადგნენ საზღვარზე და რამდენჯერმე ხეტყის კონტრაბანდა დავაკავეთ. შედეგად, იქაურმა 30-მდე „ჭიჭყინა“ კაცმა აგვიმღვრია წყალი. ვინ ჰკითხავს გუბერნატორს, როცა პრეტენზიას მიცხადებს, რატომ არ შემითანხმე ახალციხის მესაზღვრეთა რაზმის მეთაურის დანიშვნაო!

— ხანდახან ჩვენ თვითონ ვაბუქებთ ხოლმე ვითარებას ჯავახეთში, ჩვენვე ვუწყობთ ხელს სიტუაციის დაძაბვას. რამდენჯერ მილაპარაკია ჯავახეთის მოსახლეობასთან და წლიდან-წლამდე ერთი და იგივე მესმის: „ჩვენ გვინდა საქართველოს ტელეპროგრამებს ვუსმინოთ“. მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა ამ საქმის მოგვარება. ამბობენ, ქართული ენის სწავლა გვინდაო და ა.შ. კი ბატონო, არ უარვყოფ, რომ იქ გარკვეული წრეები ხელს უშლიან საქმეს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, თუ ვინ ცდილობდა გზა გადაეღობა ჩვენთვის, მესაზღვრეებისთვის, რომ ნინოწმინდის რაიონში დავმდგარიყავით. ეს გახლდათ გუბერნატორი გიგლა ბარამიძე. ამ კაცმა წერილები დაუგზავნა სხვადასხვა ინსტანციას — ცოტა ნაადრევია ქართველი მესაზღვრეების ჯავახეთში, საქართველო-სომხეთის საზღვარზე ჩაყენებაო.

**— რატომ, რა მიზეზით?**

— ეს საქმე ბარამიძის საკითხავი არ არის. გიგლა ბარამიძემ, სჯობს, რეგიონში დენის, ხელფასებისა და პენსიების პრობლემებს მიხედოს. საზღვრის დაცვის საკითხი მისი გასარკვევი არ არის. ქართველი მესაზღვრეები ჩადგნენ საზღვარზე და რამდენჯერმე ხეტყის კონტრაბანდა დავაკავეთ. შედეგად, იქაურმა 30-მდე „ჭიჭყინა“ კაცმა აგვიმღვრია წყალი. დიახ, ჩვენ თვითონ, პირადი ამბიციებიდან გამომდინარე, ძირს ვუთხრით ქვეყანას და ნულარ ვაბრალებთ ყველა უბედურებას უცხოეთის სპეცსამსახურებს. ვინ ეკითხება ბარამიძეს, სად დავაყენებ სასაზღვრო საგუშაგოებს? ან ვინ ჰკითხავს გუბერნატორს, როცა პრეტენზიას მიცხადებს, რატომ არ შემითანხმე ახალციხის მესაზღვრეთა რაზმის მეთაურის დანიშვნაო! როგორც ჩანს, ბარამიძე უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციაშია დღემდე დარჩენილი და ალბათ სამუდამოდ იქ დარჩება. ეს არის მისი უბედურება...

**— თქვენ კარგად იცნობთ რუსეთის სპეცსამსახურებს, სხვა სტრუქტურებს და შექმნილ ურთულეს ვითარებაში როგორ გესახებათ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მომავალი?**

— საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეშია საქართველო, რომ ასეთ ხვედრს ვერ გავექცით. მეტი წინდახედული გეგმებით იყო მოქმედება საჭირო. ჯერ კიდევ 1991 წელს უამრავი შეცდომა დავუშვით. ისტორიას რომ გადავხედოთ, 1918-1921 წლებში ნოე ჟორდანიას მთავრობის შეცდომები 1991 წელს გაიმეორა გამსახურდიას ხელისუფლებამ. არც ჟორდანიას და არც გამსახურდიას მთავრობები არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ საზღვრის დაცვას. ამას მოჰყვა რუსეთის რეაქციული წრეების გააქტიურება და საუბედუროდ, საქართველოშიც იყვნენ და არიან ისეთი წრეები, რომლებიც სიამოვნებით ჩაეწერებიან არა მარტო „მე-11 არმიაში“, არამედ მე-12, მე-13 და მე-15 არმიებშიც. უდიდეს ზიანს გვაყენებს სახელმწიფო დონეზე არსებული კორუფცია, პირადი ამბიციები და ა.შ. ასე რომ, ერთმნიშვნელოვნად რუსეთის დადანაშაულება არ შეიძლება, ჩვენც შევხედოთ საკუთარ თავს სარკეში! მაგალითად, შარშან, 25 დეკემბერს, მე ვიყვირე, — ხაზინის უფროსი ნახუცრიშვილი დასაჭერიამეთქი! საქმე ის იყო, რომ საზღვრის დაცვის უწყებისთვის კუთვნილი 340 ათასი ლარი არ მოგვცა დროულად, მოგვცეს მოგვიანებით და ისიც თანხის ნახევარი. შედეგად. საახალწლოდ მესაზღვრეებს ხელფასი ვერ მივეცით. ვეჭვობ, რომ ჩვენი ფული „დაატრიალეს იქ“... საკითხავია, თუ შემოსავლების სამინისტრო ამბობს, გეგმა შევასრულეთ 104-105%-ით და ამ ფონზე ფინანსთა სამინისტრო მიცხადებს, რომ შემოსავალი არ იყოო, სად მიდის ეს ფული? რატომ არის ჯარისკაცი მშიერი და საზღვარი დაუცველი? ამაზე კომპლექსურად უნდა ვაგოთ ყველამ პასუხი.

**— ის, რაც წლების მანძილზე ხელისუფლებაში ხდება კორუფციის თვალსაზრისით, ადრე უწოდებდნენ მავნებლობას, საბოტაჟს. ფაქტია, რომ ანალოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე, რასაც ალბათ აქტიურად უწყობს ხელს რუსეთის აგენტურაც. გამორიცხავთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს მოქრთამული ჰყავთ ბევრი ქართველი ჩინოვნიკი?**

— მე მავნებლობას და საბოტაჟს არ დავარქმევდი ამას, არამედ დავარქმევდი — ქვეყნის ღალატს! რა დროს ექვსსართულიანი სასახლეებისა და ტაძრების მშენებლობაა, როცა ხალხი მშიერია? აქ ხომ ზედმეტია უკვე ლაპარაკი ზნეობაზე, ქვეყნის სიყვარულზე და ა.შ. რუსებს აქვთ გამოთქმა — ღრეობა შავი ჭირის დროს. ზუსტად ეს ხდება საქართველოშიც: რამდენიმე ასეული ადამიანი ღრეობს, როცა ჯარისკაცი მშიერია, საზღვარი მორღვეულია და ოფიცრებს უხელფასობის გამო ოჯახები მშივრები ჰყავთ.

**— ის, რასაც რუსეთი აპირებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ, სადაც უკვე ეზიდებიან რუსეთის პასპორტებს და რითაც უგულებელყოფენ საქართველოს ელემენტარულ ღირსებას, სუვერენიტეტს, რამდენადაც ვიცი, ანალოგი არ მოეძებნება უახლეს ისტორიაში. ერთადერთი ფაქტი 1938 წელს იყო, როცა ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიაში გერმანელებით დასახლებული სუდეტის ოლქის მიმართ მოიმოქმედეს ანალოგიური რამ, რასაც ჯერ ამ ოლქის ანექსია, შემდეგ კი მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოჰყვა...**

— დიახ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერი დამთავრდა... ნიურნბერგის პროცესით! რაც შეეხება იმას, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ურიგებენ რუსეთის პასპორტებს და ეს მაშინ, როცა საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ამ რეგიონებზე, ეს იგივე ანექსია, ოკუპაცია და პოლიტიკური ძირგამომთხრელი საქმიანობაა საქართველოს წინააღმდეგ. ვფიქრობ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია გაეროს, ევროკავშირის, ეუთოსა და ნატოს მონაწილეობით ჩაერთვებიან ამ საქმეში და არავითარ შემთხვევაში საქართველო არ დარჩება მარტო.

**— ჩვენი მხრივ, რა კონკრეტულ კონტრზომებს შეიძლება მივმართოთ, თუ რუსები მართლაც გაგიჟდნენ და წავიდნენ ისეთ ავანტიურაზე, რასაც აფხაზეთისა და ცხინვალის ანექსია ჰქვია. ბოლოს და ბოლოს, გვეყოფა თუ არა იმის ნება, რომ რუსებს სომხეთისკენ გადავუკეტოთ როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო გზა...**

— მოვლენათა ამგვარი განვითარება, შეიძლება მხოლოდ თეორიის დონეზე დარჩეს, მაგრამ რუსებს მართლა შეექმნებათ უამრავი პრობლემა. ჯერ ერთი, მეეჭვება, რომ ამით რუსეთის სტრატეგიამ სამხრეთ კავკასიაში რაიმე მოიგოს. ის დრო აღარ არის, რომ შენ მე „გზა გადამიკეტო“ და იმავდროულად, ჩემს ეზოზე დადიოდე, ვთქვათ, იმავე ირანისკენ. არადა, ეს ხომ უმოკლესი გზაა რუსეთისთვის...

**— და მაინც, თქვენი აზრით, სად არის გამოსავალი?**

— აი, ამ კაცის ჭკუასა და საქმეებში, მისი ცხოვრების წიგნი თვეში ერთხელ მაინც უნდა გადავიკითხოთ, გავაცნობიეროთ ყველამ და არა — მუშტები ვიქნიოთ პარლამენტის ტრიბუნიდან.

*და, საქართველოს მთავარმა მესაზღვრემ მის კაბინეტში კედელზე ჩამოკიდებულ დავით აღმაშენებლის სურათისკენ მიმანიშნა...*

**ზურაბ მჭედლიშვილი**

CMYK

## [illegible]

26 ნოემბერს, იოანე ოქროპირის ხსენების დღეს, თბილისის სიონისა და გელათის ტაძრებში საზეიმოდ დასრულდა წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრიას მომლოცველთა ჯგუფის მსვლელობა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს მსვლელობა ეძღვნებოდა ქრისტესშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს.

წმინდა ანდრიას გზამ, რომელიც დაიწყო 14 მაისს აჭარიდან (სოფელი გონიო), მოიარა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონი რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის ჩათვლით. ხოლო წმინდა ნინოს გზამ, რომელიც დაიწყო 1 ივნისს სოფელ ფოკიდან (მესხეთ-ჯავახეთი. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის ადგილი), მოიარა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონი მესხეთ-ჯავახეთის, ქართლის, ხევსურეთის, მთიულეთის, მთა-თუშეთის, კახეთის ჩათვლით. წმინდა ნინოს და წმინდა ანდრიას გზათა მსვლელობის თანადროულად ყოველ სოფელში შესვლისას ტარდებოდა წირვა-ლოცვა, ჯვრისწერები, ნათლობები.

„კვირის პალიტრასთან" საუბარში წმინდა ანდრიას მომლოცველთა ჯგუფის ბოლო მასპინძელმა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ, ეს გზები შეაფასა, როგორც მოციქულებრივი ღვაწლი. მეუფე კალისტრატეს ნათქვამი არ მოგვეჩვენება გაზვიადებულად, თუ გავიხსენებთ, რომ მხოლოდ სვანეთში 2000-მდე ადამიანი მოინათლა, ხოლო მესხეთ-ჯავახეთის რეგიონებში — მართლმადიდებელი მოსახლეობის უმრავლესობა. წმინდა ანდრიასა და წმინდა ნინოს გზების თანადროულმა ლოცვითმა მსვლელობამ, რომელიც მიჰყვებოდა წმინდა მოციქულისა და მოციქულთასწორის ნაკვალევს,



სულიერად გააერთიანეს სრულიად საქართველო. ასე შეაფასეს ეს ღვაწლი გზის მოთავეებმა — მეუფე დანიელმა და მეუფე ნიკოლოზმა. უშუალო შთაბეჭდილებებს უკეთ გაგვიზიარებენ გზის მონაწილეები, რომელნიც მას რამდენიმე თვის მანძილზე მიჰყვებოდნენ.

მამა ანტონი (ზედაზნის მონასტრის მღვდელმონაზონი): — მართალია, ყოველ მონაკვეთზე გარკვეული სირთულეები გვხვდებოდა, მაგრამ იგი, ვფიქრობ, მაინც ჩვენს სულიერ სიზარმაცესთან იყო დაკავშირებული. მადლობა ღმერთს, ღვთის წყალობით, დავძლიეთ. დღეს წმინდა ნინო საქართველოს ლოცავს. და ჩვენც იმისათვის დავდიოდით ამ გზაზე, რომ ხალხმა ხილულად ნახოს ის, რაც მათთვის უხილავ სამყაროში ხდება. ღმერთმა 3 სათნოება დატოვა ამ ქვეყანაზე: რწმენა, იმედი და სიყვარული. მათგან ყველაზე დიდი სიყვარულია. ვფიქრობ, ამ გზაზე თითოეულ ჩვენგანს ეს სიყვარული დაატარებდა. ღმერთმა ყველა ამ სიყვარულით გვაცხოვნოს.

ნატო გვახარია (წმ. ნინოს და წმ. ანდრიას გზების მომლოცველი): — გზაზე ღმერთმა მორწმუნისათვის ბევრი სასიხარულო სიურპრიზი მოგვიმზადა. ზედა ზეგანში, რომელიც ბაღდადიდან 7 კმ-ითაა დაშორებული, ერთ-ერთ ოჯახში ინახება წმ. გიორგის ნეკა თითი. თურმე, ამ სოფელში ადრე ხის ეკლესია დაუწვავთ და მას შემდეგ ამ წმინდა ნაწილს ეს ოჯახი ინახავს. ქვიტირის ტაძარში კი (იმერეთი) წმინდა გიორგის მუხლიც ვნახეთ დასვენებული. ამ გზაზე რომ არ ვყოფილიყავი, შევძლებდი კი ოდესმე, ამ წმინდა ნაწილების ნახვას?

სტუმართმოყვარეობით საქართველოში ვერავის გააოცებ. გურულებმა საოცარი სითბო გვაგრძნობინეს. ჯგუფი რომ შევიდა ოზურგეთსა და ჩოხატაურში, ქუჩები ისე იყო გაჭედილი, გზის მცირე მონაკვეთიც აღარ ჩანდა. მოდიოდა ზღვა ხალხი, ეკლესიურებიც და არაეკლესიურებიც. თითქოს სასწაულის მოლოდინში იყვნენ. სიხარულისგან ტიროდნენ და ყვავილების თაიგულებს ფეხქვეშ გვიფენდნენ.

ანა სვანიძე (წმ. ანდრიას გზის მომლოცველი): — სვანეთში გამორჩეული მოწიწება ვიგრძენით სამღვდელოების, საერთოდ სასულიერო პირთა მიმართ. სხვაგან გეკითხებიან, ჩაგძიებიან — რატომ უნდა მოვინათლოო. სვანი უკითხავად, სიხარულით მოდის, მოუხარია. დღესაც მგონია, მათ იმ უჩვეულო სიწმინდეების მადლი იფარავთ, სვანეთში რომ ინახება. ვისაც ლენჯერი, წვირმი, მესტია არ უნახავს, თავი ქართველად როგორ უნდა იგრძნოს? სვანეთის მაღალ მთებზე გაშლილი სოფლები ისე ახლოსაა ცასთან, გგონია, ხელით მისწვდები...

მამა ანდრია (ჯიხეთის მონასტრის წინამძღვარი): — მადლობელი ვარ ღმერთის, თითოეული მასპინძლის, რომელთა სითბომაც ასკეცად გამიადვილა 6 თვის მანძილზე სიარული. მადლობელი ვარ მეუფე დანიელისა და მეუფე ნიკოლოზის, რომელთაც ეს ბედნიერი დღეები მაჩუქეს. ჩვენ გავდიოდით წვიმაში, ტალახში 20-35 კმ-ს. ხშირად ფეხები გადატყავებული გვქონდა და მაინც ბედნიერები ვიყავით...

განსაკუთრებით გურია და აჭარა დამამახსოვრდა. აჭარაში, ქრისტიან ქართველებზე აღარაფერს ვიტყვი, მუსლიმანი ქართველებიც შინ სიხარულით გვეპატიჟებოდნენ და გვლოცავდნენ, როგორც თავის სისხლსა და ხორცს. ამგვარი კაცთმოყვარეობით განა ბევრი ერი დაიკვეხნის.

დასასრულ, მამა ანდრიამ ხუმრობით დასძინა: — იმდენი ადგილი შემოვიარეთ ფეხით, ასე მგონია, ილია ჭავჭავაძემ ჩვენზე თქვა: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა".

ხუმრობა იქით იყოს და, ნახევარი საქართველოს მომლოცველს ალბათ აქვს ამის გამეორების უფლება.

***ნინო ტარყაშვილი***

# «ვაუ» და «იეს»

ამ ინგლისურ შორისდებულს ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ.

და განა მარტო ამას! ვინც ორი უცხოური სიტყვა დაიმახსოვრა, ბაზარშიც კი ხარჯავს, გლეხებთან...

უნებლიეთ გამახსენდა დიდი რუსი მწერლის ივან ტურგენევის რომანის „რუდინის" ერთ-ერთი გმირის პიგასოვის ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტი.

პიგასოვი ძალზე გააღიზიანა რუსი არისტოკრატი ქალიშვილების მანჭვა-გრეხამ, უცხო ენაზე ლიკლიკმა და განიზრახა მათი „მორჯულება" — დედაენაზე ალაპარაკება. თუმცა, ეს მეტად სასტიკად გააკეთა — კეკლუც ქალიშვილს ჭიგო ჰკრა ფერდში და როგორც იქნა, მოისმინა რუსული შეკივლება. ხომ ფაქტია, რომ ძლიერ ემოციას ყველა მშობლიურ ენაზე გამოხატავს.

ღმერთმა ნუ ქნას და პიგასოვის ცდის განმეორება რომ დაგვჭირდეს, ვაითუ ინგლისური „ვაუ" აღმოხდეთ ჩვენს გოგო-ბიჭებს...

ინგლისური ლექსიკა ძალუმად იჭრება ჩვენს ყოველდღიურობაში (თუმცა, ამ ენით დახვეწილ-გამართულად მოლაპარაკე მაინცდამაინც ბევრი არ დადის ჩვენს ქალაქ-სოფლებში!) და ეს ოკეანისმიღმური „ვაუ", „ოკეი", „იეს".... ღალატს, ენობრივ დივერსიას წააგავს, უცხო — პირდაპირ ქვეცნობიერებაში ინერგება.

შესაძლოა, ეს ცდუნებაცაა — ორი-სამი სიტყვა ისწავლო და თავი პოლიგლოტად მოაჩვენო ვინმეს. არადა უარყოფა და უპატივცემულობა არ ეკადრება რუსთაველის ენას. თუმცა, დღეს ახალგაზრდობის ისეთი კატეგორია წამოვიდა, რომელმაც რუსთაველი ვინ არის, არც კი იცის. ერთმა პროფესორმა მისაღებ გამოცდაზე ჰკითხა აბიტურიენტს, — შოთა რუსთაველს თუ იცნობთ, ვინ არისო. თეატრის რეჟისორიაო, — ამაყად მიუგო ჭაბუკმა. მისნაირებს რომ „იეს" და „ვაუს" გარდა, არაფერი აინტერესებთ, ხომ ფაქტია!

„ვაის" გავექეცი, „უის" შევეყარეო, — ნათქვამია...

რუსი პოეტი, ვლადიმირ მაიაკოვსკი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, წერდა, — საოცარი ენაა ქართული. რა უცხო სიტყვაც არ უნდა იხმარო, მაინც ქართულად აახმოვანებო. ამის მაგალითად მოჰყავდა ასეთი ბარბარიზმი: „საპოჟნიკი უგლაოში საპოგებს აპაჩინკებს". ხომ ყველა სიტყვა რუსულია, მაგრამ ქართულმა ენამ „გააქართულაო".

ასეთი „გაქართულება" 1818 წლიდან დაიწყო „ქართულ გაზეთში". პროფესორი ვახტანგ კოტეტიშვილი გულისტკივილით წერდა: „გაზეთი გარუსების გზაზე იდგა. მისი ენა უკვე შერყვნილია. პირდაპირ თვალსა ჰჭრავს და ყურს ეჩოთირება ისეთი რუსიზმები, როგორიცაა, მაგალითად, „ისპოლნიტელნი ექსპედიცია", „უქაზი", „უეზდის სული", „ზემსკი პოლიცია", „ისპრავნიკი", „ოკრუჟნი სასამართლო", „რუბლი" და მრავალი სხვა. ჯერ ოცი წელიც არ არის გასული, რაც დამკვიდრდა რუსთ ბატონობა, ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ქართველი ერის აჯანყებული სინდისი და ენის ასეთი შერყვნა, ცოტა არ იყოს, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ გარემოების ახსნა სხვაგან უნდა ვეძიოთ. სახელდობრ, იმ რუსოფილობაში, რომლითაც ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი იყო გატაცებული, და ეს ბარბარიზმებიც მათთვის ალბათ ენის ერთგვარ სამკაულს წარმოადგენდა".

ენობრივი ექსპანსიის საშიშროების წინაშე ყოველთვის ვიდექით. გავუძელით ბერძნულს, სპარსულს, თურქულს, არაბულს, მონღოლურს, რუსულს...

ახლა... რუსიზმები ბრიტანიზმებმა შეცვალა...

ეს კი ენის ქსოვილს ჭიად ექცევა თუ დროულად არ მივხედეთ. ენის დანაგვიანების და დაავადების უფლება არავის აქვს. ილიას თქმისა არ იყოს, ენა ის საგანძურია, რომელიც წინაპრებმა გვიანდერძეს მამულსა და სარწმუნოებასთან ერთად. გახსოვთ გალაკტიონი:

„მე დაგიგდებთ ყურს თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე,
მე დაგიგდებთ ყურს თვეობით და წელიწადობით,
ილაპარაკეთ, გევედრებით, ოღონდ ქართულად!..
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!.."

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

# „ყველას თავისი აქვს სახსოვარი"

სხვა უძველესი დედაქალაქების მსგავსად, თბილისსაც თავისი სახე, კოლორიტი, თუ გნებავთ თავგადასავალი გააჩნია — ადამიანის ცხოვრების მსგავსი თავგადასავალი.

საკუთარი თავგადასავალი მის უძველეს პროსპექტსა და ლამის ყოველ შენობას დაჰყოლია, თავგადასავლები და დიდ ადამიანთა ხსოვნა აქაურ ხეებსაც შემოუნახავთ...

პირველი სკოლის წინ გასხეპილი ჭადრები ველარ შრიალებენ ძველებურად. ჭურვების ხმაურმა დაუკარგა მათ ხმა. ამ ხეებმაც, მათი ქვეყნის შვილებივით, საკუთარ თავზე გადაიტანეს მშობლიური ქალაქის უბედურება.



ლადოს ჭადარი

ბნელი დღეების ძეგლად გახდომა არგუნა მათ ბედმა. იქვე, ასიოდე მეტრში ჩამომდგარი მისი თანამოძმე კი დაინდო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევზე, ზედ პროსპექტზე ამაყად გაბარჯღული ჭადარი იქაურობას თავზე დაჰყურებს. მას თავისი ბიოგრაფია აქვს, თავისი „საკუთარი სახელიც" კი. ეს ლადო ასათიანის ხეა, ანუ, როგორც პოეტის მეგობრები ეძახდნენ — „ლადოს ხე".

ლადო ასათიანის უახლოესი მეგობარი, ნიკა აგიაშვილი, თავის წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად", იგონებს: „ოცდაათიანი წლების ბოლოს, საღამოობით ერთი ახალგაზრდა მწერალი დაასწრებდა ყველას და გამოვიდოდა პროსპექტზე. ეს ლადო ასათიანი იყო — დადგებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში, მაშინ ჯერ კიდევ ნორჩი ჭადრის ძირას, რომელსაც „ლადოს ხე" შეერქვა. ცოტა ხნის შემდეგ დაიძვრებოდნენ ყოველი მხრიდან — რუსთაველის პროსპექტის ზემოთ და ქვემოთ მდებარე ქუჩებიდან, ვერიდან, მტკვარგაღმიდან ალიოშა საჯაია, რეზო მარგიანი, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელია, გაბრიელ ჯაბუშანური, მირზა გელოვანი, სიმონ სხირტლაძე... იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და საუბრობდნენ, კამათობდნენ, დაობდნენ".

ერთ დღეს ლადო ასათიანი საცემრად დასდევნებია ერთ ცნობილ ქართველ კრიტიკოსს, რომელიც რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას" აგინებდა, შოვინისტურ ნაწარმოებს უწოდებდა და ამ ლექსის სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოღებას მოითხოვდა. კრიტიკოსს გაუსწრია.

რუსთაველის პროსპექტზე მხოლოდ ამგვარი მიზეზით თუ შეიძლებოდა ჩხუბის ატეხა. მერე და მერე უფრო „პროზაული" მიზეზებით გამოწვეული დავა-კამათის მოწმეც გახდა „ლადოს ხე". მარჯანიშვილის ქუჩა №4 მდებარე სახლის წინ მდგარი ფიჭვის მსგავსად.

მარჯანიშვილის ქუჩა №4 — ეს მისამართი ბევრი ქართველისათვის ცნობილი და ახლობელია. ათწლეულების განმავლობაში ამ სახლის მეორე სართულზე ერთ-ერთი ბინის პატრონი გახლდათ გალაკტიონ ტაბიძე. ბინას ქუჩის მხარეს გამავალი პოეტის საყვარელი აივანიც აკრავს, ხოლო ფიჭვი, როგორც გალაკტიონი, მისთვის ჩვეული ირონიულშეპარული ტონით გვაუწყებს თავის ჩანაწერებში „1939 წლის 5 ნოემბერს №4 სახლის ეზოში დარგულია თვით პატივცემულ ამხ. გალაკტიონ ტაბიძის ხელით". მოგვიანებით, ქუჩის გაფართოებას ბაღი შეეწირა, ფიჭვი კი დარჩა და 1954 წლის გაზაფხულზე, იმ დროისათვის უჩვეულო არეულობას შეესწრო.

„კოტე მარჯანიშვილის ქუჩაზე, მეოთხე ნომერში გალაკტიონი და სხვა მწერლები ცხოვრობდნენ — ხშირად ვხედავდით აივანზე გამოსულ გალაკტიონს. ერთხელ ქუჩაში ატყდა ავტომობილების სირენათა გნიასი, ჩოჩქოლი. საშინაოდ გამოწყობილი გალაკტიონი გამოსულიყო აივანზე. იდგა სვეტივით ამართული, თავაწეული და სადღაც სივრცეში მიეპყრო მზერა... ალბათ, ერთი ვიღაც შედგა და მიაჩერდა, ამას მეორე მოჰყვა. ერთსა და ორს სხვები მიემატნენ — იქ ავტო შედგა, აქეთ ტროლეიბუსი შეფერხდა და ვერის დაღმართის ბოლოდან, მთელი ხიდი, მარჯანიშვილის ქუჩა მოედნამდე, გაიჭედა ცნობისმოყვარე ხალხით. იყო ერთი აურზაური, ხმაური. გალაკტიონი კი იდგა ძეგლივით ამართული და აინუნშიაც არ ჩაუგდია მთელი ეს ორომტრიალი.

როდის-როდის დინჯად შეტრიალდა და შევიდა ოთახში. ნიაღვარივით დაიძრნენ მანქანები და ტროლეიბუსები, მაყურებლებიც დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ." (ნ. აგიაშვილი, „ჰორად-ჰორადი").

ალბათ, კიდევ იქნება დავა, კამათი. არეულობა. მხოლოდ ერთი შეიძლება ვისურვოთ — ყოველი დავა-არეულობის მიზეზი ყოფილიყოს ნაკლებად „პროზაული", იმდაგვარი, ლადო ასათიანის ჭადარი და გალაკტიონის ფიჭვი რომ ინახავენ ძვირფას მოგონებად.

***ლადო იოსებაძე***




# ვინ შეეწირება პარლამენტში ნაპოვნ „ჟუჩოკს“?

რამდენიმე თვის განმავლობაში აგორებული თემა — უსმენენ თუ არა პარლამენტს, გასულ კვირას იმით დასრულდა, რომ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის რეზო ადამიას სამუშაო ოთახის სავენტილაციო მილში მოსასმენი აპარატურა იპოვეს. „ჟუჩოკის“ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პარლამენტის შენობა სათანადოდ არ არის დაცული და ერთ მშვენიერ დღეს, არ არის გამორიცხული, რომელიმე დეპუტატის კაბინეტში ასაფეთქებელი ნივთიერებაც კი აღმოჩნდეს.


რეზო ადამია

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სადაც სახელმწიფო დაცვა ფუნქციონირებს, იქ ასეთი შემთხვევები არ უნდა ხდებოდეს. შესაბამისად, მათ სისხლის სამართლის სასჯელი თუ არა, ადმინისტრაციული სასჯელი მაინც დაედებათ“, — აცხადებს სახელმწიფო დაცვის მუშაობით უკმაყოფილო ოთახის „პატრონი“ რეზო ადამია.

ვის შეიძლებოდა დაემონტაჟებინა პარლამენტში მოსასმენი აპარატურა? კულუარებში ვერსიები თავიდანვე ოთხად გაიყო: შსს, უშიშროება, სამთავრობო დაცვა, გარეშე ძალა.

ვერსიების მიხედვით, ყველაზე „დაზარალებული“ თარგამაძე გამოდგა. ბოლო დროს პარლამენტში თარგამაძისა და მისი უწყების მიმართ ატეხილი ხმაური, მისი დაუფიქრებელი განცხადებები, რომ პარლამენტიდან ოპერატიულ ინფორმაციებს ფლობს, ისიც კი იცის, რას ელაპარაკება რომელიმე დეპუტატი თავის თავს სარკეში, თავის დროზე პოლიციელების მხრიდან სააკაშვილის თვალთვალი, იმით დასრულდა, რომ ყველამ თვალი თარგამაძეს მიაპყრო.

აქვე უნდა ითქვას, რომ პარლამენტის შენობის დაცვა სამთავრობო დაცვის დაქვემდებარებაშია. ლოგიკურად, ყველაზე უპრობლემოდ მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება თავად სამთავრობო დაცვისთვისაა შესაძლებელი. სხვათა შორის, თავის დროზე, როცა მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ ფრაქციის ხელმძღვანელი იყო, უშიშროების სამინისტრომ, სააკაშვილის თხოვნა, შეემოწმებინათ მისი სამუშაო ოთახი, მხოლოდ საშვთა ბიუროს გავლით მოახერხა. მთელი აჟიოტაჟი მაშინ უშედეგოდ დასრულდა — სააკაშვილის, ამჟამად ადამიას ოთახში, ვერაფერი იპოვეს. დღეს უკვე ხუმრობენ, უშიშროებამ სწორედ იმ შემოწმებისას ხომ არ დატოვა „ჟუჩოკიო“. ის, რომ გარეშე ძალის მიერ შეიძლებოდა ამ ხელსაწყოს მილში დადება, არც ეს ვერსია არის საფუძველს მოკლებული. თუნდაც იმიტომ, რომ უშიშროების ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის განცხადებით, „ჟუჩოკები“ ჩვენში აქტიურად გამოიყენება. თუ ადრე მისი შოვნა რიგითი მოქალაქეებისთვის შეუძლებელი იყო, დღეს ის, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე მოსკოვშიც თავისუფლად იყიდება.


სულხან პაპაშვილი

ისე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ უმრავლესობის ლიდერის ოთახში ნაპოვნი „ხაფანგი“ ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა „ჩამოსალაბორანტებლად“ უებარი საშუალება გამოდგეს.

ორი დღის შემდეგ ამ სკანდალურ ფაქტს კი სამთავრობო დაცვის უფროსის, სულხან პაპაშვილის სკანდალური განცხადება მოჰყვა. აგორებულ ტალღას მან ცივი წყალი გადაასხა და განაცხადა, რომ ნაპოვნი აპარატი კუსტარული წესით დამზადებული პრიმიტიული რადიოგადამცემი მოწყობილობაა. აპარატურა ხმაზე მხოლოდ 40-50 კვმ ოთახის ფართობის ნებისმიერი წერტილიდან რეაგირებს, მაგრამ საუბრის გარჩევა მიკროფონიდან დაახლოებით 1 მეტრზე ახლო მანძილიდანაა შესაძლებელი. სიგნალის გადაცემის რადიუსი ღია გარემოში შეადგენს დაახლოებით 100 მეტრს, შენობაში — 20-25 მეტრს. მოსასმენ აპარატზე დამაგრებული კვების წყარო — ელემენტი „კრონა“, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის უფროსის თქმით, მხოლოდ სამი საათის განმავლობაში მოქმედებდა.

თავის მხრივ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეიდან დაბრუნებული რეზო ადამია დახვედრილი „სიურპრიზის“ გამოკვლევით უკმაყოფილოა. იგი მის ოთახში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატის შესახებ სახელმწიფო დაცვის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებს ნაჩქარევს უწოდებს და მასში ბევრი რამ საეჭვოდ ეჩვენება.

ადამია უფრო კომპეტენტურ გამოძიებას ითხოვს. იგი ვერ აკონკრეტებს, ვის შეიძლებოდა ჰქონოდა მისი ინტერესი. თავის მხრივ, პაპაშვილმა „ჟუჩოკის“ სააკაშვილისთვის დამონტაჟება გამორიცხა და ამის მოტივად რადიოგადამცემზე მტვრის სიმცირე დაასახელა.

ჯერჯერობით კი, დასკვნა გენერალურ პროკურატურაშია. უშიშროების ყოფილი მინისტრის, ირაკლი ბათიაშვილის თქმით, „საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, სპეცსამსახურებს საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავთ, რომლებიც კომპეტენტურნი არიან სპეცტექნიკის საკითხებში და მათ ზუსტი დასკვნის გაკეთება არ გაუჭირდებოდათ“.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მას, ვინც დაამონტაჟა, რაში სჭირდებოდა ასეთი დაბალი ხარისხის მოწყობილობის დამონტაჟება? ეს კი ცვლის საქმის ვითარებას და გვაფიქრებინებს, — ხომ არ იყო ეს მოწყობილობა დადებული მართლაც ვინმეს სკამის შესარყევად?

***მარინა მამისაშვილი***

# როდის მოუყვება მთავარი ექიმი დაგებულ ხაფანგში...

## რატომ ასეირნებდა თავისი მანქანით ციხის უფროსი ქურდებს




ზურაბ მსხვილიძე

იუსტიციის მინისტრად მიხეილ სააკაშვილის დანიშვნამ, რომელმაც თავის მხრივ სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ შსს V სამმართველოს (სადაზვერვო) ყოფილი შეფი და პარლამენტარი ზურაბ მსხვილიძე მოიყვანა, პატიმრებს, მათ პატრონებს და არა მარტო მათ, იმედი მისცა, რომ საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში მეტ-ნაკლები წესრიგი დამყარდებოდა და ციხეებსა და კოლონიებში გამეფებული აღებ-მიცემობა ერთხელ და სამუდამოდ მოისპობოდა (რაზეც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერშიც ვწერდით).

მინისტრმა და თავმჯდომარემ ერთიანი ძალისხმევით დაიწყეს სისტემაში რეფორმა, რამაც ციხისა და კოლონიების კორუმპირებულ უფროსებს და მათ გაზულუქებულ თანამშრომლებს ძილი დაუფრთხო. დღე არ გავა, რომ რომელიმე მათგანს რბილი სავარძელი არ გამოაცალონ. ოღონდ ეს არის, მექრთამეობაში შემჩნეულებს ჯერ თავისი განცხადებით წასვლას სთავაზობენ და თუ ამან არ გაჭრა, მაშინ ბრძანებით ათავისუფლებენ. სისხლის სამართლის პასუხისგებისათვის მათ, ჯერჯერობით, არ იმეტებენ.

რეფორმების ეგზეკუციას ვერც სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები გადაურჩნენ. ჰიპოკრატეს ფიცის გამტეხები 1000 დოლარის გარეშე თუნდაც უმძიმეს ავადმყოფ პატიმრებს არც კი დაანახვებდნენ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს. მათ სიკვდილი ციხის ე.წ. „ბალნიჩკაზე“ ელოდათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ან მისი პატრონი 100 ლარს გაიმეტებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი პატიმარი „პარაშის“ გვერდით დალევდა სულს.

მაგალითად, თბილისის მე-5 საპყრობილის მთავარმა ექიმმა თავისი ნებით, სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, დატოვა თანამდებობა. სხვა წყაროს ინფორმაციით კი, როგორც მექრთამე, ხელმძღვანელობამ აიძულა წასულიყო სისტემიდან. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მთავარი ექიმის წასვლის შემდეგ, სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ექიმებს კატეგორიულად მოსთხოვა მათზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. მათაც ყურად იღეს გაფრთხილება და მარტო მე-5 საპყრობილიდან „რესბალნიცაში“ სასწრაფოდ გაამწესეს სამ ათეულამდე მძიმე ავადმყოფი, ხოლო იქიდან ათას დოლარად ავადმყოფობანაყიდი სიმულანტი პატიმრები მსხვილიძის დახმარებით ციხის საკნებსა და კოლონიებს დაუბრუნეს. თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა და რეფორმის პირველი შედეგები თვალში საცემი იყო. მაგრამ მე-5 საპყრობილის ყოფილი მთავარი ექიმი ვერაფრით ვერ შეეგუა თანამდებობის დაკარგვას. ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო და, დაკარგული სავარძლის დაბრუნება სცადა.

კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ყოფილმა მთავარმა ექიმმა განცხადება რომ დაწერა გათავისუფლებაზე, მსხვილიძემ აიძულა. უფრო მეტიც, თუ ციხის კულუარებში ჩახედულ პირებს ვენდობით, მსხვილიძეს თავმჯდომარის პოსტზე მოსვლისას განუცხადებია — ასეთი კაცის მუშაობა ჩემ გვერდით დაუშვებელიაო. ამიტომ გათავისუფლებული ექიმი იძულებული გამხდარა მაღალჩინოსანი პროტეჟე გამოეძებნა, რაც, როგორც ჩანს, მოახერხა კიდეც და სულ ახლახან თავისი თანამდებობა დაიბრუნა. აღნიშნულთან დაკავშირებით გარკვევა ვთხოვეთ სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ახლად დანიშნულ თავმჯდომარეს ***ზურაბ მსხვილიძეს***.

— **სახელგატეხილი დეპარტამენტის თავმჯდომარედ მოსვლას პარლამენტში თბილად ჯდომა არ გერჩივნათ?**

— კაცურად გითხრათ, იმიტომ წავედი პარლამენტში, რომ კანონთან ახლოს ვყოფილიყავი. მაგრამ ამ პოსტზე დამიძახეს და დღეს აქა ვარ.

**მოკლედ, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რატომ არ უშვებთ შესაძლებლობას, რომ მას ხაფანგს ვუგებ, რომ საერთოდ მოვიშორო სისტემიდან? ახლა თუ შეიძლება მე გთხოვთ, რომ დაუკავშირდეთ თქვენს ინფორმატორს, დამირეკოს ტელეფონზე და მითხრას საპყრობილის მთავარმა ექიმმა მოსთხოვა თუ არა ფული ვინმეს**

— **ამჟამად, როგორც ვიცით, სასჯელთაღსრულების დეპარტამენტში თვენახევარია ფართომასშტაბიანი რეფორმები მიმდინარეობს. კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს რეფორმები?**

— ყველაფერს. კონკრეტულად კი სისტემა უნდა დატოვონ უპატიოსნო, მექრთამე თანამშრომლებმა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს იმ ვაკანსიების შევსება, რომელიც ამჟამად არის სასჯელთაღსრულების სისტემაში. კერძოდ, მარტო ოფიცრების სახით 200-300 კაცი გვაკლია, რომც მიწყინონ ყოფილმა ხელმძღვანელობამ, მაინც ვიტყვი, რომ ისინი ვაკანსიების პროფესიონალებით შევსებაზე არ ფიქრობდნენ. ახლა კი გაიხედეთ გარეთ, რამდენი კაცი მელოდება. მათ უმრავლესობას ჩემთან მუშაობის სურვილი აქვს. გივი ყვარელაშვილის დროს კი სხვა სიტუაცია იყო, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ და, ამიტომ არ დავაკონკრეტებ.

— **იქნებ მაინც დაგვეკონკრეტებინა?**

— აი, მაგალითად, როცა პატიმრის გათავისუფლების დრო მოაღწევდა, ციხის ან კოლონიის ხელმძღვანელობა იბარებდა გასათავისუფლებელ პატიმარს და ფულს სძალავდა. თუ პატიმარი დასახელებული თანხის მოტანას არ იკისრებდა, მას პირად საქმეს გაუფუჭებდნენ ანუ შიგ არარსებულ დანაშაულს ჩაუწერდნენ და კიდევ რამდენიმე წელი აყურყუტებდნენ ციხეში. მე მსგავს შემთხვევას არ დავუშვებ და დარწმუნებულიც ვარ ჩემი თანამშრომლები ამას ვერც გამიბედავენ.

— **კი ბატონო, მაგრამ ყველა რეფორმას ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, რაც ჩვენი ბიუჯეტით გამორიცხულია.**

— მართალი ბრძანდებით, ძნელია, როცა კაცს ხელფასი 75 ლარი აქვს, სახლში კი 3-4 პირდაბჩენილი ბავშვი ელოდება და ეს მიზერული ხელფასიც თავის დროზე არ მიაქვს სახლში. თანაც, ადრე ხომ „სვერხ“ საათებსაც ამუშავებდნენ. მე ამას არც ერთს არ დავუშვებ. ყველა ღონეს ვიხმარ მინისტრთან ერთად, რომ დროზე მიიღონ ხელფასი და სახლშიც დროზე წავიდნენ. აი, დღეს ქსნის კოლონიის ხელმძღვანელობამ მაცნობა, რომ თანამშრომლები გიორგობისთვის ხელფასს ითხოვენ, წინააალმდეგ შემთხვევაში, გაფიცვით იმუქრებიან. გაითვალისწინოს ეს ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა, რომელიც ჩემთვის ნულის ტოლია. სად მიდის ბიუჯეტის თანხები? ისევ მათ ჯიბეში, ვინც მერსედესებით დასრიალებენ და სასახლეები აქვთ. როცა 75 ლარიანი ხელფასის მქონე თანამშრომლები პერიმეტრებს და 20 წლიან ან სამუდამო პატიმრობამისჯილ პატიმრებს იცავენ, მათ მაინც მიიღონ ხელფასი დროზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად ალბათ პრეზიდენტის შეწუხებაც მომიხდება.

— **რამდენიმე კვირის წინ, უხეში დარღვევების გამო, რამაც რუსთავის კოლონიიდან პატიმრების გაქცევა გამოიწვია, თანამდებობიდან გაათავისუფლეთ ამავე კოლონიის უფროსი გაბუნია. მისმა მემკვიდრემ კი ამ თანამდებობაზე ერთი კვირა გაძლო. როგორც ამბობენ, მან კოლონიის მაღაზიაში ე.წ. ლარიოკში დამალული 1.800 ლარიდან სახელმწიფოს მხოლოდ 800 ლარი ჩააბარა. გათავისუფლდა ქუთაისის მე-2 საპყრობილის უფროსი ჯეირან ხარაბაძე...**

— სწორი ინფორმაცია გქონიათ. ის ორი დღის წინ გავათავისუფლე დაკავებული თანამდებობიდან. საერთოდ, ქუთაისის საპყრობილეს პირობითად თუ ერქვა ციხე. იქ ყველა საკნის კარი ღია იყო. პატიმრები, როგორც უნდოდათ და ვისთან უნდოდათ, იქ შედიოდნენ. წარმოიდგინეთ, გამომძიებლები ციხეში პატიმრების დაკითხვაზეც კი ვერ მიდიოდნენ, იმის შიშით, რომ პატიმრებს არ ეცემათ. შეიძლება არ დამიჯეროთ, რაც ახლა უნდა გითხრათ — ციხის უფროსს კანონიერი ქურდები თავისი მსუბუქი მანქანით ხელბორკილის გარეშე მიჰყავდა სასამართლოში. სასამართლოს შემდეგ კი დიდი პატივით უკან ციხეში მოაბრძანებდა, მანამდე კი მთელ ქუთაისს მოატარებდა. როცა ვკითხე ხარაბაძეს, თუ რატომ აკეთებდა ამას, ქურდული ჟარგონით მიპასუხა — „პალაჟენიას ასე სჭირდებოდა და იმიტომ“. შემიძლია ვთქვა, რომ ხარაბაძემ და მისნაირებმა დააქციეს ქუთაისის ციხე. აღსანიშნავია, რომ ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა დანაშაულის დაფარვას, — რადგან პატიმრები იზოლირებულები არ იყვნენ, ისინი ახერხებდნენ შეთანხმებას რა და როგორ ელაპარაკათ დაკითხვაზე, რის შემდეგაც დანაშაულის გახსნა თითქმის შეუძლებელი იყო.

— **ეთანხმებით თუ არა მინისტრის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებიდან გამოვიდა სამედიცინო სამსახური და უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს პატრონაჟის ქვეშ იქნება.**

— ეგ ჩემი განსასჯელი არ არის. რაც შეეხება სამედიცინო სამსახურს, ასეთი მოთხოვნა დებულებაში, ჯერჯერობით, შეტანილი არ არის, მაგრამ მინისტრის ბრძანებას ვემორჩილებით.

— **მაშინ რატომ შეიჭერით იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებში და მე-5 საპყრობილის მთავარი ექიმი, რომელიც გათავისუფლებული იყო თავისივე განცხადებით, ერთი თვის შემდეგ დააბრუნეთ იმავე თანამდებობაზე.**

— არ შევჭრილვარ, რადგან სამედიცინო სამსახური ჯერ დებულებით სამინისტროს არ გადასცემია. როცა დეპარტამენტის თავმჯდომარედ მოვედი, იმ კაცმა მომიტანა განცხადება გათავისუფლების თხოვნით და ეს უკეთესი სამსახურის პერსპექტივით ახსნა. რა უფლება მქონდა არ გამეშვა? ასე რომ, იგი არავის გაუხდია იძულებული განცხადება დაეწერა. რაც შეეხება მის უკან დაბრუნებას, იუსტიციის მინისტრმა ექიმებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა და თქვა: „მე არავის არ ვუშვებ, ოღონდ ყველას ვთხოვ, მონაწილეობა მიიღოს კონკურსში“. სწორედ ამ დროს, მე-5 საპყრობილის გათავისუფლებულმა მთავარმა ექიმმა თხოვნით მომმართა, რომ უკან მიმეღო და მეც მივიღე, რადგან ექიმების ვაკანსიებიც ბლომად მაქვს.

— **იქნებ მთავარი ექიმის დაბრუნება კანცელარიის მაღალჩინოსანმა ან პარლამენტარმა გთხოვათ?**

— ამას ვერავინ გამიბედავდა. მე მხოლოდ სამი უფროსი მყავს: ღმერთი, პრეზიდენტი და ჩემი მინისტრი.

— **ღმერთი არა, მაგრამ იქნებ ამ ორიდან გთხოვათ რომელიმემ?**

— არავის უთხოვია... მოკლედ, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რატომ არ უშვებთ შესაძლებლობას, რომ მას ხაფანგს ვუგებ, რომ საერთოდ მოვიშორო სისტემიდან? ახლა თუ შეიძლება მე გთხოვთ, რომ დაუკავშირდეთ თქვენს ინფორმატორს, დამირეკოს ტელეფონზე და მითხრას საპყრობილის მთავარმა ექიმმა მოსთხოვა თუ არა ფული ვინმეს, ნურაფრის შეეშინდება. მე ვარ პასუხისმგებელი, რომ არც მის ვინაობას და არც პატიმრის გვარს არ გავამხელ. ხოლო ექიმის წინააღმდეგ მკაცრ ზომებს მივიღებ. არ გამოვრიცხავ, რომ იქნებ მართლაც რაიმე გამომეპარა. დამირეკოს, დეპარტამენტის თავმჯდომარის პირადი სამსახურის ტელეფონია — 99-99-08.

P.S. რა უნდა ქნას ქართველმა კაცმა, რომელსაც ცალკე უფროსობა, ცალკე სამეგობრო აწუხებს ამა თუ იმ პირის სამსახურში მიღებით. მეგობარს არ ეღალატება. არც ხელმძღვანელთა თხოვნის გაუთვალისწინებლობა არის რეკომენდებული. არადა პროტექციით მიღებული უღირსი თანამშრომელი თავსაც იღუპავს და შენც... მოგადგება „არამკითხე“ ჟურნალისტი და თავისი შეკითხვებით უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებს.

როდის უნდა მოვიშალოთ ქართველებმა პროტექცია?!

***რატი ახალაძე***

# ავტოსაგზაო ბაჯქანალია საქართველოში

## (მინგრეული სახელმწიფო – მონგრეული გზები...)

**რატომღაც, ისე ხდება, რომ ჩვენი ქალაქების ქუჩებში საგზაო ნიშნები კი არ განსაზღვრავს მანქანების მოძრაობას, არამედ ის, თუ ვის რა მარკის, რა ფერის, როგორი ნომრების ავტომობილი ჰყავს და რა თანამდებობისაა მისი პატრონი.**

ჩვენ ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ მაინც, ყოველწლიურად საქართველოს გზებზე ერთი მოზრდილი სოფლის ტოლფასი მოსახლეობა იღუპება. მიზეზი ზოგადად, ათასგვარია: გზები, განათება, ტრანსპორტი, ავტოინსპექცია... მაგრამ ვფიქრობთ, რომ უპირველესი მიზეზი ამ კატასტროფული მდგომარეობისა თითოეულმა ჩვენს თავში უნდა ვეძიოთ. მკითხველის დიდაქტიკურ დამოძღვრას ნამდვილად არ ვაპირებთ. ერთს ვიტყვით მხოლოდ — იქ სადაც არ არსებობს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ არსებობს ნორმალური სახელმწიფოც. ხოლო ნორმალურ სახელმწიფოში ცხოვრება რომ თითოეული ჩვენთაგანის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს.



რატომღაც, ისე ხდება, რომ ჩვენი ქალაქების ქუჩებში საგზაო ნიშნები კი არ განსაზღვრავს მანქანების მოძრაობას, არამედ ის, თუ ვის რა მარკის, რა ფერის, როგორი ნომრების ავტომობილი ჰყავს და რა თანამდებობისაა მისი პატრონი. სწორედ ამ ნიშან-თვისებებით ისაზღვრება მისი მოძრაობის უფლებებიც. სამწუხაროდ, ეს ყველაზე უკეთ ინსპექტორებმა უწყიან და საბოლოოდ, ჯოხი უბრალო ხალხზე ტყდება. ამას მოჰყვება სიძულვილი და დაპირისპირება ინსპექტორებსა და მძღოლებს შორის. არადა ერთი ქართული ნაწარმოებისა არ იყოს, „არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე ვენეციელი, ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ" — ასეა ჩვენი საქმე. სანამ ეს ორი გაჭირვებული მხარე ერთმანეთს ჭამს, ქალაქში უზრუნველად და შეუფერხებლად დაქრიან მათი გამჭირვებლები, ათასნაირი სახელმწიფო-ელიტარული ნომრებით — AAA, UUU, MER, POL და ა.შ. არა, ვთქვათ, მერის მანქანას ეწეროს ეს MER. რაღა საჭიროა, მერიის ყველა თანამშრომელს ეს ნომერი ჰქონდეს? ან მოქალაქეთა კავშირს, ეროვნულ სტადიონს და პარლამენტს, რად უნდათ „ელიტარული" ნომრები? — ცხადზე ცხადია და ლოგიკური, ქალაქში დარღვევისას შეუფერხებლად რომ იარონ. დადიან კიდეც.

ამას წინათ ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე გადავდიოდი. პატიოსნად დაველოდე ქვეითთა შუქნიშანზე მწვანე ფერის გამოჩენას. შესაბამისად, სამანქანო მხარეს წითელი აინთო. შუა გზაში რომ ვიყავი, ისე ჩამიქროლა მერსედესმა, ჰაერის ტალღისგან სამი ბრუნი გავაკეთე. რაც მახსოვს, საჭესთან მჯდომის უტიფარი გამოხედვა და ნომრის სერია AAA — გახლდათ. ხომ შეიძლება ჩემს ადგილას იმ წუთში მოხუცი ადამიანი, ან ბავშვიანი ქალი ყოფილიყო — შედეგი სავალალო იქნებოდა...



მიწისქვეშა გადასასვლელები ცალკე სასაუბრო თემაა — მახსოვს, როგორ მგზნებარედ მოგვიწოდებდა ერთ-ერთ პრეზენტაციაზე ერთ-ერთი არასამთავრობოს თავკაცი — „უსაფრთხოების კვირეული ჩავატაროთ და მიწისქვეშა გადასასვლელებთან დავდგეთ — ვინც კეთილგონიერებას გამოიჩენს და გზის გადაჭრის ნაცვლად „მიწისქვეშაში" ჩავა, პატარა სუვენირით დავასაჩუქროთ". ნამდვილად არ გვსურს, ვინმეს გამოჩენილი ინიციატივა გავაკრიტიკოთ და ჩავკლათ, მაგრამ ჩვენი აზრით, დღევანდელი „მიწისქვეშათი" სარგებლობა და კეთილგონიერება ერთმანეთისგან საკმაოდ შორს დგას. და თუკი ვინმე ამ თავგანწირულ ნაბიჯს მაინც გადადგამს, უმჯობესია სუვენირის ნაცვლად იქ ჩამსვლელს მეშახტის მაშუქიანი ქუდი, წყალგაუმტარი ჩექმები, აირწინაღი და კალაშნიკოვის ავტომატი მივცეთ — ასეთი ეკიპირების შემთხვევაშიც კი, სასურველია გზის მეორე მხარეს ამოსასვლელთან სასწრაფო დახმარების ბრიგადა იდგეს — ხელოვნური სუნთქვის აპარატურით.

ისე, სიმართლეც უნდა ითქვას — ალბათ, ამდენი მიწისქვეშა გადასასვლელი ევროპის არც ერთ დედაქალაქში არ იქნება. ათენში, რომსა თუ ბერლინში სულ მცირე იმდენი მოსახლეობა ცხოვრობს, რამდენიც მთლიანად საქართველოში. ყველა მათგანში გზებზე გადასვლა ძირითადად შუქნიშნით ხორციელდება. ისინი საკმაოდ ახლოახლო დგას. სამაგიეროდ, ძალიან მოკლე ინტერვალებით მუშაობენ. არც მძღოლი კარგავს დროს და არც ქვეითი.

რუსთაველის გამზირზე სადმე, მეტროსთან რომ მოინდომო გზაზე გადასვლა, ერთი კილომეტრი უნდა იარო ზემოთ თუ ქვემოთ. ხალხი, მოგეხსენებათ ყოველთვის პოულობს გამოსავალს — ისინი პირდაპირ ჭრიან გზას და ამას ათასი უბედურებაც მოჰყვება. ქალაქის მესვეურები პრობლემის გადაჭრას იმაში ხედავენ, რომ შიგადაშიგ კონკრეტულ მონაკვეთზე ინსპექტორს აყენებენ ხოლმე — როდესაც გზაზე ვინმე გადადის, ინსპექტორი უსტვენს (ამ შემთხვევაში, მესვეურებს უფასო რჩევას მივცემთ: ამ ადგილას რაიმე სასტვენი აპარატი დაამონტაჟონ — თუ სტვენაზეა საქმე. არც ფილტვებს დაიღლის ვინმე და არც თვეობით გაუცემელ ხელფასზე ინერვიულებს).



წესით, დიდი არითმეტიკა და სტრატეგიული დაგეგმარების ცოდნა არ უნდა იმის გაგებას, რომ მიწისქვეშა გადასასვლელს მუდმივი დენი, დამლაგებელი, პერიოდული ტექნიკური შემოწმება და რემონტი ესაჭიროება (განსხვავებით უბრალო შუქნიშნისაგან). სამარშრუტო ტაქსებზეც ვთქვათ: ისევე როგორც ყველგან, ამოსავალი წერტილი აქაც ფული და მისი შოვნის ხერხებია. არ არსებობს ტრანსპორტის არანაირი სერიოზული კანონმდებლობა, ამ სფეროს რომ აწესრიგებდეს ან აკონტროლებდეს. ნებისმიერი გერმანელი თბილისის ქუჩებში სიცილით მოკვდება — ხალხით გატენილ „მარშრუტკაზე" უშველებელ წარწერას რომ წაიკითხავს: „საუკეთესო ძეხვეული მიუნხენიდან". საქმე მხოლოდ წარწერებში როდია. დამეთანხმებით, ძეხვისა და ადამიანის ტრანსპორტირებას განსხვავებული ტექნიკური პარამეტრები სჭირდება. არადა, ევროპიდან ჩამოყვანილი მიკროავტობუსების უმეტესობა სატვირთო დანიშნულებისაა. სხვა საქმეა „სამარშრუტო დოღი". იშვიათი სცენა არ უნდა იყოს — როგორ ცდილობს ერთმანეთის გადასწრებას ერთდროულად სამი, მგზავრებით სავსე მიკროავტობუსი. მათთვის გაჩერების არანაირი წესი არ არსებობს — ხშირად „მარშრუტკები" შუა გზაზეც აჩერებენ და ამით რამდენიმე ადამიანს აგდებენ საფრთხეში: საკუთარ თავს, უკან მომავალ მანქანას, ბოლოში მჯდომ მგზავრებსა და იმ თავზეხელაღებულს, ასეთ დროს „მარშრუტკიდან" ჩასვლაზე რომ დათანხმდება. ერთიც გვინდა ვთქვათ, — კი ბატონო, გაჭირვებული ყოფა გვაქვს, სხვაც ბევრი რამეა მოსაწესრიგებელი და ისიც გვესმის, რომ „მარშრუტკის" მძღოლებსაც ოჯახები ჰყავთ სარჩენი, მაგრამ, პირველ რიგში ამ ოჯახებზე ფიქრით არ უნდა ჰქონდეთ შუა სალონში დამონტაჟებული გაზის ბალონები — ღმერთმა დაიფაროს და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მისი აფეთქება ფუგასური ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნება. სულ მცირე, 20-30 მეტრის რადიუსით ბალონის ნამსხვრევებს სასიკვდილო ძალა ექნებათ... (ღირს კი, ასეთ რისკად ბენზინის ეკონომია?).

ზემოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა ვახსენეთ. ახლა, როდესაც ყველა ზნეობრივ ფასეულობას ძალა აქვს დაკარგული, ეს სიტყვა მკითხველში ალბათ მხოლოდ ირონიას გამოიწვევს. ირონიისავე თემა იქნება უსაფრთხოების ღვედებზე, მართვის მოწმობებზე, სიჩქარის გადაჭარბებაზე საუბარიც. თავს არ შეგაწყენთ. ყველაზე ურწმუნოებს კი ერთ პატარა ექსპერიმენტს ვთავაზობთ: კედლისკენ უბრალოდ, სწრაფი ნაბიჯით გაემართეთ და ნუ გაჩერდებით, სანამ კედელი არ „შეგაჩერებთ". „შეჯახებით" გამოწვეული ტკივილის განცდისას იმაზე იფიქრეთ, კედელზე რამდენად მტკივნეული იქნება თქვენი შეჯახება „პარპრიზთან", უსაფრთხოების ღვედების გარეშე თუნდაც 30 კმ/სთ-ით რომ მოძრაობდეთ. მთვრალი მძღოლი დღეს საკმაოდ ხშირი მოვლენაა. როგორც ჩანს, იმაში დასარწმუნებლად, რომ საკუთარ თავს და გარშემო მყოფთ საფრთხე არ უნდა შევუქმნათ, აუცილებლად პოლიციის რკინის ხელია საჭირო...

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სულ რაღაც 100 დოლარად ერთ დღეში შეიძლება მართვის მოწმობის აღება — უფრო სწორად, ყიდვა. ყოველგვარი გამოცდების გარეშე. ბევრი ჩვენთაგანი სამწუხაროდ, მანქანის დაქოქვას და დაძვრას რომ ისწავლის, თვლის, რომ უკვე მისი ქალაქში ტარებაც შეუძლია. და დაქრიან „შვილიკოები", „ცოლუკები" და „საყვარლუკები" ახალი, სწრაფი მანქანებით. ამას წინათ, ერთი ჩემი ხანდაზმული ნათესავი მეუბნებოდა — „კაცო, ამ გასისინებული მანქანით რომ დაქრიან ეს გოგოები, ერთ ხელში სიგარეტი უჭირავთ და მეორეში მობილური — საჭეს როგორ მართავენო..." — არც მართავენ.

სხვათა შორის, აქ მეორე მომენტიც არის — თავის დროზე, „ჟიგულები" რომ შემოვიდა, „პობედას" და „მოსკვიჩს" მიჩვეულმა მძღოლებმა მის დინამიკას ალღო ვერ აუღეს. რას არ უწოდებდნენ მაშინ „ჟიგულებს" — „პეპელა", „ბორბლებიანი კუბო" და ა.შ.

ის კი არა, ანეკდოტიც კი დადიოდა — ქუთაისელმა ჟიგული იყიდა და ყოველ სახლში დაბრუნებაზე მღეროდა „ცოცხალი ვარ, ცოცხალი". მძღოლები ისეთივე დარჩნენ, „მოსკვიჩზე" და „ჟიგულზე" აღზრდილები. გზებიც იგივე დარჩა — ჩვენში ხომ პირველი კატეგორიის გზა არ არსებობს, გარდა „აეროპორტის ტრასისა". მანქანები კი ათასნაირი შემოვიდა. დავჯირითობთ ქართველები „ბეემვე-მერსედესებითა" და ნაყიდი პრავებით, ვიხოცავთ თავებს და ვხოცავთ ერთმანეთსაც...

**დაჩი გრძელიშვილი**

# დასხივებული ჯარისკაცები სახელმწიფოსგან 20 მლნ დოლარს ითხოვენ



მარცხნიდან: ადვოკატი დაზარალებულთან ერთად

*1996 წელს, ლილოს სამხედრო ბაზაზე ვალდებულების მოსახდელად წასული 11 წვევამდელი, საღ-სალამათი 18-19 წლის ბიჭები ოჯახს ფსიქიკურად და ფიზიკურად დაავადებულები დაუბრუნდნენ. თავის დროზე ამ ფაქტმა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი პოვა. ლილოს სამხედრო ბაზაზე აღმოჩენილმა რადიაქტიურმა ნარჩენებმა ზემოხსენებულ ჯარისკაცებს სხივური დამწვრობა მიაყენა. მსგავსი ინციდენტი საქართველოში არ ახსოვთ. ამიტომაც, ჩვენში არ აღმოჩნდა (და არც ახლა არსებობს) შესაბამისი სპეციალისტები ან სპეციალური დაწესებულებანი, რომლებიც მსგავს პრობლემებზე მუშაობენ. თავის დროზე, ვერც ამ ბიჭების ჯანმრთელობის ასავალ-დასავალი გაიგეს ექიმებმა. დაუდგენელი სიმპტომების აღმოჩენიდან მე-8 თვეს, როგორც იქნა, ავადმყოფები მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის მოწვეულმა სპეციალისტებმა გასინჯეს. მხოლოდ მე-8 თვეს (!) დადგინდა დიაგნოზი — რადიაქტიური ნივთიერების სიახლოვის შედეგად მიღებული სხივური დამწვრობა (რაც შემდგომში ქართველმა სპეციალისტებმაც დაადასტურეს. მანამდე მხოლოდ ეჭვის დონეზე ჰქონდათ პროგნოზი). ცოტა მოგვიანებით დაზარალებულები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში პირველი დახმარების გაწევის მიზნით, მასპინძელი ქვეყნების ხარჯზე კლინიკებში მოათავსეს — საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში. მკურნალობის შემდგომი ეტაპების დაფინანსება ქართულ მხარეს უნდა ევალდებულა. უცხოელი სპეციალისტების დასკვნით, მკურნალობა სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს და იგი ერთ რომელიმე საბოლოო ეტაპს არ ცნობს. პირველადი დახმარების უზრუნველყოფის შემდეგ უცხოურმა კლინიკებმა შემდგომ მკურნალობაზე თავი შეიკავეს. დღეს ამ ბიჭების სიცოცხლე, რბილად რომ ვთქვათ, სავალალო მდგომარეობაშია. ხელისუფლებისგან მივიწყებულმა ჯარისკაცებმა, რომელთაც კანონმორჩილება ჯანმრთელობის ფასად დაუჯდათ, უფლებების დასაცავად თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართეს. ისინი მკურნალობის საფასურს — 20 მილიონ დოლარს ითხოვენ. მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ სამხედრო პროკურატურა, ჯანდაცვის და გარემოს დაცვის სამინისტროები, აგრეთვე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. ამ უკანასკნელმა პასუხისმგებლობა ნაწილობრივ თავიდან აირიდა და მოპასუხედ მასთან ერთად თავდაცვის სამინისტროს დასახელება მოითხოვა. პროცესი დღეს, ორშაბათს გაიმართება.*

*ვესაუბრებით ერთ-ერთ დაზარებულს პავლე ელიაურს.*

**— რატომ ითხოვთ 20 მილიონს და არა უფრო მეტს ან ნაკლებს?**

— ჩვენი მკურნალობის საზღაურად საშუალოდ 20 მილიონია საჭირო. როცა ჩვენ (და მე პირადად) საფრანგეთში ვმკურნალობდი, გავარკვიეთ, რა დაჯდა მაშინ მკურნალობა. აღმოჩნდა, რომ ერთი კაცი, 3 თვის მანძილზე მკურნალობით 2 მლნ 700.000 დოლარი დაჯდა. სარჩელი სულ 8 კაცმა შევიტანეთ. ყველა ჩვენგანს არა მარტო ფიზიკური ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები აქვს, არამედ ფსიქოლოგიური, სტრესული მდგომარეობაც. ზოგი დეპრესიაშია, ზოგიც მეტნაკლებად გამოვიდა. სასამართლო ერთადერთი მშვიდობიანი გზაა, რომელიც დაგვრჩა ჩვენი უფლებების დასაცავად. თუ პროცესი ჩვენს სასარგებლოდ არ გადაწყდა, მაშინ აღარ ვიცი, რა ზომებს მივმართავთ.

**— სამხედრო პროკურატურასთან რა კონკრეტული პრეტენზიები გაქვთ?**

— მოგახსენებთ. იმ დროს, როცა ჩვენ მკურნალობას გავდიოდით, პროკურატურამ „აღმოაჩინა", რომ რადიაქტიური ნივთიერებების კაფსულა „ცეზიუმ 137" ჩვენს სამხედრო ფარაჯაში იმყოფებოდა. მერე თქვეს, რომ ჩვენ ეს კაფსულები თითქოს ვიპოვეთ და ჯიბეში ჩავიდეთ. სინამდვილეში, ეს კაფსულები ჩვენ არ გვიპოვია. ის ვიღაცამ ჩაგვიგდო ფარაჯაში. ამის გაკეთება ალბათ იმიტომ დასჭირდათ, რომ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ჩვენზე გადმოეტანათ, ვიღაცებს კი თავი ემართლებინათ. სისხლის სამართლის საქმე კი, რომელიც პროკურატურაში აღიძრა, რატომღაც შეწყდა. მიზეზები ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა.

ახლა ყველა თავს იმართლებს, რომ მაშინ, როცა რუსებმა ეს ბაზა დატოვეს, არეულობა იყო და ქაოსში ვერ მოხერხდა ტერიტორიის სათანადო დამუშავება. ეს გასამართლებელი საბუთი არ არის. არ უნდა მოეხდინათ ტერიტორიის სანიტარული, რადიაციული და სხვა სახის დათვალიერება?!

**— არსებობს ეჭვი, რომ დასხივებულია არა მარტო 11 კაცი...**

— დიახ, მართალს ამბობთ. არის რამდენიმე ათეული ადამიანი კიდევ, რომელთაც სისხლში ისეთივე დარღვევები აქვთ, როგორც ჩვენ. ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობს. ჩვენი საქმეც იმიტომ გახმაურდა ასე, რომ დამალვა არ შეიძლებოდა — აშკარად გამოკვეთილი, სერიოზული ნიშნები გვქონდა. დამნაშავეს კი, გაუგებარი მიზეზებით საქართველოში ეძებენ. პროკურატურაში, შინაურულ საუბარში მითხრეს, რომ რუსულ მხარეს დანაშაულს ვერ წაუყენებენ სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო. რა მტკიცებულებები სჭირდება ამას?! — ჯანსაღი ახალგაზრდა, რომელიც სამხედრო სამსახურში მიდის, რამდენიმე თვეში ავადმყოფი ბრუნდება. მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც ჩვენ დაგვემართა.

**— პენსიას თუ იღებთ და რამდენად სტაბილურად?**

— პენსია დაგვენიშნა 45 ლარის ოდენობით. ბიჭები, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ, ამ თანხას სტაბილურად ვერ იღებენ. ასეც რომ იყოს, 45 ლარი ზღვაში წვეთია. ჩვენი იმუნიტეტი ხომ განადგურებულია, უბრალო გაციებაც კი შეიძლება რთულ ფორმებში გადაიზარდოს.

*დასხივებული 11 ჯარისკაციდან, 2 დღეს საქართველოში არ იმყოფება. ერთს ამ უბედურებამ პირადი ბედნიერება მოუტანა: ნოდარ ადუაშვილმა საფრანგეთში ყოფნისას კლინიკის ექთანზე იქორწინა. დღეს ის საფრანგეთის მოქალაქეა და იქ მკურნალობს. რაც შეეხება მეორეს — ლევან გოგიას, ის ობლინსკში მკურნალობდა. როგორც გვითხრეს, ობლინსკში ამ უკანასკნელს არასრულფასოვანი კვება ჰქონდა, რის გამოც იძულებული გახდა უკან დასაბრუნებელი ბილეთი გაეყიდა. მერე კი, მომჯობინებულმა შავ მუშად დაიწყო მუშაობა. ახლა ის იშვიათად უკავშირდება ჯარის მეგობრებს.*

*„კვირის პალიტრა" შეხვდა და ესაუბრა დასხივებული ჯარისკაცების ექიმს სეფსისის ცენტრში, სულიკო კოსიაშვილს.*

**— ბატონო სულიკო, რა მდგომარეობაშია დღეს დასხივებულთა ჯანმრთელობა?**

— მათი დიაგნოზი მთელ რიგ განმარტებებს მოითხოვს. სხივური დაავადება მსოფლიოში არც არის სრულყოფილად შესწავლილი. ეს უმძიმესი დაავადებაა, რომელიც პერიოდულად საჭიროებს ოპერაციულ ჩარევას. ამის შესაძლებლობა ამ ბიჭებს ჩვენს პირობებში არ აქვთ. არის კიდევ სხვა საკითხები, რომელიც პრესაში არ ითქმება.

**— რას გულისხმობთ?**

— სამედიცინო პრაქტიკაში არის ისეთი მომენტები, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩეს, თუნდაც ოჯახის წევრებისთვის. დაზარალებულებმა აბსოლუტურად ყველაფერი იციან თავიანთ ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ საზოგადოებაში ამის გაცხადება, ისევ ამ ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ შეიძლება. მათ სიცოცხლეს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ისინი შეიძლება შევადაროთ ანთებულ სანთელს, რომელიც ნელ-ნელა დნება. მე ვერ გეტყვით, რამდენ ხანს იცოცხლებენ. ეს ძალზედ ინდივიდუალურია.

**— საფრანგეთში მყოფ ადუაშვილს თუ უკავშირდებით?**

— ის მკურნალობს საფრანგეთში და მისი მდგომარეობა ბევრად უკეთესია იმათთან შედარებით, ვინც საქართველოში იმყოფება.

**— გენეტიკურ ცვლილებებს იწვევს დასხივება?**

— სამწუხაროდ, გენეტიკაშიც აისახება. აქ ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება.

P.S. *როგორც გამოვარკვიეთ, დაზარალებულთა ადვოკატი ლადო კაკაბაძე უკმაყოფილოა საოლქო სასამართლოთი. არსებობს ეჭვი, რომ ვიღაცას ამ საქმის ჩაფარცხვა იმგვარად სურს, რომ ყველაფერი ჯარისკაცებს დაბრალდეთ (თითქოს ჯიბეში საკუთარი სურვილით ჩაიდეს „ცეზიუმ-137"-ის კაფსულა).*

*ზოგადად ჯარისკაცის ბედზე მსჯელობისას, წვევამდელებს და მათ მშობლებს უდავოდ დააინტერესებთ ერთი ინფორმაცია: გასულ კვირას პარლამენტმა დისბატის (დისციპლინირებული ბატალიონი) გაუქმებაზე იმსჯელა. წვევამდელი, რომელიც ჯარში არ წავა, დისბატში კი არ მოხვდება, არამედ კოლონიაში. პარალელურად ხელისუფლება ასეთ კითხვასაც სვამს: რა მოუვა სასიკეთო იმ წვევამდელს, რომელიც კოლონიაში მკვლელების და რეციდივისტების გვერდით მოხვდება?! დეპუტატთა დიდი ნაწილის მოთხოვნით, კოლონიებში ამისთვის საგანგებო ადგილი უნდა გამოიყოს. რამდენად მოგვცემს ამის საშუალებას ბიუჯეტი, სხვა საქმეა. დისბატის გაუქმება კი, იდეის დონეზე უკვე გადაწყვეტილია.*

**ქეთი ბერეკაშვილი**

ქართულ პოლიტიკაში გრანდიოზული დომხალი იწყება. პოსტშევარდნაძისეული ეპოქის მოახლოებასთან ერთად მძაფრდება სამომავლო პერსპექტივისთვის ზრუნვის ფუსფუსი და, შესაბამისად, მჟღავნდება მავანთა, ზოგჯერ არცთუ კეთილშობილური, ქვენა მიზნები. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ აქედანვე იწყებენ ხვალინდელი დღისთვის არა მხოლოდ ფიქრს, არამედ აქტიურ მანევრებსაც. ეს ბრძოლა დღითი დღე უფრო აგრესიულ, არაკორექტულ და, რაც მთავარია, საშიშ ფორმებს იძენს.

პოლიტიკა და მით უმეტეს ქართული პოლიტიკა ყოველთვის ბრძოლა იყო და იქნება, მაგრამ საქართველოში ბრძოლა მიმდინარეობს არა პოლიტიკის და პოლიტიკური შეხედულებების, არამედ თბილ-თბილი სავარძლების მოპოვებისთვის. ყველაზე მძაფრად კი ამ სავარძლებისთვის ისევ ისინი იღვწიან, ვინც უკვე მოკალათებულია და დათმობა ეძნელება. ჯერჯერობით მთავარი აქცენტი კეთდება ერთადერთ სკამზე — ამ სკამს, ჩვეულებრივ მოკვდავთა ენაზე, უბრალოდ, პრეზიდენტის პოსტი ჰქვია. დღევანდელი პრეზიდენტისთვის, რომელსაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე კიდევ 4 წელი დარჩა, მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს მავანთა გადაკრული მინიშნებები მის შემცვლელზე, მემკვიდრეზე, მემკვიდრეობასა და ანდერძებზე. არადა, პრეზიდენტი საკუთარი თვალით ხედავს, როგორ ჭამენ ერთმანეთს ზოგ-ზოგიერთები ამ ჯერ ისევ დაკავებული სკამის გულისთვის, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ის პოლიტიკოსია, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს, უფრო მეტიც, ყველაფერს ხვდება, მაგრამ... ყველაფერს არ ამბობს. ამდენად, ბუნდოვანი და გაურკვეველია, რას ფიქრობს თავად ქვეყნის პრეზიდენტი. მისი ყველაზე მარტივი სტრატეგიის გათვლა და შედეგების პროგნოზირება მეტისმეტად უჭირთ თვით მასთან ძალზე დაახლოებულ პირებსაც კი. ე.წ. წვრილფეხა პოლიტიკოსები, რომლებსაც პრეზიდენტობის „ბაგაჟი“ და ამბიციები არ აწუხებთ, შევარდნაძის კეთილ ღიმილსა და კეთილგანწყობაზე უკვე აღარ აკეთებენ აქცენტს. მათი მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე შეაღწიონ მომავალი პრეზიდენტობის უფრო რეალური კანდიდატის გუნდში და ახლა უკვე მისი სიმპათიები დაიმსახურონ.

დღესდღეობით, როგორც პოლიტიკოსთა უმრავლესობა აცხადებს, პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ზურაბ ჟვანია მოიაზრება ე.წ. ჟვანიას გუნდის შექმნის ტენდენციაც სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარეობს. პარლამენტის თავმჯდომარის ირგვლივ აქტიურად იკრიბებიან ის პოლიტიკოსები, რომლებსაც ჟვანიას გაპრეზიდენტებაში ეჭვი თითქმის არ ეპარებათ. თავად ზურაბ ჟვანია პოპულისტური გამოსვლებითა და ქმედებებით ცდილობს გაჭირვებული ხალხის თვალში სამომავლო ქულების ჩაწერას. ეს კი, უნდა თუ არა, პრეზიდენტთან დაპირისპირების ფასად უჯდება. პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის უთანხმოებამ ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო მძაფრად იჩინა თავი. სულ რამდენიმე დღის წინ საქართველო ძლივს გადაურჩა სოციალურ აფეთქებას. მაშინვე ითქვა, რომ ამ აქციების უკან გარკვეული ძალები იდგნენ — ზოგი მხედრიონზე ეჭვობდა, ზოგი „ახალ მოძრაობაზე“, ზოგიც რუსეთის სპეცსამსახურებზე. მხედველობიდან, რა თქმა უნდა, არც ჟვანია და მისი გუნდი გამორჩენიათ. მოვლენები კი ასე განვითარდა: აჯანყებულ ხალხთან მიდის ჟვანია და ხალხს ჰპირდება, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“. შემდეგ ის მომიტინგე-აჯანყებულებს პარლამენტში მასპინძლობს — თანაც, ძალზე თბილად. სულ მალე აქციები ჯაჭვური რეაქციით ედება მთელ ქალაქს და მომიტინგეთაგან დენის მოთხოვნის პარალელურად გაისმის შეძახილები — „შევარდნაძე უნდა გადადგეს“, „შუქი რომ არ გვაქვს, პრეზიდენტის ბრალია, აბა ვისი?“. „კრწანისში რატომ არ აწესებენ გრაფიკს?“ და ა.შ. ფაქტია, რომ ჟვანიას სახელი იქ არავის უხსენებია, მოგვიანებით კი პრეზიდენტის კანცელარიიდან ხმა გამოდის, თითქოს შევარდნაძე თავის კაბინეტში ჟვანიას ხმამაღლა უყვიროდა: ეს ამბები სულ შენი მოწყობილიაო.




ძალიან მალე კიდევ ერთი „ძველი ცოდვების“ ისტორია „სკდება“. კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი აკეთებს სკანდალურ განცხადებას ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით და „იძლევა პირობას“, რომ ამ საქმით დაინტერესდება და ამოქექავს არქივის მასალებს, რომელიც ნათელს მოჰფენს, თუ ვინ, რატომ და რა მიზნით შეუშალა ხელი ხუდონჰესის მშენებლობას. 12 წლის წინ „მწვანეების“ მიერ მოწყობილ აქციას, რომელშიც, რა თქმა უნდა, აქტიურად მონაწილეობდა 26 წლის ზურაბ ჟვანია, უფრო ადრე ქვეყნის პრეზიდენტი ეხმიანება და ადასტურებს, რომ ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებამ საქართველოს ენერგოსისტემას დიდი ზიანი მიაყენა. ჟვანიას გვარი იქ არავის უხსენებია, თუმცა სახელისა და გვარის დასახელება საჭირო არც იყო, ყველა მიხვდა, რომ ლაპარაკი „კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“ ეხებოდა.

სავარაუდოა, რომ ასეთი წამოძახებები, ხრიკები და ცოდვათა გახსენებები დღითი დღე უფრო ხშირი და მასობრივი გახდება. რაც შეეხება ოპოზიციას, გარკვეული ძვრები იქაც შეინიშნება, თუმცა არა ისეთი მძაფრი, როგორც მოქალაქეთა კავშირში. „კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი მზად არის, ჟვანიას „ამქარში“ ჩაეწეროს, ოღონდაც, ჯერჯერობით სიტუაციას ზვერავს და შესაბამის მომენტს ელოდება. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა და ამბიციური პოლიტიკოსები დიდი მონდომებით ცდილობენ, შევარდნაძის მმართველობის ხანაშივე ხელში ჩაიგდონ სახელმწიფოს მართვის სადავეები და ხელისუფლებაში დამკვიდრდნენ. ამ მიზნების განხორციელებისთვის ყველაზე პერსპექტიულ თავშესაფრად ჯერჯერობით კვლავ ჟვანიას გუნდი მოიაზრება. თუმცა, შევარდნაძესაც ჰყავს თავისი გუნდი და შეიძლება ითქვას, არც ისინი სხედან გულხელდაკრეფილნი. დღევანდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტის თავმჯდომარის და პრეზიდენტის ჩათვლით იმდენად არის დისკრედიტირებული საკუთარი მოსახლეობის თვალში, რომ თავადვე ხვდებიან, სამომავლოდ პოლიტიკაში მოსასვლელად დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. პოლიტიკოსებმა „მიაგნეს“ ამ ლაბირინთიდან გამოსვლის ხერხს. ეს გახლავთ ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შეცვლა საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობით. ეს ფორმა მისაღებია არა მხოლოდ ე.წ. შუალედური პარტიებისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც დღეს პარლამენტშია, მაგრამ არანაირი გარანტია არა აქვთ, რომ მომავალშიც კვლავ პარლამენტში მოხვდებიან. ამ იდეით კარგა ხნის წინ სუპერტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი გამოვიდა. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო კანცელარიიდან საოცარმა ინფორმაციამ გამოჟონა — შევარდნაძეს, საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრობა აქვს ჩაფიქრებულიო. ეს იმას ნიშნავს, რომ 2005 წლისთვის საქართველოს ფაქტობრივ მმართველად კვლავ ედუარდ შევარდნაძე მოგვევლინება. იმასაც ამბობენ, რომ აკაკი ასათიანი სწორედ შევარდნაძის მითითებით მოქმედებს. თავად ტრადიციონალისტთა ლიდერმა „ვენები გადაიხსნა“, რას ამბობთ, შევარდნაძე ამას ვერ მოესწრებაო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „აღორძინების“ ბლოკის მიმართ მის გულაცრუებას და შევარდნაძის გუნდისადმი ერთგვარ მიდრეკილებას, შესაძლოა ამაში სიმართლის მარცვალიც იყოს.

მანამდე კი კულუარებში მომავალ პრეზიდენტობის კანდიდატთა გვარებს ასახელებენ. მათ შორის ჩნდება არც მეტი, არც ნაკლები, პაატა შევარდნაძის გვარიც. როგორც ამბობენ, ამჟამად პრეზიდენტის ვაჟისთვის საქართველოში ნიადაგის მომზადების და მისი პოლიტიკაში ჩაბმის პროცესი მიმდინარეობს.

ქართულ პოლიტიკაში დიდი ამბებია მოსალოდნელი. ფაქტია, რომ მმართველ ძალას ქვეყნის მართვა უკვე მეტისმეტად გაუჭირდა. თვითგადარჩენისთვის ბრძოლამ კი ისინი ურთიერთს წაჰკიდა. მოქალაქეთა კავშირი რომ დაიშლება, ამაში ეჭვი უკვე თავად მოქკავშირლებსაც აღარ ეპარებათ, თუმცა სირაქლემას პოზას ვერ ღალატობენ და ხმამაღლა მაინც ჯიუტად გაიძახიან — შევარდნაძესა და ჟვანიას შორის არანაირი დაპირისპირება და განხეთქილება არ არისო. არადა, ეს დაპირისპირება კარგა ხანია დაიწყო და აქამდე მხოლოდ ჩუმი დუღილის პროცესში გახლდათ. დღეს კი, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს — „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“, ეს დამალულ-დაფარული ბოლმა გასკდა და ამის შესახებ ქვეყანამ შეიტყო. „ავი ენები“ ამბობენ, პრეზიდენტმა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიიღო და სულ ცოტა ხანში, განცხადებასაც გააკეთებსო. როგორც ეტყობა, სახელგატეხილი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა შევარდნაძეს ყელში ამოუვიდა და ამ ნაბიჯით საკუთარი იმიჯის გადარჩენას ცდილობს. რაც შეეხება თავად მოქალაქეთა კავშირს, მისი უძლეველობის მითი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. დღეს უკვე იმაზე კი აღარ არის საუბარი, დაიშლება თუ არა მოქკავშირი, არამედ იმაზე, თუ როგორ, რა ფორმით დაიშლება და რა შედეგს მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას.

**ხათუნა ყვირალაშვილი**

# საგანგებო მდგომარეობა — თარგამაძის „ტუზ-კოზირი“?



თბილისში ხმა გავარდა — ვაკეში მოწყობილი პიკეტის გამო თორნიკე ბერიშვილსა და გიგა არველაძეს იჭერენო. დენის მიწოდების გაუმჯობესების მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ მოსახლეობას რომ ვერაფერი დააკლო, პოლიცია „ორგანიზატორებს“ მისდგა (ხალხს ამჯერად პრეზიდენტი „გადაეფარა“) და ქალაქის პოლიციის ერთმა მაღალჩინოსანმა დაჭერის ორი „მხედრიონელი“ კანდიდატიც დაასახელა. თუმცა ამჯერად საქმე დაჭერამდე აღარ მისულა. ორივე „ჯაბისტი“ პოლიციის სამმართველოდან „კონსტრუქციული დიალოგის“ შემდეგ შინ გაუშვეს. „გაუგებრობაში“ ჩავარდნილ „აქტივისტებს“ რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— ბატონო გიგა, მართლა გიჭერენ?**

— ბევრი მოდის და მეკითხება, — ხომ არ გიჭერენო? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

**— არავინ ყოფილა თქვენთან მოსული?**

— კი, იყვნენ. პოლიციის სამმართველოშიც ვიყავით. ერთად დავსხედით და ვილაპარაკეთ. მაგრამ არაფერი მასეთი ლაპარაკი (დაჭერაზე) იქ არ ყოფილა.

**— მაინც რაზე ისაუბრეთ?**

— ჩვენც და მათაც ფაქტობრივად ერთნაირი პოზიცია გვქონდა — რომ სპონტანური აქციები ორგანიზებულ გადატრიალებაში არ გადაზრდილიყო.

**— რატომ დაუკავშირეს ეს აქციები თქვენს სახელებს...**

— ეს აქცია ვაკეში დაიწყო (მე და თორნიკე ვაკელები ვართ) ჩვენ 40 წუთის დაგვიანებით მივედით. უფრო სწორად, შინ ვბრუნდებოდით, დავინახე ჩემი მეუღლე და ბავშვი მეზობლებთან ერთად ქუჩაში იდგნენ და ჩვენც იქ მივედით. მერე ხალხმა დაიწყო შეგროვება. რეალური საფრთხე შეიქმნა, რომ რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს დენის გამო თავყრილობა პოლიტიკურ აქციაში არ გადაეზარდა. ჩვენ ამას შევეწინააღმდეგეთ.

**— ე.ი. იყო მცდელობა?**

— ირაკლი წერეთელი იყო მოსული. ვკითხე, — რაიმე სხვა პრობლემის გამო ხომ არ მოსულხარ-მეთქი? არა, მეც სოციალური მოთხოვნა მაქვს. მინდა — დენი მოგვცენო, ვაკეს ჩვენ ვაკონტროლებდით (!) და მგონი კარგად გავუძეხით საქმეს. ხალხი იმდენად შეწუხებული იყო (და არის), რომ პოლიტიკოსების დანახვაც არ უნდოდათ. ამბობდნენ — არავისთან არ გვინდა შეხვედრა. ნურც ჟვანია მოვა და ნურც მირცხულავა — დენი მოვიდესო.

**— ზოგმა მოპიკეტეებს შორის იარაღიანი ხალხიც შენიშნა.**

— ეგეთი რაღაც არ დაფიქსირებულა! თუ სამართალდამცავები ამას სერიოზულად ამბობენ, იცოდეთ, რომ მათი სიტყვის უკან ფაქტი არ დგას. თუ დაინახეს, რატომ არ დაიჭირეს, რატომ არ აართვეს იარაღი?

**თორნიკე ბერიშვილი:** უშანგი მგელაძეს უთქვამს რაღაც და იმას გამოაბეს კუდი — იჭერენო. ჯერ არ დავუჭერივარ, თუ დამიჭირეს, მერე გეტყვით.

**— თქვენზე ამბობენ, პოლიციამ „მოქალაქეებთან“ ალიანსის გამო ამოიჩემაო.**

— ეტყობა დრომ მოიტანა, რომ ცოტა დათბა ჩვენი ურთიერთობები, აბა, როდემდე უნდა დაიჭირონ „მხედრიონელები“? რაში გამოიხატება ჩვენი ალიანსი? რა ხელმოსაკიდი აქვს, ვინც ამას ამბობს?

**— თუნდაც ის, რომ ჟვანიას ხელდასხმით პარლამენტმა შარშან თქვენი ვეტერანები დააფინანსა.**

— კი, შარშან სერიოზულად დაგვეხმარნენ, მაგრამ წელს რომ სეკვესტრში მოგვაყოლეს, ის ნუ დაავიწყდებათ.

ამბობენ, — შემთხვევით არაფერი ხდებაო და, როგორც შევიტყვეთ, ეს „უწყინარი გაუგებრობაც“ კარგად მოფიქრებული, მაგრამ განუხორციელებელი ინტრიგის ერთი ხლართი ყოფილა. და კიდევ, სოციალური პრობლემებით დახუნძლულ თბილისელებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ცხვირწინ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საშიშროებაც ჰქონდათ.

უდენობით გამოწვეულ მოსახლეობის გულისწყრომას ხელისუფლებაში გვარიანი რეზონანსი ჰქონდა. ბოროტი ენები ამბობენ, გულხელდაკრეფილი არც შს მინისტრი იყო, თავისი პერსონის მნიშვნელობის აფიშირებისთვის ხალხის მღელვარების გამოყენება სცადა. თარგამაძეს ერთი სული ჰქონდა — ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. ამ შემთხვევაში თარგამაძეს მართლაც მაღალი კოზირი უვარდებოდა ხელში (თუ „ჯოკერი“ არა, „ტუზი“ მაინც). საგანგებო მდგომარეობაში მყოფ ქალაქში პარლამენტს თავს არ „გააიმპიჩმენტებინებდა“ და ჟვანიას და მის გუნდს ჭკუას ასწავლიდა. ამიტომაც ახსენა ქალაქის პოლიციის შეფის მოადგილემ მხედრიონელების სავარაუდო დაჭერა, რომლებიც ბოლო დროს „ნორმალურ დამოკიდებულებაში არიან“ ჟვანიასთან. ცხადია, რომ ინტრიგის ეს ხლართი პარლამენტის ზედა ეშელონებისკენ მიდიოდა, მაგრამ უხილავმა რეჟისორმა ამჯერად არ იჩქარა და გაზაფხულზე პროგნოზირებული „საშემოდგომო არეულობის“ მხოლოდ ამ ფორმით შემოიფარგლა.

**იზო რკაძე**

# ჯოხთაბერიძეს სიმამრი წყალობს?!

„საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

1996 წლის დასაწყისში, ჩვენმა ფირმამ შპს „მაგთი ენერჯი ენდ ქემიკალზ ინტერნეიშნლ“-მა, რომელიც დაარსებულია ბრიტანული და ქართული კომპანიების მიერ, შეიმუშავა „ქიმკომბინატის“ კრიზისული მდგო-


ლევან მამალაძე

მარეობიდან გამოყვანისა და მისი ეკონომიკური აღორძინება-განვითარების საქმიანი გეგმა-პროექტი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო იმავე წლის აპრილიდან.

წელიწად-ნახევრის მანძილზე ჩვენ მიერ „ქიმკომბინატში“ გაწეულმა ინვესტიციებმა შეადგინა 29,7 მლნ აშშ დოლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ საწარმოს მიმდინარე დავალიანებამ ინვესტორის მიმართ 19 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადმოგვეცეს რუსთავის „ქიმკომბინატის“ აქციები, რათა გაჩნდეს რეალური გარანტიები ინვესტიციების გაგრძელებისათვის“.

ეს გახლავთ ამონაწერი პრეზიდენტის სახელზე აღნიშნული ფირმის გენერალური დირექტორის ალექსი ანჩაბაძის 1997 წლის 8 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან.

„ბატონებს: ნ. ლეკიშვილს, ა. სილაგაძეს, განიხილეთ ლ. მამალაძესთან“. ასეთი გახლავთ შევარდნაძის რეზოლუცია ზემოთ ხსენებულ წერილზე.

ქართული წარმოების გიგანტი, რუსთავის „ქიმკომბინატი“ რამდენიმე წელია აღიზიანებს საქართველოში გაბატონებული კლანების „მადას“. ქონების გადანაწილება-დატაცების პროცესი ჩვენს ქვეყანაში გრძელდება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მალე არათუ მსხვილი საწარმო, არამედ გოჯი მიწაც აღარ დარჩება გავლენიანი მეპატრონის გარეშე.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ „ქიმკომბინატისათვის“ (ე.წ. „აზოტი“) ბრძოლაში პრეზიდენტის ნათესაობის ორი მხარე ჩაერთო. ამ ორიდან ერთ-ერთს ქვემო ქართლის გუბერნატორთან ლევან მამალაძესთან „თანამშრომლობას“ მიაწერდნენ. ეს ობიექტი გახდა რუსთავის მაშინდელი მერის მერაბ ტყეშელაშვილისა და მამალაძის დაპირისპირების მთავარი მიზეზი.


მერაბ ტყეშელაშვილი

წლებმა და ინტერესებმა თავისი ქნა და შედეგიც მივიღეთ. „აზოტი“ პრეზიდენტის სიძე-ქალიშვილის კომპანიამ შეიძლება მიზერულ ფასად ჩაიგდოს ხელში. ცხადია, არც ერთი და არც რამდენიმე მილიონი დოლარი სახუმარო თანხა არ გახლავთ, მაგრამ ყველაფერი შედარებითია, ისე როგორც „აზოტის“ რეალური ღირებულება და ის ვალი, რომლის სანაცვლოდაც კომბინატის ხელში ჩაგდება ხდება შესაძლებელი. ბოლო დროის ქართულ ეკონომიკაში გამოიკვეთა ერთი ტენდენცია — მრეწველობის შედარებით მსხვილი საწარმოები გაურკვეველი და მსგავსი სქემით ახერხებენ ვალების „აკიდებას“, შემდეგ კი ნებით „ბარდებიან“ მევალეებს. არის კიდევ ერთი თანხვედრა — მევალე ყოველთვის რომელიმე კლანისა და გავლენიანი წრის წარმომადგენლის კომპანია აღმოჩნდება-ხოლმე.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

# ელჩობამისჯილნი

## ცვლილება კანონში „დიპლომატიის შესახებ“

პარლამენტში უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ „დიპლომატიის შესახებ“ კანონში ცვლილებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც საქართველოს ელჩები და გენერალური კონსულები სამუდამოდ დარჩებიან უცხოეთში. კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **ჰამლეტ ჭიპაშვილს**.

— „დიპლომატიის შესახებ“ კანონში ცვლილება ყოვლად დაუშვებელია. კანონის 30-ე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ელჩებს და გენერალურ კონსულებს სახელმწიფოებრივი აუცილებლობის გამო უფლებამოსილების ოთხწლიან ვადას კიდევ ორი წლით უხანგრძლივებს. პრეზიდენტი კონკრეტული ვადის, ორი წლის ამოშლას ითხოვს კანონიდან, რაც ელჩებისა და გენერალური კონსულების უფლებამოსილების სამუდამოდ გაგრძელებას ნიშნავს. მსოფლიო პრაქტიკაში ელჩის მოღვაწეობა განისაზღვრება სამი წლით და იშვიათ შემთხვევაში ემატება ერთი წელი.

დიპლომატიურ წარმომადგენლობებში როტაცია (ცვლა) ნიშნავს იმას, რომ სამშობლოში დაბრუნებული ელჩი თუ სხვა დიპლომატი მუშაობას განაგრძობს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რამდენიმე წლის შემდეგ კი კვლავ უცხოეთში მიევლინება. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს სისტემაც მოუწყობელია. ტრაგიკული მდგომარეობაა, ელჩები ვერ ჩამოგვყავს უცხოეთიდან იმის გამო, რომ აქ მათთვის შესაფერისი თანამდებობები არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ყველა ქართველი დიპლომატი საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემდგომებთან საქმის ჩაწყობით საელჩოში სამსახურის გახანგრძლივებას ცდილობდეს, როტაციის პროცესში საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობიდან გადადიან მეორე მდივნად და კიდევ 3 წლით რჩებიან უცხოეთში.

დიპლომატის ერთ ქვეყანაში ხანგრძლივად ყოფნა კი მსოფლიო პრაქტიკაში ცუდ ტონად ითვლება. ელჩის დიდი ხნით უცხოეთში ყოფნა მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოების გამო ობიექტური მუშაობის საშუალებას არ იძლევა. 1992 წლიდან საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებში დიპლომატიური კორპუსები სამ-სამჯერ მაინც შეიცვალა. ჩვენი ელჩები კი ზოგიერთ ქვეყანაში თითქმის დიპლომატიური წარმომადგენლობის დაარსების დღიდან მოღვაწეობენ. საქართველოს ზოგიერთ საელჩოში სრულ უმოქმედობას აქვს ადგილი.

*— ამას ალბათ ხელს უწყობს ფინანსური პრობლემებიც. თვით ელჩებსაც ხომ საკმაოდ მცირე ხელფასები აქვთ. მათი ოდენობა 1.500 დოლარს არ აღემატება (თვეში).*

— ელჩის მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა აუცილებელია, რათა არ მოხდეს მისი დაინტერესება მასპინძელ ქვეყანაში კომერციულ საქმიანობაში ჩაბმით, არ გაიყიდოს პოლიტიკურად. რუსეთში საქართველოს საელჩოში დარღვეული იქნა მსოფლიოში აღიარებული პრინციპი, რომ დიპლომატიური თანამშრომელი აუცილებლად წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს. სამწუხაროდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ანალოგიურ ქართულ უწყებას ახლახან გამოგზავნილ ნოტაში სთხოვა რუსეთში საქართველოს საელჩოს იმ დიპლომატიური თანამშრომლების ვინაობის დაზუსტება, რომლებიც ბიზნესით არიან დაკავებულნი ან ორმაგი მოქალაქეობა აქვთ. რუსეთმა შესანიშნავად იცის, ვინ რას წარმოადგენს ჩვენს საელჩოში, მაგრამ ჩვენთვის სავალალო მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად შეგვატყობინა, რათა შესაბამისი რეაგირება მოხდეს ჩვენი მხრიდან. საქართველოს საელჩო რუსეთში დღესაც არ მუშაობს სათანადოდ. და არა მარტო საელჩო. საგარეო საქმეთა სამინისტროც. რომ არა მათი ინერტულობა, ნაკლებად დაძაბული ურთიერთობა იქნებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის.

*— სავიზო რეჟიმთან დაკავშირებულ პრობლემებს გულისხმობთ?*

— არა მარტო ამას. ეს საკითხი უკანასკნელ ხანს წინა პლანზე დგას. რუსეთის დელეგაცია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჩამოვიდა სავიზო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასაწყებად. შემდეგაც ოთხჯერ გამოგზავნეს ანალოგიური შინაარსის ნოტა საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით, მაგრამ ეს უწყება ამჯერადაც გულარხეინად იჯდა იმ იმედით, რომ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების შედეგად სავიზო რეჟიმის საფრთხეს აგვაცილებდა.

მხოლოდ საქართველოს სინამდვილეში შეიძლება მოხდეს ის, რაც მოსკოვში მოხდა. საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს დაპირისპირების გამო, ვაჟა ლორთქიფანიძის ელჩობისას თანამდებობიდან გაათავისუფლეს კონსული ალექსი პაპუაშვილი. მან სასამართლოს გადაწყვეტილებით თანამდებობაც აღიდგინა და საელჩოს დაევალა მისი კუთვნილი გაცდენილი ორი წლის ხელფასის 50 ათასი დოლარის გადახდა. მოსკოვში ჩასულ ალექსი პაპუაშვილს გაუქმებული დახვდა კონსულის თანამდებობა. აღმოჩნდა, რომ ალექსი პაპუაშვილს მოუწევდა რეზერვში ყოფნა, რაც მარადიულად რეზერვში ყოფნას ნიშნავს, არც კუთვნილ 50 ათას დოლარს აძლევენ. გაუგონარი რამ ხდება. პიროვნების გამო გააუქმეს თანამდებობა.

*— თუკი რუსეთში საქართველოს საელჩოში ადამიანის უფლებებს ასე უხეშად არღვევენ, რატომ არ ხდება სათანადო ორგანოებიდან შესაბამისი რეაგირება?*

— რუსეთში საქართველოს საელჩოში იმდენად განუკითხავი მდგომარეობა იყო, რომ ვაჟა ლორთქიფანიძეს ელჩობისას თავის მართლებაც კი მოუხ-



და რიგი ბრალდებების გამო. ჩვენი საელჩოს თანამშრომლები რუსებთან ჯაშუშური კავშირი რომ არ დასწამონ, მათთან ურთიერთობას გაურბიან. ერთიც არის: მაშინ, როცა საელჩოს სამოცამდე თანამშრომელი ჰყავდა, ავტომანქანებზე 600 დიპლომატიური ნომერი იყო გაცემული.

*— ცხადია, ჩვენს საელჩოს ამდენი მანქანა არ ჰყავს...*

— ექვსასი მანქანა რუსეთში მყოფი შავი სამყაროს ქართველ წარმომადგენლებს ემსახურებოდა. დიპლომატიური ნომერიც და პასპორტიც პოლიციისაგან თავდასაცავ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მსოფლიო დიპლომატიაში მანამდე გაუგონარი თანამდებობები გაჩნდა. მაგალითად: საელჩოს მრჩეველი შეთავსებით, პირველი მდივანი საზოგადოებრივ საწყისებზე და ა.შ.

*— ამ ინფორმაციებიდან გამოდის, რომ საელჩო „კრიშის“ ფუნქციას ასრულებდა.*

— ცხონებული მამუკა კიკალეიშვილი თვითონ ამბობდა, რომ საელჩოში მრჩეველიც იყო და რუსეთის ტელევიზიაშიც მუშაობდა. იმავე საელჩოში შემჩნეულნი არიან სპირტიანი სასმელების რუსეთში განბაჟების გარეშე შეტანაში და კიდევ ბევრ სხვა უმსგავსობას ჰქონდა ადგილი. ზოგიერთ ჩვენს საელჩოსა და მისიას სამკაციან დელეგაციაში რანგით ორი ელჩი ჰყავთ. ჩვენთან გენერლების სიმრავლისა არ იყოს, ბევრი რანგით დესპანი და ელჩია. ვის რაში სჭირდება ასეთი რანგები, თუ საზღვარგარეთ სამუშაოდ ვერ წავლენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში ნიჭიერი ახალგაზრდებიც მსახურობენ, მაგრამ თითო მერცხლის ჭიკჭიკი და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაულაგებელი სისტემა გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ისეთ მნიშვნელოვან სტრუქტურებში, როგორიც საგარეო საქმეთა სამინისტრო და დიპლომატიური წარმომადგენლობებია, სხვა სახელმწიფოებრივი სფეროების მსგავსად კორუფცია, არაპროფესიონალიზმი და პროტექციონიზმი მეფობს, რაც ალბათ მნიშვნელოვნად დააზარალებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს, თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ასე არ ფიქრობენ. საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანებს: „დიპლომატიის შესახებ“ კანონში 30-ე მუხლის ცვლილების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია და თვლის, რომ ელჩების საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით მას მეტი თავისუფლება უნდა ჰქონდეს. ახლა ზოგიერთი ელჩის შეცვლა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მათი ვინაობის დასახელება საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციაა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა „დიპლომატიის შესახებ“ კანონში 30-ე მუხლის ცვლილების ინიციატივა. და არა ქვეყანაში არსებული ფინანსური კრიზისის გამო, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მიმდინარე წელს როტაციის პროცესი“.

რუსეთში საქართველოს საელჩოში არსებული პრობლემების შესახებ მინისტრმა თქვა, — ჩვენი საელჩო შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი ორგანო და ასევე არსებობდა 1999 წლამდე, ვიდრე საქართველოში „დიპლომატიის შესახებ“ კანონს მიიღებდნენ. ცოტა უცნაურად ჟღერს ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რუსეთში საქართველოს საელჩო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არ ექვემდებარებოდა. საელჩო არღვევდა საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მაგრამ არა საქართველოს მიერ დადგენილ კანონსა და წესს. რაც შეეხება სამანქანო დიპლომატიურ ნომრებს, მათ ნებისმიერ საელჩოს აძლევს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, რუსეთში მართლაც ბევრი საქართველოს მოქალაქე დადიოდა დიპლომატიური ნომრებით, რომელთა გაცემა სხვადასხვა გზით ხდებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან. აქ არაფერ შუაშია საელჩო, ეს რუსების საქმეა და თუ რაიმე პრობლემაა, ჩვენ ვერ ჩავერევითო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გაკვრით შეეხო მოსკოვში საქართველოს ყოფილი კონსულის ალექსი პაპუაშვილის საკითხს და თქვა: ეს პრობლემა სხვა სფეროს განეკუთვნება და არაფრით არ უკავშირდება საელჩოს.

***ეკა ლომიძე***

# საქართველოდან გაშვილებული ბავშვი, ამერიკაში დიდი ქონების პატრონი და მილიონერი გახდა

საქართველოში ბავშვი უშვილო ოჯახებს აჰყავთ და მშობლები ამას საკუთარი მომავლის უზრუნველყოფისთვის აკეთებენ. ამერიკაში კი პირიქითაა, მოზარდი შეიძლება მრავალშვილიანმა ოჯახმაც აიყვანოს, რადგან ეს მათ კი არა, თავად მზრუნველობას მოკლებულს სჭირდება. განსხვავება კიდევ ის არის, რომ ჩვენში აყვანილს არ ეუბნებიან, რომ ის სხვისი შვილია, ამერიკაში კი ამას ბავშვობიდანვე აჩვევენ, — მითხრა ამერიკული ორგანიზაცია „ფრენკის“ პრეზიდენტმა საქართველოში მზია გელაშვილმა. ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო — ინვალიდი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების გაშვილებაა. ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო.



თვალსაჩინოებისთვის: თემური გაშვილებამდე

**— ქალბატონო მზია, როგორ ხდება ბავშვის გაშვილება და მშობლების შერჩევა?**

— ბავშვის პირველადი უფლებაა, იყოს ჯანმრთელი, იზრდებოდეს ოჯახში და ჰქონდეს განათლების საშუალება. მაგალითისთვის ვიტყვი: ამერიკაში იმდენად ძლიერია ეს ინსტიტუტი, რომ მოზარდს შეუძლია დედასაც უჩივლოს, — ცუდად მექცევაო. საქართველოში კი, სამწუხაროდ, ბევრმა არც იცის, რომ საერთოდ არსებობს ასეთი ცნება — ბავშვთა უფლებები. კანონი ნებას გვრთავს, გავაშვილოთ და ამით მზრუნველობა აღმოვუჩინოთ მათ, ვისაც ეს ესაჭიროება. საქართველოს განათლების სამინისტროში არსებობს ე.წ. გაშვილების ცენტრალური საინფორმაციო ბანკი. თუ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენში არ მოიძებნა მოზარდის აყვანის მსურველი, მაშინ თავისთავად ხდება მისი საერთაშორისო გაშვილება. სამინისტრო გვაწვდის ინფორმაციას, მიღებულ ინფორმაციას ვაგზავნით ამერიკაში შესაბამის სამსახურში. თუ გამოჩნდება აყვანის მსურველი, იწყება ამ ოჯახის კვლევა. ნახევარი წლის განმავლობაში, მიმდინარეობს ძიება ხომ არ აქვს ოჯახს კრიმინალური წარსული ან მისი წევრები არიან თუ არა აგრესიულები, რატომ არ ჰყავთ ბავშვი, პარალელურად მიმდინარეობს მათი მეზობლების დაკითხვა, ხომ არ ესმით მათი ჩხუბის ხმა, ჰყავთ თუ არა ახლობლებში ვინმე განაწყენებული და ა.შ. დგინდება გულისგამაწვრილებელი წვრილმანები. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გვიგზავნიან ინფორმაციას, რასაც თან ახლავს ოჯახის მიერ პირადად შეკრებილი ცნობები, სოციალური მდგომარეობის, სამედიცინო, სადაზვერვო ბარათებისა და ა.შ. შესახებ, საბუთების მოწესრიგების შემთხვევაში ცოლ-ქმარი გადის შესაბამის კურსებს, სადაც უკითხავენ ლექციებს, თუ როგორ უნდა მოექცნენ აყვანილ ბავშვს. ამდენი, ვიტყოდი, მომაბეზრებელ-დამღლელი პროცესის გავლის შემდეგ, ოჯახს ეძლევა უფლება, ჩამოვიდეს საქართველოში და ბავშვი წაიყვანოს.

**— მოწმდება თუ არა როგორ პირობებში ცხოვრობს ბავშვი გაშვილების შემდეგ?**

— საქართველოს საელჩოს ამერიკაში, იქაურ სოციოლოგიურ სამსახურს, ჩვენს ცენტრალურ ოფისს ნებისმიერ დროს შეუძლია ეწვიოს ოჯახს და ბავშვის მდგომარეობა გაიგოს. სრულწლოვანებამდე, ბავშვი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშაა. ზრდასთან ერთად მას ეუბნებიან, რომ ის სხვა ქვეყნიდანაა, რომ მისი სამშობლო მშვენიერია, გააშვილეს, რადგან მის მშობლებს აღზრდის საშუალება არ ჰქონდათ. სხვათა შორის, არაერთი შემთხვევა იყო, როცა ბავშვს ქართულის სპეციალისტები დაუქირავეს და დედაენა ასწავლეს. ხშირად მათ ოთახებში საქართველოს დროშა და რუკაა გაკრული. როცა მოზარდი სრულწლოვანი გახდება, მას საშუალება ეძლევა, აირჩიოს მოქალაქეობა, ან დაბრუნდეს, ან დარჩეს.



...რვა თვის შემდეგ

**— დავუშვათ, დაირღვა ბავშვის უფლებები. ამ შემთხვევაში რამდენად მკაცრია კანონი ოჯახის მიმართ?**

— კანონმდებლობა მათ ისე ექცევა, როგორც კრიმინალს, გამორიცხული არ არის, თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯონ.

**— ქალბატონო მზია, ცხადია ამერიკელი მშობლები ღვიძლ შვილს გაცილებით მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ვიდრე აყვანილს. ამ შემთხვევაში არ ირღვევა კანონი?**

— ნუ გეწყინებათ, მაგრამ თქვენი ეს კითხვა ქართული ფსიქოლოგიიდან მომდინარეობს და მცდარია. ამერიკელს ბავშვი აჰყავს და ამბობს, — ამას კეთილი საქმისთვის, ანუ ღმერთისთვის ვაკეთებო. მას ის ისევე უყვარს, როგორც თავისი. მოვიყვან მაგალითს: გავაშვილეთ ბავშვი, რომელიც ძალიან მდიდარ ოჯახში მოხვდა. ამერიკელი მამა კლინტონის საარჩევნო კამპანიის თავმჯდომარე გახლდათ. დედა — პრეზიდენტის პირადი ადვოკატი, მათი წლიური შემოსავალი 12 მილიონზე მეტია. ამ ოჯახმა ქონების დიდი ნაწილი აყვანილზე ანუ ქართველზე გააფორმა, როცა თავისი ღვიძლი შვილი სამი ჰყავთ. თავად განსაჯეთ, კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: ამერიკელებმა იშვილეს ავადმყოფი ქართველი ბავშვი, რომელსაც უამრავი ფული დაახარჯეს, მაგრამ მდგომარეობა ვერ გააუმჯობესეს. მოზარდი გონებაშეზღუდულია, აგრესიული და სხვა დაავადებებიც სჭირს. დელიკატურად შევთავაზეთ ბავშვის შესაბამის სახლში ჩაბარება. ჩვენდა გასაკვირად, ოჯახმა ცივი უარი გვითხრა — პატარა უზომოდ გვიყვარს. ღმერთმა ასეთი ჯვრის ტარება გვარგუნაო. ამ საკითხში საქართველოსა და ამერიკას შორის უდიდესი განსხვავებაა. ამერიკელები სიტყვა „ინვალიდს“ აღარ ხმარობენ — ნაკლებუნარიანიაო, იტყვიან ხოლმე. იციან, რომ ლამაზი ბავშვი და ინვალიდი ბავშვი ორივე ბავშვია და ორივე ერთად უნდა იყოს.

**— თქვენი ორგანიზაციის მეშვეობით რამდენი ბავშვია საქართველოდან გაშვილებული და რამდენი იყო მათ შორის ავადმყოფი?**

— საქართველოში ორგანიზაცია „ფრენკი“ შვიდი წელია, არსებობს. ამ დროის მანძილზე დაახლოებით 40 ბავშვი გავაშვილეთ. მათ შორის იყვნენ — მზრუნველობას მოკლებულნიც, ავადმყოფებიც, ისეთებიც, რომლებსაც სასწრაფოდ სჭირდებოდათ ოპერაცია. განმარტებისთვის გეტყვით: ბავშვი, რომლის დედას განზრახული აქვს, გაჩენისთანავე მიატოვოს, ფსიქოლოგიურად ავადმყოფი იბადება, რადგან დედისგან უარყოფითი ინფორმაცია აქვს მიღებული. მსოფლიო ფსიქოლოგიამ გამოარკვია, როდესაც ჩვილი გაჩენისთანავე ხანგრძლივად ტირის, ქვეცნობიერი იმპულსებით არკვევს, შეიძლება თუ არა დედის ნდობა. ფსიქოლოგებმა ამას „ნდობის ტირილი“ დაარქვეს. თუ ბავშვს მიაწოდებენ საკვებს, თბილად გაახვევენ და მუცელზე დააწვენენ, რაც დედის აურაში გაერთიანებას ნიშნავს, მაშინ ჩვილი თანდათან მშვიდდება, ტირილს უკლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ფსიქიკა ღიზიანდება, ირღვევა. ფსიქიკადაზიანებულ ბავშვს შეიძლება გარეგნულად არაფერი ემჩნეოდეს, მაგრამ ის მაინც სადღაც იჩენს თავს.

**— ამბობენ, ბავშვები საზღვარგარეთ გაჰყავთ და ტრანსპლანტაციას უკეთებენო. თუ გსმენიათ ასეთი შემთხვევის შესახებ?**

— იცით, დიდი ხანია მაინტერესებს გავარკვიო, ვის სჭირდება ამ სისულელის გავრცელება? 16 წლამდე ბავშვის ორგანოს ტრანსპლანტირება არ ხერხდება, გადასანერგად უვარგისია და თუ, ვთქვათ, გამოუვალი მდგომარეობაა და მოზარდი სიკვდილის პირასაა, მაშინ ამაში ერთვება მთელი მსოფლიოს ბავშვთა გაშვილებისა და დონორთა საინფორმაციო ბანკი, რადგან შეიძლება იმ ბავშვის ორგანიზმს რამდენიმე ათასი დონორი არ მიესადაგოს, გენეტიკური კოდი ჰქონდეთ სხვადასხვა და ახალმა სხეულმა ვერ იცოცხლოს. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ქართველს სჭირდებოდა ხერხემლის ძვლის ტვინი, ბავშვი 15 წლის იყო. გამოუვალ მდგომარეობაში გახლდით. მერწმუნეთ, რამდენიმე ათასი დონორი შემოწმდა. განგების ნებით ასეთი მოიძებნა. დონორი ამერიკელი გოგონა აღმოჩნდა, რომელმაც მხოლოდ ქველმოქმედებისთვის გაუწია ამხელა სამსახური ბავშვს, სხვათა შორის, ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც. ახლა ორივე ბედნიერია. ცნობისათვის: ამერიკულ მართვის მოწმობას ქვევით წარწერა აქვს — თანახმა ვარ, ავარიის შემთხვევაში ჩემი სხეულის ნაწილი გამოყენებულ იქნას გადასანერგად. ამას ხელს აწერენ ან არა.

...საუბრის დასასრულს ქალბატონმა მზიამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებები დაცული კი არა, შეურაცხმყოფელად შელახულია. მაგალითად მოიყვანა, რომ კასპის ბავშვთა სახლში სანტექნიკური მილი ექვსი წლის განმავლობაში არ გაედინებოდა. გადაუჭრელი პრობლემაა ისიც, რომ სრულწლოვანებს, ბავშვთა სახლიდან გათავისუფლებულებს, წასასვლელი არსად აქვთ, პასპორტსაც ვერ იღებენ, რადგან არსად არ არიან ჩაწერილები. ამიტომ ხშირად ციხეში ხვდებიანო.

სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ საქართველოს არ სცალია.

P.S. რაც შეეხება მასმედიაში ყბადაღებულ თემას, კანადისა და რუსეთის მოქალაქის ოლგა გორელიკის მიერ საქართველოდან ბავშვთა გაშვილების შესახებ, გორელიკის ადვოკატი ლევან ალაფიშვილი ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ქალბატონს ბავშვების გაშვილებასთან დაკავშირებით არანაირი ფინანსური ინტერესი არ ჰქონია, რატომ აკეთებდა გორელიკი ამას, ადვოკატი ვერ პასუხობს. ასეთი კურიოზული ვითარებაა შექმნილი, — თქვა მან, — საგულისხმოა, რომ ბავშვთა საერთაშორისო გაშვილება (როგორც წერილშია აღნიშნული), განათლების სამინისტროს თანხმობით ხდება.

გორელიკის შემთხვევაში კი, ინფორმაცია განათლების სამინისტრომდე მისული არ იყო, მაგრამ გორელიკი ბავშვის გაშვილებას ცდილობდა, თანაც ისე, რომ მას ასეთი რამ, როგორც ადვოკატი ამბობს, ადრე გაკეთებული არ ჰქონია. ამის თაობაზე კანადის ელჩი ჟან-პოლ დიუვალი დუმს — ინფორმაცია, ჯერჯერობით, კონფიდენციალურია, — თქვა ელჩმა.

***თამაზ ხაბეიშვილი***

# რუსები გადიან და ახალ პრობლემებს გვიტოვებენ...

ერთი თვეღა რჩება რუსეთის ფედერაციას შარშან, სტამბოლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე — გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან ზედმეტი საბრძოლო ტექნიკა.

თუ ეს პროცესი შედარებით კეთილსინდისიერად და, რაც მთავარია, გრაფიკის ზუსტი დაცვით ხორციელდებოდა ვაზიანის 137-ე რუსულ სამხედრო ბაზასთან მიმართებაში, იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით გუდაუთის 50-ე ბაზაზე, რადგან იქიდან დღემდე არ დაწყებულა ტექნიკის გაყვანა.

ჩვენს მკითხველს რომ სრული წარმოდგენა შეექმნეს უცხო ქვეყნის შეიარაღებული დანაყოფების ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ, გადავხედოთ წარსულს.



90-იანი წლების დასაწყისისთვის საბჭოთა, ხოლო შემდგომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს საკმაოდ ძლიერი სახმელეთო დაჯგუფება დარჩა საქართველოში. თუმცა იმის მიუხედავად, რომ ქუთაისიდან, სენაკიდან, ლაგოდეხიდან, გორიდან, დიდი შირაქიდან, ახალციხიდან და სხვ ადგილებიდან გაიყვანეს საკმაოდ ძლიერი რუსული დანაყოფები (მათ შორის საჰაერო-სადესანტო, საავიაციო და სატანკო), ბოლო დრომდე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფება — ГРВЗ არცთუ ისე ხელწამოსაკრავ ძალას წარმოადგენდა.

2000 წლის გაზაფხულისთვის ГРВЗ-ს საქართველოში რჩებოდა 141 ცალი Т-72 ტიპის ტანკი, 506 საბრძოლო ჯავშანმანქანა და 166 ერთეული 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო დანადგარი.

ნოემბრის ბოლოსთვის რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოდან გაიყვანა 35 ტანკი, 235 საბრძოლო ჯავშანმანქანა, 16 ერთეული საარტილერიო სისტემა, ამასთან, თბილისში განთავსებულ 142-ე რუსულ ჯანშანსატანკო სარემონტო ქარხანაში უტილიზებულია 6 ტანკი და 45 ჯავშანმანქანა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მიწა საკმაო რაოდენობის რუსულმა ტექნიკამ დატოვა, ГРВЗ-ს განკარგულებაში კვლავ რჩება 100 ტანკი, 226 ჯავშანმანქანა და 150 საარტილერიო სისტემა.

აქედან 112 ჯავშანმანქანა (კერძოდ, მედესანტეთა საბრძოლო მანქანები БМД-1 და БМД-2 ) და 11 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С9 „Нона-С“ გუდაუთაშია განთავსებული. იქაური სამხედროებისთვის თბილისიდან, ГРВЗ-ს შტაბიდან მიღებული ბრძანებები არაფერს ნიშნავს, რადგან პირდაპირ მოსკოვს ემორჩილებიან.

სტამბოლის სამიტზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, გუდაუთაში მდგარმა რუსულმა მე-10 ცალკეულმა საპარაშუტო-სადესანტო პოლკმა 31 დეკემბრამდე, 34 ჯავშანმანქანა აფხაზეთში განთავსებულ რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ უნდა დაუტოვოს, ხოლო 78 ჯავშანმანქანა და 11-ვე საარტილერიო დანადგარი რუსეთში გაიტანოს.

დღემდე ეს პროცესი არც კი დაწყებულა, თუმცა ჯერ ქართულ მხარეს არავითარი პრეტენზიის გამოთქმის უფლება არა აქვს, რადგან რუსების განკარგულებაში კიდევ მთელი თვე რჩება.

სამაგიეროდ, თითქმის უმტკივნეულოდ ჩაიარა ვაზიანის სამხედრო ბაზიდან საბრძოლო ტექნიკის სრულმა გაყვანამ. ბოლო დღეებში იქ მხოლოდ ოთხიოდე БТР-80 რჩება, ჩვენთვის არცთუ უცნობი „ღამურების“ ჯგუფიდან, მაგრამ მათაც მალე ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზაში გადაგზავნიან.

ფაქტობრივად, რუსულ მხარეს ვაზიანში თავისი სამხედრო ბაზის სრული დახურვის გრაფიკი უკვე მზად აქვს, მაგრამ ქართულ მხარეს, ეტყობა, მომავალი წლის 1 ივლისისთვის თუ მისცემენ. მოსკოვს ვაზიანში კვლავ რჩება უმთავრესი ინტერესი — ვაზიანის სამხედრო აეროდრომი. ისინი ოფიციალური თბილისიდან მოითხოვენ, რომ ეს ობიექტი ორმაგი დაქვემდებარებისა გახდეს, თუმცა ქართული მხარე ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

გასაგებია, რატომაც ებღაუჭება ასე მოსკოვი ვაზიანის აეროდრომს — უიმისოდ თბილისში განთავსებულ ГРВЗ-ს შტაბს მუშაობა ძალზე გაუჭირდება და შემდგომში, ეტყობა, თავად შტაბის სხვა ადგილზე გადატანა გახდება აუცილებელი (რუსეთის თავდაცვის სამინისტროში უკვე მუშავდება პროექტი, ГРВЗ-ს შტაბის სომხეთში, გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზაზე გადატანის შესაძლებლობის შესახებ).

ეს ყველაფერი კარგია, რომ არ იყოს კიდევ ერთი ნიუანსი — ეკოლოგიური დაბინძურება.

ათობით სასროლეთი და პოლიგონი, ოცამდე მსხვილი აეროდრომი, ასობით მიწისქვეშა საწყობი და თავშესაფარი — აი, ის არასრული სია ყოველივე იმისა, რომელიც ქართულ ფლორასა და ფაუნას ათწლეულობით წამლავდა.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მაინც აეროდრომებზე უნდა გამახვილდეს — გუდაუთის, მერიის, სენაკის, კოპიტნარის, ვაზიანის, მარნეულის, დიდი შირაქის, ცხინვალის, თელავის და ხონის აეროდრომებზე 500-მდე საბრძოლო და სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და შვეულმფრენი იდგა. ამ უზარმაზარ საჰაერო არმადას კი ასევე აუარება (ზებგერითი თვითმფრინავი ერთსაათიანი ფრენისას 3-5 ტონა საავიაციო ნავთს ხარჯავს) საწვავი სჭირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო უშუალოდ NATO-ს საზღვართან — თურქეთის მეზობლად იმყოფებოდა, ყველა საწვავ-საპოხი მასალის საცავები — მრავალტონიანი რეზერვუარები მიწისქვეშ იყო ჩამალული, რათა ომის დაწყების შემთხვევაში მოწინააღმდეგის ავიაციას პირველსავე წუთებში არ გაენადგურებინა. დროთა განმავლობაში ამ რკინის რეზერვუარებს ნახვრეტები უჩნდებოდათ და ტონობით საავიაციო ნავთი და სხვადასხვა სახის ზეთი უშუალოდ ნიადაგში იღვრებოდა.

ეს განსაკუთრებით საგანგაშო დასავლეთ საქართველოსთვის იყო, რადგან გრუნტის წყლები იქ ზედაპირთან ახლოსაა, ხოლო გრუნტის წყლებს შერეული ქიმიურად აქტიური ორგანული ნაერთები აბინძურებდნენ მდინარეებს (მაგ. რიონს) და საბოლოოდ ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნიდნენ მთლიანად საქართველოს ფლორასა და ფაუნას.

ცალკე აღსანიშნავია ტოქსიკური მელანჟი, რომელიც С-75 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემებში დამჟანგველად გამოიყენებოდა, არადა С-75-ის ბატარეები საქართველოს შავი ზღვის მთელი სანაპიროს გაყოლებაზე იყო ჩამწკრივებული, ისევე როგორც დიდი ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის გარშემო.

არადა, ძალზე აქტიურ, აზოტმჟავის შემცველ მელანჟს საბჭოთა მერაკეტეები С-75-ის საზენიტო რაკეტებში მხოლოდ უშუალოდ გაშვების წინ ასხამდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაკეტის ავზები სწრაფად დაიჟანგებოდა და მწყობრიდან გამოვიდოდა. ამასთან, მელანჟის ჩასხმისას მეზენიტეებს აუცილებლად უნდა ეცვათ ქიმიური დაცვის კოსტიუმები და ეკეთოთ აირწინაღები, რადგან მელანჟის ორთქლიც კი მომაკვდინებელია.

რუსებმა „სულგრძელად“ დაგვიტოვეს მელანჟით სავსე ცისტერნები, რომელთა გაუვნებელყოფა ქართველ ქიმიკოსებს უხდებათ.

უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის ნაგვისა და ჯართის გროვები, რომლებიც უხვადაა ყოფილი რუსული სამხედრო ნაწილების ტერიტორიებზე. იმ გროვებში, ჯართის გარდა, აუფეთქებელი ნაღმები და გაუსროლელი ჭურვებიც მოიპოვება, რომელთა მსხვერპლი ბოლო წლებში ათობით ქართველი ჯარისკაცი გახდა. თერთმეტი ყოფილი მესაზღვრე ჯარისკაცი, რომლებმაც ძლიერი რადიაქტიური დასხივება მიიღეს, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 20 მილიონ დოლარს ითხოვენ. (ვრცლად იხ. გვ. 6)

ამ გაპარტახებულ ტერიტორიებზე (რაც წასასვლელად გამზადებულმა რუსმა სამხედროებმა დააკლეს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაასრულეს) საკმაოდ მოიპოვება რადიაქტიური ნივთიერებების შემცველი სხვადასხვა ხელსაწყო, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა სამხედრო ტექნიკაში.

საბედნიეროდ, ოფიციალურ თბილისს ეყო იმის მოფიქრება, რომ დახმარებისთვის გერმანიის მთავრობისთვის მიემართა — სხვა თუ არაფერი, გერმანელებს საუკეთესო გამოცდილება აქვთ მათი ტერიტორიიდან საბჭოთა, დასავლეთის დაჯგუფების ჯარების — ЗГВ-ის გაყვანისა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და თავდაცვის სამინისტროების სპეციალისტებს გერმანიიდან ჩამოსულმა ფირმა IABG-ის წარმომადგენელმა ყველა ის საჭირო დოკუმენტი და რეკომენდაცია ჩამოუტანა, რომლებიც აუცილებელია რუსულ სამხედრო ბაზებზე ეკოლოგიური მონიტორინგისთვის.

ქართველებისგან განსხვავებით, გერმანელმა სპეციალისტებმა რუსების გასვლამდე ყველა მათი ობიექტის აეროფოტოგადაღება ჩაატარეს და აღმოაჩინეს ეკოლოგიური დაბინძურების მრავალი კერა.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნება ვაზიანის სამხედრო ბაზა 2001 წლის 31 ივნისისთვის, როდესაც მას რუსი სამხედროები დატოვებენ!

P.S. კვლავ სწრაფი ტემპებით გრძელდება ალექსეევკაში განთავსებული ГРВЗ-ს საავიაციო ბაზის ძარცვა. შეგახსენებთ, რომ სწორედ იქ იმყოფება Ан-12 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და სამი Ми-8 შვეულმფრენი, რომლებიც ადრე თუ გვიან ქართულ მხარეს უნდა დარჩეს. ჩანს იგივე ბედი ელის ვაზიანის აეროდრომზე განთავსებულ ხუთ Ми-8 შვეულმფრენს.

# „მშვიდობა“ კოსმოსიდან გვემუქრება...



სამ თვეში შეიძლება გაცხადდეს „არმაგედონისა“ და სხვა მსგავსი ფილმების სიუჟეტები, რომელთა მიხედვითაც, დედამიწის მჭიდროდ დასახლებული ქალაქების უზარმაზარ რაიონებს კოსმოსიდან წამოსული „დაუპატიჟებელი სტუმრები“ თვალის დახამხამებაში ანადგურებდნენ.

ასე რომ, 2001 წლის 27-28 თებერვლის ღამე მაინცდამაინც მშვიდი ვერ იქნება დედამიწის ნახევარი მოსახლეობისთვის მაინც — კოსმოსური ორბიტიდან ვარდნას იწყებს რუსული კოსმოსური სადგური „Мир“-ი.

„მშვიდობად“ მონათლული 130 ტონიანი რკინის მაქინა ბოლო წლებში სულს ღაფავდა და გარდაუვალი იყო მისი ადრე თუ გვიან ჩამოვარდნა დედამიწაზე. თუმცა „მირის“ კონსტრუქტორებს კაცი ვერ დაემდურება — 5 წელზე გათვალისწინებული კოსმოსური სადგური ორბიტაზე 1986 წლიდანაა და უკვე ბოლომდე ამოწურა ყველა რესურსი. მას შემდეგ, რაც რუსებმა მთავარი ყურადღება გადაიტანეს ახალ კოსმოსურ სადგურ „ალფაზე“, რომელსაც ამერიკელებთან ერთად ამზადებენ ორბიტაზე გასაშვებად, „მირი“ მიივიწყეს და, რაც მთავარია, მისი არსებობისთვის საჭირო დაფინანსება თითქმის ნულამდე დაეცა.

„მირის“ გადასარჩენად მოსკოვს მხოლოდ ტურისტებისა და კინორეჟისორების იმედი ჰქონდა — მდიდარი უცხოელები წინააღმდეგი არ იყვნენ, 20 მილიონი დოლარი გადაეხადათ „მირზე“ მოსახვედრად, ხოლო „ტიტანიკის“ რეჟისორს ჯეიმს კამერონს კოსმოსში ახალი მხატვრული ფილმის გადაღება სურდა.

მაგრამ მათი იმედები, ეტყობა, „მირთან“ ერთად მიწას დაენარცხება ან ოკეანეში ჩაიძირება...

ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ „მირის“ ნარჩენები განსაზღვრულ დაუსახლებელ რაიონში ჩამოცვივა და თანაც არავის დააზიანებს.

საქმე ის გახლავთ, რომ დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლისას „მირის“ შემადგენელი ყველა ნაწილი არ დაიწვება. მიწაზე ჩამოაღწევს 500-700 კგ-იანი რკინის ნაჭრები. ადვილი წარმოსადგენია, რა კატასტროფული შედეგი მოჰყვება ნახევარტონიანი, უზარმაზარი სიჩქარით მქროლავი „მირის“ ნაწილების დასახლებულ პუნქტზე დაცემას.

ეს ასეულკილოგრამიანი, ძირითადად ზეგამძლე ტიტანის ნაწილები და სარაკეტო ძრავების საქშენები „მირზე“ საკმაოდაა და მათი დაშლის და შემდეგ თითოეულის ფრენის ზუსტი ტრაექტორიის განსაზღვრა ბოლომდე თითქმის შეუძლებელია.

ჯერჯერობით, გაანგარიშებულია „მირის“ ნაწილების ჩამოვარდნის მიახლოებითი რაიონი — ავსტრალიის კონტინენტის აღმოსავლეთით, რომლის სიგრძეა 8-10 ათასი კმ, ხოლო სიგანე — 200 კმ.

1979 წელს ამერიკელებსაც სურდათ თავიანთი ორბიტული სადგური "Skylab"-ი ამ ადგილას ჩაეძირათ, მაგრამ იგი ავსტრალიის დასავლეთში ჩამოუვარდათ, ხოლო 1991 წელს უკვე რუსები შეცდნენ — მათი „Салют-7“ ანდების თავზე დაიშალა, ერთ-ერთმა ნამსხვრევმა კი არგენტინული ძროხა იმსხვერპლა.

არანაკლებ საშიშია „მირზე“ მყოფი ბირთვული ენერგიის წყარო, რომელმაც შეიძლება დაშლისას საკმაოდ დიდი ტერიტორია დააბინძუროს. ერთხელ ამგვარი რამ უკვე მოხდა — კანადის თავზე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი დაიწვა და მოსახლეობა რადიაციულმა მტვერმა დაასნეულა, რის გამოც მოსკოვმა კანადის მთავრობას დიდი ჯარიმა გადაუხადა.

ეს ბირთვული ენერგეტიკული წყაროები თავის დროზე ჩვენთან, სოხუმის ფიზიკა-მათემატიკის კვლევით ინსტიტუტში შეიქმნა. იგი კოსმოსური ხომალდის ელექტროხელსაწყოებს მუდმივი ელექტროენერგიით უზრუნველყოფდა. სხვათა შორის, რამდენიმე ასეული ასეთი ელექტროენერგიის ბირთვული წყარო სოხუმის დაცემისას აფხაზეთში სინოპის მიდამოებში ჩარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადამალეს, აფხაზებმა მაინც მიაგნეს. არავინ იცის, რა ბედი ეწია მათ. ეს ამბავი სერიოზულად აშფოთებს МАГАТЭ-ს, რადგან ის ელემენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ატომური შანტაჟისთვის.

„მირის“ ჩასაძირად აუცილებელია მისთვის დამატებითი საწვავის მიწოდება, რასაც სატრანსპორტო „პროგრესით“ თებერვლის დასაწყისში განახორციელებენ. არ არის გამორიცხული, რომ „მირზე“ ლიკვიდატორი კოსმონავტებიც გადასხდებიან, რომლებიც ხელით დაშლიან ორბიტული სადგურის ნაწილების შეერთების ბევრ ადგილს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედამიწის ზედაპირს მაინც მოაღწევს რამდენიმე ათასი ნამსხვრევი, რომელთა საერთო წონა 15-18 ტონამდე იქნება.

არსებობის 15 წლის მანძილზე „მირმა“ ასზე მეტი კოსმონავტი და ასტრონავტი გამოიცვალა და მასზე მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა, მათ შორის ერთი ქართულიც იყო — ზუსტად ერთი წლის წინ „მირზე“ გაშალეს პირველი ქართული კოსმოსური ანტენა — ფაქტობრივად, პირველი ქართული დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

როგორც თავად კოსმონავტები აღიარებენ, ბოლო წლებში „მირზე“ ყოფნა სარისკო იყო, რადგან ორბიტულ სადგურს, კოსმოსური შეჯახების შემდეგ, რამდენიმე უწვრილესი ნახვრეტი გაუჩნდა, რომლებიდანაც ღია კოსმოსში მუდმივად გაედინებოდა ჟანგბადი. ვენტილაციის მუშაობისას სადგურზე აუტანელი ხმაური იდგა და შიგნით ჰაერში წყლის ბუშტულაკები დაცურავდა — ზოგიერთი მათგანის „დეტალური“ გამოკვლევის შედეგად კოსმონავტები, არც ისე სასიამოვნო აღმოჩენამდე მივიდნენ — ამ ბუშტულაკებს მათივე შარდის გემო ჰქონდა! ეტყობა, „მირის“ ტუალეტის (კოსმოსში მიზიდულობის ძალა არ არსებობს, ამიტომ კოსმონავტების პირადი ჰიგიენა ცოტა სხვანაირად, სპეციფიკურად ხორციელდება) ჰერმეტულობა დარღვეული იყო.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, „მირმა“ უდიდესი როლი ითამაშა კოსმოსის ათვისების საქმეში — მასზე კოსმონავტები წლობით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, რითაც მეცნიერებმა გამოიტანეს საჭირო დასკვნები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ადამიანის მრავალთვიანი კოსმოსური მოძრაობა სხვა პლანეტებისკენ.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# მკითხველის სვეტი

**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ევროპისა და აზიის კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო — ისრაელის არმიის შესახებ.**

***პატივისცემით დ. მესხიშვილი***

ამ დროისთვის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, ბუნებრივია, აინტერესებს ჩვენს მკითხველს და ამიტომაც ბევრი მათგანი გვეკითხება, რეალურად რა ძალა გააჩნია ისრაელს და როგორ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს რამდენიმე მუსლიმანურ სახელმწიფოს.

თითქმის საქართველოს რიცხოვნობის მქონე ისრაელში (5.628.000 ადამიანი), ყველა კარგად ხვდება — ხელისუფლებაც და უბრალო მოქალაქეც, რომ მათ მხოლოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები გადაარჩენთ, თორემ მუსლიმანური მსოფლიო ისრაელისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს (ჩვენთან კი, როგორც იტყვიან, კარდინალურად საპირისპირო ხდება).

ამიტომაც ისრაელში იარაღის და სამხედროს კულტია. ის, ვისაც ჯარში არ უმსახურია, გინდ კაცი იყოს და გინდაც ქალი, გარკვეულწილად, არასრულფასოვან მოქალაქედ ითვლება და ძნელია, რომ მან რაიმე სერიოზულ კარიერას მიაღწიოს.

მთლიანად ისრაელის შეიარაღებულ ძალებში 172 ათასი კაცია, ხოლო რეზერვში კიდევ ნახევარი მილიონი ირიცხება. უშუალოდ არმიაში 134 ათასი ადამიანი მსახურობს, სამხედრო-საზღვაო ძალებში — 7 ათასამდე, ხოლო ავიაციაში — 32 ათასი.

ებრაელებს შეიარაღებაში 4.095 საბრძოლო ტანკი ჰყავთ. მათ შორის უმეტესობა ინგლისური „ცენტურიონია“, შემდეგ მოდის ებრაული „მერკავა“ და ამერიკული М60. როგორადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ებრაელებს 440-ზე მეტი საბჭოთა წარმოების Т-55 და Т-62 ჰყავთ — ისინი მათ თავის დროზე არაბებს წაართვეს!

5.900 ჯავშანმანქანა იმაზე მეტყველებს, რომ ისრაელის არმია მთლიანად მოტორიზებულია და ძალიან უფრთხილდებიან თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლეს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ებრაელებს მხოლოდ 400 ბუქსირებადი ჰაუბიცა და ქვემეხი აქვთ. სამაგიეროდ, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების რიცხვი 1.150-ს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისრაელის სამხედრო დანაყოფებს შეუძლიათ მობილური საარტილერიო ცეცხლის ერთი მიმართულებიდან მეორეზე გადატანა. ამას კი თანამედროვე, საბრძოლო მოქმედებების თეატრის პირობებში გადამწყვეტი როლი ენიჭება.

ებრაელებს 100-ზე მეტი ზალპური ცეცხლის რეაქ-



ტიული სისტემა აქვთ და აქედან ნახევარი საბჭოთა წარმოებისაა, ძირითადად БМ-21 „Град“-ები. ისინი თელ-ავივისთვის მოსკოვს ნამდვილად არ მიუყიდია, უბრალოდ, ებრაელებმა ივაჟკაცეს და ბრძოლის ველზე ეგვიპტელებსა და სირიელებს წაართვეს. ისრაელში ასევე დიდ ყურადღებას ამახვილებენ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებზე — საბჭოთა კავშირი ყოველთვის უხვად ამარაგებდა არაბებს ტანკებით, მათ გასანადგურებლად კი ებრაელებმა მკვეთრად გაზარდეს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების რიცხვი.

ისრაელის საზღვაო ძალებში ჰყავთ ორი წყალქვეშა ნავი და 55 სამხედრო გემი, საპატრულო და სარაკეტო კატარღები. აქედან 3 კორვეტია და 23 — სარაკეტო კატარღა.

ისრაელის საბრძოლო ავიაცია — 449 დამრტყმელი თვითმფრინავი და 116 საბრძოლო შვეულმფრენი — ამ რეგიონში ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა.

F-4 „ფანტომებს“, F-15 „იგლებს“ და F-16 „ფაიტინგ ფალკონებს“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო პილოტები მართავენ, რომლებმაც საჰაერო ბრძოლებში არაერთხელ დაჯაბნეს საბჭოთა МиГ-ებით აღჭურვილი არაბები.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი და პირველ რიგში ისრაელის არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობა განაპირობებს იმას, რომ ვერც სირია და ვერც ეგვიპტე ვერ ბედავენ ებრაელებზე იერიშის მიტანას. რაც შეეხება თავად პალესტინელებს, მათი მილიცია მხოლოდ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღითაა აღჭურვილი და არავითარ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს ებრაელების საბრძოლო დანაყოფებისთვის.

ეტყობა, ამიტომაცაა, რომ პალესტინელთა ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი დაჟინებით ითხოვს კონფლიქტის რაიონში 200-მდე „ცისფერჩაფხუტიანის“ ჩაყენებას, რისიც კატეგორიული წინააღმდეგია ოფიციალური თელ-ავივი. მოსკოვში ჩასული არაფატი პუტინის გააქტიურებას ითხოვს, რათა რუსეთმა უფრო გადამწყვეტად იმოქმედოს ახლო აღმოსავლეთის მოვლენებში. ეს პალესტინელების სწორი გათვლაა, რადგან ამერიკაში პროებრაული ლობი ყოველთვის ძლიერი იყო და თუ საქმე ომზე მიდგება, ამერიკა, ისრაელს დაუჭერს მხარს, როგორც ეს წინა ომებში ხდებოდა.

და კიდევ ერთი გარემოება — ისრაელს 100-ზე მეტი ბირთვული ბომბი და მათი გადასატანი საშუალება — ბალისტიკური რაკეტები გააჩნია, რაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მას უდიდეს უპირატესობას ანიჭებს.

***„შალვა ჭოლიკაური ალალ-მართალი, სულით სპეტაკი და ტყვიასავით პირდაპირი ვაჟკაცია. ასეთ ადამიანებს განსაკუთრებული პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ, თუმცა კომუნისტებს ვინ მისცა საამისო სინდისი“. პროფესორი პეტრე გელბახიანი. 1985 წელი. რუსთავის კოლონია №123/29.***

***თიანელმა შალვა ჭოლიკაურმა ორჯერ მოიხადა სასჯელი. პირველად, ნახევარი საუკუნის წინ, იმისთვის, რომ „ტროცკისტის“ შვილი იყო; მეორედ კი, 80-იან წლებში, ვითომცდა რაღაც სახოზლოო-სამეურნეო დანაშაულის გამო. ორჯერვე რეაბილიტირებულ იქნა, თუმცა ამასობაში ნახევარი სიცოცხლეც გაილია...***

***სამი წიგნის ავტორი, 71 წლის შალვა ჭოლიკაური დღეს რუბრიკა „ვერსიის“ სტუმარია და ფათერაკებით აღსავსე ბიოგრაფიიდან რამდენიმე ეპიზოდს მოგვითხრობს:***



შალვა ჭოლიკაური: „1949 წელს გადავწყვიტე ბერიასთვის წერილი მიმეწერა...“

## „კარგია, რომ მეტი განათლება არ მიგიღია!“

— ბედუკუღმართი წუთისოფლის ჩარხის ტრიალმა ჯერ კიდევ 8 წლის ბავშვს მაგრძნობინა უსამართლობისა და ობლობის სუსხი. 1937 წელს მამა დამიპატიმრეს და მე, როგორც „ხალხის მტრის“ ნაშიერი, დიდი ხნით თითით საჩვენებელი და საზოგადოებისგან სრულიად გარიყული აღმოვჩნდი. დედასთან ერთად მამაჩემის კვალს არაერთი წელი ამაოდ ვეძებდი. სად არ ვიყავით, ვის არ მივმართეთ, მაგრამ ვერც სიმართლე ვიპოვეთ სადმე და ვერც მამის ადგილსამყოფელი.

1949 წლის ზაფხულში, როცა უკვე მოსკოვის მახლობლად, ჯარში გახლდით, ბერიასთვის წერილის მიწერა გადავწყვიტე. იმედი მქონდა, მამაჩემის ძებნაში ქვეყნის მეთაურები დამეხმარებოდნენ. არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა და, ის წერილი ჩემ მიერ გამოგონილი შიფრის საშუალებით შევადგინე. ასე ვმსჯელობდი: „ამ უცნაური, მხოლოდ ჩემთვის ცნობილი ასოებით შედგენილ ტექსტს ბერია ვერ წაიკითხავს და მის გასაშიფრად თავისთან მიხმობს. მეც მივალ და იქვე წავუკითხავ ყოველივეს“. წერილში ვიუწყებოდი, თუ რა უსამართლოდ მოიქცა მთავრობა, როდესაც სრულიად უდანაშაულო მამა დამიპატიმრა. არც იმის აღნიშვნა დამვიწყებია, რომ საქართველოს ხელისუფალნი მოქალაქეებს ბინძური დასმენების შედეგად აციმბირებდნენ. ტექსტს ქვემოთ ჩემი სახლის მისამართი მივაწერე ქართულად. შემდეგ სამხედრო ნაწილის ნომერი და „მოსკოვი, კრემლი, ლავრენტი ბერიას“, კონვერტზე რუსული ასოებით გამოვიყვანე და წერილი საფოსტო ყუთში ჩავუშვი.

6 თვე გავიდა. ერთხელაც გამომიძახეს ნაწილის შტაბში, სადაც ჩემთვის უცნობი მაიორი დამხვდა. ოჯახთან მიმოწერა თუ გაქვსო, — მეკითხება. დავუდასტურე, მაქვს-მეთქი. მერე თვალები მოჭუტა და თითქოს სასხვათაშორისოდ თქვა, ოჯახის გარდა, წერილებს სხვაგან თუ გზავნიო? არა-მეთქი, დაუფიქრებლად მივუგე. მაშ, მთავრობის წევრებისთვის არასოდეს მიგიმართავსო? მაშინღა მივხვდი, რომ შტაბში ბერიასთან გაგზავნილი წერილის გამო ვიყავი დაბარებული. დასამალი არაფერი მქონდა: „ერთხელ მართლაც გავგზავნე მსგავსი წერილი, მაგრამ, მართალი გითხრათ, აღარც მახსოვდა“. ჰოდა, ახლა დაწვრილებით მომიყევი, რა ეწერა იქო, — კატეგორიულად მომთხოვა. როგორც უკვე აღვნიშნე, ტექსტი განგებ მქონდა დაშიფრული, რათა ბერიასთან შეხვედრის შესაძლებლობა მომცემოდა. მაიორისთვის იმ წერილის შინაარსი რომ გამეცნო, ცხადია, კრემლში მოხვედრის შანსს ხელიდან გავუშვებდი, ამიტომ გავჯიუტდი — არაფერსაც არ გეტყვით-მეთქი. ჩამაცივდა, გინდა თუ არა, მომიყევიო. კარგა ხანს ვიდავეთ, მერე, უცებ, მეკითხება, ამხანაგი ბერია შენი ნათესავი ხომ არ არისო? არა-მეთქი. დამშვიდდა. ის მაინც მითხარი, ჩვენი სამხედრო ნაწილის შესახებ ხომ არ მისწერე რამეო? აი, თურმე რისი ეშინოდა იმ მამაცხონებულს! „არა, ამხანაგო მაიორო, ნაწილის თაობაზე იქ სიტყვაც არ წერია“. შვებით ამოისუნთქა და გამიშვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნაწილში ვინმე პოლკოვნიკი სპირიდონოვი გვეწვია. დამიძახა და მითხრა, — სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვი, მნიშვნელოვან საქმეზე უნდა წაგიყვანოო. ბრძანება უმალ შევასრულე, მანქანაში ჩავსხედით და მოსკოვისკენ გავწიეთ. მალე ფრუნზეს ქუჩის 19 ნომერში მდებარე ვეებერთელა შენობასთან შევჩერდით. „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტრო“ — ეწერა აბრაზე.

თავდაპირველად კომენდატურაში შევედით. სპირიდონოვი ტელეფონით ვილაცას დაუკავშირდა, შემდეგ საშვი გამოგვიწერეს და სამინისტროს მთავარი შესასვლელისკენ მიგვითითეს. სწორედ ამ დროს ჩამჩურჩულა პოლკოვნიკმა, მოემზადე, ლავრენტი ბერიასა და მარშალ ვასილევსკის უნდა შევხვდეთო! მოულოდნელობისგან თავზარი დამეცა. ვიფიქრე, ნეტავ, ეს ამბავი ცოტა ადრე ეთქვა, გულს მაინც გავიმაგრებდი-მეთქი, მაგრამ ახლა რაღას ვიზამდი... და სპირიდონოვს გავედევნე. რამდენიმე საგუშაგოს გავლის შემდეგ მინისტრის მოსაცდელს მივადექით. იქ მყოფმა ოფიცრებმა მარშლის კაბინეტში ჯერ პოლკოვნიკი შეუშვეს, ორიოდ წუთში კი — მეც.

უშველებელ დარბაზში აღმოვჩნდი. გრძელ მაგიდასთან თვით ლავრენტი ბერია იჯდა. გვერდით მარშალი ვასილევსკი მოკალათებულიყო. იქვე იყო სპირიდონოვიც.

— შენ გამომიგზავნე ეს? — ქართულად მკითხა ბერიამ და რაღაც ფურცლები გამომიწოდა.

დიახ-მეთქი, მივუგე. აბა, მეორე გვერდზე გადააბრუნეო. გადავაბრუნე და რაღაც ოქმი შემრჩა ხელთ. სპეცკომისიის დასკვნა იყო — წერილის შინაარსის ამოცნობა ვერ მოვახერხეთო, იუწყებოდნენ. ბერიამ პენსნე მოიხსნა, ერთხანს ხელში ათამაშა, მერე ისევ ცხვირზე მოირგო და ირონიულად გამომხედა:

— ერთი ეს მითხარი, რაში დაგჭირდა ასეთი თავსატეხის გამოგზავნა? ჰიტლერის შემოჭრას არ მოჰყოლია ისეთი განგაში, შენმა წერილმა რომ გამოიწვია... ეგებ, ახლა მაინც გაგვაცნო შინაარსი.

წერილი თავიდან ბოლომდე ხმამაღლა წავიკითხე და ბერიას გაუბედავად გავხედე. თვალი თვალში გამიყარა და მეკითხება, რა განათლება გაქვს მიღებულიო. დაწყებითი სკოლის ოთხი კლასი-მეთქი, ვუპასუხე.

— მდაა, — მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშა მან. — კარგია, რომ მეტი არ გისწავლია, თორემ, ალბათ, ქვეყანას დააქცევდი... ე.ი. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მამაშენია უცოდველი, არა? ეგრე არ არის საქმე, ჯარისკაცო! საბჭოთა კავშირი სამართლიანი ქვეყანაა. პარტია ყველაფერს ხედავს და მხოლოდ დამნაშავეებს სჯის. განსასჯელის ჩვენების გარეშე სასამართლო არც ერთ საქმეს არ განიხილავს. დაიმახსოვრე, ეს! ახლა გახვალ მოსაცდელში და შენი ანბანის ზუსტ



# „კაპლანი, ლენინს რომ ესროლა, ჩვენს „ზონაში“ ბიბლიოთეკას დაატარებდა“

## ვინ იყო საშკა „ჩერქეზი“ და რატომ ეშინოდა ყველას მისი

გაშიფვრას ქაღალდზე დაწერ. ჩვენ ეს კიდევ დაგვჭირდება...

ნაწილში უსაზღვროდ გულდაწყვეტილი დავბრუნდი. დანა პირს არ მიხსნიდა. სიმართლე ამჯერადაც ვერ ვიპოვე, მალე კი ჩემი წერილის გამო გამასამართლეს და მოსკოვის ცნობილ ციხეში, „ბუტირკაში“ მიკრეს თავი...

### ბიბლიოთეკარი ქალი

„ბუტირკაში“ ყოფნის მეორე დღეს, სადილის შემდეგ, ზედამხედველის გასაღებები ხმამაღლა აჟღარუნდა და დერეფნიდან ვილაცამ დაიძახა, ბიბლიოთეკა ხომ არ გინდათო. როგორ არა, გვინდაო, ახმაურდნენ პატიმრები. რკინის კარი მაშინვე გაიღო და ზედამხედველს საკანში ხანში შესული ქალი და ასე, 40 წლის მამაკაცი შემოჰყვნენ. ამ უკანასკნელს წიგნებით სავსე ხის ორი ყუთი ეჭირა. პატიმრები წიგნების განაწილებას შეუდგნენ, ის ქალი კი ყოველივეს ჟურნალში აღრიცხავდა. რუსული იმდენად კარგად არ ვიცოდი, მხატვრული ლიტერატურა რომ წამეკითხა და დავინტერესდი, მხოლოდ რუსული წიგნები გაქვთ-მეთქი?

— დიახ. აქ მხოლოდ რუსეთია! — ქედმაღლურად მიპასუხა ქალმა. — შენ სადაური ხარ?

ვუთხარი, სადაურიც ვიყავი, იმან კიდევ ხელი ლოყაზე მომითათუნა და დასჭყივლა:

— ოო, ქართველი? „კაცო, მაცო, გენაცვალე“, არა? განა, თქვენი ულვაშა თავისიანებსაც აპატიმრებს?

საკანში გაიცინეს. მანდილოსანმა მათ მხარი არ აუბა, ყუთიდან რაღაც წიგნი ამოიღო და გამომიწოდა:

— ეს ჩკალოვის წიგნია. მარტივი ენითაა დაწერილი. ჯარში ნამყოფი ჩანხარ და წაკითხვა არ გაგიჭირდება.

საკნიდან სამივე რომ გავიდა, ერთი ჩემსავით „ნასალდათარი“ პატიმარი მომიახლოვდა და მეუბნება:

— იცი, ვინ არის ეს ბიბლიოთეკარი ქალი? კაპლანია — 1919 წელს ლენინი რომ დაჭრა. ხალხს ჰგონია, რომ დახვრიტეს, ის კი აქ არის, საღსალამათი. „ბუტირკაში“ ეს ყველამ იცის.

გაოცებისგან პირი დავაღე. მერე რაღაც ეჭვი გამიჩნდა. ვიცოდი, რომ სტაჟიანი პატიმრები ახალბედებს ხშირად აშაყირებენ და ვიფიქრე, უთუოდ მაბრიყვებს-მეთქი. მაინც ვკითხე:

— იმ ამბიდან 30 წელი გავიდა და თუ ეგ მართლაც კაპლანის ქალია, ამდენ ხანს ციხის რეჟიმს როგორ გაუძლო?

— ეე, განა ჩვენსავით საკანშია გამომწყვდეული. ციხის ეზოში თავისუფლად მოძრაობის უფლება აქვს და ბიბლიოთეკაში, ცალკე ოთახში ცხოვრობს. ჭამა-სმა და მამაკაცი მაგას არ აკლია და აბა, რა მოკლავს? ამბობენ, თავის დროზე მისი დახვრეტის უფლება ლენინს არ მიუცია.

ძნელი სათქმელია, მართლაც კაპლანი იყო თუ არა ის ქალი, თუმცა მთელი „ბუტირკა“ ამტკიცებდა, სწორედ ჩვენმა ბიბლიოთეკარმა ესროლა ლენინსო.

პატიმრები კი, მოგეხსენებათ, კარგად ინფორმირებული ხალხია. მალე ქალაქ ნაგინსკის ციხეში (უფრო სწორად, ეკლესიაში — კომუნისტებს საპატიმროები არ ჰყოფნიდათ და არაერთი უძველესი ეკლესია ციხედ გადააკეთეს) გადამიყვანეს და ბიბლიოთეკარის შესახებ აღარაფერი გამიგია. მხოლოდ ერთხელ, მოსკოვის ციხეებიდან ჩამოყვანილმა ქურდებმა მიამბეს, კაპლანი „ბუტირკაში“ სულ ახლახან გარდაიცვალაო.

### „გარეთ სტალინი გყავთ, „ლაგერებში“ — „ზვერი“

1951 წელს ტაიგაში, „უნჟლაგის“ მეშვიდე კოლონიაში შევხვდი იმ დროისათვის მართლაც საარაკო სახელის კანონიერ ქურდს საშკა „ზვერს“, იმავე საშკა „ჩერქეზს“, როგორც მას მწერალი შიო გვეტაძე გვაცნობს თავის „მონანიებაში“:

— მახსოვს, ერთ საღამოს სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ბრიგადირმა ივანემ დამიძახა და მითხრა, დღეს ჩვენს „ლაგერში“ შენი ერთი ცნობილი თანამემამულე მოიყვანესო. ვინ არის-მეთქი, ვკითხე.

— ქურდი საშკა „ზვერის“ სახელი, ალბათ, გაგონილი გექნება. სწორედ ეგ კაცი ჩამოაბრძანეს აქ.

მართალი გითხრათ, კანონიერი ქურდებისგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვდა, მაგრამ მათი ფათერაკებიანი თავგადასავლები ისე მქონდა მობეზრებული, რომ ბრიგადირს აგდებულად ვუპასუხე, არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ ოხერია, ერთი მაგის დედაც-მეთქი. სათქმელი არც კი დამემთავრებინა, რომ ივანემ პირზე ხელი ამაფარა და შეშფოთებულმა წაისისინა:

— შე ჩერჩეტო, როგორ ბედავ ასეთი სისულელის თქმას! იცოდე, ის ვინმეში არ შეგეშალოს! სახელოვანი და თავზეხელაღებული ქურდები „ლაგერებში“ ნანახი გეყოლება, მაგრამ დაიმახსოვრე, „ზვერი“ მათ შორის ყველაზე საშიშია. საშკამ აქ ერთი ბრძანებაც რომ გასცეს, შორეულ აღმოსავლეთში ან თუნდაც დასავლეთში ნებისმიერ პატიმარს თავს მოსჭრიან. ენა ჩაიგდე და მსგავსი რამ სხვასთან არ წამოგცდეს, თორემ ქართველობა ვერ გიშველის და „ზვერი“ მაგ ენას ჯიბით

> **„ბერიას ისეთი წერილი მივწერე, სსრკ-ის მთელმა უშიშროებამ ვერ გაშიფრა“;**
> **„ყველას ჰგონია, რომ კაპლანი დახვრიტეს, ის კი 30 წელია აქ არის“;**
> **„საშკა „ჩერქეზს“ მოერიდე, თორემ ენას ჯიბით წაგაღებინებს საიქიოში!“**

წაგაღებინებს საიქიოში... აი, ასეთი კაცია საშკა — საბჭოთა კავშირის ყველა ქურდის ბელადი! ერთიც იცოდე: ქართველებს გარეთ სტალინი გყავთ, „ლაგერებში“ კი საშკა „ზვერი“...

— ნამდვილად ქართველია? — ვკითხე უკვე დაინტერესებულმა.

— ვფიქრობ, რომ ქართველია. ისე, ზოგი აჭარლად თვლის, ზოგიც — ჩერქეზად. გარეგნობით ნაღდი კავკასიელია... დილით, ზონაში ჯერ ფეხიც არ ჰქონდა შემოდგმული, რომ ერთი ამბავი ატყდა. ერთ-ერთ ბარაკში საგანგებოდ გამოუყვეს ადგილი, იქაურობა დაუკრიალეს და მხოლოდ ამის შემდეგ შებრძანდა შიგ.

ერთი საათის შემდეგ ივანემ მოფარებულ ადგილას გამიყვანა და მეუბნება:

— შენს თანამემამულეს აქაური ქურდები უდიდესი მოწიწებით ეახლნენ. მაგ დალოცვილმა „ზვერმა“ საიდანღაც შეიტყო ზოგიერთთა მიერ ჩადენილი ცოდვების შესახებ და ისინი უმალ თავის ადგილზე მოსვა. ჯერ ჩისტოპალოვი დაუნგრევია საშინლად, მერე ვასია ნემცევი (ორივე ცნობილი ქურდი იყო — შ.ჭ.) უცემია „პოლის“ ჯოხით... ვაჰ, ეს რა მაგარი ყოფილა! — დაამატა გაოცებულმა ბრიგადირმა.

საშკა „ზვერის“ პიროვნებამ უაღრესად დამაინტერესა. ვიფიქრე, ამ სახელგანთქმულ ქურდს, ეგებ, ერთხელ მაინც მოვკრა-მეთქი თვალი. ნატვრა მალე ამისრულდა.

მარტის დასაწყისი იყო, კვირა დღე. პატიმრები „ზონაში“ ვისვენებდით. თოვლი ჯერ კიდევ ბლომად იდო, თუმცა საუცხოო, თბილი, მზიანი ამინდი იდგა და ყველანი გარეთ გამოვეფინეთ. ერთმა ჯგუფმა გუნდაობა დაიწყო, სხვები ლაზღანდარობას მოჰყვნენ, რამდენიმე კაცი თოვლის პაპის კეთებას შეუდგა. უცებ, ბრიგადირი ივანე მომიახლოვდა და წამჩურჩულა, აგერ, შენი თანამემამულე საშკა „ზვერიო“.

მოვტრიალდი. ჩემგან დაახლოებით 40 ნაბიჯში სამი პატიმარი ერთმანეთში საუბრობდა. ორს — კანონიერ ქურდებს ბლიზნეცოვსა და „შავ ვეფხვად“ წოდებულ ბარათაშვილს — კარგად ვიცნობდი. „ზვერი“, როგორც ჩანს, მესამე იყო. ივანემ ხელკავი გამიკეთა, ახლოს ჩავუაროთ და ისე შევხედოთო. ასეც მოვიქეცით. წყნარი ბაასი გავაბით და ვითომც სხვას ვერავის ვამჩნევდით, სეირნობას მოვყევით. ერთი-ორჯერ თავი ავწიე და დავინახე, რომ მახლობლად მყოფი ყველა პატიმრის ყურადღება საშკასკენ იყო მიპყრობილი. მივუახლოვდით. ფიცრებზე, გზის მაგივრობას რომ სწევდა, თოვლი გახვეტილი იყო და ის სამი კაციც იქ იდგა.

საშკა „ზვერი“ მაშინ, ასე, 35-36 წლისა იქნებოდა. საშუალოზე მაღალი, მხრებგანიერი, მოგრძო და ლამაზი პირისახის კაცი იყო. ფართო შუბლი, ხშირი წარბები, შავი თმა და... ალერსიანი გამოხედვა ჰქონდა. მისი შემხედვარე იტყოდი, ქურდი კი არა, ზრდილი და ფრიად განსწავლული ვინმეაო. არადა, ეს ადამიანი არა მხოლოდ არიფ პატიმრებს, კოლონიების თანამშრომლებსა და ქურდულ სამყაროსაც კი შიშის ზარს სცემდა. სამეულმა საუბარი დაასრულა და მოულოდნელად, ჩვენი მიმართულებით გამოეშურა.

— ჰა, ჩვენებურო, როგორ ხარ, ხომ არაფერი გიჭირს? — მკითხა ბარათაშვილმა ქართულად და ჩვენ წინ შედგა. მისი თანმხლებნიც შეჩერდნენ.

— რომც მიჭირდეს, რას ვიზამ, სად გავექცევი ამ ცხოვრებას. — მივუგე ნაღვლიანმა და ცოტა არ იყოს, დაბნეულმაც.

— თანამემამულეა? — რუსულად შეეკითხა საშკა „შავ ვეფხვს“ და თან კარგად დამაცქერდა.

— კი, ქართველია და რომ იცოდე, რა საქმეზე ზის ახლა აქ... წარმოიდგინე, ბერიას დაუპირისპირდა.

— ვინ ბერიას, კაცო? რა ზღაპარს მიყვები! — „ზვერმა“ კიდევ ერთხელ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ვინ ბერიას და ლავრენტი პავლეს ძეს, სწორედ იმას, ვინც მე და შენ აქ გამოგვამწყვდია. — გაიცინა ბარათაშვილმა.

— მოიცა, მოიცა, — გაიკვირვა საშკამ. — ბერიასთან რა საქმე უნდა ჰქონოდა?

— მაგდენი არც მე ვიცი. დრო არ მქონდა, დაწვრილებით რომ გამომეკითხა ყველაფერი. იმედია, თავის ამბავს როდისმე მაინც მოგვიყვება.

— მერე, გამოვნახოთ დრო და მოვუსმინოთ ამ ახალგაზრდას... თუ, რა თქმა უნდა, არც თავად იქნება წინააღმდეგი. — „ლაგერების“ მრისხანე ავაზა, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული „ზვერი“, ჩემდა გასაოცრად, უაღრესად თავაზიანი ადამიანი აღმოჩნდა და ამან გამბედაობა შემმატა.

— დიდი სიამოვნებით გიამბობთ. მართლაც საინტერესო ამბავი გადამხდა.

— ძალიან კარგი, მოვილაპარაკეთ. ამ დღეებში ბიჭს გამოგიგზავნი და ბარაკში მესტუმრე. — გამიღიმა საშკამ, მერე მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი და გზა განაგრძო.

— შალვა, შენი ჭირიმე, რომ დაგიძახებს, მეც თან წამიყვანე! — მუდარა აღმოხდა ბრიგადირ ივანეს, რომელიც ჩვენი საუბრის მანძილზე გვერდით სუნთქვაშეკრული მედგა და „ზვერს“ თვალს ვერ აცილებდა.

შემდეგ პატიმრები დამესივნენ და კითხვების კორიანტელი დამატეხეს: საიდან იცნობ საშკას? მართლა შენი თანამემამულეა? შეგიძლია, ერთი სიტყვა შეგვაწიო? და სხვა ამდაგვარი. ხელად პოპულარული ადამიანი გავხდი.

სამწუხაროდ, საშკა „ზვერი“ მას შემდეგ აღარ მინახავს. რამდენიმე დღეში, სრულიად მოულოდნელად, იგი გაუჩინარდა. ალბათ, სხვა, უფრო მკაცრ „ზონაში“ გადაიყვანეს. ამის მიზეზი კი ერთი შემთხვევა იყო.

ჩვენს „ლაგერში“ ეტაპით მოიყვანეს ქურდი, ვინმე კუდბეევი. მან კიდევ, არც აცია, არც აცხელა, იმავე ღამით დაჰკრა ფეხი და „პაბეგი აიკიდა“. ქარბუქით უსარგებლია (ყარაულებმა ამის გამო ვერ შენიშნეს), ხელებით ჩამოკიდებული ბოძებზე გაჭიმულ სატელეფონო კაბელს გაჰყოლია და კოლონიის კედელზე ამგვარად გადასულა. კუდბეევის ასეთი საქციელი ბევრს გაუკვირდა, რადგან ტაიგა, პრაქტიკულად, გაუვალი ადგილი იყო და „ზონიდან“ გაქცეულ კაცს, ადრე თუ გვიან, იქ სიკვდილი ელოდა.

ორი დღის შემდეგ ტყეში, ნადირის მიერ დაგლეჯილი კუდბეევი ჯარისკაცებმა კოლონიაში მოათრიეს და პატიმრების დასანახად გვამი იქვე, ეზოში დააგდეს. ნეტავ, რა რჯიდა ამ უბედურსო, მკითხაობდნენ ერთნი, სხვებმა კი ამ დროს მშვენივრად ვიცოდით, რატომაც გაიქცა ის ქურდი. კუდბეევს უწინ რაღაც ჰქონია მიქარული და ამის გამო ცეცხლივით ეშინოდა „ზვერის“. გაიგო თუ არა, სწორედ იქ მოვხვდი, სადაც საშკა იხდის სასჯელსო, მაშინვე ტყეში დურთა თავი. დაუნდობელი ტაიგა და მტაცებელი ცხოველები არჩია საშკა „ზვერთან“ შეხვედრას.

ზოგიერთს, ალბათ, ეხსომება, რომ „მონანიების“ გმირი საშკა „ჩერქეზი“, სადღაც, 50-იან წლებში კვდება, სინამდვილეში კი მან, თუ არ ვცდები, 80-იან წლებამდე იცოცხლა. როცა ამის თაობაზე შიო გვეტაძისთვის უკითხავთ, მწერალს ასე უპასუხია — საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს, რომ ასეთი საშიში ადამიანი ამჟამად ჩვენ გვერდით იმყოფებაო. სხვათა შორის, „მონანიება“ კარგა ხანს აკრძალული წიგნი იყო და არ არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ საშკას პიროვნების გამო გაკეთდა.

და კიდევ ერთი: ჩემი ინფორმაციით, საშკა „ზვერმა“ ანუ „ჩერქეზმა“ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ქუთაისში გაატარა. ცხოვრობდა თურმე თავისთვის, ერთ ჩვეულებრივ ბინაში და მეზობლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ეს თავაზიანი და მორიდებული მამაკაცი ერთ დროს საბჭოთა კავშირის ქურდების მეფე იყო.

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „მოვალ და მოვუტან“



ჭიათურელი ჟორია ერგემლიძის ბიჭს სკოლაში კალამი გადაეყლაპა. ნირშეცვლილმა და შეშინებულმა მასწავლებელმა ჟორიას დაურეკა:

— ბატონო ჟორა, თქვენმა შვილმა კალამი გადაყლაპა.

ჟორიამ უპასუხა:

— ნუ წუხდებით, პატივცემულო, ჩემს მოსვლამდე ფანქრით წეროს, მოვალ და მოვუტან.

***მარიამ შეყილაძე***

## — გამიხმა კიტრი



კახეთში ვართ დედამთილ-მამამთილთან. ზაფხულია, საშინელმა სიცხემ გაახმო ყველაფერი. წყალი ერთი კვირა ერთ ოჯახს აქვს მოსარწყავად, მეორე კვირა — მეორეს და ა.შ. ჩვენი რიგი შემდეგ კვირაშია. მამამთილმა როგორღაც მოახერხა და მეზობელი კაცის არყოფნაში მის ცოლს წყალი დაათმობინა. საღამოს ქალს ქალაქიდან ქმარი ჩამოუვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მათი ეზოდან კაცის ყვირილი გავიგონეთ:

— ქალო, რაზედ მიეცი ნიკოსა, ჰა, რაზედ მიეცი?!

— კაცო, — პასუხობს ცოლი, — ი, კაცი სამი დღეა დამდევს, გამიხმა კიტრი, გამიხმა კიტრიო, მივეცი, მა რა უნდა მექნა?!

***რუსიკო რატიანი, რუსთავი***

## სუკები



თბილისში ვართ, სასტუმრო „აჭარის“ რესტორანში, მოსკოვიდან ჩამოსულ „ნაშებს“ ქართული სტუმარმასპინძლობით ვაკვირვებთ. ჩემი მეგობარი სუკის ცვრიან მწვადებს ამატებს სუფრას და თან ქართულად გვიქებს თავის მორთმეულს:

— ჭამეთ, ბიჭებო, სუკისაა!

მერე გოგოებსაც მიუბრუნდა

— იეშტე სუკი; იეშტე, იეშტე სუკი.

***ზაზა ნაფეტვარიძე, თბილისი***

## ლენინის გარდაცვალება



კომუნისტების მმართველობა ზენიტშია. ისტორიაში გაკვეთილად ლენინის გარდაცვალება და მასთან დაკავშირებული საკითხები გვქონდა.

ჯემალ მასწავლებელმა გაკვეთილის მოსაყოლად დაფასთან ჩემი ამხანაგი, ზურიკო მგელაძე გაიძახა. ზურიკომ კარგად არ იცოდა გაკვეთილი და არეულ-დარეულად ყვებოდა. მასწავლებელი გზადაგზა უსწორებდა და უფრო და უფრო ნერვიულობდა.

მერე ზურიკომ ასე თქვა: „ერთ მშვენიერ დღეს გარდაიცვალა ლენინი“. ამ დროს იფეთქა მასწავლებელმა: „ვაი, ვაი, ვაი, შენ გადაშენდი, ლენინი გარდაიცვალა და მშვენიერი დღე იყო?..“

***თ. შალიკიანი, ქუთაისი***

## — დავაი, ლესტნიცა



მამაჩემი სავალდებულო სამხედრო სამსახურს რიგაში იხდიდა. თურმე ჩარიცხეს სამშენებლო ბატალიონში და ვიღაც რუს კალატოზს მიამაგრეს. მამაჩემი რუსულზე ცოტა მწყრალად გახლდათ და როდესაც ხარაჩოზე მდგომმა კალატოზმა — დავაი, ლესტნიცაო! — დაუძახა, შეფიქრიანდა, მაგრამ შემდეგ „ლოგიკური მსჯელობა“ დაიწყო: ლეს ვიცი, რომ ტყეა და ლესტნიცა ალბათ ხისგან დამზადებული რამე იქნებაო.

დაფაცურდა და ხან მორს წამოავლო ხელი, ხან ფიცარს და ხის ყუთებს, მაგრამ კალატოზი ირონიული ღიმილით აქნევდა თავს და ჯიუტად გაიძახოდა: „ლესტნიცა, ლესტნიცა“, ხელებით ანიშნებდა ორ პარალელურ ხაზს — შუაში ჰორიზონტალური ხაზებით, „მეტალ“-ო, დაუმატა, რადგან საუბედუროდ, კიბე რკინისგან იყო დამზადებული. მამაჩემს ბევრი არ უფიქრია და ხელი კუთხეში მიგდებულ ძველ რადიატორს წამოავლო. საბრალო კალატოზი სიცილისაგან კინაღამ ხარაჩოდან გადმოვარდა.

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***

## — მართლა არ დადის!



სოფლის ბირჟაზე თავშეყრილი მეზობლები ქვეყნის ამბებზე მსჯელობდნენ: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. მერე საქონელზე გადაიტანეს საუბარი.

სარდიონმა წაიტრაბახა:

— ჩვენთან ბევრსა ჰყავს კარგი ძროხა, მარა ჩემისთანა ძროხა ჩვენს სოფელში არ დადის.

— კი, ბიძია სარდიონ, მართალი ხარ, შენისთანა ძროხა ჩვენს სოფელში მართლა არ დადის — შეეხუმრა თეიმურაზი.

***ნოდარ ნასარიძე, თეთრიწყარო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

### ანეკდოტად ქცეული კურიოზი



ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდა ორი კაცი — მათ შორის ერთი ცალი თვალით ბრმა იყო. სიტყვას არ მოიბრუნებდა თვალხილული, რომ ნაკლზე არ მიეთითებინა, სახელის მაგივრად „ბრუციანოო“ ეძახდა.

ერთხელაც გაბრაზდა ცალთვალა და, ხელში რომ ეჭირა გზის გასაგნები ჯოხი, თავში თხლიშა „კეთილ“ მეზობელს.

დაზარალებულმა სასამართლოში უჩივლა. დაიბარეს ცალთვალა:

— ბატონო მოსამართლევ! ბატონო მოსამართლევ! ბატონო მოსამართლევ! — არ ჩერდება ბრმა.

— რა გნებავს? — გადაირია მოსამართლე.

— ბატონო მოსამართლევ! — ისევ გაიმეორა.

— რა გინდა, შე კაცო, ნუ გამაგიჟე! — უყვირა კანონის დამცველმა.

„ბრუციანმა“ უპასუხა:

— თქვენ ხუთი წუთი ვერ მოითმინეთ, მოსამართლეს რომ გეძახდით, თანაც ბატონობით, მე თექვსმეტი წელი როგორ უნდა მომეთმინა „ბრუციანის“ ძახილი?

მოსამართლემ გაამართლა „ბრუციანი“.

***დუტა გოჩიაშვილი და ეთერ კოშაძე***



ქუჩაში ნარკომანი ვაჟი ვიღაც ქალიშვილს „აეკიდება“ და მთელი საათი ეხვეწება:

— თქვი, რომ ჩემი დედა ხარ.

ბოლოს თავმობეზრებულმა ქალიშვილმა იყვირა:

— ხო, კარგი, შენი დედა ვარ!

— აუ, ჩემი დედა ... — თქვა აღფრთოვანებულმა ნარკომანმა.

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***



სვანი წიქარას დაოთხილი მიარბენინებს. ბოლოს წიქარა ეკითხება:

— დაგრჩა რამე გადასაგდები?

— კი, სავარცხელი! — პასუხობს სვანი.

— მერე უკან მაინც გადააგდე, შე უპატრონო, თორემ აღარ შემიძლია კლდეებზე ძრომიალი და ტყეების ჭრა!

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***



მიხო არაყს ხდის. შვილმა გასინჯა არაყი და ზიზღით გადააფურთხა:

— თფუი! ამასა რა გასმევს, ჰა?

— დედიშენისამ! გეგონა თაფლსა ვსვამდი?

***მიშიკო კვანტალიანი***



სვანს შეხვდა მეგრელი და ეკითხება:

— პატენი, თქვენ სვანი ბრძანდებით?

— რას მიქვია სვანი, წაგაცილებ თავს, სვანი ძველად ვიყავი, ახლა მე ევროპიელი ვარ ლენტეხიდან.

***სერგო ბერეკაშვილი***



მთვრალი მიხო მთვრალ შაქროს ეუბნება:

— მოდი ერთი, პირში ჩამხედე, მგონი ენა აღარა მაქვს.

— ენა კი გაქვს, მაგრამ გაორებული — პასუხობს შაქრო.

***თორნიკე გონჯილაშვილი, თიანეთი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

# ვისთვის არის განკუთვნილი შვეიცარიული ყველგანმავლები?



საქართველოსა და რუსეთს შორის მწიფდება ახალი სკანდალი, რომელშიც უნგრეთი და შვეიცარიაც მონაწილეობენ. როსტოვის ოლქში დაკავებულია 50 სამხედრო ავტომობილით დატვირთული ეშელონი. რუსეთის სპეცსამსახურების ვარაუდით, სამხედრო ავტომობილები ჩეჩენი ბოევიკებისთვის იყო განკუთვნილი. როგორც გაზეთ „სეგოდნიასათვის“ გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შახტინსკის საბაჟოს (როსტოვის ოლქი) გუკოვსკის პოსტის თანამშრომლებმა დააკავეს სამხედრო ტექნიკის დიდი პარტია — „პინსჰაუერის“ მოდელის 45 ყველგანმავალი, სამედიცინო დახმარების 5 ყველგანმავალი, სამედიცინო პრეპარატები და თბილი ტანსაცმელი. მთელი ეს ავლადიდება რკინიგზის ოთხ პლატფორმაზე იდგა. დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ კოლონა უნგრეთის ტერიტორიიდან უკრაინისა და დაღესტნის გავლით საქართველოში უნდა ჩასულიყო და მიეღო იუსტიციის სამინისტროს. ტვირთის გამგზავნი არის უნგრული ფირმა „რააბერშპედ კფტ“. მებაჟეებმა მრავალ უცნაურობას მიაქციეს ყურადღება. ჯერ ერთი, ტვირთს არავინ ახლდა, მეორე, რუსეთის რკინიგზებზე ტექნიკის გადასატანი თანხა წინასწარ უნდა გადაეხადათ. ამ შემთხვევაში კი ეს ასე არ იყო. გუკოვსკის საბაჟოს თანამშრომლების ვარაუდით, ავტომანქანების კოლონის საბოლოო პუნქტი დაღესტანი უნდა ყოფილიყო, საიდანაც ფარულად ჩეჩენ ბოევიკებს გადაეგზავნებოდა ტვირთი.

ქართულმა მხარემ ყოველგვარი ეჭვი უარყო. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა „სეგოდნიას“ კორესპონდენტებს აუწყა, რომ ეს ავბედითი ტვირთი მისი უწყებისთვის იყო განკუთვნილი. გამგზავნია შვეიცარიის მთავრობა, ხოლო უნგრული ფირმა შუამავალიო. მინისტრი ირწმუნება, რომ ყველგანმავალი მანქანები მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისთვის გამოიყენება. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ეშელონის დაკავება მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან შვეიცარიას უნდა მოეგვარებინა რუსეთთან სატრანზიტო საკითხები. შვეიცარიის სამხედრო უწყებაში კორესპონდენტს აუხსნეს, რომ სამხედრო ტექნიკა კანონიერად და უსასყიდლოდ, თბილისთან შეთანხმებით გავგზავნეთო. ყველგანმავალი ავტომობილების დიდი ნაწილი განკუთვნილია მესაზღვრეებისთვის, სამედიცინო მანქანები, მედიკამენტები და ტანსაცმელი კი — საქართველოს პენიტენციალური დაწესებულებებისთვის. „სეგოდნიას“ შეკითხვას, ვალდებულია თუ არა ქართული მხარე აუწყოს შვეიცარიას, როგორ გამოიყენებს მოწოდებულ ქონებას, შვეიცარიის არმიის გენშტაბის პოლკოვნიკი ფილიპ ზანო უპასუხებს, — მანქანები ადამიანთა გადასაყვანად გამოიყენება და არა იარაღის გადასატანადო. მთელი ეს „დახმარება ღარიბი ქვეყნისთვის“, როგორც შვეიცარიის გენშტაბში აცხადებენ, ნატოს პროგრამის — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ — ფარგლებში ხორციელდება. მაგრამ პოლკოვნიკმა ზანომ ვერაფრით ახსნა, თუ რა დამოკიდებულება აქვს სამხედრო უწყებათა თანამშრომლობის პროგრამას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. უცნობია აგრეთვე, რატომ არ აცნობეს რუსულ მხარეს ტვირთის რუსეთის ტერიტორიაზე გასვლის თაობაზე. და კიდევ, რატომ არ არის დოკუმენტებში აღნიშნული, რომ ტვირთი შვეიცარიიდან მოდის. შვეიცარია, უნგრეთისგან განსხვავებით, ნატოს წევრი არ არის და ამიტომაც მისი მონაწილეობა პროგრამაში, „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, ძალზე უცნაურად გამოიყურება.

შეგახსენებთ, რომ ეს პირველი სკანდალი არ არის საქართველოსთვის სამხედრო ტექნიკის გადაგზავნასთან დაკავშირებით. მოსკოვში კი ფიქრობენ, რომ ტვირთი შესაძლოა ჩეჩენი ბოევიკების ხელში მოხვედრილიყო. ბევრი დავის შემდეგ საქართველომ თავისი მიიღო.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ ტვირთს, თუ ერთი თვის შემდეგ პატრონი არ გამოუჩნდება, ყველგანმავალ ავტომობილებს უკრაინაში დააბრუნებენ.

***სეგოდნია №259***

# ქართული ჯარი შიმშილობს

დიდი ხანია ცნობილია, რომ ქართული ჯარი არასაკმარისად ფინანსდება. სამხედრო მაღალჩინოსნები ფინანსთა სამინისტროს მუდამდღე სთხოვენ სუბსიდიების გაზრდას, მაგრამ ყოველივე დაპირებებით მთავრდება. მეტიც, თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 5 მლნ ლარით (2,5 მლნ დოლარი) შეუმცირეს. 2001 წლამდე ცოტა დრო დარჩა. თავდაცვის სამინისტროს ზურგის სამსახურის მეთაურმა აკია ბარბაქაძემ ალმაშფოთებელი მონაცემები გაუზიარა „იზვესტიის“ კორესპონდენტს, — ქართულ არმიაში სურსათის მარაგი რამდენიმე დღეში ამოიწურება. სამინისტროს კრედიტში არაფერს აძლევენ, რადგან ვალებმა 10 მლნ დოლარს მიაღწია. კარტოფილი და ბურღულეული ორ დღეს თუ ეყოფათ ქართველ ჯარისკაცებს, ფქვილი და მაკარონი — 12 დღის სამყოფია. საწყობებში მხოლოდ მარილი, ჩაი, ტომატის პასტა და ძმარიღა დარჩა. ხორცი, თევზი, ბოსტნეული და ცხიმი კარგა ხანია, დავიწყებას მიეცა, რაც საქართველოს დამცველის „საშუალო სტატისტიკურობაზე“ მეტყველებს. ამა წლის ნოემბრის თვისთვის ჯარისკაცების კვებისთვის გამოიყო 5,5 ათასი დოლარი, თუმცა ნახევარი მილიონია საჭირო. ასეთსავე სავალალო მდგომარეობაშია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სახმელეთო ტექნიკისთვის განკუთვნილი სარეზერვო საწვავი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მხოლოდ ერთხელ გამართვას ეყოფა. უცხოელი ექსპერტები, რომლებიც საქართველოს არმიას კურირებენ, დიდი ხანია ურჩევენ მთავრობას შეიარაღებულ ძალთა შემცირებას. ქვეყნის ხელისუფლებამ კი მხოლოდ ახლა გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა. მომავალი წლის ბოლოს არმიაში 20 ათასი ადამიანი იქნება. კრიტიკულმა სიტუაციამ ჩაშლის საფრთხის ქვეშ დააყენა საშემოდგომო გაწვევა. როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, ნაცვლად დაგეგმილი 7 ათასი ჭაბუკისა, გაწვეულია — 800.

***იზვესტია №221***

# აუღიარებელი სახელმწიფოთა კავშირი

მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ტირასპოლში შეხვდნენ ერთმანეთს. მათ შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებათა პროცესები იმ კონფლიქტების მოსაწესრიგებლად, რომლებიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოურ სივრცეში.

როგორც პრიდნესტროვიეს საგარეო საქმეთა უწყებების მეთაურმა აღნიშნა, ეს იმ რეგიონთა შეხვედრაა, რომლებსაც ადრე ცხელ წერტილებს უწოდებდნენ. აუღიარებელი რესპუბლიკები აპირებენ საგარეო საქმეთა მინისტრების მუდმივი კომიტეტის შექმნას და კონფლიქტის დარეგულირების მოდელის შემუშავებას თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. სხვათა შორის, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი და სამხრეთ ოსეთი ყოველთვის აგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს პრიდნესტროვიეს დღესასწაულებზე. ამა წლის სექტემბერში ტირასპოლში შედგა მორიგი საბჭო, სადაც იხილებოდა საკითხი, თუ როგორ იცხოვრონ მათ პოლიტიკური აუღიარებლობისა და ეკონომიკური ბლოკადის პირობებში. როგორც ჩანს, პრიდნესტროვიე თავისებური დსთ-ის — აუღიარებელი სახელმწიფოების კავშირის გამაერთიანებელი და მაკოორდინებელი ცენტრი ხდება.

***იზვესტია №220***

## ბათუმიდან გვატყობინებენ!

# აჭარის მთავრობამ ბათუმში მცხოვრები ლტოლვილები დასაჯა

ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით აფხაზეთიდან ლტოლვილ სამ ქალბატონს: ზაირა წულაიას, ჯულიეტა ფალავასა და ნატო წულაიას დაადებინეს ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობის თაობაზე. როგორც ცნობილი გახდა, ლტოლვილი ქალები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და აჭარის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს სთხოვდნენ, ეშუამდგომლა ასლან აბაშიძესთან, რათა ადგილობრივ მთავრობას ეკისრა აჭარაში მცხოვრებ ლტოლვილთა დაფინანსება. შემდგომ ეს თანხა, ჩათვლების სახით, აჭარის ბიუჯეტშივე დარჩებოდა (ცნობილია, რომ ასლან აბაშიძე ამგვარი წესით აფინანსებს შსს-სა და უშიშროების სამინისტროს). სასტუმრო „მედეას“ ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის, ზაირა წულაიას განცხადებით, მათ საპროტესტო აქცია არ გაუმართავთ. აჭარის სამართალდამცავებმა მთავრობის სახლის წინ შეკრებილ ლტოლვილებს არ მისცეს უზენაეს საბჭოსთან მიახლოებისა და ასლან აბაშიძესთან შეხვედრის საშუალება, რასაც შედეგად ბათუმში, რუსთაველის პროსპექტზე მანქანის სავალი ნაწილის რამდენიმე წუთით პარალიზება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ისინი შეხვდნენ ასლან აბაშიძეს, მაგრამ აჭარის ლიდერმა არ დააკმაყოფილა ლტოლვილთა თხოვნა. ლტოლვილთა განცხადებით, იმავე ღამეს, 24 საათზე, სამართალდამცავების დახმარებით აჭარის მთავრობამ აღწერა სასტუმრო „მედეაში“ მცხოვრები ლტოლვილები, ხოლო მოგვიანებით ჩამოართვა მათ ჰუმანიტარულ დახმარებათა გაცემისთვის განკუთვნილი ფართი. სასტუმრო „მედეას“ ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის ზაირა წულაიას განცხადებით, მათ დახმარებების გაცემა სანაგვის გვერდით უწევთ.

როგორც ჩანს, აჭარის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ამ სადამსჯელო ოპერაციით და სამივე ქალბატონს: ზაირა წულაიას, ჯულიეტა ფალავასა და ნატო წულაიას ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს, ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვა. მათ სასამართლო პროცესზე დამცველი არ ჰყავდათ.

ჯულიეტა ფალავას შარშან, ბათუმში, პოლიციამ შემთხვევითი გასროლით მოუკლა 18 წლის ვაჟიშვილი, რომელიც ზუგდიდში ჰყავს დაკრძალული. დედა ვერ ახერხებს შვილის საფლავის მონახულებას, რადგან მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, ვერ შეხვდა სასამართლოს ზედამხედველს, რომელიც მას ბათუმიდან გასვლისა და მგზავრობის უფლებას მისცემდა.

---

23 ნოემბერს თურქეთის ტერიტორიულ წყლებში ქართული დროშით მცურავი ხომალდი „ლევან ბაკურიძე“ დააკავეს. თურქეთის მხარემ ხომალდს ცეცხლი გაუხსნა, დაჭრილია გემის მეორე კაპიტანი. ეკიპაჟის ოთხი წევრი ქართველია. დაკავებული ხომალდის ბორტზე პაკისტანიდან, მაროკოდან, პალესტინიდან და ბანგლადეშიდან 46 არალეგალური ემიგრანტი იმყოფებოდა — ისინი იტალიაში მიემგზავრებოდნენ. საქართველოს გენერალური კონსული თურქეთში თემურ შარაშენიძე აცხადებს, რომ გემი უკანონოდ ასრულებდა არალეგალურ რეისს. შარაშენიძემ გემის მესაკუთრედ ბათუმში რეგისტრირებული ფირმა „ბაკური“ დაასახელა, რომელსაც აჭარის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ვაჭრობის მინისტრი თენგიზ ბაკურიძე ხელმძღვანელობს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაკურის“ აღმასრულებელი დირექტორის ზურაბ ჯინჭარაძის განცხადებით, გემი „ლევან ბაკურიძე“ 20 ოქტომბერს თურქეთის ფირმა „იაგმურ დენიზ ჯილიქმა“ 40 ათას დოლარად შეიძინა. დოკუმენტაცია ყიდვა-გაყიდვის შესახებ ფირმას აქვს. მისივე განცხადებით, 8 ქართველი მეზღვაური, რომელნიც ხელშეკრულებით მუშაობდნენ თბომავალზე, 22 ოქტომბერს დაბრუნდნენ ბათუმში.

საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის უფროსის დურსუნ ცინცაძის განცხადებით, 10 სექტემბერს 286 ტონა ჯართით დატვირთული გემი „ლევან ბაკურიძე“ ღამით გავიდა ბათუმიდან, რის შემდეგ იგი საქართველოს ტერიტორიულ წლებში აღარ შემოსულა. მისივე თქმით, ამ გემს რეგისტრაციის ვადა 2001 წლის 1 იანვარს ეწურებოდა. როგორც ჩანს, თურქეთის მხარე ამ ვადას იყენებდა და გემზე ქართული დროშის არსებობაც ამით არის განპირობებული.

***ავთო ბათუმელი***

## გამოხმაურება

„კვირის პალიტრის“ 13-19 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ზვიად ჩაკვეტაძის წერილი „ვინ და როგორ ძარცვავს ჯარისკაცებს...“, რომელიც თავდაცვის სისტემაში შექმნილ სავალალო ფინანსურ მდგომარეობას შეეხება. არ შემიძლია არ დავეთანხმო წერილის ავტორს იმ ნაწილში, სადაც იგი თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხს შაგრენის ტყავთან აიგივებს და შეშფოთებულია ისედაც მწირი დაფინანსების კიდევ უფრო შეკვეცით. აღნიშნული პრობლემა ჯარისკაცებთან და სისტემის ყველა თანამშრომელთან ერთად ისე არავის აწუხებს, როგორც იმ სამსახურს, რომელიც ქართული ჯარის გამოკვებისა და ყველა პირობის შექმნის უზრუნველსაყოფად არის მოწოდებული. ეს სამსახური კი, მინდა შეგახსენოთ, ზურგის სამსახური კი არ არის, როგორც ამას არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, არამედ თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოა, რომლის სტრუქტურულ დაქვემდებარებაშიც შედის ავტორის მიერ ასე ავადხსენებული შესყიდვების სამმართველო. ამდენად, წერილში ზურგის სამსახურთან და მის ზოგიერთ „კორუმპირებულ თანამშრომელთან“ გაიგივებული თუ ნაგულისხმევი მთავარი სამეურნეო სამსახური ავტორის ღრმა რწმენით, „კორუფციის ქსელში აღმოჩნდა გახლართული“. ამის დასტურად კი ავტორს ის ჟურნალისტური ექსპერიმენტი მოჰყავს, რომლის ერთ-ერთი გმირი თავად არის.

ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ დაბალ ფასებში შესყიდული პროდუქცია შეგნებულად მაღალ ფასებში ფორმდება და რიგი ოპერაციების შემდეგ გაზრდილი თანხა თითქოს შემსყიდველს უბრუნდება უკან.

ამგვარი მოქმედება თეორიულად დასაშვებია და გაუცნობიერებელი მკითხველისათვის მისი პრაქტიკული განხორციელება სარფიანადაც გამოიყურება. მაგრამ მინდა განვმარტო, რომ სამმართველოს მიერ დღემდე შესყიდული საქონლის ფასი 15-30%-ით ნაკლებია არსებულ ფასებთან შედარებით, რაც შეეხება ხელოვნურად გაზრდილ ციფრებს, ასეთ შემთხვევაში პროპორციულად იზრდება გადასახადების ოდენობაც, რასაც მომწოდებელიც ისევე იხდის, როგორც სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირი ნებისმიერი კომერციული გარიგების შემთხვევაში. მაშინ გაუგებარია, რა თანხა შეიძლება დარჩეს სათავისოდ შემსყიდველს.

ფირმასთან, რომელიც ჟურნალისტმა ექსპერიმენტისთვის ამოირჩია, თავდაცვის სამინისტროს ერთი წლის მანძილზე არანაირი ფინანსური ურთიერთობა არ ჰქონია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავდაცვის სამინისტროს იმ ფირმის ვალი აქვს 51 (ორმოცდათერთმეტი) ათასი ლარი. არ შეიძლება აქცენტი ჯარზე და არმიაზე მარტო იმიტომ გაკეთდეს, რომ დასახელებაში სიტყვა „არმია“ ფიგურირებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს კონკრეტული ფირმა ჩვენგან დამოუკიდებლად ატარებდა გარიგებასა და ფინანსურ ოპერაციას, რაზეც ჩვენ ნამდვილად ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას.

იმავე წერილში ჟურნალისტს, საწყობში, შემსყიდველთან, ზემოთ აღნიშნული ფირმის ხელმძღვანელთან საუბარში გაურკვევია, რომ „მსგავსი შპს-ს ანალოგიური ფირმები, რომლებიც შესყიდვების სამმართველოს თანამშრომლებს უკანონო ოპერაციებსა და ფულის მითვისებაში ეხმარებიან, კიდევ ოთხი ყოფილა“. პროდუქციის მომწოდებელი არათუ ოთხი, მრავალი ფირმაა და მათ დღეისათვის უკვე სანთლით დავეძებთ, რადგან ხანგრძლივი კონსიგნაციისა და არანაირი ფინანსური გარანტიით საქონლის შემოტანა არავის აწყობს.

მოხარული ვარ, რომ ავტორი ჩვენი პრობლემებით დაინტერესდა და რაკიღა როგორც ბიზნესმენმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, იქნებ სწორედ მას მოეწოდებინა ჩვენი ჯარისათვის საჭირო სურსათი და საქონელი. ასეთ შემთხვევაში ორივე მხარე დაზღვეული იქნება მაქინაციებისა და ეჭვებისაგან, თუმცა ასეთი მომწოდებლის შესაძლებლობების პროგნოზირება ძალიან გამიჭირდება.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს კოლექტივის სახელით, სამმართველოს უფროსი ვ. ვასაძე**

# ჯოხთაბერიძეს სიმამრი წყალობს?!

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

ეს ტრადიცია არც ამ შემთხვევაში დარღვეულა. საწარმოს ხელმძღვანელობა უყოყმანოდ აღიარებდა ვალებს, რომელთა რეალურობაში ეჭვის შეტანა თამამად შეიძლება. შემდეგ კი ამ ვალს ვერ იხდიდა. არგადახდილი ვალიდან გაკოტრების საქმის აღძვრამდე ერთი ნაბიჯია. აღძრული საქმიდან საწარმოს ხელში ჩაგდებამდე — კი მეორე. ამგვარი საქმეები დოკუმენტაციის წარმოების ისეთი ქაოსურობით და ალოგიკურობით ხასიათდება, რომ მაღალი დონის ექსპერტებსაც აბნევს.

„ქიმკომბინატს“ ამ წლების განმავლობაში „ალსო ტრანს ინტერნეიშნლი“ გაზს აწვდიდა „მაგთი ენერჯი ენდ ქემიკალზ“-ის საშუალებით. „ალსო“ კი გაზის ტრანზიტს თავის მხრივ „იტერასაგან“ ახდენდა... თავისთავად ამგვარი გართულებული ჯაჭვი ლოგიკურად ბადებს ეჭვს — ვის და რატომ სჭირდებოდა „იტერასაგან“ გაზის მისაღებად ორი საშუამავლო ფირმის გამოყენება. ამასთან, თუ დაწვრილებით გავეცნობით „ალსოსთან“ და „მაგთისთან“ „აზოტის“ მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ერთ დასკვნამდე მივალთ — ვამბობთ „ალსოს“, ვგულისხმობთ „მაგთის“ და პირიქით. ამ ორ ფირმას, გარდა სახელწოდებისა, განსხვავებული მხოლოდ მისამართები უნდა ჰქონდეს. ერთი, ინგლისში, ქალაქ კინგსვინფორდში მდებარეობს, მეორე კი თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე.

ორმხრივი თუ სამმხრივი ხელშეკრულებები თბილისში, მოსკოვში, ანგარიშსწორების წერილები თუ საწარმოს დირექტორთა მიერ წარდგენილი ანგარიშები — დოკუმენტთა ამ კორიანტელის გაცნობის შემდეგ, რომელთა კონსტატაციით თავს არ შეგაწყენთ, კვლავ იბადება ეჭვი, ხომ არ ხდებოდა 1996 წლიდან საწარმოს დავალიანების ხელოვნურად დაგროვება...

გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთხელ მოისმინეს რუსთავის „ქიმკომბინატთან“ დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა. საქმე იქითკენ მიდის, რომ „მაგთი“ ქართული წარმოების ფლაგმანს საკმაოდ იოლად ჩაიგდებს ხელში. დაპირისპირება სანათესაოს ორ მხარეს შორის — მერაბ ტყეშელაშვილი, ნუგზარ შევარდნაძე, რომელთაც თავის მხრივ ოჯახური კავშირი აერთიანებთ (მერაბ ტყეშელაშვილის და ნუგზარ შევარდნაძის რძალი გახლავთ) და გია ჯოხთაბერიძე — ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ჯოხთაბერიძის უკან აშკარად იკვეთება მხარის გუბერნატორის ფიგურაც, თუმცა იყო მცდელობა ვითარების ისე წარმოჩენისა, თითქოს დაპირისპირება ჯოხთაბერიძესა და მამალაძეს შორისაც არსებობდა.

სტატია 1997 წელს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილით დავიწყეთ. საკითხი, რომელიც „მაგთისთვის“ „ქიმკომბინატის“ აქციების გადაცემას ეხებოდა, სავარაუდოდ, პრეზიდენტის მხრიდან მისივე სიძის სასარგებლოდ გადაწყდება.

***მაია გაბუნია***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიხოხობენ

**ვაკო ახალაძე** სთხოვს მამას:
— მამიკო, მომიყევი ამბავი?
— რომელი ამბავი?
— მე რომ პატარა ვიყავი.
მამა უყვება, ამ დროს ვაკო ერთვება და მამას ეკითხება:
— მამა, შენ რომ პატარა იყავი, პატარა მამიკო იყავი?

სამი წლის **საბა ჭავჭავაძეს** დედა „კომბლეს“ უყვება:
კომბლეებს თლის და ჭერში აწყობსო...
— კომბლე სულ მინდორში იყო და ჭერი სად ჰქონდა? —იკითხა საბამ.

**3 წლის ავთო აბაშაშვილმა** ჩაბნელებული სახლის ფანჯრიდან სავსე მთვარე დაინახა და გახარებულმა დედას დაუძახა:
— დედა, დედა! მთვარეზე შუქი მოსულა.

**6 წლის ნიკუშა** ეუბნება თავის მეზობელ თემოს:
— მოდი, კუკუდამალობანა ვითამაშოთ...
— როგორ? — ეკითხება თემო.
— მე მოვკუკავ, შენ დამალე, — პასუხობს ნიკუშა.

პატარა **თამარ მორჩაძე** სთხოვს მამიდას:
— მამიდა, რა ლამაზი გულსაბნევი გაქვს, მაჩუქე!
— კი, შვილი, რომ გაიზრდები, შენ უნდა გაჩუქო, — დაჰპირდა მამიდა.
— ახლა მაჩუქე, მამიდა, რომ გავიზრდები, დაგავიწყდება.

**თამარის** დედა სამსახურში მიდის. ბავშვი სხვა ოთახში გაჰყავს ბებოს, რომ დედას არ გაეტიროს. ცოტა ხანში თამარი ახსენებს ბებოს:
— გამიყვანე, ბებო, დედიკო უკვე წავიდოდა.

## III ააგოვნინეთ კონსტრუქტორს ორი ერთნაირი რაკეტა




## IV სახალისო გამოცანა

ა) ტანად უზარმაზარი ვარ,
მსხვილფეხა და ღონიერი.
ხორთუმ-ეშვებიანი ვარ,
კუდმოკლე და გონიერი.

* * *

ბ) ქათმის დიდი მტერია,
არის კუდაგრძელია
რა იქნება...?



წითელ წიწაკას მობეზრდა ღარიბ და უსინათლო საქართველოში ცხოვრება და გადაწყვიტა, თავის სამშობლოში, ბულგარეთში დაბრუნება. მოიმარჯვა ელექტროფარანი და გაუდგა გზას. მაგრამ სულ მალე გზა აებნა. სიარულით დაიღალა კიდეც და ისევ უკან, დაბრუნება მოინდომა, თუმცა, როგორც ხედავთ, დაბნეულობისგან ვერც ამას ახერხებს. დაეხმარეთ წიწაკას და უჩვენეთ უკან დასაბრუნებელი გზა.

საქართველო



## რებუსი I



## II მულტფილმვორდი



**თარაზულად**: 3. ნაკოკი; 6. ნეგა; 9. მიტო; 11. რასულამა; 12. ტოლპუ; 13. ლიდიანა; 14. ბლომკე; 15. ტორანიბუ.
**შვეულად**: 1. დილნოდა; 2. მაზრისა; 4. ბიბმე; 5. სუამი; 7. აქრაზა; 8. კოსიტა; 10. ულგიმა; 12. ბამპუ.

## მოთხრობა–გამოცანა

დათო, ნიკა, ლევანი და გია ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ. უცებ ერთ-ერთმა ბურთს ფეხი დაარტყა და ძია გურამს ფანჯარა ჩაუმტვრია. გამოვარდა გაბრაზებული ძია გურამი და ბიჭებს ჰკითხა: — რომელმა გატეხეთ ფანჯარა?
— ფანჯარა ნიკამ გატეხა, — წამოიძახა დათომ.
ნიკამ კი ყველაფერი გიას დააბრალა.
ლევანი თავის მართლებას მოჰყვა და ირწმუნებოდა, რომ მე არ გამიტეხიაო.
გიამ კი განაცხადა, — ნიკა ყოველთვის ცრუობსო.
დაეხმარეთ ძია გურამს სიმართლის დადგენაში და გამოიცანით, რომელმა გატეხა სინამდვილეში ფანჯარა. გაითვალისწინეთ, რომ სამი მათგანი ცრუობს.
(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანა, როგორც ჩანს, ძალიან ადვილი აღმოჩნდა. იმდენი პასუხი მივიღეთ, რომ მათი გამოქვეყნება ძალიან დიდ ადგილს დაიკავებს. დიდი მადლობა, რომ აქტიურად გვეხმიანებით და ასეთი ჭკვიანები ხართ. ხოლო, მათთვის ვინც ვერ გამოიცნო ვაქვეყნებთ სწორ პასუხს:*** კაცი ჯერ გადაიყვანს თხას, გამობრუნდება და გადაიტანს თივას, თხას ისევ უკან წამოიყვანს. გადაიყვანს მგელს და დატოვებს თივასთან. გამობრუნდება და ისევ თხას წაიყვანს.

## იპოვეთ 14 განსხვავება



## გააფერადე ფერადი ფანქრებით



დაეხმარეთ ფოსტალიონს ბარათების სწორად განაწილებაში

## V

მოძებნეთ დაბოლოება, რომელიც საერთოა რვავე სიტყვისთვის




## VI

გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით




## VII

მეგობრები დანაძლევდნენ: შესაძლებელია თუ არა წყლიანი ქილიდან ჭიქის ავსება ისე, რომ სითხის რაოდენობა ქილაში იმდენივე დარჩეს, რაც თავდაპირველად იყო. ეს შესაძლებელი აღმოჩნდა. გამოიცანით, როგორ იმოქმედა გამარჯვებულმა?



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 25-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ერი საზეპურო



# ჩვენება ნინაპართა

## უცხოელი მისიონერის თვალით

***საქართველოს საეკლესიო მატიანეში შემონახულია ანტიოქიის პატრიარქ მაკარის მოწმობა მე-17 საუკუნეში ქართველების სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესახებ:***

„სასულიერო პირებს ქართველები ძალიან მორიდებით ეპყრობიან, მათს ძვირს ვერასგზით ვერ ათქმევინებთ. როდესაც თავადები, დიდებულნი და მათი მეუღლენი გზაზე შეეყრებიან მღვდელმთავრებს, თუ ცხენით არიან, ჩამოქვეითდებიან და შორიდანვე დაუწყებენ მუხლმოდრეკით თაყვანისცემას, შემდეგ ადგებიან და მიიღებენ მათგან ლოცვა-კურთხევას. ამის შემდეგ, განშორდებიან უკანუკან დახევით, რათა ზურგი არ შეაქციონ და ხელმეორედ მუხლმოდრეკით თაყვანს სცემენ. ამნაირად იქცევიან, არათუ მარტო უბრალო ქართველნი, არამედ მეფე-დედოფალნიც. ძალიან უყვართ ქადაგება-დარიგების მოსმენა და დიდი ხალისით ასრულებენ დამრიგებლის სიტყვა-ბრძანებას. რაც უნდა უბედურება ეწიოთ, დიდი მოთმინებით, უდრტვინველად გადაიტანენ და ითმენენ. ვერ გაიგონებ მათგან სალანძღავ სიტყვებს არც სარწმუნოების და არც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულს, როგორც ეს ჩვენში არისო, — დასძენს მაკარი. ქართველი ქალები, ძალიან იშვიათი შემთხვევის გარდა, უბიწონი, ღვთისმოშიშნი არიან და ძალიან მკაცრად ასრულებენ საღმრთო მცნებებს. თვითეული დიდებულის ცოლთან უთუოდ მყოფობს ერთი ან ორი მოლოზანი, რომელთაც, როგორც ყველა დიდებულ ქალთა, კარგად იციან წერა-კითხვა. თვითეულ დღეს, ჩვეულებრივ, ლოცვების შესრულების შემდეგ, ისინი უთუოდ გალობენ ღვთისმშობლის იმ საგალობელს, რომელიც ჩვეულებრივად იკითხება დიდმარხვის მეხუთე შაბათს. ყველა დიდებული და მათი ცოლ-შვილნი ასრულებენ თავიანთ ქრისტიანულ მოვალეობას.

ქართველები მეტად გულკეთილნი, მოწყალენი და მორწმუნენი არიან. ძალიან უყვართ მიცვალებულთა მოსახსენიებლად წირვის შეკვეთა, რისთვისაც დიდძალ ფულს ხარჯავენ. უანგარიშო ფული ეხარჯებათ მოწყალების დასარიგებლად, ალაპების გასამართავად და სხვადასხვა კეთილი საქმისათვის, რითაც ისინი განირჩევიან მთელი დედამიწის ქრისტიანთაგან. განსაკუთრებით ქალები არიან განთქმულნი მოწყალების გაცემითა და კეთილ მეოჯახეობით. დიდებულთა ქალებს განუშორებლად ხელში აქვთ კრიალოსნები და განუწყვეტლივ ლოცვაში არიან ძვირფასად შემკული ხატების წინ. ქართველებს ძალიან უყვართ ზეთის კურთხევა და ამ საიდუმლოს შემსრულებლებს უხვად აჯილდოებენ. სადილობის დროს ყოველთვის გალობენ ძლისპირებს, კატავასიებს და სხვა სასულიერო საგალობლებს.

საგალობლებს გალობენ გლეხებიც პურის მკის, ყურძნის მოკრეფის და სხვა მუშაობის დროს. სადილის დროს, დიდძალ ღვინოს სვამენ, მაგრამ მთვრალი ან წესიერების დამრღვევი არასდროს არ მინახავს. ქართველები დიდი და განსაცვიფრებელი ცოდნის პატრონნი არიან, განსაკუთრებით ლოღიკის სფეროში. მათი მარხვა და ზომიერება საჭმლის მიღებაში პირდაპირ განსაცვიფრებელია.“

***ეს მოწმობა ამოღებულია ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის, ამბროსი ხელაიას ნაშრომიდან: „ქართველი ხალხი და ქრისტიანობა“. ქართველი კათალიკოსი გვამცნობს, რომ პატრიარქი მაკარი მოვიდა საქართველოში (იმერეთი) 1664წ. და დაყო იქ თითქმის ორი წელიწადი. აღწერილობა ეხება იმერეთს და განსაკუთრებით, სამეგრელოს...***



## რედაქციისაგან

*ჩვენი გაზეთის რუბრიკას „რას გვეტყვი, მამაო?“ თქვენგან გამოხმაურება მოჰყვა. ხშირად მოგვმართავთ მის გაფართოებაზე და გამრავალფეროვნებასაც. ითხოვთ:*

*„მაქვს ერთი სურვილი: ეს მარტო ჩემი აზრი არ არის და იქნებ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოთ. ვფიქრობთ, რომ რუბრიკას „რას გვეტყვი, მამაო?“ ძალზე ცოტა ადგილი ეთმობა ჩვენს საყვარელ გაზეთში. იქნებ შესაძლებელია ცალკე გვერდის გამოყოფა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩანართის გაკეთება. ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ მართლმადიდებელ მრევლს“. (ნათია დადიანი, ქუთაისი)*

*დღევანდელი ნომრიდან მოკიდებული, გაზეთში დროდადრო იხილავთ „საოჯახო-მართლმადიდებლურ საკითხავ“ გვერდს, რომელიც სალამოობით ბინის მყუდრო კუთხეში მიმსხდართ, მოგითხრობთ თქვენთვის საინტერესო ამბების შესახებ და პასუხად, სხვათათვის გასაზიარებლად მიჩნეული მოვლენების თაობაზე თქვენგანაც მიიღებს საყურადღებო ცნობებს.*

*„საოჯახო-მართლმადიდებლურ საკითხავ“ გვერდს ყოველი თვის ბოლო გამოშვებაში შემოგთავაზებთ.*

# უფლის ათი მცნება

ეგვიპტიდან გამოსვლის მესამე თვეს ებრაელები მივიდნენ სინას მთასთან და იქ დაბანაკდნენ. ღმერთმა გამოუცხადა მოსეს, რომ ებრაელებს გამოარჩევს ყველა სხვა ერისაგან და აღთქმის დადება სურს მათთან. მოსემ გადასცა თვისტომთ ღვთის ბრძანება და ერთხმად მიიღო პასუხი: „ყოველივე, რაცა სთქვა ღმერთმა, ვისმინოთ და ვყოთ“.

ღმერთმა უბრძანა მოსეს, მოემზადებინა ხალხი უფლის მცნებების მისაღებად და ებრაელები ორი დღის განმავლობაში განიწმინდებოდნენ ლოცვითა და მარხვით. ხოლო მესამე დღეს სქელმა ღრუბელმა დაფარა სინას მთის მწვერვალი, შეიქნა გრგვინვა და მეხის ტეხა, გაისმა საყვირის ხმა. კვამლში გაეხვია სინას მთა — რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში. უფალმა მოსეს მეოხებით გადასცა თავის რჩეულ ერს ათი მცნება, სადაც ჩამოყალიბებული იყო დამოკიდებულება კაცისა ღმერთთან და მოყვასთან. მცნებები აღბეჭდილი იყო ორ ფიცარზე.

**პირველ ფიცარზე:**

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნეს შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე;
2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა — ქვეშე ქვეყანისა. არა თაყვანჰსცე მათ, არცა მსახურებდე მათ;
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა;
4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი. ექვს დღე იქმოდე, და ჰქმენ მათ შინა ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა — ღვთისა შენისა;

**მეორე ფიცარზე:**

5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა;
6. არა კაც-ჰკლა;
7. არა იმრუშო;
8. არა იპარო;
9. არა ცილ-ჰსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა;
10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა აგარაკისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

სინას მთაზე ღმერთთან დადებული აღთქმით ადამიანებს სამარადისოდ დაესახათ უზენაესთან ერთობის გზები და საშუალებანი და ეს პირველი წერილი-სიტყვა, მამა ღმერთისა ყველა ჩვენგანისადმი ბოძებული, დასაბამი შეიქნა წერილი-ანდერძისა. ამ აღთქმის დამრღვევნი ვკარგავთ ღმერთთან კავშირს და საკუთარი ნებით ვაკლდებით წყალობას უფლისას.

# რას გვეტყვი, მამაო?

**— რატომ არ აღინიშნება ქეთევან წამებულის დღე 26 (13) სექტემბერს ისეთი მასშტაბებით, როგორც მაგ. თამარობა, ნინოობა, მარიამობა და სხვ. ყველამ კარგად ვიცით საქართველოსა და სარწმუნოებისათვის მისი საშინელი წამების ისტორია.**

— ეს შენიშვნა არ არის სამართლიანი — ქეთევან წამებულის ხსენების დღე ქართულ ეკლესიაში საზეიმო-სადღესასწაულო წირვით აღინიშნება. ამ დღეს უამრავი მომლოცველი მოდის ეკლესიაში, მეტადრე მისი სახელობის ტაძრებში და სთხოვს მეოხებას სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავშეწირულ დედოფალს.

**— 28 ივლისს აღინიშნება მოწამე კვირიკეს დღე. გთხოვთ, გვიპასუხოთ: ვინ იყო მოწამე კვირიკე და რა დამსახურება მიუძღვის ქრისტიანული ეკლესიის წინაშე?**

— ეს დღე დაწესებულია 3 წლის პატარა მოწამის მოსახსენიებლად. იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს დაწყებულ ქრისტიანთა დევნისას, მისმა დედამ, წარჩინებული საგვარეულოს შთამომავალმა ქრისტიანმა ქვრივმა ქალმა — ივლიტამ მიატოვა სახლ-კარი და მათხოვრის ნიღბით ბავშვთან ერთად იმალებოდა, მაგრამ ის იცნეს და მმართველ ალექსანდრეს სამსჯავროზე წარადგინეს. ივლიტამ უშიშრად აღიარა ქრისტეს სჯული, რის გამოც მმართველმა მისი გაჯოხვა ბრძანა. წამების დროს ივლიტა იმეორებდა: „მე ქრისტიანი ვარ და ეშმაკეულს მსხვერპლს არ შევწირავო“.

დედის ტანჯვის შემყურე ბავშვი ტიროდა და მისკენ მიიწევდა. ალექსანდრემ მისი მოფიერება სცადა, მაგრამ კვირიკე ხელიდან უსხლტებოდა და ყვიროდა: „დედასთან მიმიშვით, მეც ხომ ქრისტიანი ვარ“. მაშინ მმართველმა ბავშვი ქვის კიბეზე მოისროლა, პატარამ ქვის წამახულ კუთხეს თავი ჩამოჰკრა და სული განუტევა. ტანჯულმა დედამ, რომელმაც მოკლული შვილი იხილა, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ წამებულის გვირგვინი არ დაიშურა მისთვის. დიდი ხნის წამების შემდეგ წმინდა ივლიტა მახვილით აჩეხეს.

ხალხური რწმენით, წმინდა კვირიკეს და ივლიტას ოჯახური ბედნიერებისა და ავადმყოფი ბავშვების გამოჯანმრთელებისათვის ევედრებიან.

**— ჩემს ახლობლებს, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, ოჯახში ჰყავთ ძაღლი, რომელსაც „შაითანა“ დაარქვეს სახელად (შაითანა თათრულად ეშმაკს ნიშნავს). გთხოვთ განგვიმარტოთ, სახიფათოა თუ არა ეშმაკის სახელით წოდებული ძაღლის ყოლა ამ ოჯახისათვის?**

— ძაღლი სულიერი და ზნეობრივი თვალსაზრისით ნეიტრალური არსებაა, ამიტომ მის სახელს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. მაგრამ ადამიანთაგან სატანის სახელის ხმობა, თუნდაც სხვა ენაზე, გაუმართლებელია, მით უფრო იმგვარ სიტყვათშეთანხმებებში, როგორიცაა „მოდი აქ, შაითან!“, „წავიდეთ სასეირნოდ, შაითან!“ და მისთ. სიტყვა „შაითანი“ ბიბლიური ტექსტების სხვადასხვა ენაზე თარგმნისა და შეჯერების დროს იხმარება როგორც „ეშმაკის“ სინონიმი. ამდენად, გარკვეულწილად იგი ჩვენთვისაც ნეგატიურ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

გულითადი განდობანი

# ქართული ხასიათი

*დღეს, როდესაც რაღას არ ჰყვებიან ქართველების საყოველთაო მანკიერებასა და უკეთურობაზე, მე საპირისპირო მაგალითების შესახებ მსურს მოგითხროთ:*

ანჩისხატის წინამძღვარმა, მამა რევაზ ტომარაძემ ასეთი შემთხვევა გვიამბო თავის ქადაგებაში: ღვინის საყიდლად ჩასულა ერთი კაცი კახეთში მეგობრითურთ. ოჯახის მასპინძელმა ქვევრიდან გაასინჯა საუკეთესო ღვინო, მერე ჭურჭელში ჩაუსხა და გაატანა. მყიდველები ალაზანს არ იყვნენ გადმოცილებულნი, რომ დაეწია, თავიანთი ფული დაუბრუნა და ღვინო გადააქცევინა. გაოგნებულ მყიდველებს მხოლოდ ამის შემდეგ აუხსნა საქმის ვითარება: მათი წამოსვლის შემდეგ ქვევრთან მიბრუნებულს დანარჩენი ღვინოც ამოუღია და ვირთხა უნახავს ჩამხრჩვალი ქვევრში!

*კიდევ ერთი მოგონება, მამა რევაზისაგან მოსმენილი:*

„ორიოდე ათეული წლის წინ პატრიარქს ვახლდი სიკვდილმისჯილთა დილეგში. ერთმა პატიმარმა ასეთი რამ გვითხრა: — მე მაინც უნდა დამხვრიტონ და მანამდე ჩემგან სისხლი აალებინეთ, იქნებ ვინმე ავადმყოფს გამოადგესო!

***ნ. მერაბიშვილი, თბილისი***

# უფლისაგან მოვლენილი „კეთილი ანგელოზი“

ზუსტად არ მახსოვს, 1989 თუ 90 წელი იყო. რუმინეთში, ქალაქ იასში მომიხდა გამგზავრება: მეზობლის ქალებმა ამტეხეს — ცოტას რასმე აქედან წაიღებ, ცოტას იქიდან წამოიღებ და ოჯახსაც შეეხიდები, თვიდან თვემდე ძლივძლივობით რომ გაგაქვთ თავიო. მაგრამ ეგეთ საქმეს ხომ შნო და მარიფათი უნდა: ისინი ვაჭრობაში გაჩვეულები იყვნენ, ორ დღეში მიყიდ-მოყიდეს ყველაფერი, მე კი ხამი და გამოუცდელი, ვდგავარ ჩემსავით ძაღლუმადურად ჩარიგებულ მეწვრილმანეებს შორის მოედნის კუთხეში და ღვარად ჩამომდის ცრემლები.

უცებ ჩემს პირდაპირ ეკლესიის დიდ, ჯვრიან გუმბათს მოვკარი თვალი, მთლად გული ამომიჯდა. თან ვტირი და თან ვთხოვ უფალს: — ღმერთო, შემომხედე, როგორი უმწეო და უღონო ვარ, ნუ დამტოვებ შენი ნუგეშის გარეშე, შემეწიე, შენს სახელს ვენაცვალე-მეთქი!

ეს თხოვნა არ დამემთავრებინა, რომ მომიახლოვდა ერთი ახალგაზრდული შესახედაობის, მშვენიერი გარეგნობის ქალი და მეუბნება: — მე დაგინახე, რომ შენ ლოცულობდი, პირჯვარსაც მართლმადიდებლურად იწერდი... სადაური ხარ და რა გაგჭირვებიაო? მე არ დავუმალე და ჩემი ვინაობა და ჩემი სადარდებელიც სრულად გავანდე. იმ ქალმა პატარა ბარათზე რაღაცა დაწერა და მითხრა, რაც ჩამოტანილი გაქვს, ამა და ამ უნივერმაღში მიიტანე, ჩემი სახელით მიდი და ყველაფერს მოგიგვარებენო. მერე მეორე ბარათზე თავისი ვინაობა და მისამართი დამიწერა და დასძინა, თუ კიდევ რამე გაგიჭირდეს, ამ მისამართზე მომაკითხე და დაგეხმარებიო.

სულ ფრენა-ფრენით მივედი უნივერმაღში. მართლაც გამგემ ერთიანად ჩაიბარა მთელი საქონელი ჩემთვის ხელსაყრელ ფასში და მეც შვებით ამოვისუნთქე.

როგორც კი ტვირთი ჩამომეხსნა, მაშინვე ჩემი კეთილისმყოფელისაკენ გავეშურე მადლობის სათქმელად. მისამართი ტელევიზიისა აღმოჩნდა. მისაღებში ბარათი ვაჩვენე, დაუძახეს და გამომეგება ჩემი მშვენიერი ქალბატონი — თურმე ტელევიზიის დიქტორი ყოფილა. — რამ შეგაწუხა, კიდევ ხომ არაფერი შეგემთხვაო — მკითხა თანაგრძნობით. — რას ამბობთ, — ვეუბნები და კიდევ ცრემლები მომდის, ახლა უკვე სიხარულის — მადლობის სათქმელად მოვედი, ჩემს სამშობლოში უნდა დაგპატიჟო-მეთქი!

მას მერე სულ ველოდებოდი და საგულდაგულოდ ვემზადებოდი, მაგრამ გადატრიალების შემდეგ აირია ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და მე დღემდე დარდად მაწევს, რომ აქამდე ვერ ვუმასპინძლე უფლისაგან მოვლენილ ჩემს „კეთილ ანგელოზს!“

***ც.ნ. ბორჯომი***

# თანაზიარი გრძნობა

ჩემს პატარა ნინიკოს, როცა ის ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვი იყო, დედ-მამა ავარიაში დაეხოცა. მარტოხელა ქალმა ბავშვთა სახლიდან წამოვიყვანე პაწაწინა და როგორც შემეძლო და რა საშუალებაც მქონდა, ვეცადე, არაფერი მომეკლო, რათა ღირსეული ქართველი ქალი დამდგარიყო. ოღონდ, ზედმეტი ტრავმა რომ არ მიმეყენებინა, არ მომიყოლია მისთვის მშობლების დაღუპვის ამბავი და მე მშობელ დედად მთვლიდა.

მაგრამ „ავის ენისა გესლმან“, უკვე ზრდასრული და ჩამოყალიბებული ქალიშვილის დედას, მთელი ცხოვრების სალირალი განსაცდელი მაწვნია. მეზობელ ქალთან მომივიდა უსიამოვნება და ავსიტყვაობით რომ ვერაფერი დამაკლო, გადაწყვიტა, ჩემს ყველაზე მგრძნობიარე სიმებს შეხებოდა და არც კი დაუმალავს, ისე მომახალა: — იმით მაინც გაგამწარებ, შენს ქალიშვილს გავუმხელ მისი წარმოშობის ამბავსო. და კიდეც აასრულა დანაქადი.

ეს ამბავი რომ გავიგე, კინაღამ ცნობიერება დავკარგე, ფეხთ მომეკვეთა და როგორ ვიყავი, ისევე ჩავესვენე სავარძელში. არ ვიცი, რა შიში და მღელვარება დავარქვა იმ გრძნობას, მე რომ დამეუფლა ავის მოლოდინში, მაგრამ ცდა დიდხანს არ დამჭირვებია — იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ ჩემი გოგონა: ვხედავ, კარი გამოაფრიალა, შემოიჭრა ოთახში, მომვარდა, ჩამეხვია და მეუბნება — დედა, ჩემო საყვარელო დედიკო, მე ყველაფერი ვიცი, მე შენ ახლა უფრო მიყვარხარ, ათასჯერ უფრო მეტად მიყვარხარ!

***დ. ბ. რუსთავი***



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქუთათელაძემ***



## თარაზულად:



7. ჩრდილო ამერიკის პრერიებში უწინ გავრცელებული ცხენი



8. ქუჩაში შექმნილი დაბრკოლება



10. ნახევრად ლიტველი მსახიობი



11. ვაჟა...



12. დედამიწის ნაწილი

15. ამჟავებული ღვინო



16. მტაცებელი



18. მცენარის გამრავლების ორგანო



19. ქალ-ვაჟი (ერთად)



20. რუსეთის ქალაქების გამაგრებული ნაწილი



24. სააკვარიუმო თევზი

25. ჰაერის ძირითადი შემადგენელი აირი



26. ბილი ჰილარის მიმართ



29. სამშენებლო მექანიზმი



31. ძველბერძენი მათემატიკოსი



32. ღვთაება

33. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო

34. ღვთისმოსავი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიიჩნევენ მფარველად

## შვეულად:



1. (სამკაული)



2. (ტრანსპორტი)



3. მოძრავი ნაწილი



4. ხილი

5. აზროვნების უნარი, გონება



6. უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წოდება



9. დიდი ტალღა



13. (ხმიანობა)



14. მაყურებელთათვის მომაბეზრებელი ჩართვები ტელევიზორში



16. ტოტებად დაყოფილი მდინარის შესართავი



17. ედუარდ IV, ედუარდ V, რიჩარდ III (დინასტია)



21. ძუძუმწოვარი



22. (მოფერებითი სახელი)



23. საქსონიის სამეფოს დედაქალაქი



27. ორგანიზმის ზრდისათვის საჭირო ნივთიერებების მიწოდება



28. სამოთხის ბაღი



30. კბილის სახელწოდება



32. კრაზანის ბინა

**კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №47 კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 7. ნაპოლეონი; 8. გარდერობი; 10. დრენაჟი; 11. ვარხვი; 12. ტლანქი; 16. მიჯნურობა; 18. წნეხი; 19. ჯაყვა; 20. ინდოეთი; 21. ტრამვაი; 25. თოვლი; 26. ტბორი; 27. თბილისელი; 30. ემბაზი; 33. შტამპი; 34. წუწაობა; 35. ქრისტიანი; 36. ესკადრონი.
**შვეულად:** 1. პანტალონი; 2. ბლაგვი; 3. ქნარი; 4. შარჟი; 5. კედელი; 6. ობიექტივი; 9. უნიკუმი; 13. პირველობა; 14. თბომავალი; 15. ფხვნილი; 22. ქანაობა; 22. დოზიმეტრი; 23. ბრინჯაო; 24. ტრამპლინი; 28. აზარტი; 29. მტრედი; 31. ტურნე; 32. იბისი.

## ბინები

2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა, 4(8), რკინის კარით, თერმექსით, ბ/აირით (ჭერი – 2,75). მის: ქურდიანის ქ. №2 (მუშტაიდის ბაღთან), II სად. ტელ: 34-39-98; 899 10-49-79

ან იცვლება თბილისიდან ქუთაისში 2 ოთახიანი ბინა მიშენებით, გადაკეთებული 3 ოთახად, IV სართულზე, ტელეფონით და ბუნებრივი აირით. მის: ბახტრიონის ქ. (მ. „პოლიტექნიკურიდან" ერთ გაჩერებაზე). ქუთაისში ვისურვებდით სახლს ბელეტაჟზე, საფიჩხიის მიდამოებთან ახლოს (600 მეტრამდე ეზოთი). ტელ: 57-12-30. ბუდუ; 2-20-02 (ქუთაისი). ნუგზარი

საბურთალოზე 4 ოთახიანი, დიდი ფართის ბინა – 180 კვმ, IV სართულზე, (ზალა – 70 კვმ, სამზარეულო – 20 კვმ), ტელეფონით, ბ/აირით, რკინის კარით, 2 აბაზანა-ტუალეტით, 2 გარაჟით (2 ავტომანქანაზე). ფასი 46.000$. ტელ: 38-20-98

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## ქირავდება

გამსახურდიას გამზირზე, მ. „პოლიტექნიკურთან" ახლოს, 3 ოთახიანი კუთხის ბინა, II სართულზე, მიშენებული ლოჯიით, ტელეფონით, მუდმივი გაზით, რკინის კარით. გამოიყენება საოფისედ. ბოლო ფასი 150$. ტელ: 39-43-22; 899 17-87-70

## მილოცვა



შესანიშნავ ქალბატონს, სათნოსა და მოამაგეს, ღვაწლით დამშვენებულ საყვარელ ბებიასა და დედას ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ, დიდხანს გაელამაზებინოს ჩვენი ცხოვრება თავისი გვერდით ყოფნით... იდღეგრძელე ჩვენო

**ნინა ბებია!**

*შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები*

**ჩემი დალის შვილიშვილს!**

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაიბადა ჩვენი სოფო,
ნინო-ზაზას სიხარული, საყვარელი გოგო.
ულოცავენ მახლობლები, გაბრწყინებულ თვალებით,
სიყვარულის დიდი გრძნობით, მრავალფერ ყვავილებით.
ეს ნანატრი თოჯინა, სისხლით, ხორცით ივსება,
სილამაზით, სწავლა-ცოდნით მშობლებს დაემსგავსება.
ასახელებს სამშობლოს, ეყვარება ქართული,
სწავლითა და ზრდილობით ის იქნება განთქმული!

*დიდედა თამარ კეჩხუაშვილი*



ქ. ხაშურის კოლეჯის მე-3 კლასის მოსწავლეს

**რუსუდან ქიმერიძეს**

დაბადების დღეს – 27 ნოემბერს ულოცავს საყვარელი *ველა ბიძია*. უსურვებს, ლამაზად გაევლოს ბავშვობის წლები და გაზრდილიყოს ჩვენი ერის სასახელო შვილი, მშობლებთან და და-ძმასთან ერთად.

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 4-13-86 (ქუთაისში)

გიწვევთ 18-60 წლამდე მიზანდასახულ და ენერგიულ ადამიანებს ოფისში, მენეჯერ-კონსულტანტად, მაღალი ანაზღაურებით, მრავალი შეღავათით, საინტერესო პირობებით (არ არის ვაჭრობა). ტელ: 37-30-50; 77-75-97. ლევან ტერტერაშვილი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია, – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, 1 სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ექიმი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობის მკურნალობას სრული მორჩენის გარანტიით – ელექტროეპილაციას ინდივიდუალური ნემსით, ანესთეზიით, გაღიზიანების გარეშე. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 52-45-29

კოსმეტოლოგი ქეთევან ბიჭიაშვილი გთავაზობთ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, ძალიან სწრაფი ეფექტით (თანხის დაბრუნების გარანტიით), სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, ნელსაცხებლებს, ჭორფლის და ლაქების მოცილებას, ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტას. მის: მეტრო „ახმეტელის თეატრის" თავზე, მაღაზია „მარიამის" სილამაზის სალონი. ტელ: 67-48-44; 897 58-48-54 (სამუშაო დღეები – ლუწი რიცხვები).

სილამაზის სალონი „სტილი" – თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმა მცირდება და ქრება); ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა – 4-5 ლარი; შეღებვა – 5-10 ლარი; მელირება – 10-15 ლარი; ქიმიური დახვევა-გასწორება – 15-20 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკის და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, სტილისტი ლალი. ტ: 96-22-89; 94-01-82

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

COMPUTER COMPANY PULSAR – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ადვოკატურა, იურიდიული მომსახურება, ფირმების სწრაფი რეგისტრაცია. ხელშეკრულებების შედგენა და უფასო იურიდიული კონსულტაცია. მის: მიხეილ ჯავახიშვილის (ელბაქიძის აღმართი) №12, ოფისი 37, 35 (III სართ.) ტელ: 93-65-58; 93-56-76 (10-19 სთ)

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე, არაბულ ტახტებზე, სკამებზე მატრასის დარბილება-გადაკვრა-განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ახალ გასაშლელ სამეულებს შეკვეთით. ტელ: 95-27-88. ვალერი

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე, არაბულ ტახტებზე, სკამებზე, ზამბარებიან მატრასებზე დარბილება-გადაკვრა-განახლებას. აგრეთვე ვამზადებ სამეულებს შეკვეთით. ტელ: 95-72-98. ვალერი

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება). კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. აგრეთვე ვამზადებთ ახალ სამეულებს ტელ: 69-45-18. გიორგი

ვამზადებ გასაშლელ დივან-სავარძლებს, კუთხეს, ფერის და ზომის მიხედვით, აგრთვე ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სკამებს, ლეიბებს, არაბული ტახტების აღდგენა-განახლებას, მყარი გარანტიით, შეღავათიან ფასად. ტელ: 61-19-84

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს 17-19 სთ, შაბათს 12-16 სთ.

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, სამწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: ვორონინის ქ. №25, II სართ. („დინამოს" სტადიონთან). ტელ: 34-04-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ბავშვებში ენურეზის (უნებლიე შარდვა), ეპილეფსიის, ენაბლუობის, ალერგიის, დიათეზის, ცერებრალური დამბლის (ადრეულ ასაკში) მკურნალობა – მხოლოდ უნიკალური ბალახებით, სპეციალურად ბავშვებისათვის. ტელ: 95-33-47

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

ქართული ფლორის მცენარეებითა და ფრანგული პრეპარატებით გთავაზობთ ჩიყვის, საკვერცხის, თირკმლის, კისტის, ფიბრომის, საშვილოსნოს მიომური კვანძების, კუჭის წყლულის, ბუასილის მაღალეფექტურ და გარანტირებულ კომპლექსურ მკურნალობას უოპერაციოდ. მის: დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფანასკერტელის პოლიკლინიკა," კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. (მიღება წინასწარი ჩაწერით, ყოველდღე, გარდა კვირისა). ტელ: 95-83-54 (სამს); 95-62-42 (ბინა); 897 58-29-18

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული ეფექტით!!! მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკის ამოვარდნა (დისკოზი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები). ექიმის კონსულტაციები უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-02-97; 69-91-92. (კაბ). ექიმი ალექსიშვილი

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

ვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 32-16-04. ელისო

შევასწავლი თურქულს. ტელ: 39-77-81. მარინა

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას: WINDOWS; WORD; EXCELL; PAGE MAKER; FHOTOSHOP; QUARK-OPRESS; INTERNET – E-MAIL. სწავლება ინდივიდუალურია. გვაქვს მუდმივი დენის წყარო. გაიცემა სერტიფიკატი. ფასი – 25 ლარი. სწავლების მაღალი ხარისხი გარანტირებულია. მის: გაბაშვილის №7 (მ. „რუსთაველთან"). ტ: 98-80-23.

გიწვევთ გიტარაზე დაკვრის შესწავლის მსურველებს, პოპულარული საესტრადო სიმღერების, ტექნიკური შესავლების აკომპანირებით, ეფექტური რითმების და კლასიკის (ესპანურები), შესასწავლად. სწავლის მაღალი დონე და ფართო რეპერტუარი გარანტირებულია. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო ფლერადობის გიტარები. ტელ: 96-22-33

ვიწვევ 4-12 წლამდე მუსიკალურად ნიჭიერ ბავშვებს. ვოკალურ ჯგუფში შეისწავლება ტრადიციული ქართული სიმღერები. გამორჩეულთათვის სპეციალურად დაიწერება ახალი საესტრადო სიმღერები. ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო კონცერტებსა და ტელე-გადაცემებში. მეცადინეობა შაბათ-კვირას. ფასი: 8 გაკვეთილი – 40 ლარი. ტელ: 34-21-15. მარიკა

## იყიდება

სასწრაფოდ! ტავერნა-ბარი „გეა", მუშა მდგომარეობაში. ს/ფ – 105 კვმ. მის: კუტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

გთავაზობთ MERSEDES-ის („მერსედესი") სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 33-13-72 (13-18 სთ); 60-34-68 (20 სთ-დან). FAX: 33-13-51

1. ძველებური, ყავისფერი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინა-ბარით. ფასი 900$; 2. „რაკუშკების" ფარდა. ფასი 100 ლარი. ტელ: 23-07-65

ხეხილის სხვადასხვა ჯიშის ნამყენი ნერგები, ვარდები და უწამლავი ვაზები. მის: სანერგის დასახლება (ლოტკინის დასახლების გვერდით). ტელ: 66-97-05. ამირანი

ნატურალური ტყავის, ზურგდამჭერი ქამრები ბეჭებში მოხრილი ბავშვებისა და ყველა ასაკის ადამიანისთვის; ტყავის ორმაგი სპეციალური სამედიცინო ქამრები რადიკულიტის, დისკოზისა და იშიაზისათვის და ახალფეხადგმული ბავშვებისათვის სატარებელი „ალვირები". ტელ: 53-46-41; 899 58-60-64; 14-04-29 (რუსთავი). მედიკო

## სხვადასხვა

კერძო ბაღი „ცეროდენა" აცხადებს აღსაზრდელთა მიღებას (2-6 წლის ჩათვლით). 3-ჯერადი კვება, პედიატრ-ფიტოთერაპევტის მომსახურება, ენები, მუსიკა, სადღელამისო ჯგუფი, ბინაზე მომსახურება. ადგილები შეზღუდულია! ტელ: 95-83-54 (სამსახური); 95-62-42 (ბინა); 897 58-29-18. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი

დედოფლისწყაროს რაიონული სააღსრულებო ბიურო იტყობინება, რომ 2000 წლის 28 ნოემბერს სიღნაღის რ-ნის სოფ. მაღაროში დანიშნულია იძულებითი აუქციონი, იყიდება ს/საზოგადოება „იორის" მაღაროს ღვინის ქარხანა. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა და მესამე პირებმა მიაკითხონ სასამართლო აღმასრულებელ ლეკიაშვილს აუქციონის დაწყებამდე, სიღნაღის რ-ნის სასამართლოს შენობაში, ც. დადიანის ქ. №15

## ხსოვნა

**გივი ხარაზიშვილის მონატრება**



ხუთი ცრემლიანი თვე გავიდა, რაც წახვედი. გვიმძიმს შენთვის დაბადების დღის მილოცვა. არადა, როგორი სიხარულით ველოდით ყოველ წელს ამ დღეს. გვიხაროდა, გვჯეროდა ცხოვრების მარადისობის და არც ვფიქრობდით, ეს დღე ოდესმე მწუხარების მომტანი თუ იქნებოდა.

როგორ განვიცადეთ, როცა თბილისიდან წახვედი და შენი ნახვის იმედი დავკარგეთ. მაშინ მივხვდით, თუ როგორ გვივსებდი და გვიმსუბუქებდი ცხოვრებას, როგორი ძლიერი კედელივით გვედექი გვერდით თითოეულ ჩვენგანს. ძალიან მოგვაკლდი! თუმცა იქიდანაც ახერხებდი, შენი სითბო ჩვენთვისაც მოგეწვდინა.

ღმერთმა უსაზღვრო სიყვარულის ნიჭით დაგაჯილდოვა. ასე უსაზღვროდ გიყვარდა შენი ოჯახი, მეუღლე, შვილები, ნათესავები, მეგობრები და... საქართველო. შეხვედრაზე არც ვოცნებობდით, მაგრამ... შენ ხომ სიურპრიზები გიყვარდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თბილისში რომ დაგინახეთ. შენ ხომ ნამდვილი თბილისელი ბიჭი იყავი. როგორ ვერ ვიგრძენით – თურმე შეუძლებელი შეძელი, რომ უკანასკნელად მოეფერებოდი თბილისს და შენს მეგობრებს. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ასეთ წმინდა დღეს დაიბადე. ჰოდა, გილოცავთ, ჩვენო საყვარელო მეგობარო!

დაბადების დღეს და გიორგობას გილოცავთ *შენი მეგობრები!*

**ბაგრატ პლატონის ძე ინჯგიას ხსოვნას**



ერთი წელი გადის, რაც ჩვენთან აღარა ხარ. გვიჭირს უშენოდ. დიდი ტკივილი დაგვიტოვე. თითქოს დაცარიელდა შენი კარმიდამო, სადაც ყველაფერს შენი ხელი ატყვია. შეუდარებელი მეუღლე, მამა, ბაბუა, პედაგოგი იყავი. სკოლა და ოჯახი შენთვის განუყოფელი იყო, ორივესთვის ერთნაირად ზრუნავდი. როგორ გიხაროდა, შენს ერთ-ერთ შვილიშვილს შენი სახელი რომ ერქვა. როგორ გინდოდა, შენი თვალით გენახა, თუ როგორ შეაბიჯებდა შენი პატარა სეხნია შენსავე სკოლაში, სადაც დირექტორად 20 წელი გიმუშავია, მაგრამ არ დაგცალდა...

სამართლიანი კაცი იყავი. გზასაცდენილი კაცის სწორ გზაზე დამყენებელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

**იზო მინდიაშვილის მონატრება**



ერთი წელი გავიდა, იზო, რაც წახვედი. დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. ერთგული იყავი, ულალატო, სულით ხორცამდე სპეტაკი, ჭირსა და ლხინში თანმდგომი. შენ ერთადერთი გვეგულებოდი ულალატო ადამიანად და შეუცდომელ მრჩევლად.

ღმერთს მადლობა, რომ ათეული წლები შენთან სიახლოვე გვარგუნა, სავსენი ვიყავით შენით, ვერ ვუთავსებთ უშენობას.

წუთია წუთისოფელი და ადრე თუ გვიან, შენთან შეხვედრა გვრჩება იმედად.

მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ისეთი უჩვეულო სითბოთი და ალალი ცრემლით დატირება, როგორიც შენ გერგო. დარჩა ტკივილი, ტკბილი მოგონება და აუტანელი სევდა. გვენატრები, ძალიან გვენატრები...

*შენი თინიკო, დოდო, ციალა დეიდა, ნათია, ლევანი*

**გიორგი (ჟორა) ქორიას ხსოვნას**



ერთი წელი გავიდა, მამა, მას შემდეგ, რაც უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ, აფხაზეთში. დრომ ვერ განკურნა ის ტკივილი, რაც შენი წასვლის შემდეგ დაგვრჩა. ძალიან გვენატრები, ხშირად გახსენებთ და განვიცდით იმას, რომ ჩვენი უნახავი წახვედი ამ ქვეყნიდან. ამაოდ ვცდილობთ, დედას შევუმსუბუქოთ უშენობა. ის დღესაც დარაჯად უდგას შენს საფლავს. ჩვენ ხშირად ვერ ჩავდივართ, მაგრამ როცა ჩავდივართ, ერთნაირად ვეფერებით შენს მონატრებულ საფლავსა და ჩვენს მშობლიურ აფხაზეთს. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მამა.

*შვილები: გულნარა, მადონა, ლარისა, გულისა, ლიანა*

**გოჩა კოტრიკაძის გახსენება**



საყვარელო მამიკო! ტრაგიკული იყო ჩვენთვის 2000 წლის 21 მაისი. უშენოდ მიდის თვეები.

მამიკო, ძალიან გვაკლიხარ. განგებამ ხანმოკლე სიცოცხლე მოგანიჭა. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა შენი აუხდენელი ოცნებები. შენ ძალიან კეთილი, ძალიან ლამაზი იყავი და ასეთივე იქნები შენი შვილების მეხსიერებაში.

შენი შვილები პირველად შევხვდით გიორგობას უშენოდ. უფალს ვევედრებით, შენს სულს დაუმკვიდროს ნათელი და ცხონება მარადიული.

*შენი საყვარელი შვილები: მაკა, ეკა და გიორგი*

**პირველად უშენოდ**

*(ჯენერი მაისურაძის ხსოვნას)*



ჩემო საყვარელო ძმაო, ჯენერ! ამ დღეს, 22 ოქტომბერს მოვიდა საზარელი, თავზარდამცემი სიკვდილი და ისე უცებ წაგვართვა შენი თავი, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარით. შენ აღარა ხარ, უშენობით ცარიელი დღეები კი საოცარი სისწრაფით მიქრიან.

ცხოვრების გზა კაცური კაცის სახელით განვლე, მაგრამ ნაადრევად მიატოვე სიყვარულით შექმნილი ოჯახი, შენი მეუღლე და საყვარელი შვილები. გვაკლიხარ, გვენატრები ყველას, ვისაც კი შენთან მეგობრული, მეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობა ჰქონია. მოგვენატრები ყოველდღე და ყოველწამს, არც კი ვიცი, რა შეავსებს ამ მონატრებას. მოგონებებში გაგიხსენებთ, შენ მაგივრად შენს სურათებს მოვეფერებით, შენს სამუდამო სასუფეველს კი მუდამ გავალამაზებთ. მენატრები, უზომოდ მენატრები, ჩემო საყვარელო ძმაო ჯენერ.

*შენი ძმა ვალიკო მაისურაძე*

**მიმოზა ყალიჩავას ხსოვნას**



წელიწადი სრულდება 30 ნოემბერს, რაც უკურნებელმა სენმა ნაადრევად წაგვართვა შენი თავი. შენი სიკეთისა და სიყვარულისთვის მარადიულ ტკივილად დარჩი მეგობრებისა და ნათესავების ცხოვრებაში. ყველას ძალიან გვიჭირს უშენობა, მე კი – ყველაზე მეტად. ვერ მოესწარი ჩემს გაზრდა-დავაჟკაცებას. მართალია, მე სითბო და სიყვარული არავისგან მაკლია, მაგრამ შენი ხომ სულ სხვა იყო, ჩემო საყვარელო დედიკო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

*შენი სანდრო*

**ნოდარ კორტავას გახსენება**



24 ნოემბერს 40 დღე შესრულდა შენი გარდაცვალებიდან, ბატონო ნოდარ!

განუზომელი ტკივილითა და სევდით არის სავსე ეს დღეები შენი მეუღლის, შვილების, დებისა და შვილიშვილებისათვის. მძიმე დარდითაა გაჯერებული შენი მონატრება ნათესავების და მეგობრებისათვის.

სამოცდათორმეტი წელი იცხოვრე ამ ქვეყანაზე და ამ ხნის განმავლობაში ვის არ გასწვდა შენი სიკეთის ხელი – შინაურსა და გარეშეს, ნაცნობსა და უცნობს – უანგაროდ, ჩუმად, უხმაუროდ. ზნეკეთილობა და სიყვარულის ნიჭი დაგანათლა არსთგამრიგემ და ასეთი გზით იარე მთელი ცხოვრების მანძილზე.

„არს მწუხარება სულისა, არა აქვს ნუგეში რომელსა..." შენი არყოფნის ტკივილს ვერავინ და ვერაფერი უწამლებს ამქვეყნად... დარჩა სევდა განუკურნებელი, უკიდეგანო და ღრმა სინანული, რომელსაც შენი სახელი ჰქვია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული! მსუბუქი იყოს შენთვის საყვარელი ქართულ მიწა.

*ოჯახი*

**თორნიკე მდივანის ხსოვნას**



ოცდამეოთხე შემოდგომა გაფერმკრთალდა... ილევა უშენო მეორმოცე დღე...

წინათგრძნობა თუ ბედისწერა არ გასვენებდა, იქნებ ამიტომაც გვეჩვენებოდი წინააღმდეგობებით აღსავსე. ვინ იცის, როგორ გტკიოდა, ვერ კი გიწამლეთ. სულს თავისუფლება ეწადა, ჩვენ – ჩარჩოებს გთავაზობდით, შენი ძლიერი მკლავის იმედად იყავი, მდაბლებმა დანით დაგჯაბნეს, ჩვენ ბოლმით ვივსებით, შენ კი – „შევიცოდებდიო" – გვეტყვი.

„უფალო ღმერთო, რად გამაჩინე" – წაიმღერებდი სამდურავს, მაგრამ რატომ? გამოჩნდებოდი და, კი არ მოდიოდი, მოაშუქებდი – ტანადი, ნათელი, მომხიბვლელი... გვილამაზებდი უღიმღამო ცხოვრებას და გაგვასწარი, რომ იქაც შენსავით ლამაზად შეგვხედე.

სულის სალბუნს ითხოვდი, სითბო გჭირდებოდა, შენდა უნებურად ეძებდი, იქნებ პოულობდი, იქნებ – ვერა. ასე მარტო რატომ ყოფილხარ, ბიჭო, ბოლოსაც მარტო – გმირულად მარტო, თუმც უკვე განწირულად... ვემშვიდობებით შენს თავისუფლებანაპოვნ სულს და პატიებას გთხოვთ, თუკი ვერ გაგიგეთ...

სამუდამოდ გადაინაცვლე სიმშვიდეში, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, სადაცაა გამოჩნდები, შენებურად ჩაიღიმილებ და ბავშვური გულწრფელობით გვეტყვი: „Ребятя, даваите жить дружно!"

*ახლობლები*

**გიორგი და უშანგი ზერეკიძეების მონატრება**

23 ნოემბერი გიორგის ცხოვრების და უშანგის იმქვეყნად დამკვიდრების საწყისია. მათმა წასვლამ ბედნიერება წაართვა ოჯახს. გიორგის დაკარგვით თავგზააბნეულ ოჯახს მალე კვლავ უდიდესი მწუხარება დაატყდა. მცდელობის მიუხედავად, სიკვდილზე გამარჯვება შეუძლებელი შეიქნა. ბიძა-ძმისშვილის აღსასრული ტრაგიკული აღმოჩნდა, თუმცა ისლა გვანუგეშებს, რომ მათი სამკვიდრებელიც ახლა ერთადაა. გიორგის მადლი გფარავდეთ, ბიჭებო.

*ნათელა სანაძე*

# ჩაერთე და მოიგე...

## 16.X-30.XII.2000

## 18+30=48

SIM ბარათი ავანსი ჩართვა

•

## საყოფაცხოვრებო ტექნიკა

SIEMENS

•

## დასვენება საზღვარგარეთ

•

# ავტომანქანა

## 250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს“ ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვ ნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელ-ის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილოებას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯეოსელი GSM

## ავტომობილის ისტორია

# ნაწილი IV. ავტომობილი ყველასთვის

1911 წელს ჰენრი ფორდმა გადაწყვიტა თავის საამქროებში ჩიკაგოს ხორცის გადამამუშავებელი ფაბრიკის ჯაჭვური სისტემა დაენერგა. იგი იმედოვნებდა, რომ საწარმოო დროის მნიშვნელოვანი შემცირებით ავტომობილზე ფასს დასწევდა. ასე მის მანქანებს მთელი ამერიკა შეიძენდა და მოგებაც კოლოსალური იქნებოდა. ბოლო მოდელი „ფორდ-T“ (ლიზი) საამისოდ კარგ შანსებს იძლეოდა — კონსტრუქციულად მარტივი იყო, ხალხშიც პოპულარობით სარგებლობდა, ეგაა, ცოტა ძვირი ღირდა...



ფორდის პირველი საამქრო

ვლადიმირ მაიაკოვსკი ნაწარმოებში „ამერიკის ჩემეული აღმოჩენა“ შესანიშნავად აღწერს ფორდის მიერ დანერგილ მეთოდს: „მუშაობის ობიექტი წინ, მუშებს შორის მიიწევს. თავიდან ძარა შიშველია, თითქოს სამოსელი გაუხდიათო. ერთნი ბორბლებს უკეთებენ, მეორენი — კარსა და ფარებს, მერე მოდის ძრავი, სკამები, რომლებიც განუწყვეტლივ ეშვებიან ჭერიდან. პატარა, დაბალ ვაგონეტებში ხელოსნები მოთავსებულან, რომლებიც კონვეიერზე მოძრავ ავტომობილს მიჰყვებიან და გზადაგზა უმაგრებენ დეტალებს. ასე, როდესაც ავტომობილი ასობით ხელს გამოივლის და ნელნელა სრულყოფილ იერს შეიძენს, სულ რამდენიმე საათში ბოლო სტადიაზე მანქანაში მძღოლი ჯდება და ნელი სვლით ჩამოჰყავს ჯაჭვური სისტემიდან... — „ნაწილები მუშებთან და არა მუშები ნაწილებთან“. დევიზი, რომელიც ფორდმა შეიმუშავა, საშუალებას იძლეოდა, სამ თვეში დაემზადებინათ ზუსტად იმდენი ავტომობილი, რამდენსაც ადრე მთელ წელს ანდომებდნენ. რა თქმა უნდა, ამის მისაღწევად ფორდს, და უწინარესად კი, მის ხელოსნებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. საამქროები დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ მუშაობდა. ხელოსნები რომ არ მომცდარიყვნენ, მათთვის საჭმელიც კი კონვეიერული წესით, ვაგონებით შეჰქონდათ საამქროებში, რაც ყველაზე საინტერესოა, ფორდს თავის უკიდეგანო ქარხნებში ერთი კაბინეტიც კი არ გააჩნდა (აფსუს, ქართველო ჩინოვნიკებო...). იგი მთელი დღე საამქროებში დადიოდა და არავინ იცოდა, როდის დაადგებოდათ თავზე ავტომობილების მეფე.

ალბათ, ყველას გვახსოვს ჩარლი ჩაპლინის ფილმი „ახალი დროება“. აქ კარგად ჩანს, თუ რა დამღლელი და მონოტონურია ჯაჭვურად მუშაობა — რაღაც მომენტში ჩარლისთვის სულ ერთი ხდება, ქანჩით დეტალს მოუჭერს თუ ადამიანის ცხვირს...

ალბათ ამიტომაც იყო, რომ ფორდით უკმაყოფილო მუშებმა შინაპროფკავშირების შექმნა დაიწყეს — „არ არსებობს რაიმე სასიკეთო, რის გაკეთებასაც პროფკავშირები შეძლებენ ჩემი მუშებისთვის“ — მკაცრად განაცხადა ფორდმა და იზრუნა კიდეც იმაზე, რომ მისი თითოეული მუშა უბრალოდ „ფორდმენი“ გამხდარიყო და სხვა არაფერზე ეფიქრა.

პირველ რიგში, დღიური ანაზღაურება გაიზარდა — ფორდის მუშა დღეში 5$ დოლარს იღებდა, როდესაც მაშინდელ ამერიკაში საყოველთაო დღიური ხელფასი 2,5 დოლარს არ აღემატებოდა.

ამას დაემატა სამუშაო დღის შემცირება — 9-დან 8 სთ-მდე და არათუ ფორდთან დასაქმებული მუშები იქცნენ „ფორდმენებად“, მის ქარხნებთან მუშაობის მსურველთა კილომეტრიანი რიგები დადგა. „ფორდიზმის“ შედეგად მისი წარმოება ელვისებურად გაიზარდა და აყვავდა. თავად განსაჯეთ: 1913 წელს ფორდმა 200.000 ავტო გამოუშვა; 1915 წელს — 500.000; 1919 წელს — 1 მილიონი; 2 მილიონი 1923 წელს, ხოლო 1929 წლის ცნობილ კრიზისამდე მისი წარმოება წელიწადში 5 მილიონ მანქანას შეადგენდა. ამ დროს: ორმოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში მთლიანობაში 145 ათასი მანქანა იყო აღრიცხული, როგორც სატვირთო, ასევე მსუბუქი ავტობუსების ჩათვლით! საბოლოო ჯამში ერთი ფორდის აწყობას სულ რაღაც საათ-ნახევარს ანდომებდნენ. შედეგად ფორდმა თავისი სურვილის 100%-ით განხორციელება შეძლო — „ფორდ-T“-ს ფასი რამდენიმე წელიწადში 1.950 დოლარიდან 290 დოლარამდე დავიდა. ფორდი მხოლოდ და მხოლოდ შავ ავტომობილებს უშვებდა. მისი სარეკლამო დევიზი შემდეგნაირად ჟღერდა: „თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი ფერის ავტომანქანა დაგვიკვეთოთ, ოღონდ ერთი პირობით — ის შავი უნდა იყოს“. იმ პერიოდის ამერიკაში 100 მოქალაქეზე 19 ავტომობილი მოდიოდა, როცა ინგლისსა და საფრანგეთში ეს ციფრი ბევრად ნაკლები იყო — 2 ავტო 100 მოქალაქეზე. ახლა ნებისმიერ ამერიკელს, შეეძლო, 290 დოლარად კოხტა თუნუქის თვითმავალი ოთხთვალა, „ლიზი“ შეეძინა. და რადგან ასეთი ამერიკელი ბევრი აღმოჩნდა, ამერიკის გზები აბსოლუტურად ერთნაირი, შავი მანქანებით გაივსო. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ ამერიკელთაგან უმეტესობამ ბოლოს მწარედ ინანა თავისი არჩევანი — „ფორდ-T“, იგივე „ლიზი“ მაქსიმალურად იაფ წარმოებაზე იყო გათვლილი და ნორმალურ ავტომობილამდე ბევრი უკლდა. მიუხედავად ამისა, „ფორდიზმმა“ რევოლუცია მოახდინა მსოფლიო ავტოინდუსტრიაში, დაუდო რა სათავე კონვეიერულ, სერიულ წარმოებას. მას სხვა ევროპულმა ფირმებმაც მიბაძეს — „სიტროენმა“ და „პეჟომ“ — ახლად გაერთიანებულმა ფრანგულმა ფირმებმა, „ოპელმა“ და „ბმვ“-მ — გერმანიაში, „ოსტინმა“ და „მორისმა“ — ბრიტანეთში, „ფიატმა“ — იტალიაში. მოკლედ, ავტომობილი, რომლის შეძენაც ახლა უკვე ყველას შეეძლო, საბოლოოდ დამკვიდრდა ადამიანების ცხოვრებაში. მასთან ერთად დამკვიდრდა მუდმივი ხმაური, გარემოს დაბინძურება, კატასტროფები... ამავე დროს კი შემცირდა მანძილი, გაიზარდა კომფორტი, განვითარდა ვაჭრობისა და ეკონომიკის მთელი რიგი დარგები.

***მომავალში იხილეთ ნაწილი V. „ავტომობილი, სტალინი და ჰიტლერი“***

## ჯიპები 2001 წლისათვის

### „ძალიან მაგარი“ ჯიპი



„ჩეროკი“ და „გრანდჩეროკი“ უკვე დიდი ხანია, საქართველოში გაოცებას აღარ იწვევს. მაგრამ „კრაისლერის“ მორიგი ჯიპი „ჯიპსტერი“ ნამდვილად პირდაღებულს დაგტოვებთ, ერთი წამითაც რომ მოჰკრათ თვალი. ის სათამაშოსავით ლამაზია, ამავე დროს კი სპორტული დინამიკის, მაღალი კომფორტისა და ყველგანმავალის განსახიერებაა. მისი „კაპოტის“ ქვეშ 370 ცხენის ძალიანი მოტორი გუგუნებს და არაფერს „ინდობს“, როგორც გზაზე, ისე უგზოობაში (შედარებისთვის: „სატვირთო „კამაზს“ 220ცხ.ძ. აქვს).

ჯიპი ნახევრად კაბრიოლეტია, ამიტომაც სალონში საჭე, მაჩვენებლები (ე.წ. ტორპედო) და სავარძლები სპეციალური, წყალგაუმტარი ტყავ-მასალისგან არის დამზადებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სალონში წვიმამ ან წყალმა ჩააღწია, მას არც არაფერი შეეტყობა და არც არაფერი დაუშავდება.

### „სტეპების მგელი“

— ზუსტად ასე ითარგმნება ქართულად „აუდის“ სპორტული ჯიპი „STEPPENVOLF“. თბილისელებისთვის კარგად ცნობილი „აუდი-TT“ ამჯერად „მგლის“ მანტიაში მოგვევლინება და ეცდება „კრაისლერის“ „ჯიპსტერს“ გაუწიოს კონკურენცია. — ვფიქრობთ, ეს არ გაუჭირდება — მას „W“ ტიპის 12-ცილინდრიანი ძრავა (ე.ი. შეერთებული ორი V ტიპის 6-ცილინდრიანი(!) ძრავა) უყენია. მის გაბარიტებსა და წონაში ასეთი ძრავა მანქანის სხვა სიკეთეზე ლაპარაკს ზედმეტს ხდის!



## ხვალის ავტომობილი

მოგეხსენებათ, ბუნებაში ამოუწურავი არაფერია, მათ შორის ნავთობიც. არადა, ავტომობილების თითქმის 99% სწორედ მისი საშუალებით მოძრაობს. „უკვე დღეს, საცოდაობაა ნავთობის უმიზნოდ ხარჯვა“ — ამბობს „ბრიტიშ პეტროლიუმ მობილის“ მთავარი მრჩეველი ავტომრეწველობაში, პიტერ მილერი. „ავტოსალონში“ უკვე ვახსენეთ „ავტოგმირები“, რომელთაც სათავე დაუდეს საავტომობილო წარმოებას. დღეს უკვე მათი სახელობის ავტოკონცერნები გამალებით მუშაობენ „ხვალის ავტომობილზე“, რომელმაც ალტერნატიულ საწვავზე უნდა იმუშაოს, რადგან არავინ იცის, ეს უნავთობო „ხვალ“ როდის დადგება... თუმცა, ნავთობმა რომც იარსებოს, მისი გამონაბოლქვისგან ჩვენ, მისი მომხმარებელი ადამიანები ვერ ვიარსებებთ...

მაშ ასე: გვჭირდება ენერგიის წყარო, რომელიც არ მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს, გარემოსადმი მეგობრული და ამასთან რესპექტაბელურიც იქნება.

**„ფოლკსვაგენი“** უკვე დიდი ხანია „ბიოდიზელს“ სრულყოფს. იგი მცენარეული ცხიმებისგან (მზესუმზირის, ზეთისხილის, თამბაქოს და ა.შ. ზეთი) ნაწარმოები დიზელის საწვავია, 100%-ით ეკოლოგიურია, მაგრამ დიდი ტექნოლოგიური პროცესი სჭირდება, ისევე როგორც დიდი ფართობები მცენარეული ნარგავებისთვის. ამიტომაც ჯერჯერობით არარესპექტაბელურია.



**„ბმვ“**-ს ფირმა უკვე მეოთხე თაობის მანქანებს ცდის „წყალბადის სისტემაზე“. „BMW-750“-ის საცდელი მოდელი წყალბადზეც მუშაობს და ბენზინზეც. წყალბადი ჰაერში არსებულ ჟანგბადთან ერთად იწვის და ძრავას ამოქმედებს. იგი აბსოლუტურად ეკოლოგიურია და „ამოუწურავადიც“. მაგრამ მის თხევად მდგომარეობაში გადაყვანას მინუს 250 გრადუსი სჭირდება, რის გამოც მანქანის ავზებს სპეციალური რობოტი ავსებს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება.




**„მერსედეს-ბენცმა“** „ელექტრომობილის“ შედარებით სრულყოფილი ვარიანტი შეიმუშავა. საჭირო ენერგიას იგი ძრავას ადგილას ჩადგმული ბატარეებიდან ან მზის ელემენტებისგან მიიღებს. „ელექტრომობილს“ საერთოდ არა აქვს ხმა და ეკოლოგიურიცაა. პრობლემა მის ბატარეებშია, რომელთა წარმოებისას ქარხნები ბენზინის ძრავაზე ორჯერ მეტად აბინძურებენ გარემოს. არადა, ყოველ 100.000კმ-ზე ბატარეები შესაცვლელი ხდება. რაც შეეხება მზის ელემენტებს, იმისთვის, რომ სრულყოფილი ენერგია გამოიმუშაონ, მათ უზომოდ დიდი ფართობი და ზომები სჭირდებათ (ძალიან დიდი), რაც არაპრაქტიკულია.

*ჩვენ მხოლოდ რამდენიმე, შედარებით რეალური ვარიანტი განვიხილეთ და ვნახეთ, რომ აქ, ჯერ კიდევ დიდი სიძნელეებია გადასალახი. თუმცა, ავტომობილის გამოგონებაც საკმაოდ რთული იყო, შედეგი კი — სახეზეა. ვნახოთ, ამჯერად რას მოიფიქრებს მუდამ მაძიებელი ადამიანი...*

## ნიუ-იორკი — მსოფლიოში ყველაზე მოწესრიგებული მოძრაობა



**ნიუ-იორკი** სანიმუშო საგზაო მოძრაობის სიმბოლოდ ითვლება. აქ წესებიც ყველაზე მკაცრია და ავტოინსპექტორებიც. თუ მძღოლი გაჩერების შემდეგ ავტოინსპექტორს შეეკამათება, ის წამმზომს ურთავს — ჯარიმას ყოველ წუთში 10$ დოლარი ემატება. წითელ ნიშანზე პირველი გასვლა 150$$ დოლარით ისჯება, მეორე — 300 დოლარით და ა.შ. თუკი ავტოკატასტროფა მძღოლის სიმთვრალითაა გამოწვეული, მთვრალი მძღოლის გარდა ისჯება ისიც, ვინც მას დაალევინა ან დაინახა და საჭესთან დაჯდომა არ დაუშალა. 88კმ/სთ-ზე ზემოთ სიჩქარის გადაჭარბებისთვის მძღოლი ყოველ „ზედმეტ“ კილომეტრზე 1 დოლარით ჯარიმდება.

ნიუ-იორკის ავტოინსპექცია სხვა შტატებში გაცემულ მართვის მოწმობებს უნდობლად ეკიდება, უცხოეთისას კი საერთოდ არ ცნობს. ნიუ-იორკის შტატში „მართვის მოწმობის“ აღება ყოველი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია — მან ნებისმიერ ენაზე უნდა უპასუხოს სპეციალურ 20 შეკითხვას და ჩააბაროს ავტოტესტი.

ავტომობილი უკუსვლით უნდა შეაყენოს ტროტუარზე მანქანის სიგანეზე 25სმ-ით მეტი ინტერვალით დარჭობილ ბოძებს შორის.

**საბერძნეთში** შუქნიშნის წითელ მაჩვენებელზე გავლისთვის 300 დოლარია ჯარიმა. აქ სიმთვრალე საჭესთან სამ სტადიად იყოფა. პირველი სტადია 200 დოლარს ითვალისწინებს, მეორე — 600 დოლარს, ხოლო მესამე სტადიაზე ვერანაირი ფული ვერ გიშველით — მართვის მოწმობას სამუდამოდ გაგიუქმებენ.

**ინგლისში** უცხოელ დიპლომატებს საგზაო წესების 30-ჯერ დარღვევის შემთხვევაში (თუნდაც, რამდენიმე წლის მანძილზე) ქვეყნიდან აძევებენ.

## სახელი — „ავტომობილი“

ახალგამოგონებულ ავტომობილს თავიდან „ავტომობილს“ არავინ უწოდებდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბევრად უფრო ადრე მთელ ევროპაში „ავტომობილს“, ე.ი. „თვითმოძრავს“, ნებისმიერ მოძრავ თუ დასაქოქ სათამაშოს უწოდებდნენ. ეგეც არ იყოს, ადამიანებს ერთგული ცხენი ჯერ კიდევ ახსოვდათ და ახალ, თვითმავალ ქმნილებას ძირითადად „უცხენო მარხილად“ მოიხსენიებდნენ. და არა მხოლოდ ამ სახელით, ხმარებაში იყო: „მოტორიანი ურემი“; უბრალოდ „მოტორი“; „ეტლი“, „თვითმავალი“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ველოსიპედიც“ კი. ამერიკელები მას სულაც „გასართობ მარხილს“ „PLEASURE CAR“-ს უწოდებდნენ... თანდათან ყველაზე მეტად ტერმინი „თვითმავალი ეკიპაჟი“, ფრანგულად „ვუკიურ ოტომობილი“ დამკვიდრდა. ნელ-ნელა „ეკიპაჟი“ გაქრა და დარჩა „ოტომობილი“ — „აუტომობილი“ — „ავტომობილი“.

სხვათა შორის, ახლა ბევრ ენაში „თვითმავალია“ ამოვარდნილი — ფრანგულში ამბობენ „ვუტიურ“ — ეკიპაჟი, ინგლისურში — „ქარ“ — მარხილი, რუსულში „ტაჩკა“ — ურიკა, ურემი, ბერძნულში „ამაქსი“ — ურემი, გერმანულში „ვაგენ“ — ეკიპაჟი. ქართულში ჯერჯერობით „მანქანას“ ან „ავტომობილს“ ვიყენებთ. ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი...

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით შეგიძლიათ მოგვმართოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, სპეციალურად ამისთვის უახლოეს ნომრებში „ავტოსალონში“ გამოყოფილი იქნება რუბრიკა „ავტოსაგზაო საკითხებზე“.**

**გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა**

# ᲕᲐᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ?!

## რუსები სატვირთო ვაგონებს საქართველოში აღარ გამოგზავნიან

*რამდენიმე დღის წინ შპს საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ რუსი კოლეგებისაგან საკმაოდ კატეგორიული შეტყობინება მიიღო. რუსეთის რკინიგზის შეფის განკარგულებით, საქართველოს რკინიგზის მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, 18 ნოემბრიდან აიკრძალა რუსეთის რკინიგზის კუთვნილ ვაგონებში საქართველოს მიმართულებით მომავალი ტვირთების ჩატვირთვა (გამონაკლისი მხოლოდ საქართველოში დისლოცირებული რუსეთისა და სამშვიდობო ძალების შენაერთებია).*

*ეს შეტყობინება ძალიან ბევრმა (მათ შორის ქართველმა ბიზნესმენებმა, რომელთაც რესპუბლიკის გარეთ აქვთ კონტაქტები) ავისმომასწავებელ ნიშნად ჩათვალა. ფაქტია, რომ საქართველო დაინტერესებულია რუსეთიდან ტვირთების შემოტანით და გატანით. ასეთი აკრძალვა კი ტვირთების ნაკადს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ბევრი ქართველი მეწარმის ინტერესებსაც დაარტყამს. ფაქტთან დაკავშირებით შპს საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს* **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔᲡ** *ვთხოვეთ კომენტარი:*

— დეპეშაში წერია, რომ შეწყდება რუსეთის ვაგონებით საქართველოს დანიშნულებით მომავალი ტვირთების ზიდვა, ე.ი რუსეთის ვაგონებით ტვირთი აქეთ აღარ წამოვა. საქართველოში ტვირთს მხოლოდ ჩვენი ვაგონებით შემოიტანენ. რუსები მოკრებენ ჩვენს კუთვნილ ვაგონებს (რომლებსაც ჩვენი ნომრები აქვთ), დატვირთავენ და გამოუშვებენ. ეს ჩვენთვის უფრო მისაღებია, ვიდრე რუსეთის ვაგონებით ტვირთის შემოზიდვა.

**— რით არის მისაღები და უკეთესი ასეთი ვითარება?**

— იმ მხრივ, რომ ჩვენი ვაგონები დიდი ხნის განმავლობაში არ ბრუნდება, ახლა ასე აღარ მოხდება.

**— რა მიზეზით არ აბრუნებს რუსეთი ჩვენს ვაგონებს დროულად?**

— ვაგონი რომ აქედან ვლადივოსტოკში წავა, როდის უნდა დაბრუნდეს უკან? ან კიდევ, აქედან რუსეთის მიმართულებით მიმავალი დატვირთული ვაგონი შეიძლება მათ იქ ამუშაონ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის უკეთესია, რომ ჩვენი ტვირთი ჩვენსავე ვაგონებში ჩაიტვირთოს და წამოვიდეს საქართველოში. ჩვენი ვაგონები უფრო ადრე დაბრუნდება.

**— ცოტა უცნაურად მეჩვენება თქვენი სიმშვიდე... როგორც ამბობთ, ეს ჩვენთვის ხელსაყრელი სიტუაციაა, მაგრამ დეპეშის ტონი აშკარად მკაცრია. რუსეთის რკინიგზის ადმინისტრაცია ვალის გადაუხდელობაში გდებთ ბრალს და ამიტომაც აკეთებს ასეთ აკრძალვას, ანუ დამნაშავეს სჯის.**

— 1995 წლამდე რუსეთის რკინიგზის ვალი 65 მლნ შვეიცარიული ფრანკი გვქონდა. დღეისათვის გვაქვს 11 მლნ ფრანკი ანუ 7 მლნ დოლარი. ორივე მხარის მოლაპარაკების შედეგად ჩვენი ვალები ისე შემცირდა, საქართველოს 1 ცენტიც არ გადაუხდია.

**— მაშ, ახლა რაღა ხდება... ამჯერად რატომ არ ჩამოგვაწერეს ვალი?**

— რატომ უნდა ჩამოგვაწერონ?.. ეგენი ამბობენ, 11 მლნ ფრანკი გადაიხადე, თორემ ჩემს ვაგონებს აღარ გამოვუშვებო. ჩემთვის უკეთესია, თუ რუსეთის ვაგონები აქ არ წამოვა. სამაგიეროდ, დაიტვირთება ჩვენი ვაგონები (რაც იქ არის) და უფრო სწრაფად ჩამოვა აქ.

**— ისიც ხომ ფაქტია, რომ დსთ-ის სივრცეში ძირითადად რუსული ვაგონები მოძრაობს, საქართველო მხოლოდ თავისი კუთვნილი ვაგონებით ვერ აუვა ტვირთების გადმოზიდვას.**



ИЗ МПС N 000416 А 19/11 14.00=
ТЕЛЕГРАММА МИНИСТЕРСТВА ПУТЕЙ СООБЩЕНИЯ
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ
19 НОЯБРЯ 2000 Г. N Ш – 12611 =
АДРЕС 75 ДОРОГ РОССИИ
ЦД, ЦФ, ЦФТО, ЦИ ЦСЖТ – ПОЧТОЙ
КОПИЯ: Н ГРУЗ =
В СВЯЗИ С НЕВЫПОЛНЕНИЕМ ГРУЗИНСКОЙ СТОРОНОЙ ПУНКТА 5 ПРОТОКОЛА ПЕРЕГОВОРОВ МИНИСТРА ПУТЕЙ СООБЩЕНИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ Н.Е. АКСЕНЕНКО С ГЕНЕРАЛЬНЫМ ДИРЕКТОРОМ ГРУЗИНСКАЯ ЖЕЛЕЗНАЯ ДОРОГА А.В. ЧХАИДЗЕ ПО УРЕГУЛИРОВАНИЮ ФИНАНСОВЫХ ВОПРОСОВ ОТ 14 СЕНТЯБРЯ 2000 Г И НЕ ПОСТУПЛЕНИЕМ ДЕНЕЖНЫХ СРЕДСТВ НА СЧЕТ МПС
МПС РОССИИ ЗАПРЕЩАЕТ ПОГРУЗКУ ГРУЗОВ В ВАГОНЫ ПРИНАДЛЕЖНОСТИ РЖД НАЗНАЧЕНИЕМ СТАНЦИЙ ГРУЗИНСКОЙ ДОРОГИ И ТРАНЗИТОМ ЧЕРЕЗ НЕЕ, КРОМЕ ГРУЗОВ В АДРЕСА РОССИЙСКИХ ВОЙСКОВЫХ ЧАСТЕЙ ИЗ СОСТАВА КОЛЛЕКТИВНЫХ СИЛ СНГ ПО ПОДДЕРЖАНИЮ МИРА В АБХАЗИИ, ГРУЗИИ И ГРУППЫ РОССИЙСКИХ ВОЙСК В ЗАКАВКАЗЬЕ, СРОКОМ С 18 НОЯБРЯ ДО ОТМЕНЫ. =
ПЕРВЫЙ ЗАМЕСТИТЕЛЬ МИНИСТРА ИВАНКОВ

— ჩვენ ხვალვე შეგვიძლია რუსეთს თავისი ვაგონები გამოვაშვებინოთ, მაგრამ მინდა ჯერ შემოვიდეს ჩვენი კუთვნილი 1000 ვაგონი, რომლებიც ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზეა.

**— რა საშუალებით გამოაშვებინებთ... ვალს გადაიხდით?**

— არა, დღეს დავრეკავ და ხვალვე გასცემენ განკარგულებას, რომ დატვირთონ რუსული ვაგონები, მაგრამ ხომ გითხარით, — ჯერ ჩვენი 1000 ვაგონის დაბრუნება მინდა.

**— ე. ი. გამოდის, რომ თქვენ ტაქტიკური სვლა გააკეთეთ... იცოდით, ვალის გადაუხდელობას რაც მოჰყვებოდა და შეგნებულად წარმართეთ სიტუაცია ამგვარად.**

— ყველაფერი რომ აგიხსნათ, შეიძლება იმათ მიაწვდინოთ ხმა — ჩვენ რასაც ვაკეთებთ (*ბ-ნმა ჩხაიძემ აქ თითქმის რუსეთის აგენტებად მოგვნათლა. — ი.რ.*).

**— ბიზნესმენები ჩივიან, ჩვენს საქმიანობას ეს აკრძალვა დიდ დარტყმას მიაყენებსო.**

— გარწმუნებთ, არანაირად არ დააზარალებს ეს სიტუაცია ბიზნესს.

**— მიგაჩნიათ, რომ ის 1000 ვაგონი, რომლის დაბრუნებისათვისაც იღვწით, საკმარისი იქნება საქართველოს ტვირთბრუნვისათვის?**

— მინდა ჩვენი და მათი ვაგონების რაოდენობა დავაბალანსო. მოდით, მონაცემებს გაჩვენებთ. 23. 11.2000. 18სთ. — ამ დროისათვის საქართველოში რუსეთის 60 ვაგონი იმყოფება. ჩვენი კი 1000-ია რუსეთში. მინდა რომ რაოდენობა გავათანაბრო. ჩვენთან დღეში რუსეთის 2-3 ვაგონი თუ შემოდის, ეს რაოდენობა ბიზნესში არავითარ როლს არ თამაშობს.

*როგორც ჩანს, საქართველოს რკინიგზის შეფს მართლაც რაღაც კომბინაცია აქვს ჩაფიქრებული და რუსეთს განზრახ არ უხდის ვალს, თორემ მის ორგანიზაციას ფინანსურად რომ არ უჭირს, „ლოკომოტივის“ სტადიონის მაგალითზეც კარგად ჩანს. ბ-ნი აკაკი თავად გამოგვიტყდა, სტადიონის მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე 8 მლნ დოლარს ვხარჯავთო. მაგრამ ამ ვითარებაში ერთი „მაგრამ“ ჩნდება: ორიოდე თვის წინ ანალოგიური აკრძალვა რუსეთმა დსთ-ის რამდენიმე ქვეყნის მიმართ განახორციელა (მათ შორის, საქართველოზეც), ამ ქვეყნების რკინიგზის მესვეურებმა წელებზე ფეხი დაიდგეს (ვალი გადაიხადეს თუ „ჩააწყეს“, არ ვიცით) და რუსეთს ეს სანქცია მოახსნევინეს. თუ სხვა ქვეყნებისთვის იყო ასე „დამანგრეველი“ ეს აკრძალვა, რატომ არის მშვიდად საქართველოს რკინიგზის შეფი?*

*ამ პასუხგაუცემელმა კითხვამ მიგვიყვანა ერთ საქმეში ჩახედულ პიროვნებასთან, რომელიც საკმაოდ კარგად იცნობს ამასწინანდელი სანქციის შედეგებს: 2 თვის წინ, როდესაც რუსეთმა ანალოგიური აკრძალვა დსთ-ის რამდენიმე ქვეყანაზე გაავრცელა, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა ტვირთბრუნვა რუსეთის მიმართულებით, დაახლოებით 60-70%-ით.*

**— რა პირობებით მოუხსნეს საქართველოს სანქცია ორი თვის წინ...**

— საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლები ჩავიდნენ რუსეთში და მოილაპარაკეს.

**— ორი თვის წინანდელი აკრძალვისგან განსხვავებით ამჟამად მხოლოდ საქართველოს მიმართაა აკრძალვა?**

— ეს ალბათ ვალის გადაუხდელობასთან იქნება კავშირში... თუმცა შეიძლება პოლიტიკური ინტერესებიც იყოს.

**— ჩხაიძის ვარაუდით, ეს აკრძალვა საერთოდ არ შეუქმნის საქართველოს პრობლემებს.**

— საერთოდ, აქედან უფრო მეტი ვაგონი გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა. ტვირთბრუნვა აუცილებლად შემცირდება და დაზარალდება კლიენტურის ინტერესები.

**— ე.ი. ბიზნესმენები დაზარალდებიან...**

— ბუნებრივია, იმიტომ, რომ საქონლის გაგზავნაში ან მიღებაში შეეშლებათ ხელი. ის 60 რუსული ვაგონი, რაც აქ არის, გავა და ამით დამთავრდება ყველაფერი. დაიწყება კრიზისი ვაგონებზე, იმიტომ, რომ რუსეთის ვაგონები აღარ შემოვა. ქართულების მთელი დსთ-დან დაბრუნებას კი ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

**— 1000 ვაგონი, რომლის დასაბრუნებლადაც იღვწის ჩხაიძე, საქართველოს ტვირთბრუნვისთვის საკმარისი იქნება?**

— 1000 ვაგონი საქართველოსათვის საკმაოდ დიდი მოცულობაა.. ერთი მხრივ, ჩხაიძე მართალია, რომ თავის ვაგონებს მოითხოვს. მაგრამ მის პოზიციას არ ვეთანხმები, როგორც ტვირთგამგზავნი. ეს გაწელავს ტვირთის გაგზავნის დროს. იქ კი ათასი კონტრაქტია და მკაცრადაა განსაზღვრული ვადები. როცა ტვირთის გადაზიდვა კონტრაქტის ვადაში არ ეტევა, მეორე მხარე არ ღებულობს ან ნაკლებ თანხაში იღებს ტვირთს. თან დროის გაწელვა, შეიძლება, პროდუქციის გაფუჭების მიზეზიც შეიქნეს.

**P.S.** *არავინ იცის, როგორ დასრულდება რუსეთ-საქართველოს რკინიგზების დაპირისპირება. არ ვიცით, ჩხაიძის „ოლიმპიურ სიმშვიდეს“ დავუჯეროთ, თუ ტვირთგადამზიდავების პრეტენზიებს... შედეგებს დრო გვიჩვენებს...*

***იზო რიკაძე***

# ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ



***ერთ-ერთ რუსულ გაზეთში წავიკითხე, რომ არსებობენ ჩინელი ებრაელები, თანაც დიდი რაოდენობით. მე კი არ ვიცოდი მათ შესახებ. გთხოვთ გამოაქვეყნოთ მოკლე ცნობა ჩინელ ებრაელებზე. დაახლოებით რომელი წლიდან ცხოვრობენ ისინი ჩინეთში და ამჟამად რამდენი არიან?***

***შოთა მაისურაძე, თბილისი***

ჩინელი ებრაელების ეთნოლინგვისტურ ჯგუფს მეორენაირად კაიფინელ ებრაელებს უწოდებენ. ისინი ცხოვრობდნენ ქალაქ კაიფინში, ხენანის პროვინციის მახლობლად. ჩინელი ებრაელების ტერმინი მე-17-18 ს-ში დამკვიდრდა. გადმოცემით, ისინი ჩინეთში მოხვდნენ ახალი წელთაღრიცხვის საუკუნეში, ხანის დინასტიის დროს. ჩინური წყაროების მიხედვით, წარწერებითა და დოკუმენტური მონაცემებით, მოღწეულია ცნობები ვაჭარ ებრაელებზე, სხვა წყაროებით კი (არაბული და ა.შ.) დასტურდება მათი სავაჭრო კოლონიების არსებობა ქალაქ ხანკოსა და პეკინში. მოგვიანებით ჩინელმა ებრაელებმა ააგეს სინაგოგა კაიფინში. მათი რელიგიური შეხედულებანი იგივე იყო, როგორც — ჩვეულებრივი ებრაელებისა. ისინი შაბათს უქმე დღედ მიიჩნევდნენ, ბავშვებს ებრაულ სახელებს არქმევდნენ, დადიოდნენ სინაგოგაში. ჩინელ ებრაელებს, სხვა ებრაელებისაგან განსხვავებით, რასობრივი და რელიგიური დევნა არ განუცდიათ. ისინი ძალზე მცირერიცხოვანნი არიან. 1980-იანი წლების მონაცემით, მხოლოდ 200-ზე მეტი ფიქსირდება.

***გივი ღამბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი***

***გთხოვთ გამარკვიოთ, დაამტკიცეს თუ არა კანონპროექტი ალტერნატიული სამსახურის შესახებ, რომელიც ცვლის სამხედრო სავალდებულო სამსახურს?***

***გ. ქუნთელია***

ალტერნატიული სამსახურის შესახებ პარლამენტმა 1997 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება. კანონი ძალაში უნდა შესულიყო 1998 წლის 1-ელი იანვრიდან, მაგრამ, რადგან ფაქტობრივად ეს კანონი არ ამოქმედებულა, იგი იურიდიული ძალის მქონე არ არის. კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ ამოქმედდება პრეზიდენტის ბრძანებულებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობის შემდეგ.

***მ. კიკალეიშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იურიდიული აპარატის წამყვანი სპეციალისტი***

***ვარ თბილისში ჩაწერილი და ბინაც ჩემს სახელზეა გაფორმებული, შეიძლება თუ არა ჩავეწერო მოსკოვშიც?***

***ნ.გ.***

მოქალაქემ ერთ ადგილას უნდა გაიაროს რეგისტრაცია, ხოლო საკუთრებაში მას შეიძლება რამდენიმე ბინა ჰქონდეს. თუკი გადაწყვიტეთ მოსკოვში ჩაწერა, მაშინ თბილისში რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნათ.

***ნოტარიუსი***

# ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲨᲘ

რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული პოლიტიკური ბატალიების და პარლამენტში გაცხარებული გამოსვლების დროს, ეკონომიკურ ასპექტზე მაინცდამაინც არაფერი თქმულა. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარეს, ახალი ფრაქციის წევრს, ბატონ **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡ:**

— საერთოდ, რუსეთთან დამოკიდებულება და მასთან პოლიტიკური ურთიერთობა შეუსწავლელია. არავინ იცის, რას მოიტანს სავიზო რეჟიმი, როგორი ექსპორტ-იმპორტის სალდო გვაქვს ამ ქვეყანასთან, რა შესაძლებლობებია ექსპორტისა თუ იმპორტის თვალსაზრისით, საბოლოოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას დსთ-ის სივრცეში დარჩენა-არდარჩენა.

ყოველივე ამას აკლია ეკონომიკური ანალიზი. საქართველოსთვის რუსეთის 150 მილიონიანი ბაზარი, ჩემი აზრით, არის უსერიოზულესი ბაზარი, რომელსაც შემოსავლების თვალსაზრისით, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის უგულებელყოფა არ შეიძლება, რადგან ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს ჯერ კიდევ უნდა დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს ეკონომიკას გააჩნია სხვადასხვა დარგი და იგი აწარმოებს ამა თუ იმ პროდუქციას. ბოლო 200 წლის განმავლობაში ეს გზა უკვე გავლილი გვაქვს რუსეთში და სწორედ მისი საშუალებით იცნობს ყველა ქართული პროდუქციის ნაირსახეობას. ამის ხელაღებით უგულებელყოფა, ჩემი აზრით, საქართველოს დააკარგვინებს უდიდეს შემოსავალს, რაც უმნიშვნელოვანესი იქნება, თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

საერთოდ ნებისმიერი ამ დონის პოლიტიკური საკითხი (სავიზო რეჟიმი) არის წმინდა წყლის პოლიტიკური დებატი, რომელიც საბოლოო ჯამში გამორიცხავს ნებისმიერ პარტნიორობას და ატარებს უფრო ინტრიგანულ ხასიათში.

ჩვენ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ვერც ეკონომიკურად და ვერც პოლიტიკურად რუსეთზე ძლიერები ვერ ვიქნებით. იმიტომ, რომ უმდიდრესი რესურსების ქვეყანაა. აქვს დიდი ბაზარი, რომელიც მთელ მსოფლიოს იზიდავს. უბრალოდ, ერთ მაგალითს მოვიტან: საქართველომ თავი გადადო, რათა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო, რაც ნიშნავდა, რომ 5 მილიონიანი ქვეყნის მეწარმეობისათვის გახსნილიყო მრავალმილიონიანი ქვეყნების ბაზრები. ამ დროს ყველაფერი იქითკენ მიგვყავს, რომ ქართული პროდუქციის მიერ უკვე ათვისებული რუსეთის ბაზარი საერთოდ დავტოვოთ. რუსეთის ბაზარზე იყიდება საქართველოს მთლიანი ექსპორტის 60%-ზე მეტი. რაც შეეხება ექსპორტს, ეს არ ნიშნავს მხოლოდ გაგზავნას. სანამ ანალოგიურ შედეგს მივაღწევთ ევროპისა თუ სხვა ქვეყნების ბაზრებზე, მანამდე ქართული სინდრომი უნდა დაინერგოს იქ, ამის დანერგვას კი ასწლეულები სჭირდება. სადაც დანერგილი გვაქვს, იქიდან შემოსავლების მეშვეობით სხვაგან გასვლა იქნება გონივრული და არა ამ დანერგილის მოსპობა. ეს იქნებოდა დაბალანსებული პოლიტიკა, რასაც უნდა ატარებდეს საქართველო. ახლა ჩვენ ვეწევით ტოტალურად დასავლურ პოლიტიკას — ესეც არასწორია. იმიტომ, რომ დასავლეთის მოცემული ფული საქარველოსთვის არის მხოლოდ დათვური სამსახური და სხვა არაფერი.

***მამუკა გიორგაძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
25 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,9800 |
| **გერმანული მარკა** | | 0,8488 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 2.7680 |
| **ევრო** | | 1,6600 |
| **რუსული რუბლი** | | 0,0692 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,0289 |

ᲤᲘᲠᲛᲐ «ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
ᲛᲘᲡ: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №142, „ᲡᲐᲛᲗᲝ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗ, ᲝᲗᲐᲮᲘ 78
☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69



ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ 22
☎99-86-09; 38-37-89

ICT ᲢᲠᲔᲘᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
ᲨᲔᲒᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ:
TOEFL-Ს
ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲘ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ
ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲙᲣᲠᲡᲘ
ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ
ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ
Ზ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ. №6 (ᲧᲝᲤ. ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐ), ტ: 95 98 98



ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲗ



ფურცლებში და რულონებში
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 71-04-14
877-43-28-62
ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ
A1; A2; A3

# პრეზიდენტს სანტა-კლაუსი მოიყვანს

კომუნისტურ ჰანოისთან გამომშვიდობებისას ბილ კლინტონმა იხუმრა, თქვენთან ცოტა ხანს კიდევ დავრჩებოდი, მაგრამ შინ მეჩქარება, უნდა გავიგო, ჰყავს თუ არა ამერიკას ახალი პრეზიდენტიო.

ამერიკამ პრეზიდენტი ჯერაც ვერ აირჩია. ფლორიდის უმაღლესმა სასამართლომ აუკრძალა შტატის სახელმწიფო მდივანს ქეთრინ ჰარისს კენჭისყრის შედეგების გამოცხადება და ხმების ხელახალი გადათვლის გაგრძელების ნება დართო. ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე ქეთრინ ჰარისი აპირებდა, გამარჯვებულად გამოეცხადებინა ჯორჯ ბუში-უმცროსი, რომელმაც საზღვარგარეთიდან მიღებული ბიულეტენების გადათვლის შემდეგ ელ გორს 930 ხმით აჯობა.



ფლორიდის უმაღლესი სასამართლო კვლავ დაიწყებს ხმების გადათვლის პრობლემის განხილვას. ვარაუდობენ, რომ სხდომას, მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, ინტერნეტის საშუალებით პირდაპირ გადასცემენ ეთერში. განხილული იქნება ვერდიქტის ორი ვარიანტი — ან ფლორიდის სასამართლო გადაწყვეტს, რომ ხელით გადაანგარიშება კანონიერ საფუძველს არ ემყარება და მისი გაგრძელების აუცილებლობა არ არსებობს. მაშინ ჯორჯ ბუშს მიეცემა 25 ფლორიდელი ამომრჩევლის ხმა და ამერიკის 43-ე პრეზიდენტი გახდება; ან, მეორე ვარიანტის შემთხვევაში, მოსამართლეები დაელოდებიან გადაანგარიშების შედეგს და სწორედ ეს შედეგი იქნება გადამწყვეტი. ამ შემთხვევაში კიდევ 2 კვირა მაინც გავა პრეზიდენტის არჩევამდე. პალმ ბიჩის (იქ უნდა ხელახლა გადაიანგარიშონ 462 350 ბიულეტენი) და მაიამი დეილის (654 ათასი ბიულეტენი) საგრაფოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკეთეს შემთხვევაში ამ საქმეს 1-2 დეკემბრამდე ვერ მოათავებენ. პესიმისტები კი იმასაც ამბობენ, შესაძლოა შობამდეც კი გაჭიანურდესო. ერთ გაზეთში დაბეჭდილია კარიკატურა — აქეთ რესპუბლიკურ სპილოზე, იქით კი დემოკრატიულ ჩოჩორზე ამხედრებული, ყინვით ლოყებდაწითლებული სანტა-კლაუსები ტომრებიდან ყოველ ამერიკელს სათითაოდ ურიგებენ თითო პრეზიდენტს. თუ გადაანგარიშება ბუშის სასარგებლოდ მოხდა, მაშინ თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ თუ გორის სასარგებლოდ, მაშინ ისეთი „სასამართლო ბუმი“ დაიწყება, რომ ყველაზე გაბედული წინასწარმეტყველებიც კი გადაჭრით ვერ იტყვიან, როდის დამთავრდება ბრძოლა თეთრი სახლისთვის.

***სეგოდნია №261***

# მინსკმა „რუსული დოლარების“ ხარჯვა დაიწყო

ბელორუსიის პრეზიდენტმა ფაქტობრივად უკვე დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია — პარლამენტის ახალი შემადგენლობის პირველ სესიაზე გამოსვლისას განაცხადა — 2001 წლის ზაფხულში ხელფასებს გავზრდიო.



ალექსანდრ ლუკაშენკო უკმაყოფილოა თავისი მთავრობისა და ეროვნული ბანკის საკრედიტო ფულადი პოლიტიკით. ოქტომბერში ფულადი მასა ქვეყანაში 20 მლრდ ბელორუსული რუბლით (20 მლნ დოლარი) გაიზარდა. ეს თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ როგორც ბელორუსიის პრეზიდენტმა აღშფოთებით აღნიშნა, მთელი ფული ხალხს „ხელზე დაურიგეს“. ბელორუსებმა კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მაშინვე გადაცვალეს ნამდვილ ფულზე, რა თქმა უნდა, არა ადგილობრივი ან რუსეთის საქონლის შესაძენად. ასე რომ, ბატონი ლუკაშენკოს უკმაყოფილება იმით, თითქოს რუსეთის საქონელმა ადგილობრივი ბაზრიდან გამოდევნა ბელორუსული, ძალიან გულუბრყვილოდ ჟღერს, როგორც ჩანს, ბელორუსიის პრეზიდენტი რუსეთის მთავრობას მორიგ შანტაჟს უწყობს.

რა მოხდება დეკემბერში? — შეეკითხა ლუკაშენკო დეპუტატებს და თავადვე უპასუხა, — სახელმწიფო მოხელეები საახალწლოდ გაზრდილ ხელფასს ვერ მიიღებენ.

ზაფხულში ალექსანდრ ლუკაშენკოს ალბათ, ამომრჩეველთა ხმები დასჭირდება, რისთვისაც ზაფხულში აუცილებლად უნდა გაზარდოს საშუალო ხელფასი ახლანდელი 70 დოლარიდან 100 დოლარამდე. ამიტომ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეებს ხელფასის 40% მოემატებათ. ლუკაშენკოს თქმით, ამისთვის საჭირო იქნება 600 მლრდ ადგილობრივი რუბლის (600 მლნ დოლარის) გამოძებნა.

ამბობენ, ქვეყანაში შეწყვეტენ გზების მშენებლობას და გამოთავისუფლებულ ფულს საბიუჯეტო ორგანიზაციებს გადასცემენ.

ხელფასების გაზრდის მთავარი წყარო კი (რაზეც ხმას არ იღებს ლუკაშენკო) რუსეთის 100 მლნ დოლარიანი კრედიტია. პირველ 30 მლნ-ს ბელორუსია უკვე დეკემბერში მიიღებს. თუმცა, კრედიტის პირობები იმგვარია, რომ ფული ფორმალურად არ გადაკვეთს საზღვარს ისე, რომ ხელფასს მინსკში „რუსული დოლარებით“ ვერ გასცემენ, მაგრამ კრედიტი ბელორუსიის ეროვნულ ბანკს იმის საშუალებას მისცემს, რომ იმდენი ახალი კუპიური დაბეჭდოს, რამდენიც უნდა.

***იზვესტია №219***

# დამთავრდა „რომანტიკული სიყვარულის“ ეპოქა?

რუსეთის ხელისუფლების დაუსახელებელი წყაროებით ცნობილი გახდა, რომ 1 დეკემბრიდან რუსეთი ცალმხრივად გამოდის 1995 წლის 30 ივნისის საიდუმლო მოლაპარაკებებიდან „გორი — ჩერნომირდინი“, და ირანისათვის იარაღის მიწოდებას აახლებს. მოსკოვმა ვაშინგტონს ხელშეკრულების გაუქმება აცნობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე. რუსეთი მაშინვე გააფრთხილეს შესაძლო შედეგების შესახებ, რაც სანქციების შემოღებასაც ითვალისწინებს. როგორც ჩანს, გაფრთხილებას ეფექტი არ მოჰყოლია, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ათასწლეულის „რომანტიკული სიყვარულის“ ეპოქა რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ცივი ომით დამთავრდა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსეთის და ირანის ცენტრალურმა ბანკებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობაზე. ეტყობა, ირანისათვის იარაღის მიწოდების გადაწყვეტილება, ჯერ ერთი, ნაკარნახევია ირანის საშინაო პოლიტიკაში მომხდარი პოზიტიური ცვლილებებით, მეორე — ამერიკის მხრიდან კონფიდენციალური მემორანდუმის „გორი — ჩერნომირდინის“ დარღვევით.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა „სეგოდნიას“, კომენტარი გაეკეთებინა ამ ინფორმაციისათვის.

***სეგოდნია №263***

# მოკლედ

ორკვირიანი გაუთავებელი წვიმების შემდეგ კალაპოტიდან გადმოვიდა **ავსტრალიის** 12 მდინარე და დატბორა ახალი სამხრეთ უელსისა და კვინსლენდის შტატები. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, წყალი მიიწევს სიდნეისკენ, რომელიც სტიქიური უბედურების ცენტრიდან დაშორებულია 300 კმ-ით.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის** პროგნოზით — 2001 წლის ზაფხულამდე ნავთობის ფასი ალბათ იგივე დარჩება და 1 ბარელი დაახლოებით 30 დოლარი ეღირება.

**სამხრეთკორეულმა** კომპანია „ლოტემ“, რომელსაც გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა სურს, ქალაქ პუსანში დაიწყო მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის აგება. მისი სიმაღლე 464,5 მეტრია, იგი გადააჭარბებს ისეთ ცნობილ ცათამბჯენებს, როგორიცაა შანხაის მსოფლიო ფინანსური ცენტრი და ჩიკაგოს „სიერს ტაუერი“. დღეს მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობაა (452მ) ცათამბჯენი, რომელიც მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში დგას.

სამწუხაროდ, **ავსტრიაში** ბოლო დროს, ყოველ შაბათ-კვირას ხდება ტრაგედია. ამჯერად კი მიზეზი ზვავი გახდა. ტიროლში, იტალიის საზღვარზე, როსკარის მთიდან წამოსულმა ზვავმა თან ჩაიტანა ორი ადამიანი, დაკარგულია ბევრი მოთხილამურე. მაშველები ეძებენ, მაგრამ საქმეს ართულებს ის რომ მთის მწვერვალიდან წამოსული თოვლი თითქმის 6 მ სიმაღლეზე დევს.

**პერუს** პარლამენტის სპიკერი, 64 წლის ვალენტინ პანაგუა ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი გახდა. იაპონია იმედოვნებს, რომ თავიდან აიცილებს დიპლომატიურ სკანდალს, რადგან ამჟამად იაპონიას აფარებს თავს პერუს ექს-პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი.

# არაბ-ისრაელელთა კონფლიქტი დამთავრდა, ომი იწყება



მოსწავლეებით სავსე სასკოლო ავტობუსის აფეთქების შემდეგ, ისრაელმა საპასუხო სარაკეტო დარტყმა მიაყენა პალესტინის ტერიტორიას. დაიწყო სასტიკი შეტაკებები. შუამავალი სახელმწიფოები ფაქტობრივად ჩამოშორდნენ ამ მოვლენებს.

სარაკეტო დარტყმის შედეგად, რომელიც ერთდროულად ჰაერიდან და ხმელთაშუა ზღვიდან მიაყენეს ღაზის სექტორს, მწყობრიდან გამოვიდა ცხრა ობიექტი (მათ შორის, პალესტინის სპეცსამსახურების შტაბბინა, „ფათჰას“ შტაბბინა, ელიტარული სპეცდანაყოფების ყაზარმები, პალესტინის ტელევიზიის რეტრანსლატორი და სხვ.). ეს იყო ყველაზე ძლიერი დარტყმა ავტონომიის ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი თვის მანძილზე. გარდა სარაკეტო დარტყმებისა, ისრაელელებმა ორი მთავარი სატრანსპორტო არტერია გადაკეტეს და შეუწყვიტეს ავტონომიას ბენზინისა და დიზელის საწვავის მიწოდება. 150-მდე პალესტინელ მოღვაწეს და მათი შორის იასირ არაფატს, მოუხსნეს ყველა პრივილეგია (VIP-ი მათ თავისუფალი გადაადგილების უფლებას აძლევდა მთელ ისრაელში). ათასობით პალესტინელი იძულებულია, დატოვოს სამსახური, რომელიც ისრაელის ტერიტორიაზეა განლაგებული.

ისრაელის პრემიერს ნამდვილად არ სურდა სასტიკი ზომების მიღება, მაგრამ არჩევანის საშუალება არ ჰქონდა. ებრაელი ბავშვების დაღუპვის ამბის გავრცელებისთანავე ისრაელში სპონტანური საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყო. მძღოლებმა საავტომობილო გზები გადაკეტეს და ხელისუფლებისგან გადამწყვეტი ზომების მიღება მოითხოვეს. სიტუაცია უფრო გამძაფრდა, როცა სამხედროებმა გაიგეს, რომ ებრაელი ბავშვების მიმართ ტერაქტს იასირ არაფატთან დაახლოებული პირი, გენერალი მოჰამედ დაჰლანი ხელმძღვანელობდა.

პალესტინელებმა სარაკეტო დარტყმები აღიქვეს, როგორც ისრაელის მხრიდან „აგრესიის აქტი“ და „კონფლიქტის საშიში ესკალაცია“. „ისრაელის ხელისუფლება — მკვლელთა ხელისუფლებაა, — აცხადებს „ფათჰას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი“.

შურისძიების აქციამ მთელი არაბული სამყარო აღაშფოთა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა პალესტინელებს, გაამკაცრონ ზომები ექსტრემისტების წინააღმდეგ, რომელთა ბოროტმოქმედების შედეგად იღუპებიან ისრაელელები. ამასთანავე აცხადებენ, რომ „ვერანაირი მოტივი ვერ ამართლებს ძალოვან მოქმედებებს, რომელსაც ახალ-ახალი მსხვერპლი მოსდევს“. იმავე პოზიციას იზიარებს აშშ-ის ხელისუფლება. საინტერესოა ისრაელის მემარჯვენეთა ლიდერის არიელ შარონის აზრი. იგი აკრიტიკებს სარაკეტო დარტყმებს, ამასთან, მიაჩნია რომ უნდა დაიხვრიტოს პალესტინის ყველა ის სამხედრო მეთაური, რომელიც ტერაქტის მოწყობის ბრძანებას იძლევა.

***კომერსანტი №218***

# პარტნიორობა მშვიდობისათვის

ამერიკის ხელმძღვანელობას სურს მიაღწიოს იმას, რომ რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა ცენტრალურ აზიაში შექმნან კოალიცია ავღანეთში ოსამა ბენ ლადენის ტერორისტთა ბაზებზე „შურისძიების ავიარეისების“ განსახორციელებლად. ჯერჯერობით, თავისი სამსახური ამერიკელებს შესთავაზეს უზბეკეთმა, ყირგიზეთმა და ყაზახეთმა. ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, უზბეკეთის ხელისუფლება მზად არის, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს ტაშკენტისა და თერმეზის მახლობლად (ეს უკანასკნელი ავღანეთის საზღვართან მდებარეობს) დაუთმოს თავისი აეროდრომები.

ვაშინგტონი კი, თავის მხრივ, ტაშკენტს დაჰპირდა, რომ დაბომბავს ბენ ლადენის ბაზას, სადაც წვრთნას გადიან უზბეკეთის შეიარაღებული ოპოზიციის ბოევიკები. როგორც გაირკვა, ბენ ლადენის ბაზაში ჩეჩენი ტერორისტები და ქაშმირელი ექსტრემისტები ემზადებიან, მაგრამ აქამდე დანამდვილებით არ არის ცნობილი, მიმართა თუ არა ამერიკელებს მოსკოვმა და დელიმ თხოვნით, ბანდიტებისთვის ჰაერიდან მიეყენებინათ დარტყმა.

ცნობილი არ არის, სად არის თავად ბენ ლადენის შტაბბინა. დაზვერვის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო მონაცემები, რომლის თანახმად, ტერორისტმა სასწრაფოდ დატოვა თავისი სახლი ყანდაღარში და ზევით მთებში, კარგად მოწყობილ მღვიმეში გადაინაცვლა.

„დეილი ტელეგრაფის“ მონაცემებით, უზბეკების, ყირგიზებისა და ყაზახების სპეციალური რაზმები გადიან წვრთნას ამერიკულ რაზმებში მონტანასა და ალასკაზე და მალე ჩაერთვებიან „შურისძიების ავიარეისებში“. რაც შეეხება რუსეთს, ამ აქციაში მონაწილეობის შესახებ საუბარზე უარი თქვეს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, არც სპეცსამსახურებს უთქვამთ რამე. ეგებ სიჩუმე თანხმობის ნიშანია?

***იზვესტია №221***



# მილოშევიჩი ისევ გამოჩნდა

იუგოსლავიის ექსპრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი გადადგომის შემდეგ პირველად გამოჩნდა ტელეეკრანებზე. მისი გამოსვლა აჩვენა ტელეარხმა „იუ-ინფომ“. მილოშევიჩი ძალზე აგრესიულად გამოვიდა, მან განაცხადა, რომ ყველაფერი გაკეთდა მათი პარტიის (იგულისხმება სერბეთის სოციალისტური პარტია) დასაშლელად, რომელიც წარმოადგენდა სახალხო სახელმწიფოსა და ნაციონალური ინტერესების ერთადერთ დამცველს. „იუ-ინფოს“ კორესპონდენტის თქმით, მილოშევიჩმა სიტყვა წარმოთქვა ბელგრადში გამართულ მიტინგზე.

მილოშევიჩის დაბრუნებამ პარტიულ ოლიმპოზე სერბეთის პარლამენტში არჩევნების წინ (დეკემბერში გაიმართება) შეიძლება კვლავ გაამწვავოს ბელგრადის ურთიერთობა დასავლეთთან, რომელსაც არაფრით არ სურს ხელისუფლებაში მისი დაბრუნება. თუ დეკემბერში სოციალისტები შეინარჩუნებენ პარლამენტში უმრავლესობას, ეს დაბრუნება გარდაუვალი იქნება.

მილოშევიჩი დარწმუნებულია, რომ პარტია იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მისი ხელმძღვანელი ისევ მილოშევიჩი იქნება. გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ მილოშევიჩის მომხრეთა რიცხვი კარდინალურად შემცირდა და ახალ პარლამენტში მემარცხენეთა ფრაქცია ალბათ, განახევრდება.

***ნოვიე იზვესტია №212***

# ეგვიპტემ ისრაელიდან ელჩი გაიწვია

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა თელ-ავივიდან თავისი ელჩი გაიწვია. ამის მიზეზია პალესტინის წინააღმდეგ ისრაელის „აგრესიის ესკალაცია“. ელჩი მოჰამედ ბასიუნი (იგი 20 წელია ამ პოსტზე მუშაობს) მხოლოდ ერთხელ, 1982 წელს გამოიხმეს, როცა ისრაელი ლიბანში შეიჭრა.

მოსკოვში ეგვიპტის საელჩოს პრესმდივნის მაგდი დეივის მიერ „სეგოდნიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნათქვამია, რომ ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი იმაზე, გახდება თუ არა ელჩის გაწვევა ეგვიპტესა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის პრელუდია. ეს დამოკიდებულია შემდგომ მოვლენებზე... მაგრამ ასეა თუ ისე, დეივის აზრით, ბასიუნი ისრაელში მალე არ დაბრუნდება.

კაიროს ჩამოშორებას პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან, შესაძლოა მოჰყვეს ისეთი ტრაგედია, რომლის მასშტაბებს ძნელად წარმოიდგენს ვინმე. ამ სიტუაციაში იზრდება რუსეთის პასუხისმგებლობა შემდგომ მოვლენებზე. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ივანოვმა სასწრაფო თათბირი ჩაატარა.

ისრაელში იმედოვნებენ, რომ დაიყოლიებენ კაიროს, უარი თქვას დიპლომატიურ დემარშზე. ეგვიპტე პირველი არაბული ქვეყანაა, რომელმაც 1979 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან (არაბულ სამყაროში ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა, ეგვიპტის გარდა, მხოლოდ იორდანიასა და მავრიტანიას აქვს). ამას წინათ გამართულ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტმა არაბულ ქვეყნებს მოსთხოვა ყველა ურთიერთობის გაწყვეტა „ისრაელელ აგრესორთან“. მაშინ კაირო ამ ნაბიჯის წინააღმდეგ გამოვიდა, ომანმა და კატარმა კი დახურეს თავიანთი სავაჭრო წარმომადგენლობები. ლიგის წარმომადგენელმა რუსეთში, ალ-ძარამიმ, განაცხადა, — არაბული სახელმწიფოების ლიგა გაამკაცრებს თავის პოზიციას ისრაელის მიმართო.

***სეგოდნია №261***

# თუ სიცხე გაქვთ...

თეორიულად ნორმალური (ე.ი. ჯანმრთელი) ადამიანები დაახლოებით 36,7-36,9⁰C-ზე თბებიან, მაგრამ უნიკუმებიც გვხვდებიან: ერთნი ფილტვების ანთებას 36,6⁰C-ით გადაიტანენ, ზოგს მაღალ სიცხეს აძლევს (ციებ-ცხელებას ექიმები, სხვათა შორის, 37⁰-ზე ზემოთ ტემპერატურას უწოდებენ). ყველაფერი კი, დამოკიდებულია ვეგეტატიური ნერვული სისტემის თავისებურებებზე. უძილობის, აღგზნების, გადაღლისა და თვით ზომაზე მეტი ჭამის გამო ტემპერატურა შეიძლება დაეცეს ან აიწიოს და ეს სიგნალია იმისა, რომ მდგომარეობა, რომელშიც თქვენი ორგანიზმი იმყოფება, არც ისე სახარბიელოა და ორგანიზმი გაფრთხილებთ.

ტემპერატურის გასაზომად იღლია და პირი გამოდგება. რაც შეეხება პლასტირ-თერმოტესტებს, ისინი იმ ადგილზე უნდა მივიკრათ, სადაც მეტი სისხლძარღვები გადის. მაგალითად, ყურთან, შუბლზე. თავისთავად აწეული ტემპერატურა (39⁰-მდე) საშიში არ არის: უბრალოდ, ორგანიზმი მავნებლებთან ბრძოლაში ბევრ ჟანგბადს ხარჯავს. ამიტომაცაა სხეულის ტემპერატურა მაღალი. თუ სიცხემ ძალიან შეგაწუხათ, ერთი აბი ასპირინი დალიეთ.

არსებობს ტემპერატურის ერთი ვერაგი სახეობაც. იგი სიგნალია იმისა, რომ ორგანიზმში სერიოზულმა და ხანგრძლივმა დაავადებამ დაიბუდა. იგულისხმება ფილტვებისაგან გამოწვეული სიცხე: ყოველდღე დღის 3 საათიდან საღამოს 5 საათამდე ვერცხლისწყლის სვეტი 37,3-37,5⁰-ს აჩვენებს, რაც გრიპის ან ანგინის შემდეგ ხდება და ადასტურებს — გართულებაა ბრონქებსა ან ფილტვებში. ფილტვების დაავადებები ამიტომაც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სენად — თითქოს „უბრალო" ფილტვის ტემპერატურის უკან რომ იმალება. თუ ერთი კვირის მანძილზე, მიუხედავად ასპირინ-პანადოლ-ანალგინების ყლაპვისა, საზომი ისევ 39,0-39,5⁰-ს აჩვენებს, ექიმი უნდა გამოიძახოთ. ჩვეულებრივ, მაღალი ტემპერატურა მალე ეცემა, მაგრამ ეს ძალზე სახიფათოა: ასეთ დროს მაღლა იწევს სისხლის წნევა, გული ცუდად მუშაობს, ირღვევა სუნთქვის რიტმი, შესაძლებელია თვით ტვინის შეშუპებაც და ფონების აღრევა (საბედნიეროდ, დროებით).

*სობესედნიკი №23*

## წერილი რედაქციას

მინდა ვურჩიო თქვენი გაზეთის მკითხველს საკუთარი გამოცდილებიდან ერთი მარტივი ხერხი, რომელიც ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. ეს შეეხება სასმელ წყალს. ცნობილია, რომ „მძიმე" წყალი მავნეა ორგანიზმისათვის და საჭიროა, მისგან დავიცვათ თავი... ასე მოვიქცეთ: გავაჩეროთ წყალი ჭურჭელში 2-3 საათი, მძიმე წყალი ძირში დაილექება. ჩვეულებრივი სასმელი წყალი კი ზემოთ მოექცევა, რომელიც უნდა მიირთვათ... უკვე ათეული წლებია ამას ვაკეთებ და აღარაფერი მაწუხებს... (მიხვდით ალბათ, საკმაოდ ხანშიშესული გახლავართ).

*ლევან ლომიაშვილი, თბილისი*


ვმკურნალობთ

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**


## „კვირის პალიტრის" რედაქტორს

**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თიაქრის წარმოშობის, განვითარების მიზეზებისა და მკურნალობის შესახებ.**

*ქეთი წულუკიძე*

# თიაქარი პათოლოგიაა

თიაქარი თანდაყოლილი ან შეძენილი პათოლოგიაა. ის შინაგანი ორგანოების ბუნებრივი ან პათოლოგიური „ხვრელების" საშუალებით სხეულზე გამოსვლაში გამოიხატება (გარეთა თიაქარი). ზოგჯერ ორგანოები სხეულის ერთი ღრუდან (მაგ., მუცლის) მეორეში გადაინაცვლებს (მაგ. გულმკერდის). ამას შიგნითა თიაქარი ეწოდება.

გარეთა თიაქარი ძლიერ გავრცელებულია და ადამიანთა 3-4% მაინც აღენიშნება. იგი დისკომფორტსა თუ უსიამოვნებას იწვევს, ზღუდავს შრომისუნარიანობას, მიუღებელია კოსმეტიკური თვალსაზრისით და გართულებების „წყალობით" სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

**გარეგანი თიაქარი** შედგება: თიაქრის კარის რგოლის, რომლითაც ორგანო მუცლის წინა კედლიდან გამოდის, თიაქრის პარკის, რომელშიც თიაქრის შიგთავსია მოთავსებული და თიაქრის პარკის გარსებისგან. თიაქრის კარი მუცლის წინა კედლის კუნთში განთავსებული სუსტი წერტილია, საიდანაც პათოლოგიური წარმონაქმნი „ძვრება" და კანით დაფარული სხეულის ზედაპირზე გამოიბერება.

ბუნებრივად ასეთი სუსტი წერტილები ჩვენს ორგანიზმში რამდენიმეა: საზარდულის არხი, ბარძაყის არხი, ჭიპის, მუცლის თეთრი ხაზი (ჭიპის ზემოთ და ქვემოთ)... აგრეთვე მუცლის ღრუში არსებული ბუნებრივი „არხები" და „ნაპრალები", რომლებიც შიგნითა თიაქრის განვითარების წყაროა.

თიაქრის პარკი შესაძლოა ერთ, ორ, სამ ან მრავალკამერიანი იყოს. მის შემადგენლობაში კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასი) გარდა, ნებისმიერი ორგანოს ხილვაა შესაძლებელი, მაგრამ უმეტესად მაინც მუცლის ღრუს ყველაზე მოძრავი და „მოუსვენარი" წარმონაქმნები — დიდი ბადექონი და წვრილი ნაწლავია მოთავსებული. თიაქარი ხშირია 1 წლამდე ასაკის ბავშვებში, პათოლოგიის სიხშირე მატულობს 10-იდან 30-40 წლის ფარგლებში, განსაკუთრებით კი მოხუცებულობის ასაკში. გავრცელების მხრივ პირველ ადგილზე საზარდულის თიაქარია (75%), შემდეგ ჭიპის, ბარძაყის და ბოლოს, ოპერაციის შემდგომი. თიაქრის ჩამოყალიბებაში შემდეგი ფაქტორები მონაწილეობს: ადგილობრივი — თიაქრის გამოსვლის ადგილის ანატომიური თავისებურებანი. ზოგადი — წინასწარგანმწყობი — მემკვიდრეობა, ასაკი (ბავშვებში სუსტად განვითარებული მუცლის კედელი, მოხუცებში — კედლის კუნთების ატროფია, განლევა), სქესი — მენჯის აგებულების თავისებურება — ქალებში ბარძაყის არის, ხოლო მამაკაცებში — საზარდულის არხის სისუსტე, წონაში სწრაფი კლება, ხშირი მშობიარობები.

**ხელშემწყობი ფაქტორები**. მძიმე ფიზიკური სამუშაო, გართულებული მშობიარობა, გაძნელებული შარდვა (წინამდებარე ჯირკვლის ადენომა), შეკრულობა, ხანგრძლივი ხველა.



**კლინიკა.** დაავადების ძირითადი სიმპტომია ტკივილი, რომელიც თიაქრის ადგილას ან მუცლის არეში აღმოცენდება. აღსანიშნავია გამობერილობაც. იგი დაძაბვის დროს ან ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნისას ფიქსირდება და ხელით ჩასწორების შედეგად მცირდება ან სულაც ქრება. ტკივილი ფიზიკური დატვირთვის, სიარულის, მკვეთრი მოძრაობების დროს აღინიშნება. ამას ხშირად გულისრევა, ბოყინი, მუცლის შებერვა და შეკრულობა სდევს თან.

თიაქარი ნელა, თანდათანობით ვითარდება. თავდაპირველად მისი ჩამოყალიბების პროცესში მჩხვლეტავი ტკივილი აღინიშნება. შემდეგ გამობერილობაც ყალიბდება, რომელიც თანდათან იზრდება და ოვალურ ან მრგვალ ფორმას იღებს.

მწვავედ განვითარებული თიაქრის დროს ძლიერი ტკივილი აღინიშნება. დიაგნოზის დასმა ძნელი არ არის. გასინჯვა ფეხზე დგომისას და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში წარმოებს. გასინჯვისას განისაზღვრება თიაქრის შიგთავსი, მისი კონსისტენცია. თიაქრის ჩასწორების შემდეგ იკვლევენ კარის ფორმას, ზომას, ატარებენ ე.წ. ხველებითი ბიძგის სინჯს. ზოგჯერ თიაქრის შიგთავსის გასარკვევად რენტგენსაც მიმართავენ. თუკი თიაქრის პარკში შარდის ბუშტი ან მსხვილი ნაწლავია მოთავსებული, ასეთ თიაქარს დაცურებული თიაქარი ეწოდება. მსხვილი ნაწლავის შემთხვევაში რაიმე დამახასიათებელი სიმპტომი არ აღინიშნება. თიაქარი დიდი ზომისაა და ძირითადად ხანში შესულ ასაკში ყალიბდება. შარდის ბუშტის თიაქრის დროს კი — შარდის გამოყოფის დარღვევა, ზოგჯერ კი ორფაზიანი შარდვა აღენიშნებათ. თავდაპირველად, შარდი ძალდაუტანებლად გამოიყოფა, რასაც თიაქარზე ხელის დაჭერის შედეგად წარმოქმნილი ახალი ნაკადი ემატება.

**მკურნალობა** მხოლოდ ქირურგიულია. ოპერაცია ერთადერთი საშუალებაა თიაქრის უმძიმესი გართულებების თავიდან ასაცილებლად. კონსერვატიული მკურნალობა ბავშვებში ჭიპის თიაქრის დროს არის რეკომენდებული. მოზრდილებში სხვადასხვა სახის ბანდაჟი გამოიყენება. მისი ტარება განსაკუთრებით იმ პირებისთვის არის მიზანშეწონილი, ვისთვისაც ოპერაციული ჩარევა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული (გულის, თირკმლის, ღვიძლის, ფილტვების ქრონიკული დაავადებები). ბანდაჟის ხანგრძლივმა გამოყენებამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები — მუცლის კედლის განლევა განაპირობოს.

**პროფილაქტიკა.** თიაქრისგან „თავდასაცავად" საჭიროა: ნაწლავების ფუნქციონირების მოწესრიგება, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა, სპორტი, ჭარბი წონის თავიდან აცილება.

**გართულებები:** ჩაჭედვა, კოპროსტაზი, გაუვალობა და ანთება.

*ჩაჭედვა* — ყველაზე ხშირი და საშიში გართულებაა, რომელიც გადაუდებელ ქირურგიულ დახმარებას საჭიროებს.

ტკივილის ინტენსიურობა სხვადასხვაა. ძლიერმა ტკივილმა შესაძლოა *გულის წასვლა და შოკიც* გამოიწვიოს.

*კოპროსტაზი* ძლიერი შეკრულობა, მუცლის არეში ტკივილი, გულისრევა და ღებინება აღინიშნება.

ჩაჭედილი თიაქრის *თვითჩაბრუნების მცდელობა* ძალზე სახიფათოა. ამ დროს შესაძლოა ძლიერ დაირღვეს ნაწლავის სისხლმომარაგების ხარისხი, განვითარდეს მისი ნეკროზი (კვდომა), სისხლდენა, ინფექციის თანდართვისას პერიტონიტი, ზოგჯერ ნაწლავის გაგლეჯვაც ვითარდება. ამ დროს სასწრაფო ოპერაცია აუცილებელია.

*მაია მუხიგული*


რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მეწადისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე აღმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), 1 სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

ყურადღება!

100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც აწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) შეუძლიათ განიკურნონ ერთი ამოღებით თითოეულ თმაზე.

ვინაიდან ერთ მომენტად შეუძლებელია, რაც კი სახეზეა ყველა თმის დამუშავება, მკურნალობის პერიოდი დაყოფილია 10 სეანსად, რომლის განმავლობაშიც ეტაპობრივად ხდება სრული წმენდა, უხეში თმით დაწყებული ბუსუსით დამთავრებული. შესაბამისად სრული განკურნების დრო მოიცავს 10 თვეს. მთლიანი კურსის გავლის შემდეგ, სამუდამოდ დაგღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. (ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.)

მის: ზემო ვერა, სევასტოპოლის ქ. კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 899-50-62-42



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

MEDI მედი



ლაზერული ეპილაცია

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

ამიერკავკასიაში ერთადერთი

ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით

ი.ჭავჭავაძის გამზ. N70 25-02-02 22-50-43

ხვრინვის გეშინოდეთ!




გუდ ნაით სთოფ სნორი — GOOD NIGHT STOP SNORE

გაღვიძებისთანავე ხშირად ვგრძნობთ ყელის სიმშრალეს, უხასიათობას, შეშუპებას, დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებას და აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება ამის მიზეზი ვითომდა „უწყინარი" ხვრინვა იყოს. თანამედროვე მედიცინის ექსპერტების სერიოზული კვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ხვრინვა, რომელიც წარმოქმნის ჟანგბადის უკმარისობას, ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში პრობლემაა, რაც უსათუოდ იწვევს საკმაოდ სერიოზულ დაავადებებს, როგორიცაა გულის შეტევა, წნევა, დამბლა, ნევროზების რთული ფორმები და სხვა. ხვრინვასთან დაკავშირებულ პრობლემებს თქვენ წარმატებით მოგიხსნით შვეიცარიულ-ინგლისური კომპანია „სვისჰელსის" მიერ შექმნილი უაღრესად ეფექტური და პოპულარული მთელ მსოფლიოში, ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება „გუდნაით სთოფ სნორი", რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურად ნატურალური, უნიკალური ეთერზეთების ნაერთს; იგი მაქსიმალურად წმინდავს ცხვირ-ხახის სინუსებს და ბრონქებს, ამაგრებს მათ კუნთებს. „გუდნაით სთოფ სნორი" გარდა ხვრინვისა, წარმატებით გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ცხვირ-ხახის არეში ჩირქოვანი წარმონაქმნებისა და ღრძილების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის.




გუდნაით სთოფ სნორი — ჯანსაღი ძილის საუკეთესო გარანტია!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.

„სვისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენი" ტ: 99-87-37

# ელოდეთ „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტს

## ბარათი

ლადო ნაპირელი

შემოდგომის მზიანი დილა გათენებულიყო. ტატოს მხოლოდ თავი მოუჩანდა საბნიდან. კარგა ხანია გაიღვიძა, მაგრამ ადგომას არ ჩქარობდა. მთელი თვე არ დაუსვენია და ეგონა, უქმე დღეს ძილში გაატარებდა. საათს დახედა, ათი ხდებოდა. ხელი გამოყო და ჰაერის ტემპერატურა მოსინჯა. ცოტა ციოდა. მეტი აღარ შეეძლო. ჩამოჯდა და ჩამრთველს თითი ჩამოჰკრა. დენი არ იყო. ზანტად შეუდგა ჩაცმას.

— ნათელა! — გასძახა მეუღლეს.

არავინ გამოეპასუხა, ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ბავშვებო! — კიდევ უფრო ომახიანად დაიძახა და ისევ სიჩუმეს მიაყურადა.

საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მარტო იყო. აბაზანაში წვერის გაპარსვაც მოითავა და ღიღინით გასწია სასადილოსკენ. რატომღაც კარგ გუნებაზე იყო. მაგიდაზე მეუღლის წერილი დახვდა.



— ოხ, ნათელა, ნათელა, დღესაც არ მასვენებ, ხომ? — მოჩვენებითი უკმაყოფილებით გადაიქნია თავი და კითხვას შეუდგა.

„ტატო! არ გამიბრაზდე!

ვიცი, მთელი დღე საწოლში ვერ მოისვენებ და ადგები. გთხოვ ბაზრიდან პროდუქტი მოიტანო. კოტე და ნინიკო ლექციებზე არიან, მერე ამხანაგებთან გაივლიან სამეცადინოდ, შეაგვიანდებათ. მოსწავლეები მყავს დღეს, ვეცდები მალე მოვიდე.

გკოცნი, შენი ნათელა!

26 ნოემბერი, 2000 წელი“

იქვე ოცლარიანი იდო. ტატომ წერილი დაკეცა და პიჯაკის მარჯვენა გულის ჯიბეში ჩაიდო, ფული კი შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა.

სარკესთან მივიდა, ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა და შეტრიალ-შემოტრიალდა. ორმოც წელს გადაცილებული კაცის კვალობაზე ურიგოდ არ გამოიყურებოდა. ქურთუკი მოიცვა, გარეთ გამოვიდა და სადარბაზოს კიბეს ჩაუყვა. ეზოში ორად-ორი ბავშვი თამაშობდა თავისთვის, იქვე მაწანწალა ძაღლები დაძრწოდნენ. მათი დანახვა სხვა დროს აღიზიანებდა, ახლა კი გაეთამაშა კიდეც.

— ტატოს ვახლავარ, ტატოს! — მიესალმა მეზობელი.

— გამარჯობა!

— რაიმე სიახლე ხომ არ არის, სადოქტორო ხომ არ დაგიცავს?

— არა, ბატონო, არა, თორემ თქვენ როგორ გამოგაპარებდით?! — ასეთ კითხვებზე დიდი ხანია რეაქცია არ ჰქონდა. სწრაფადვე დაშორდნენ ერთმანეთს. მართალია, თემქაზეც შეიძლებოდა წვრილმანი პროდუქტის ყიდვა, მაგრამ ტატომ „დეზერტირების“ ბაზარში წასვლა გადაწყვიტა.

„სარაჯიშვილის“ მეტროს სადგურთან დაეშვა, მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და მოახლოებულ მიკროავტობუსს აუწია ხელი. მძღოლის გვერდით მოკალათდა...

• • •

— აქ გამიჩერეთ! — ითხოვა ტატომ და უცებ ჩახტა.

დაძრულ ტრანსპორტს თვალი გააყოლა და მერეღა მიხვდა თავის შეცდომას.

— აქ რამ ჩამომიყვანა? — თავისთვის ლაპარაკობდა. — ეტყობა, ფეხებმა მიკარნახეს — ჰგონიათ, დღესაც „ელიავას“ ბაზრობაზე უნდა დადგნენ და სანტექნიკის ჯიხურში იტრიალონ? არა, ბატონო, დღეს უნდა დავისვენოთ!

ცოტა ხანი იდგა ერთ ადგილზე. სიგარეტი გააბოლა და გადაწყვეტილებაც მიიღო. უნდა დავისვენო! რუსთაველის პროსპექტზე გავისეირნებ, თვალს წყალს დავალევინებ და იქიდან გამოვივლი ბაზარშიო.

გაზეთი შეიძინა და მეტროში ჩავიდა. ვაგონში კითხვით გაერთო, მაგრამ მაინც იგრძნო იდუმალი მზერა და რაღაც ძალამ მიახედა მარჯვნივ. სიმპათიური ქალი დალანდა. თვალი თვალში გაუყარა და... იცნო. თამუნია იცნო, ოდნავ შეცვლილი თამუნია. უნებლიეთ დაკეცა გაზეთი და მთელი არსით ჩაიძირა მოგონებებში. ოცდახუთი წელი გასულიყო...

ორივე ერთდროულად დაიძრა, ერთმანეთისკენ ანგარიშმიუცემლად მიდიოდნენ და გარშემო ვერავის ამჩნევდნენ. ახლოს, სულ ახლოს დადგნენ ერთმანეთის პირისპირ და გაირინდნენ... მერე ნაზად, ძალიან ნაზად ჩაჰკიდეს ხელები და გაჩერებული ვაგონიდან გამოვიდნენ. იქვე, მოსაცდელ სკამებზე ჩამოსხდნენ... ხმას ვერ იღებდნენ... მხოლოდ თამუნია სლუკუნებდა ხმადაბლა...

— სად ხარ, ბიჭო? რატომ ერთხელ მაინც არ შემხვდი აქამდე? სულ ვფიქრობდი — რომ შემხვდება, როგორი იქნება-მეთქი? სულ არ შეცვლილხარ.

ერთმანეთს თვალებით ეფერებოდნენ და სულით ეტრფოდნენ დიდი ხნის წინანდელი მიჯნურები. ახლა მიმხვდარიყვნენ, რომ ერთმანეთზე ხშირად ფიქრობდნენ.

— ჩემი ბარათი თუ წაიკითხე, თამუნია, სამალავში რომ დაგიტოვე? — ძლივს ამოღერღა კაცმა.

— არა, ტატო, მეც დავტოვე ბარათი, მაგრამ იქ არაფერი დამხვედრია, — კანკალით მიიდო ხელი პირთან ქალმა.

ტანში ჟრუანტელმა დაუარა ორივეს. შეთანხმებულებივით დაიძრნენ...

კიკვიძის ბაღის აგურით ნაშენ განიერ მესერს მიადგნენ. ქალი ცერებზე აიწია და აგური გამოიღო კედლიდან. იქიდან წლებისა და ნესტისგან გახუნებული, უცნაური შეფერილობის ბარათი ამოიღო და შემობრუნდა...

— არა, თამუნია! არა! — სიმწრისგან იღრიალა ტატომ და იქვე ჩაიკეცა, თავი მუხლებში ჩარგო.

გაოცებული მივარდა თამუნია.

— რა მოხდა, ტატო?

კაცი წამოდგა, ამღვრეული თვალებით მივიდა კედელთან და ღიად დარჩენილი ადგილიდან ოციოდე სანტიმეტრით მარჯვნივ გამოიღო აგური, იქაც ისეთივე ბარათი აღმოჩნდა.

დამდუღრულებივით დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ბარათები უჩუმრად გაცვალეს. ცრემლიანი თვალებით შეხედეს ერთმანეთს და იქაურობას ცალ-ცალკე გაეცალნენ...

ბაზარში რომ შევიდა, მაშინღა გამოერკვა ფიქრებიდან ტატო, ბარათი ისევ ხელში ეჭირა, პიჯაკის მარცხენა ჯიბეში ჩაჩურთა და ძალით გაიხალისა თავი. ვაჭრობას შეუდგა.

• • •

კარი მეუღლემ გაუღო.

— აბა, ჩემო ნათელა, დატრიალდი, ღვინო ჩემზე, დანარჩენი შენზე!

— ნასვამი ხარ, ტატო?

— არა, არა ვარ ნასვამი. მინდა თითო ჭიქა შენთან და ბავშვებთან ერთად დავლიო.

სუფრა გაიშალა. ოთხივენი მაგიდას მიუსხდნენ.

— ნუ ღელავ, ჩემო ნათელა, რაც დამაბარე ხვალ მოგიტან, სია კი არ დამკარგვია! — ჩაიყო ჯიბეში ხელი ტატომ და...

წლებისა და ნესტისგან გახუნებული უცნაური შეფერილობის ბარათი ამოიღო, ფერი ეცვალა.

— ახლავე მოვალ, — თქვა და სააბაზანოში შეიკეტა.

ათრთოლებული ხელით გახსნა ბარათი, ნაწერის დასაწყისს დახედა

„გკოცნი, შენი თამუნია!...“

ბოლოსკენ გაექცა თვალი:

„... ტატო! არ გამიბრაზდე!

26 ნოემბერი, 1975 წელი“.

## ჩემს შთამომავლობას

### XXI საუკუნის მოქალაქეებს (სახალხო პროექტი)

ნუ წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, როგორც ჩვეულებრივი ან თუნდაც არაჩვეულებრივი სტატიის სიტყვებს, და ნუ აღიქვამთ ორიგინალობის სურვილით გამოწვეულ უცნაურობად. პროექტი თითოეულ თქვენთაგანს, თქვენსავე შვილებს, შვილთაშვილებს და მთელ შთამომავლობას ეხება.

ადამიანის ძირითადი დანიშნულება, გამრავლებასთან ერთად, ზრუნვაა... შთამომავლობაზე ზრუნვა. ეს თვისება ღმერთმა გაჩენისთანავე ჩაგვინერგა და ამიტომაა, რომ საშოვარზე გასული უამრავი ადამიანი არად აგდებს დარსა თუ ავდარს, შიმშილსა და ავადმყოფობას და ყველაფერს იკლებს, ოღონდ ცივ და ბნელ სახლებში დარჩენილ შვილებს ლუკმაპური არ მოაკლოს და შიგადაშიგ გაანებივროს კიდეც.

შთამომავლობისთვის აქვთ მათ სათქმელი!

დახეიბრებულ და დაბეჩავებულ, აფხაზეთის ომიდან დაბრუნებულ მეომართა უმეტესობას არ უთქვამს გულის ნადები და ყველაზე მეტად ის აშინებთ, რომ წლებისა და ათწლეულების შემდეგ ვერ გაუგებს მათ საკუთარი შთამომავლობა. შთამომავლობისთვის აქვთ მათ სათქმელი...

ბევრმა მიატოვა საკუთარი კერა და იძულებული გახდა, საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ვინ იცის, რამდენი დამცირება გადაიტანეს და რამდენი აქვთ კიდევ გადასატანი, რისთვის და ვისთვის იმწარებენ სიცოცხლეს. მათაც აქვთ შთამომავლობისთვის სათქმელი...

ქუჩაში გამოსულ სხეულით მოვაჭრე ქალსაც, რომელიც ცხოვრებამ დააყენა ამ გზაზე, შინ კი ობოლი შვილები და მოხუცი მშობლები ელოდებიან, ძალიან მწარე სათქმელი აქვს...

სათქმელი უდროოდ თვითმკვლელობით წასულ კაცსაც ჰქონდა...

სათქმელი უიმედოდ შეყვარებულსაც აქვს...

სათქმელი ჩვენს შვილებსაც ჰქონიათ, რომლებსაც პატარებად ვთვლიდით...

სათქმელი აქვს დიდსაც და მცირესაც, მდიდარსაც და ღარიბსაც.

ყველას ექნება საკუთარი აზრის გამოთქმისა და XX საუკუნეში გაგზავნის საშუალება, დანაბარები კონფიდენციალური იქნება და თქვენს ბარათს თქვენივე შერჩეული ადრესატი 2001, 2005, 2010, 2025, 2050 და 2100 წლებში მიიღებს: საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ეძლევა საშუალება. წერილობითი სახით დაუტოვოს თავისი დანაბარები შთამომავლობას, სიტყვით გამოხატოს დამოკიდებულება შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების მიმართ, დალოცოს ისინი, ჩამოაყალიბოს შეხედულებები და გაუზიაროს XX საუკუნეს, გამოხატოს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ნებისმიერი სურვილი, დატოვოს საკუთარი კვალი (სურვილისამებრ, შეიძლება დაურთოს ფოტოსურათი).



საუკუნის იქით თქვენი სიცოცხლის გზის გამგრძელებელს ამცნეთ თქვენი საუკუნის აქეთურ წინაპართა ვინაობა... ვიცოდეთ, რა გორისანი ვიყავით და ვართ, საიდან მოვდივართ...

გავაცოცხლოთ გენეალოგიური ხის ფესვები, სადამდეც მიგვიწვდება გონი... ეს ხომ სიცოცხლის უწყვეტი ჯაჭვია.

ამჯერად ნაწილობრივ „გავხსენით“ პროექტი, ვრცლად უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

პროექტი „ჩემს შთამომავლობას — XX საუკუნის მოქალაქეებს“ — მიმდინარეობს საქტელერადიოკორპორაციის ხელშეწყობით, სადაც უმალ ჩასწვდნენ ჩვენს ჩანაფიქრს და ყოველგვარი მხარდაჭერა აღგვითქვეს.

„კვირის პალიტრა“


## ლამაზი ფიგურა? – მიუღწეველი არაფერია!

სამედიცინო ცენტრში **“მედი”** დაინერგა და წარმატებით ხორციელდება ფიგურის კორექციის უნიკალური მეთოდი - **ულტრაბგერითი ლიპოსაქცია**. ეს უახლესი მიღწევაა კოსმეტიკურ ქირურგიაში და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში. ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და ერთდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. აღნიშნული ოპერაცია, სხვა ანალოგიური მეთოდებისგან განსხვავებით, გაცილებით დამზოგველია. არ აზიანებს სისხლძარღვებს, ლიმფურ სადინარებს და ნერვულ ბოჭკოებს, რის გამოც მას გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე და პაციენტი იმავე დროს უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რითმს. ერთადერთი, რამაც შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას პაციენტს, კომპრესიული ბანდაჟის ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ, ულტრაბგერი-თი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები, მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაცის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, გამოყენებულია ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება - კანი, მისი ზემოქმედების შემდეგ ელასტიურობას აღიდგენს და თვითონვე უბრუნდება პირვანდელ სახეს. შესაბამისად, არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის სოლიდური სამედიცინო ცენტრი, მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტია მაქსიმალური შედეგის და წარმატების გარანტია.

**“მედი” კოსმეტიკური ქირურგიის მხოლოდ მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს გთავაზობთ.**

აპარატურის უმეტესობას, რომელიც აქ გამოიყენება, ანალოგი არ გააჩნია ამიერკავკასიაში.

მყუდრო და კომფორტული გარემო, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერება, თქვენ შეგიქმნით მკურნალობისთვის იდეალურ ატმოსფეროს.

**სამედიცინო ცენტრი “მედი”**

**ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**

**ტელ: 25-02-02; 22-42-73**

**ფასდაკლების კუპონი ულტრაბგერით ლიპოსაქციაზე**

კუპონის წარმოდგენის შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის ფასდაკლებას

15 %

# როიალი, რომელზეც სტალინს ველისციხეში ეძინა, დღესაც სიღნაღში დგას

ამბობენ, სტალინი ისე გაბატონდა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე და პოლიტიკურ პარნასზე ისე ავიდა, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში და მათ შორის კახეთში, ერთხელაც არ ყოფილაო. ამ მოსაზრების მიმდევრები წინამდებარე ინტერვიუს წაკითხვისას ალბათ კიდევ ერთხელ ირწმუნებენ საბჭოეთის ბელადის რევოლუციურ და პოლიტიკურ გამჭრიახობას, სრულყოფილად შეენიღბა არა მარტო თავისი სახელმწიფოებრივი მიზნები, არამედ თითოეული ნაბიჯიც კი ისე, რომ მასზე, ერთი საუკუნის შემდეგაც გაძნელებულიყო ინფორმაციის მიღება.

„კვირის პალიტრის“ რესპონდენტი გახლავთ ოთხმოცდაათს გადაცილებული ვანო ვახტანგოვი, რომელსაც ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ახსოვს იოსებ ბესარიონის ძის სტუმრობა ველისციხეში და „გუშინდელივით“ ნათლად იხსენებს სხვა ცნობილი რევოლუციონერების ურთიერთობებს თავის ოჯახთან.

— მამაჩემი, იოსებ ვახტანგოვი, გორში დაბადებულ-გაზრდილი კაცი იყო და ხშირად ჩამოდიოდა თელავში, სადაც და ჰყავდა გათხოვილი. სწორედ თელავში გაუცნია დედაჩემი, ველისციხელი შეძლებული ვაჭრის, თარხანოვის დედისერთა ქალიშვილი მარიამი და მის ოჯახში ზედსიძედ შესულა.



როგორც თვითონ მიამბობდა ხოლმე, გორში ის და სოსო ჯუღაშვილი მეზობლები ყოფილან, სასულიერო სემინარიაშიც ერთად უსწავლიათ. ცოტა ხანს თბილისში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაშიც უმუშავიათ. იქ იყვნენ მამაჩემის ძმებიც — ქრისტეფორე და ტიგრანა. ეს უკანასკნელი შემდეგ სწორედ ავლაბრის სტამბაში დააკავეს და აწამეს ჟანდარმებმა.

მამაჩემი აქ, წალამურში (ველისციხის უბანია), დედაჩემისეულ მამულს უვლიდა. იშვიათ ღვინოს აყენებდა და კისლოვოდსკში თავისსავე ღვინის სარდაფში ყიდდა.

მახსოვს, დედაჩემი სულ დავობდა, — რასაც შოულობდა, სულ რევოლუციონერებს აჭმევდაო. ჩანს, იმ დუქანში იკრიბებოდნენ ბოლშევიკები და მამაჩემს აძლევდნენ მითითებებს, რა გაეკეთებინათ საქართველოში.

შემდეგ მამაჩემმა თავი დაანება სირაჯობას და ვაზისუბნის სუბ-სარქისის სომხურ ეკლესიაში ტერტერად ეკურთხა. თურმე, ასე თანამოაზრეების რჩევით მოქცეულა — მღვდელზე ეჭვს ნაკლებად მიიტანენ და საქმეში უკეთესად დაგვეხმარებიო.

ასეც ხდებოდა: პროკლამაციების გავრცელება იყო თუ ფარული კრებების მოწყობა, სულ ჩვენს სახლში იგეგმებოდა. ყველაზე ხშირად მამაჩემთან კამო სტუმრობდა. აი, იმ ძველი სახლის ერთ-ერთ ოთახში, კედელზე კამოს აჩრდილი ვიღაცას ზუსტად შემოეხაზა და სანამ სახლი დაინგრეოდა, არ წაგვიშლია.

დედაჩემი ამბობდა, იმ რევოლუციონერთა შორის, რომლებიც ჩვენთან მოდიოდნენ, კამო ყველაზე მოხერხებული და ეშმაკი იყოო. ერთხელ, დედას ფანჯრიდან დაუნახავს, როგორ ამოდიოდა კიბეზე ჟანდარმერიის ოფიცერი. ფერი დაუკარგავს — ნამდვილად იოსებას წასაყვანად მოდიანო, მაგრამ ჟანდარმის სამოსში გამოწყობილი კამო შერჩენია ხელში.

დედაჩემი ამბობდა, კამოს მსახიობის ნიჭიც ჰქონდაო. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ენას უკიდებდა, მეგობრებს ისე ბაძავდა ლაპარაკსა და ქცევაში, არტისტს შეშურდებოდაო. თურმე, განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა ლენინის გაჯავრება.

**— რევოლუციონერთაგან კიდევ ვის ჰქონდა მამათქვენთან ურთიერთობა, ძია ვანო?**

— ლენინსაც ჰქონდა მიმოწერა მამაჩემთან. იქიდან წერილთან ერთად ფულიც ბევრჯერ მიუღია სხვისთვის გადასაცემად. ეტყობა, რევოლუცია რუსეთიდან ფინანსდებოდა.

მამაჩემი წესიერი და პატიოსანი კაცი იყო, არ მახსოვს, იმ ფულისათვის კაპიკი მოეკლოს, უკლებლივ აბარებდა პატრონს. ლენინის წერილებს კი დედაჩემი ინახავდა. მერე ნელ-ნელა დაიფანტა, დაიკარგა. უკანასკნელი ასეთი რელიკვია ამ ათი წლის წინ ერთმა ჟურნალისტმა წაიღო, კიდევ მოვალ და დაგიბრუნებთო. აღარც თვითონ მოსულა და აღარც წერილი მოუტანია...

**— სტალინი როდის იყო თქვენთან?**

— წელი აღარ მახსოვს. ღამე მოვიდა ამხანაგთან ერთად. თითქმის მთელი დღე ელოდა თხუთმეტამდე ახალგაზრდა, მათ შორის გოგოებიც იყვნენ. ჩვენ პირველ სართულზე ვიყავით და მხოლოდ „მთავარი სტუმრის“ მოსვლის შემდეგ ამიყვანა დედაჩემმა მაღლა. მახსოვს, წვეროსანი ახალგაზრდა კაცი როიალთან იჯდა და ძალიან მშვიდად, დაბალი ხმით ლაპარაკობდა. ყველა სულგანაბული უსმენდა.

დედაჩემის გადმოცემით ვიცი, ჩვენს სახლში სტალინს ერთი სომხის გოგო მოსწონებია, თოვლივით თეთრი და კუნაპეტივით შავთვალა ანგელოზი. იმის მზერას რომ შეხვდებოდა, სოსოს წამით სათქმელიც კი ავიწყდებოდაო. მერე, როცა ის გოგო როიალთან დამჯდარა და სიმღერა დაუწყია, სტალინი გარეთ გასულა. მამაჩემისთვის უთქვამს: „თუ მაგ გოგოს დავიწყებ შევძელი, ხომ გადავრჩები, თუ არა და, წასულია რევოლუციის საქმე“.

ამის შემდეგ კიდევ ჩამოსულა სტალინი ჩვენში.

აგერ, ზეგაანამდე (ველისციხის მეზობელი სოფელი) ყოფილა მოსული, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოუღწევია, რადგან მავანთ გაუგიათ და სასწრაფოდ გასცლია იქაურობას.

ჰო, დამავიწყდა მეთქვა, ჩვენთან სტუმრობისას სოსოს ღამე როიალზე ეძინა. მერე, როცა ქვეყნის პირველი კაცი გახდა, მამაჩემი სიამაყით დაარტყამდა ხოლმე ხელს როიალს და ამბობდა, — ამაზე დიდ ბელადს ეძინაო! როცა ძალიან გაგვიჭირდა და ბევრი რამე გავყიდეთ, მაშინაც კი არ დაუკარებია მისთვის თითი. შემდეგ ის როიალი ბეგარაში წაგვართვეს. ამბობენ, დღესაც სიღნაღის კულტურის სახლში დგასო. როიალი გერმანული იყო.

ძალიან უყვარდა მამაჩემს სტალინი. სულ იმის ღირსებებზე ლაპარაკობდა. როცა ქვეყანაში გაკულაკება, რეპრესიები და ათასი უბედურება დაიწყო, არ იჯერებდა, რომ ამაში შეიძლება სტალინის ხელი ყოფილიყო გარეული — აქ, ადგილზე ამახინჯებენ მის ბრძანებებს და განკარგულებებსო, — ამბობდა.

**— თქვენ ალბათ არ შეგხებიათ ეს „დამახინჯებები“?**

— როგორ არა. ერთხელ „ვირის აბანოში“ უკრეს თავი მხოლოდ იმიტომ, რომ... მღვდელი იყო. სიღნაღის მაზრაში წაიყვანეს, გაკრიჭეს და დახვრეტა მიუსაჯეს. დედაჩემი სასწრაფოდ თბილისში ჩავიდა და ორჯონიკიძეს უამბო ყველაფერი. იმას სტალინისთვის დაურეკავს და უკვე კედელთან დასახვრეტად მიყენებულისთვის მიუსწრია სტალინის ელვადეპეშას, სადაც ვახტანგოვის გათავისუფლებას ბრძანებდა. მაშინ კი გადარჩა, მაგრამ იმის შემდეგ სულ უკან-უკან წავიდა ჩვენი საქმე: მამულებიც ჩამოგვართვეს, ფირმაც გაგვიუქმეს და ის ბეჭედიც წაგვართვეს, თავის დროზე რევოლუციურ დოკუმენტებს რომ „აჩალიჩებდნენ“ მამაჩემის ძმაკაცები.

გაგვიჭირდა ძალიან ჩვენც და სხვასაც. დედაჩემმა მამა შეაგულიანა — ჩადი მოსკოვში, ნახე სოსო და ყველაფერი უამბე, რაც აქ ხდება, იქნებ, არც იცისო.

ორჯერ წავიდა მამაჩემი რუსეთში. თურმე არც ერთხელ არ შეუშვეს სტალინთან: ერთხელ — სოჭშიაო, მეორედ კიდევ — გასულია კრემლიდან და სამი-ოთხი დღე არ იქნებაო.

სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად აყვედრიდა დედაჩემი მამაჩემს თავის რევოლუციურ „ღვაწლს“ და რევოლუციონერებზე გადაყოლას — აბა, რა ჩამოგიყარეს შენგან აღზევებულმა მეგობრებმა, ქვეყანაც დააქციეს და ჩვენც გაგვაუბედურესო.

მართალი იყო ცხონებული. მას შემდეგ წელში ველარ გავმართულვართ. თუმცა... სტალინი რა შუაშია...

**P.S.** კარგი ცხოვრების სამახსოვროდ მხოლოდ ანტიკვარული, გერმანული პიანინოლა დგას ვახტანგოვების ოჯახში. მასზე სტალინს არ სძინებია. ის მაშინ იყიდეს, როცა კრემლში მყოფ ბელადს ალბათ საქართველოში გატარებული ღამეები ესიზმრებოდა.

არავინ იცის, რა ესიზმრებოდა სტალინს რევოლუციამდელ ველისციხეში, როდესაც ვახტანგოვების გერმანულ როიალზე ეძინა, იქნებ ის სომხის გოგო, მის შავ, ბრიალა თვალებს მზერას რომ ვერ უსწორებდა? ან იქნებ ის რევოლუციური იდეები, მოგვიანებით დიდ, მონოლითურ, ზეიმპერიად რომ აქცია რუსეთი... იმ გადმოსახედიდან ცხადია, პაწაწინა გამოჩნდებოდა ველისციხე და ძალიან ფერმკრთალი — ველისციხელი გოგოს მაყვლისფერი თვალები.

სამაგიეროდ, რევოლუცია გადაარჩინა... ოღონდ ვისთვის?!

**ფირუზ ფურცელაძე**

# გოლიათები ცეროდენებს ამოუხოცავთ



## ადამი 40 მ სიმაღლისა იყო!

„დედამიწაზე ცხოვრობდნენ მაღალი ადამიანები. ეს მაშინ იყო, როცა ღვთისშვილები ეუღლებოდნენ კაცთა მოდგმის ქალებს და შობდნენ გოლიათებს“ — ნათქვამია ლეგენდაში.

ყველა ხალხის მითებსა და ლეგენდებში შეხვდებით გოლიათებს. თუნდაც ქართული დევები გავიხსენოთ. ჩინელ მეფეებსა და ეგვიპტის ფარაონებს სჯეროდათ, რომ გოლიათები მათი წინაპრები იყვნენ. შემორჩენილია უამრავი ნაგებობა, რომელთა აღმართვა ჩვეულებრივი სიმაღლის ადამიანს არ შეუძლია.

მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე მეცნიერები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ პირველი ადამიანები გოლიათები იყვნენ — ადამი 40 მ სიმაღლისა იყო, ევა — 35-ის! ამ აზრს მხურვალედ უჭერდა მხარს ცნობილი შვედი ბუნებისმეტყველი კარლ ლინეი, რომელმაც მოახდინა მცენარეული და ცხოველთა სამყაროს კლასიფიცირება. შემდგომ რატომღაც დაივიწყეს ეს ამბავი, მუზეუმებიდანაც გაქრა არქეოლოგთა მიერ მოპოვებული იშვიათი დამადასტურებელი მასალა...

## მოპარული ძვლები

მაგრამ ზოგი რამ მაინც შემორჩა: ამერიკაში, ნევადის შტატის მუზეუმში დაცულია 1911 წელს ნაპოვნი ადამიანის თავის ქალა, რომელიც 1 მ-მდე დიამეტრისაა. ამ თავის პატრონი 3 მ სიმაღლისა მაინც იქნებოდა.

ჰოლანდიელმა ანთროპოლოგმა კენიგსვალდმა ჰონკონგში შეიძინა ადამიანის კბილი, რომელიც ჩვეულებრივზე 6-ჯერ დიდია.

ეს არის და ეს...

ანთროპოლოგიაში ცნობილია ე.წ. უდაბნოს (4 მ სიმაღლის) ადამიანი. იგი ნაპოვნია საქართველოში, უდაბნოს არქეოლოგიური გათხრებისას.

შვეიცარიაში 1577 წელს მთის ერთ-ერთ გამოქვაბულში ექიმმა ფელიქს პლატერმა იპოვა 6 მ-იანი გოლიათის ჩონჩხი. ამერიკის დამპყრობთა მხედართმთავარმა კანონმა აცტეკთა ერთ-ერთ ტაძარში აღმოაჩინა 20 მ-იანი ჩონჩხი, ხოლო ვინმე უითნი, რომელიც მე-19 ს-ში აშშ-ის მთავარი არქეოლოგი იყო, გათხრებისას წააწყდა 2 მ დიამეტრის მქონე თავის ქალას. ცხადია, ამხელა თავი სულ ცოტა, 50 მ-იან კაცს ედგა მხრებზე!

## მილიონი წლის საიდუმლო

იოლი გასაგებია, რატომაც მალავენ მეცნიერები ამ გიგანტურ ძვლებს და დუმან!.. ეს ამხელა ადამიანები ხომ არანაირ სამეცნიერო ჩარჩოებში არ თავსდებიან და მათი არსებობა, ევოლუციის საკითხებში სრულ არეულობას იწვევს.

ზოგი გოლიათის ძვალი 200-300 მლნ წლისაა. ისინი ცხოვრობდნენ დინოზავრების ეპოქაში, დედამიწაზე დღევანდელი ადამიანის გამოჩენამდე. ამას ადასტურებს ერთსა და იმავე ადგილას, გვერდიგვერდ შემორჩენილი 120 სმ-იანი ადამიანის ტერფისა და დინოზავრის ბრჭყალებიანი ტორის ანაბეჭდები.

სხვათა შორის, მაშინ არც ჯუჯა მცენარეები ხარობდა, ფიჭვი, მაგალითად, 200 მ-ს აღწევდა, დაცოცავდნენ 2 მ-იანი კიბორჩხალები და დაფრინავდნენ 20 სმ-იანი კოღოები.

კოსტა-რიკის ჯუნგლებში გაფანტულია ქვის ბურთები, რომელთაგან ზოგი 16 ტონიანია და 2,5 მ გარშემოწერილობა აქვს.

## მარტოხელა კაციჭამიები

უკანასკნელად, ცოცხალი გოლიათი წერილობით წყაროებში მოიხსენიება რუსულ მატიანეში. თათარ-მონღოლებმა თურმე კულიკოვოს ბრძოლაში რუსების წინააღმდეგ 4 მ-იანი მეომარი გამოიყვანეს, რომელიც რუსმა გოლიათებმა აკუწეს.

ყურანში წერია, გოლიათები სიმაღლით ყველაზე მაღალ პალმებს აჭარბებდნენო. თურმე ისინი დასცინოდნენ ნოეს, რომელიც წარღვნიდან თავის დასაღწევად კიდობანს აგებდა, — ჩვენ წარღვნა ვერას დაგვაკლებს, წყალი წელამდე თუღა მოგვწვდება, ხოლო ადიდებულ მდინარეს ცალი ფეხით გადავკვეტავთო...



მეცნიერთა ვარაუდით, გოლიათების ერთი ნაწილი მსოფლიო წარღვნას შეეწირა, მეორე — გადაგვარდა, ზოგი გადარჩა, მიიმალა და ტანჩიორა თანამოძმეთა ჭამას მიჰყო ხელი. მათ კი ეს ვერ აიტანეს და დაიწყეს გოლიათების ხოცვა...

1932 წელს ოქროსმაძიებლებმა — სესილ მეინმა და ფრანკ კარმა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინეს ცეროდენა ადამიანის მუმია. მეცნიერებმა რენტგენის სხივებით დაადგინეს, რომ იგი ზრდასრული ადამიანისაა და გარდაიცვალა ათეულ ათასობით წლის წინ. მისი სიმაღლე ძლივს აღწევს 30 სმ-ს.

ამერიკელ აბორიგენთა გადმოცემებში შეგხვდებათ ბოროტი ქონდრისკაცები, რომლებიც შხამიანი ისრებით გასართობად ხოცავდნენ გოლიათებს.

ჯუჯა ადამიანები ბევრი ხალხის ზღაპრებსა და მითებში არიან აღწერილნი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რადგან დედამიწაზე ოდესღაც გოლიათებიც იყვნენ და ჯუჯებიც, შესაძლებელია, აქსელერაციის წყალობით, კვლავ გაჩნდნენ ტანად დიდი ადამიანებიო.

ასე რომ, ოდესღაც დედამიწაზე დიდი დომხალი ყოფილა და თუ მეცნიერთა ვარაუდი გამართლდა, კვლავ მოსალოდნელია ალვის ხესავით ტანსარო თანამოძმეები მოგვიჯიშდნენ.

***ექსპრეს-გაზეტა* №29**

# თალიბებმა ამო-ს ესკადრილია დაცხრილეს

უცნაური ინციდენტი მოხდა 2000 წლის 15 აგვისტოს ქანდაგარში, ქაბულიდან 200 კმ-ის დაშორებით. 20.15 სთ-ზე თალიბების საბრძოლო ქვედანაყოფებმა ცაში მოგრძო ფორმის უცხო ობიექტები შენიშნეს. ჯერ ეგონათ, ტერორისტი ბენ ლადენის ერთ-ერთი საიდუმლო რეზიდენციისკენ მიმართული ამერიკელების მიერ გამოშვებული რაკეტებიაო და უცნაურ ობიექტებს ესროლეს რაკეტები „მიწა-ჰაერი“. როცა მათ ფრენის მიმართულება შეიცვალეს, ნათელი გახდა, რომ ეს იყო უცნობი წარმოშობის მართვადი აპარატები.

ავღანეთის მასმედიის ცნობით, ამო-მ გადაკვეთა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარი და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა.



როგორც ბალუჩისტანის სამხედრო უშიშროების სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა ასმადულამ განაცხადა, ის ყოველ ღონეს იხმარს ამ უჩვეულო აპარატების საიდუმლოს ამოსახსნელად და ავღანეთის ტერიტორიაზე გამოჩენისთანავე გაანადგურებს მათ.

***ნლო* №45**

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**

სიზარმაცეს სიღარიბე მოსდევსო.

**II. მულტფილმვორდი**

**თარაზულად:** 3. კონკია; 6. გენა; 9. ტომი; 11. სალამურა; 12. პლუტო; 13. ალადინი; 14. კომბლე; 15. ბურატინო.

**შვეულად:** 1. დონალდი; 2. სიზმარა; 4. ბემბი; 5. მაუსი; 7. ზაქარა; 8. ტასიკო; 10. მაუგლი; 12. პუმბა.

**III.** მეოთხე და მეათე რაკეტები.

**IV.** ა) სპილო; ბ) მელია.

**V.** „ილა“

**VI.** კომბოსტო.

**VII.** გამარჯვებულმა ჭიქა ჩადგა ქილის ფსკერზე.

# გალაკტიონი სვამდა, როცა სულს ატკენდნენ... არადა — ხშირად იყო ნასვამი...

იმ ნოემბერს გალაკტიონი დაიბადა. „ცხოვრობდა და დადიოდა თბილისის ქუჩებში კაცი-ლეგენდა. ხან დაღვრემილი, ხან მოცახცახე, ხან მოქილიკე, მაგრამ ყოველთვის, „სავსე ქართული პატიოსნებით“. დღეს დენდი იყო, არისტოკრატი — ხვალ ფსკერის პირმშო, წვერში ჩარჩენილი პურის ნამცეცებითა და შეშლილი თვალებით...

ქუჩაში მისი გამოჩენა ქარაშოტს ჰგავდა. ააყირავებდა ყველაფერს, შეგძრავდა და გაქრებოდა. ტოვებდა ათასგვარ საფიქრალს, უცნაურ მითქმა-მოთქმას, თუ გაოცებაში გადასულ ჭორებს“ (ნოდარ ტაბიძე).

ასეთი იყო მეფე-პოეტი, „მარტოობის ორდენის კავალერი“. შემოქმედმა დაანათლა გენიოსის გახელებული, მბორგავი სული. ერთი წამითაც არ უცხოვრია უზრუნველად — დიდი, გაუსაძლისი ტკივილის გარეშე. მარტოსული უბის წიგნაკს ანდობდა თავის წუხილს — „მე ალვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამების, რომელშიც შესვლა არ შეუძლია ჩემს გარდა არავის... მეშინია დავუახლოვდე ადამიანებს... ამხანაგი არ მყავს ისეთი, რომ არ მეწყენინებინოს. იქნებ ეს იმიტომ მომდის, რომ სიმართლე მეტად მიყვარს, მაგრამ უფრო ჩემს ცუდ ხასიათს ვაბრალებ“. უჭირს საზოგადოებაში თავის ლაღად დაჭერა. თავს ებრძვის, სიმორცხვის დაძლევას ცდილობს. მიმართვის ფორმაც გამოიმუშავა, — „ძამიკო!“ ამით უხერხულობას ფარავს.

ძნელი იყო მასთან მეგობრობა. ამიტომ დადიოდა თითქმის ეულად.

**ვახტანგ ჯავახაძე** (პოეტი, გალაკტიონის სიცოცხლეში გამოცემული ბოლო წიგნის რედაქტორი): როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა... უმეგობროდ იცხოვრა. პრაქტიკული ცხოვრების უმნიშვნელო უნარიც კი არ გააჩნდა (ამაზე თავადაც წუხდა — მე ხომ სრულიად ლაპარაკი არ ვიცი... ეს ფუსფუსი პატარ-პატარა ხალხის, ჩემთვის გაუგებარიაო). თითქმის ყოვლისშემძლე ხდებოდა, როცა კალამს იღებდა ხელში და უსუსური იყო, როცა ქაღალდს გაშორდებოდა. მაღაზიიდან პურის მოტანა უჭირდა, ნათურა რომ გადაიწვებოდა, ტრაქტატებს წერდა...

ის „მეგობრობდა“ არა მწერლებთან, არამედ ჩვეულებრივ ხალხთან... მაგრამ ესეც განსხვავებული „მეგობრობა“ იყო.

სუფრის მეგობრები ჰყავდა. ერთ ნავთქურის შემკეთებელს გალაკტიონი „ტრუბკას“ ეძახდა. ის და მისი მსუბუქი ყოფაქცევის მეგობარი ნიურა იყვნენ ხშირად პოეტის მეინახენი. გალაკტიონი ფულს აძლევდა, ღვინო მოჰქონდათ.

...ხშირად ღამესაც ერთად ათევდნენ. მათთან უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. ადამიანებზე ძალიან გულგატეხილი იყო. მას ხომ „ცისფერყანწელები“ დაუპირისპირდნენ. არ აპატიეს გამორჩეული ნიჭიერება. ვინც ყველაზე უკეთ იცოდა მისი ფასი, სწორედ ისინი ებრძოდნენ დუმილით. ერთ საღამოზე პაოლო იაშვილს ირონიით უთქვამს, — დაიკავოს ეს უზარმაზარი წიგნი და პირდაპირ თავში ჩაარტყას აუდიტორიასო. გული ატკინეს... გალაკტიონიც წუხს: „პოეტი რომ მოკლა, ამისთვის სიტყვა არ არის საჭირო, პოეტს სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებს“.

— **როდესაც ყველა ასე განუდგა, რას აკეთებდა ტიციანი, ცისფერყანწელების სული და გული, მისი სისხლი და ხორცი?**

**ვახტანგ ჯავახაძე:** ტიციანი, რომელიც 1914 წელს აქებდა გალაკტიონს, მისი მეორე წიგნის გამოცემის შემდეგ გაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია...

გალაკტიონს ქართველმა მწერლებმა მაშინ თვალი აარიდეს და ეს მეთოდი შემდგომაც არაერთხელ გამოიყენეს. 1924 წლის აგვისტო. რუსთაველზე მაიაკოვსკი მოდის ქართველ მწერლებთან ერთად. გალაკტიონი ერიდება. მაიაკოვსკის მხლებლებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, — „ვერ შეამჩნიეს“.

არაერთხელ „დავიწყნიათ“... მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე არ წაიყვანეს. მეორე ყრილობის დელეგატებშიც „გამორჩათ“... როცა სიას გადახედა, გაოცდა თურმე მაშინდელი ცკ-ის მდივანი (ვასილ მჟავანაძე) და ბოლოში 54-ე ნომრად მიაწერა გალაკტიონი. თბილისში ასე „გადარჩა“, მაგრამ მოსკოვში მაინც გაამწარეს... პრეზიდიუმის წევრთა სიიდან ამოიღეს — მთვრალი მოვა და შეგვარცხვენსო.

„რად ხმაურობენ საცოდავი ჩემი მტრები... ისინი ჩემი ლიტერატურული მტრები არიან!..“ გალაკტიონში ხანდახან ბრძოლის სურვილი ილვიძებს — „ამ ბრძოლაში ან ერთი მოკვდება, ან მეორე!“ ჩოქვით მოვლენ... ყველაფერს იტყვიან, მწარედ ატირდებიან... მე თუ ისინი?..“ — ვერ მოერივნენ, მაგრამ სული ატკინეს მეტად...

## „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი...“

აფორიაქებული, თანამოკალმეთაგან გარიყული სიყვარულს ჩაეჭიდა... იქნებ იქ ვიპოვოო სულის სიმშვიდე, ბედნიერება... ოცნება მოეძალა — „სადმე მშვენიერ ადგილას პატარა სამოსახლო ბინა, ქოხი, ლამაზი ქალი. იყავი შენთვის, სახლში არ შემოუშვა ცხოვრების შორი ქუხილი... ოცნებებმა გამიტაცეს... მყავდა ლამაზი ქალი... ეს იყო ჩემი თანამგრძნობელი, წარმოვიდგინე შემდეგ ზამთრის დილა, რომ ამ სევდიან დროსაც მყავდა ისეთი პირი, რომელიც მუდამ ჩემი იქნება...“ რამდენიმე გატაცებამ ვერ მოუტანა სულის სიმშვიდე. ისევ დრტვინავს. ჯერ არ შეხვედრია მას, ვისაც მთელი არსებით შეიყვარებს და სულიერ მეგობრად გაიხდის. თუმც შორს ეს დროც არ არის...

მათი რომანი 1912 წელს იწყება. მიყვარხარ, — ამბობს გალაკტიონი და მარადიულობას აზიარებს რჩეულს. პოეტი „გაუხუნარ“ სიყვარულს უძღვნის გულის სწორს.

**ოლია ოკუჯავას დღიურიდან:** „ზაფხული იდგა. ქუთაისის ბაღში ახალგაზრდა მწერლები შეკრებილიყვნენ. შენ მუქი ბლუზა გეცვა და გახუნებული ქუდი გეხურა. მხრებში მოხრილი ჩანდი. სახეზე გეწერა — ცხოვრება ტანჯვად გადაგექცეოდა. სხვებს არ ჰგავდი და ამიტომაც მიმიზიდე. შემდეგ სულ შენზე ვფიქრობდი. ჩაივლიდი და აგედევნებოდი. შენ ალბათ ვერ მამჩნევდი. ერთხელ ნასვამი იყავი და ხმამაღლა საუბრობდი. წამოგცდა — დღეს მატარებლით მივემგზავრები. ვერ მოვითმინე, ვაგზალზე გამოვედი. ვაგონში იდექი, თვალი ვერ მოგწყვიტე... აჩრდილივით დაგდევდი... მითხრეს გაგაცნობთო, მაგრამ არ ვისურვე. გაცნობაც უცნაურად მოხდა. თითქოს იძულებით. მერე მინდოდა სულ შენთან ვყოფილიყავი. გველაპარაკა... “

გალაკტიონიც აენთო სიყვარულით: „ოლკინ, ძვირფასო ოლკინ! რატომ მაწვალებ ასე? ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინ მყვარებია და არც მიყვარს“. გალაკტიონმა იპოვა მეუღლე და სულიერი მეგობარი, მაგრამ განგება თითქოს გამოცდას უწყობს, ხშირად აშორებს მასთან.

გალაკტიონი მოსკოვში გამოიძახეს. ოლია აეროპორტამდე აცილებს... ვერ ისვენებს, შიშობს, რამე არ დაემართოს „მას“ — „ძვირფასო გალკ, შენ მიფრინავ და თან გდევს ჩემი სიყვარული, ჩემი დარდი, შიში და ლოცვა — რათა უფალმა დაგიფაროს შენ!“ ოლიას გალაკტიონის სულიერი და ფიზიკური ხიბლი, მისი პოეზია ატყვევებს. ფიქრი მარადის „მას“ დასტრიალებს, „უგონო სიყვარული“ იპყრობს, იმონებს, მაგრამ ძალასაც ჰმატებს...

„მომწერე ოლკინ, თუ რანაირად და როგორ



გიყვარვარ, რისთვის გიყვარვარ. რას იზამ, ოლკინ, მე რომ მოვკვდე... იტირებ თუ არ იტირებ... ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ნუგეშო, დიდო ადამიანო, დე, ნუ გეყვარები, მაგრამ ნურასოდეს ცუდს ნუ იფიქრებ და ნუ იტყვი ჩემზე. გებრალებოდეს შენი საწყალი გალონი, შენი მუდამ მოყვარული მგოსანი გალონი“.

გალაკტიონი არ იყო ჩვეულებრივი მეუღლე. რითმებთან ჭიდილისას შეეძლო მთელი დღე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა და არც ის გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია გამოილია. შეეძლო მთელი ღამე ელხინა, ახალგაცნობილ მეინახესთან და არ მოგონებოდა ფანჯრის რაფაზე გადმოხრილი, მისი მომლოდინე ოლია. მაგრამ მეუღლეზე მცირედი ზრუნვაც სიამით ავსებდა — პარიზში ყოფნისას მაღაზიაში შეიარა და ოლიას ერთი ციცქნა მაჯის საათი უყიდა. წინასწარ ხედავს, როგორ გაუბრწყინდება თვალები, როგორ მოეხვევა, როგორ დაუკოცნის სახეს. ოლია ბედნიერი იქნება... და გალაკტიონიც ტკბება ამ მოლოდინით.

**ოლიას ჩანაწერებიდან:** „გალაკტიონმა ჟოლოსფერი ბერეტი და ზამშეს ქამარი, აგრეთვე აბრეშუმის ჯემპრი მიყიდა“... „გალაკტიონმა ლალისთვლიანი ბეჭედი მაჩუქა“.

ცოლ-ქმარი ზოგჯერ სასაცილოდ ეჭვიანები არიან... გალაკტიონი აფხაზეთში გაემგზავრა. ოლია მის უჯრას ალაგებს და თავის ფოტოს პოულობს. გალაკტიონს სურათი დარჩენია, სასოწარკვეთილებამდე მიდის: „ცუდად გავხდი, რადგან ვიფიქრე, რომ შენ იგი აღარ გჭირდება“. კიდევ ერთი გამოცდა — 1919 წელს მოსკოვში ყოფნისას პირველ ლენინურ შაბათობაზე ოლიამ ჟანგიანი ხერხით ხელი დაიშავა, კინაღამ სისხლი მოეწამლა. ექიმები ხელის მოჭრას უპირებდნენ, მაგრამ ვერ დაითანხმეს... ჯერ ხელი და შემდეგ მარჯვენა მხარიც გაუხმა. ამის შემდეგ უფრო ეჭვიანი გახდა:

„ავად ვარ... გეზიზლები არა?“

„შენ ჩემთვის ასე უფრო ძვირფასი ხარ“. გალაკტიონს ასეთი ოლია უფრო უყვარდა და ებრალებოდა.

გალაკტიონიც ეჭვიანობდა: მოსკოვში ოლიამ ერთი ყმაწვილი გაიცნო. ისინი საუბრობენ. გალაკტიონს ეჩვენება, რომ მათი თვალები გაცილებით მეტს ამბობენ და რაღაცაზე თანხმდებიან. ეჭვიანობა ზღვარს სცილდება. გალაკტიონი ხელს ჰკიდებს უცნობს — ახლავე აქედან დაიკარგეთ!..

განგებამ არაერთხელ დააშორა ერთმანეთს. ჯერ 1929 წელს, როდესაც ოლია პირველად გადაასახლეს...

**ვახტანგ ჯავახაძე:** „ოლია დიდი ოჯახის შვილი იყო. მისი მამა და ძმები პარტიული მუშაკები იყვნენ. კომუნისტების დაპირისპირების დროს მათ „უკლონისტების“ პოზიცია დაიკავეს. „სტალინისტებმა“ გაიმარჯვეს. ოლიას ძმები და თავად ოლიაც დააპატიმრეს და შუა აზიაში გაასახლეს.

გალაკტიონი ოლიასთან აპირებს წასვლას, მაგრამ ის მალე ყირიმში გადმოჰყავთ. 1932 წელს კი ათავისუფლებენ. ისევ ერთად არიან. 1937 წელი — მეორე გადასახლება. ეს სამუდამო განშორებაა... ისინი ველარასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. 1941 წლამდე გალაკტიონი წერილებს იღებს. ოლია ეხვეწება — წერილი გამომიგზავნე, ერთი სიტყვა მაინც მაღირსეო. ეტყობა, გალაკტიონს არ მისცეს მასთან ჩასვლის უფლება, როგორც ჩანს, წერილის მიწერაც აკრძალული ჰქონდა, თუმც ფულს და ამანათს ყოველთვის უგზავნიდა.

1941 წლის 30 აგვისტოს საფოსტო გზავნილი უკან დაუბრუნეს — ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებაო. რა ბედი ეწია ოლია ოკუჯავას, გალაკტიონის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს? „კგბ“-ს არქივების გახსნის შემდეგ ცნობილი გახდა — 1941 წლის 11 სექტემბერს ორიოლის მახლობლად, მედვედევოს ტყეში 157 პატიმარი დახვრიტეს. დოკუმენტში გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ წერია, რომ ეს ხალხი პატიმრებს გაქცევისაკენ მოუწოდებდა. შინსახკომმა (ბერიამ) ეს ამბავი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს (სტალინს) მოახსენა. განაჩენი გამოტანილია — სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა. გაქცევის მცდელობას (სხვებთან ერთად) აბრალებენ ოლია ოკუჯავას, რომელიც თავისუფალ გადასახლებაშია. სტალინმაც და ბერიამაც კარგად იცოდნენ ვინც იყო ოლია, მაგრამ გაწირეს.

**ორიოლის ოლქის შინსახკომის სამმართველოს უფროსის მოგონებიდან:** ორიოლში ორასამდე პატიმარი ჩამოიყვანეს. ისინი საგანგებო ოთახში შეჰყავდათ, პირში ჩვარს სჩრიდნენ, უკითხავდნენ განაჩენს და მიჰყავდათ ქალაქგარეთ, ორიოლიდან 10 კმ-ის დაცილებით. იქ, ტყეში წინასწარ ამოთხარეს ხეები. დახვრეტილებს ამ ორმოებში ყრიდნენ და ზემოდან ისევ ხეებს რგავდნენ. ასე დახვრიტეს ოლია ოკუჯავაც — პატიმარი № 87.

„კგბ“-ს არქივში ოლიას ბოლო, ალბათ სიკვდილის წინ გადაღებული ფოტოც აღმოჩნდა — ტყაპუჭიანი, საოცრად დაძაბუნებული მოხუცი ქალი, ნაოჭები, ღარები, ტყავგადაკრული ყვრიმალი... და ჩამქრალი მზერა... სადღა იყო ის ეშხიანი და მწველი თვალები, რომელთაც გალაკტიონი ასე მონუსხეს.

გალაკტიონს ყოველთვის ოლია უყვარდა... მაგრამ ცნობილია, რომ მას სამი ცოლი ჰყავდა.

**ვახტანგ ჯავახაძე:** გალაკტიონის მეორე ცოლი ოლგა იურევნა ტარიუსი იყო. ინტელექტუალური, მაგრამ სულიერად ავადმყოფი ქალი. ის თბილისში დაახლოებით 1940 წელს გაიცნო გალაკტიონმა (ოლია მაშინ ცოცხალია!), მესამე ცოლი კი ნინა კვირიკაძე, 1937 წელს დახვრეტილი გენერალ ებანოიძის ქვრივი იყო. მათთან გალაკტიონს ოფიციალურად არ უქორწინია. გალაკტიონის ცოლებმა (ოლიას გარდა), არც მისი ფასი იცოდნენ და არც ხელს უწყობდნენ... ოლია რომ მის გვერდით ყოფილიყო, შესაძლოა, გალაკტიონს თავიც არ მოეკლა. ოლიას სიკვდილის შემდეგ მას შინ მისვლა შესძულდა. ერთი ნაცნობი პოეტი შეხვედრია ვერის ხიდზე, მეფე პოეტი ნასვამი ყოფილა. ნაცნობს უთქვამს — ბატონო გალაკტიონ, შინ წამობრძანდითო. სად მაქვს ძამიკო სახლი? — უპასუხია მას.

## „ვიღაცამ ზემოთ გალაკტიონის ფასი იცოდა...“

1937 წელი. ბევრი მწერალი დაიხვრიტა. ბევრს მიაკერეს ხალხის მტრის იარლიყი. გალაკტიონსაც უთვალთვალებდნენ. ოლიას დაპატიმრებისას ის საავადმყოფოში იწვა. გამოწერეს... შინისკენ წავიდა. სადარბაზოსთან ხუთი კაცი ელოდა. მიხვდა, რაც უნდოდათ. დაჭერას უპირებდნენ. რა ექნა? ხელში ჩავარდნოდა? უცებ მოისაზრა — ცემენტის ღობეზე დადგა და აყვირდა: — ხალხო, მიშველეთო! იმწამსვე გაჩერდა ტრამვაი. გალაკტიონს რაღაც უჭირსო, — იხუვლა ხალხმა და შემოეხვია. — ხალხო, რა უნდათ ამ ადამიანებს, რატომ უნდათ ჩემი სიკვდილი? — ვინ არიან, მაგათი დედა კი ვატირეო, — დაიქუხეს ახალგაზრდებმა და გაიწიეს. ჩასაფრებულებმა უკანმოუხედავად მოკურცხლეს. თვითონ პოეტი ამბობდა — მაშინ ისეთი ვითარება იყო — ცხადლივ ვერავის ახლებდნენ ხელს. შეპარვით თუ დაგაჯერებდნენ და გაგაბრიყვებდნენ — გიბარებენო. ასე მოატყუეს საწყალი ტიციანი, ჩვენი ტიტიკო.

— **რამ გადაარჩინა გალაკტიონი?**

**ვახტანგ ჯავახაძე:** ეტყობა, ვიღაცამ „ზემოთ“ გალაკტიონის ფასი იცოდა. თან გალაკტიონს მეგობარი არ ჰყავდა. მათ ვინც 37-ში დააპატიმრეს, ძირითადად, „კონტაქტების“ გამო წაუყენეს ბრალი. მაგალითად, ტიციანისა და პაოლოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ანდრე ჟიდის მასპინძლობა. გალაკტიონი მარტოსული იყო. მას ვერავისთან კონტაქტს ვერ დააბრალებდნენ. თუმც, მასაც იბარებდნენ შინსახკომში. პოეტის არქივში შინსახკომის თანამშრომლის ვინმე შარიფოვის წერილია, რომელიც აუწყებს პოეტს — თქვენთან კონსპირაციული საუბარი მსურს და შევხვდეთო. ასე რომ, გალაკტიონსაც იბარებდნენ, ელაპარაკებოდნენ და შესაძლოა აშინებდნენ კიდეც.

1935 წელს გალაკტიონი საბჭოთა დელეგაციას გაჰყვა საფრანგეთში. მატარებლით ბრუნდებოდა. გერმანიაში რუსეთის ელჩმა ინახულა — გრიგოლ რობაქიძეს თქვენთან შეხვედრა და საუბარი სურსო. გალაკტიონმა უარი უთხრა. აქედან იყო გაფრთხილებული, თვითონ ბერიამ აუკრძალა ვინმესთან შეხვედრა. დელეგაციის 17 წევრიდან, უმეტესობა დაბრუნებისთანავე დაიჭირეს. სწორედ იმიტომ, რომ „საეჭვო“ ხალხს შეხვდნენ. მათ შორის იყო მწერალი (ფსევდონიმით) „ალაზანი“, ბერია მას და გალაკტიონს საფრანგეთში წასვლისას ერთად ესაუბრა.

## „ღვინოს დააბრალებენ...“

რად სვამ ღვინოს? რად სვამ ღვინოს?
ყოველ წუთში მეკითხები,
იცი ჩემი გულის დარდი,
იცი ჩემი გულის ხმები?

ეს ლექსი გალაკტიონს ერთი უბირის პასუხად დაუწერია, რომელსაც უცერემონიოდ უკითხავს მისთვის — რატომ სვამო. ზოგი ამბობდა, — გალაკტიონი სიმთვრალეს თამაშობდაო. ერთ ამბავსაც ჰყვებიან: ნაცნობი დაუპატიჟებია ლუდხანაში. არყით აუვსია ხუთი ჭიქა. ოთხი — ნაცნობისთვის დაულევინებია, მეხუთე მუჭში მოუპირქვავებია და წვერი შეუსველებია — ხალხს ნასვამი ვეგონები, ასე სჯობსო. გალაკტიონი სვამდა, სვამდა, როცა სულს ატკენდნენ, აწყენინებდნენ... წყენა კი მრავლად იყო. ყველაზე დიდხანს ოლიას დაპატიმრების შემდეგ სვამდა, მერე კი — ძმის გარდაცვალების გამო, მესამე — პრემიაზე რომ არ წარადგინეს, მაშინ...

**ვახტანგ ჯავახაძე:** სიცოცხლის ბოლო ორი წლის მანძილზე ვხვდებოდი გალაკტიონს. ჩაცმული ვერ იყო კარგად, თორემ წარმოსადეგი და სიმპათიური გახლდათ. ერთხელ მე და ჩემი თანაკურსელი ვერის ხიდზე მოვსეირნობდით, გალაკტიონი შემოგვხვდა. ეტყობა, შინ მიდიოდა... ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრს და უთხრა: — რა ლამაზია ქალიშვილო, მტკვარი. მტკვრის პირას ბარათაშვილს უყვარდა ხეტიალი... პაუზის შემდეგ კი თქვა: კარგია მტკვარში თავის დახრჩობა.

მინახავს გალაკტიონი ვერის ბაზარში, უკოსტიუმოდ, ღია ფერის მაღალყელიანი დიდი სვიტერი ეცვა... მაშინ ძალიან დიდი და ახოვანი მომეჩვენა. ნასვამი იყო, ირწეოდა... დიდხანს ვუყურე. ვერ გავბედე მიახლოება.

1954 წელს სტუდენტებმა საღამო მოვუწყეთ. უნივერსიტეტში 10 წუთით ადრე მოვიდა. დერეფანში მოიცადა. მისი ლექსები წავიკითხეთ. უხაროდა. ყველა გამომსვლელს შუბლზე კოცნიდა.

„გალაკტიონი ჭავჭავაძის პროსპექტზე, ტრამვაის გაჩერებასთან იდგა. შავი ქუდი ეხურა. ხელში უზარმაზარი შავი პორტფელი ეჭირა და, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომა იყო, თეთრი ტილოს ტანისამოსი ეცვა. წვიმდა, მაგრამ მაინც ვიდექი და ვუყურებდი... ხალხით გაძეძგილი ტრამვაი გამოჩნდა. გალაკტიონი ხან აქეთ ეცა, ხან იქეთ. ჯერ უკანა ბაქნიდან სცადა ასვლა, მერე წინ გაქანდა... ლომივით იბრძოლა. თითქმის შეეჭეჭყა-კიდეც, მაგრამ მილიციელმა „წესრიგის დამრღვევი მოქალაქე“ ძალით ჩამოსვა და სამი მანეთით დააჯარიმა. გულმა არ მომითმინა, მილიციელთან მივედი და ყურში ვუჩურჩულე, — ეს „მოქალაქე“ გალაკტიონ ტაბიძეა-მეთქი. — აუჰ! აქამდე ვერ მითხარი, როგორ მომჭერი თავიო. ბოდიში მოუხადა და თან ის სამმანეთიანიც ჩაუტენა ჯიბეში. გალაკტიონი გაჯიუტდა, ფულის დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ ორივეს მოგვხვია ხელი და შეგვეხვეწა — ამ სამი მანეთით თითო ჭიქა დავლიოთო. მილიციელს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. უარს როგორ გავუბედავდი — ვუთხარი, ბატონო გალაკტიონ, ლექციაზე მაგვიანდება-მეთქი. ამასობაში ისევ გამოჩნდა ტრამვაი. მილიციელი დაფაცურდა. წინა ბაქანთან მიიყვანა და კიბეზე ასვლაში მიეხმარა. ტრამვაი დაიძრა. გალაკტიონი მთავარსარდალივით იდგა ბაქანზე და ხელს გვიქნევდა...“ (**მიხეილ კვესელავას** *მოგონებიდან*)

## „მე მოკლული ვარ და არა მკვდარი“

1959 წლის 17 მარტს ძმისშვილმა 10 საათზე მიიყვანა საავადმყოფოში. სამი საათი ალოდინეს. პირველ საათზე დააწვინეს. ორადგილიან პალატაში საწოლებშუა ჩადგეს მისი საწოლი. ერთი ავადმყოფის მეუღლემ დაიწუწუნა — შეგვავიწროესო. ამის გაგონებაზე გალაკტიონი პალატიდან გავიდა. ოთხი საათი დერეფანში იდგა (იმ დროს ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი პალატა-ლუქსში იწვა).

იმ დღეს უჩვეულოდ მშვიდი ჩანდა, ყველას ღიმილით ესალმებოდა. დერეფანში კონსტანტინე გამსახურდია დაინახა... საკოცნელად მიაშურა. აკაკი



ხორავასაც აკოცა. ისევ დერეფანში განაგრძო ბოლთის ცემა. გარეგნულად ისევ მშვიდია, მაგრამ სული უთრთის — ისევ მეძახის ჩემი დემონი!.. მეოთხე სართულზე, 92-ე ოთახი განყოფილების გამგისა იყო. იქ შევიდა. კარი მიხურა. ავადმყოფის ხალათი ტახტზე დადო, სკამი მიიტანა ფანჯარასთან. გამოაღო. ჯერ სკამზე ავიდა, მერე ფანჯრის რაფაზე და... „სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება...“

— **რამ უბიძგა ამ ნაბიჯისკენ?**

**ვახტანგ ჯავახაძე:** თვითმკვლელობისთვის მთელი ცხოვრება ემზადებოდა. 19 წლისამ კარბონმჟავა დალია. 1952 წელს მტკვარში გადავარდა. მესამე ცდაზე აღასრულა განზრახვა. ამის საბაბი ალბათ ის იყო, რომ ცუდად ექცეოდნენ. შალვა დადიანს მთაწმინდაზე კრძალავენო, გაიგო. იგრძნო სათუო იქნებოდა მისი დაკრძალვა მთაწმინდაზე და ასეც მოხდა — კინაღამ შეირცხვინა თავი ქართველობამ.

დიდი წამების შემდეგ შეუერთდა მარადისობას.

**ოლიას დღიურიდან:** „მას მოუთმენლად ველი. ვილაც აკაკუნებს, ნუთუ ისაა?“

— მოვიდა!!!

***იზო რიკაძე***

# როგორ მოხვდა რუსტი წითელ მოედანზე



პოლკოვნიკმა ვლადიმირ ტიშევსკიმ თავისი კარიერა დაასრულა ტალინის საჰაერო თავდაცვის რადიოტექნიკური ბრიგადის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ის სწორედ იმ ბრიგადაში დანიშნეს, რომელმაც 1987 წლის მაისში ვერ შეამჩნია სსრკ-ის ტერიტორიაზე შემოფრენილი სპორტული თვითმფრინავი „სესნა-172“. შეგახსენებთ, რომ თვითმფრინავმა, რომელსაც მართავდა მოყვარული პილოტი მათიას რუსტი, სსრკ-ის ევროპული ნაწილი დაუბრკოლებლად გადალახა და პირდაპირ წითელ მოედანზე დაეშვა. ტიშევსკიმ თავად დაიწყო გამოძიება ამ სკანდალური საქმისა და შედეგებმა განაცვიფრა — პოლკოვნიკი ტიშევსკი დარწმუნებულია, რომ რუსტის გადაფრენა სსრკ-ის უძლეველი ეშელონების დაგეგმილი იყო. დიდი ხნის მანძილზე ამის შესახებ კრინტი არ დაუძრავს, ახლა კი გადაწყვიტა ყველაფერი მოეყოლა:

— ტალინის საჰაერო თავდაცვის ბრიგადის მელოკატორეებს რუსტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. საზღვრის დამრღვევი დააფიქსირეს 1987 წლის 28 მაისს, 14.29 სთ-ზე მოსკოვის დროით და მაშინვე შეატყობინეს სამეთაურო პუნქტს, სადაც იმ დროს მორიგეობდნენ პოდპოლკოვნიკი კარპეცი და მაიორი ჩერნიხი.

ასეა თუ ისე, ამ ორმა ადამიანმა, რატომღაც არასწორი ინფორმაცია გადასცა ხელმძღვანელობას და ისიც 15 წუთის დაგვიანებით. ასეთი საქციელი კარპეცმა შემდგომში იმით ახსნა, რომ შეეშინდა, არ დაესაჯათ ცრუ განგაშისთვის.

როცა „სესნამ“ დატოვა ტალინის ბრიგადის ზონა, პოდპოლკოვნიკმა კარპეცმა მას ორი მზვერავი თვითმფრინავი დაადევნა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თვითმფრინავი გაქრა. კარპეცი და ჩერნიხი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობისთვის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა, ისინი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ ამნისტიით გაათავისუფლეს.

ნუთუ რუსტის ასეთი „შეუმჩნეველი“ შემოფრენა სსრკ-ის ტერიტორიაზე მხოლოდ რუსების უგერგილობის ბრალი იყო? ტიშევსკის ამის არ სჯეროდა და ამიტომ დაიწყო მისდამი დაქვემდებარებული რადიოლოკაციური ველის დეტალური ანალიზი. ტიშევსკიმ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა — „სესნა“ მიფრინავდა ისე, რომ არ მოხვედრილიყო რადიოლოკაციურ ველში. რუსტმა იცოდა საბრძოლო მორიგეობის სისტემა. მან იცოდა, რომ ამ მარშრუტზე მის თვითმფრინავს ვერავინ დააფიქსირებდა, მაგრამ არ იცოდა ერთი მომენტი, რის გამოც ის აღმოაჩინეს.

პოლკოვნიკმა ტიშევსკიმ ყურადღება მიაქცია მეტეოცნობებს. 28 მაისს ესტონეთში საშინელი სიცხე იყო, რამაც გამოიწვია ჭაობების ძლიერი აორთქლება. ჰაერის დიდი ტენიანობის დროს, რადიოლოკაციურ ველზე ხდება ფიზიკური მოვლენა „რეფრაქცია“ — რამდენიმე კილომეტრის „გაწელვა“. სწორედ ამიტომ, აღმოაჩინეს რუსტი 28 მაისს საბჭოთა რადარებმა. ამის შემდეგ ჩაირთო დამატებითი რადიოლოკაციური ველი, რომელიც მთელი რაიონის გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა, „შავი“ დერეფნის ჩათვლით. „სესნას“, მანევრირების მიუხედავად, 16 წუთის განმავლობაში ხედავდნენ. გასაოცარია, მაგრამ გერმანელმა მოყვარულმა პილოტმა იცოდა რადიოლოკაციური ველების სამორიგეო სქემა. ეს ზესაიდუმლო მონაცემები, ფაქტობრივად, საბჭოთა ცის გასაღებია და ამ საიდუმლოს მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელი ფლობდა.

ის, რომ რუსტი საწვავის დასამატებლად სსრკ-ის ტერიტორიაზე დაჯდა, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. დაფრენის ადგილზე ნაპოვნია ცარიელი ავზები. პოლკოვნიკმა ტიშევსკიმ ეს ინფორმაციაც შეამოწმა სპეციალისტებთან ერთად. აღმოჩნდა, რომ „სესნა“ ვერ შეძლებდა დამატებითი ტვირთისა და ჰაერის საპირისპირო ნაკადის გამო საწვავის დასამატებლად სადღაც დაჯდომას, ე.ი. რუსტს წინასწარ გაუმზადეს საბჭოთა ნავთი, ხოლო ავზები მიიტანეს დაშვების ადგილას. სწორედ ამიტომ დაეკარგა მზვერავ თვითმფრინავს რუსტი. შემდეგ რუსტმა გზა განაგრძო. შეგახსენებთ, რომ საიდუმლო სქემები მან შესანიშნავად იცოდა და ხალხის გასაოცრად, მოსკოვში, წითელ მოედანზე დაჯდა.

თავის მოგონებებში რონალდ რეიგანი იხსენებდა, როგორ ბრუნდებოდა აშშ-ში მიხაილ გორბაჩოვთან რეიკიავიკის ისტორიული შეხვედრის შემდეგ. ხანგრძლივი მოლაპარაკებებისგან დაღლილმა პრეზიდენტმა გზაში დაძინებაც კი ვერ შეძლო. მას არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ რაც გორბაჩოვმა შესთავაზა — შეიარაღების შემცირება, საჯაროობა და დემოკრატია, აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილი იყო. გორბაჩოვმა რეიგანს სავსებით ნათლად მიანიშნა, რომ „ბოროტების იმპერია“ ძალიან მალე საერთოდ აღარ იარსებებდა. რეიგანი ამ საკითხმა ჩააფიქრა, არ იცოდა, რა იქნებოდა მომავალში, ფიქრობდა, ხომ არ იყო ეს ავანტიურა ან პროვოკაცია. მაგრამ გორბაჩოვმა მიცემული სიტყვა არ გატეხა და დანაპირები შეასრულა.

მოსკოვი გორბაჩოვს ცივად შეხვდა. კრემლის ბინადართა უმრავლესობამ არ მიიღო ეს სიახლე. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მოხდებოდა ქვეყანაში. ოპოზიციის ერთ-ერთი ფარული ლიდერი გახდა თავდაცვის მინისტრი, მარშალი სოკოლოვი. იგი ძალიან უშლიდა გორბაჩოვს ხელს. მაგრამ უმაღლესი მთავარსარდალი ვერ ბედავდა მინისტრის მოხსნას, მის უკან ხომ ძლიერი არმია იდგა. სოკოლოვი პატივისცემით სარგებლობდა, მისი სჯეროდათ. ის ნიჭიერი მხედართმთავარი იყო. როგორ მოეცილებინათ სოკოლოვი? პოლკოვნიკ ტიშევსკის აზრით, რუსტი გორბაჩოვის გუნდის პოლიტექნოლოგებმა მოიყვანეს.

მინისტრი სოკოლოვი წინასწარ მოფიქრებული სქემით გადააყენეს.

*ვერსია №43*

# შავი ცხასა




ისინი დილაუთენია ადგნენ: არ უნდოდათ უქმად დაეკარგათ შესანიშნავი ალპური დღის არც ერთი წუთი. 300 შილინგი გადაიხადეს და ფუნიკულიორის მატარებელში შევიდნენ. სენსორული კარი დაიკეტა და ფუნიკულიორმა ჩვეული, ცხრაწუთიანი ასვლა დაიწყო ავსტრიული ალპების ერთ-ერთ პოპულარულ მწვერვალზე — კიტცშტაინჰორნზე. 176 მგზავრის — ავსტრიელი მოსწავლეების, გერმანელი სტუდენტების, ამერიკელი სამხედროების, იაპონელი ტურისტებისთვის ეს გზა უკანასკნელი აღმოჩნდა.

### ხანძარი ალპებში

კურორტი კაპრუნი ავსტრიის სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და კეთილმოწყობილი ცენტრია. აქ ხშირად ეწყობა საერთაშორისო და ეროვნული ჩემპიონატები სამთო-სათხილამურო სპორტსა და სნოუბორდში.

ცეცხლი მოულოდნელად გაჩნდა. ხანძარი დაიწყო მატარებლის ბოლო ვაგონში, გვირაბში შესვლამდე რამდენიმე წამით ადრე.

კატასტროფის მომენტში მატარებელში 176 მგზავრი და მემანქანე იმყოფებოდნენ. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 155 ადამიანი. ყველა გვამი ევაკუირებულია, მაგრამ არ არის ამოცნობილი. გვირაბში ცეცხლის ტემპერატურამ 1000°-ს მიაღწია და ადამიანები ისე გამოიწვნენ, რომ მათი იდენტიფიცირება გენეტიკური ექსპერტიზის გარეშე შეუძლებელია.

ხანძრის გაჩენის ოფიციალურ ვერსიად ჯერჯერობით მიიჩნევა საპოხი სითხის აალება. უკვე გვირაბში შესვლისას აეროდინამიკური მილის ეფექტის შემდეგ, ცეცხლი წამიერად მოედო მთელ მატარებელს.

კაპრუნის მატარებელ-ფუნიკულიორი იმდენად სანდო იყო, რომ მათში ცეცხლსაქრობებიც კი არ ჰქონდათ. გარდა ამისა, კარის გაღება მატარებელში მხოლოდ გარედანაა შესაძლებელი. ამ ფაქტორებმა დაამძიმეს სიტუაცია, შეიქმნა გამოუვალი მდგომარეობა.

### „უბრალოდ, მე შინ ბუხარი მაქვს“

ტორსტენ გრადლერი თავს გმირად სულაც არ მიიჩნევს. მისი სახელი რომ მსოფლიომ გაიგო, ბავარიელი ბანკირი გარემოებათა თანხვედრით ხსნის.

„ვერავინ იფიქრებდა, რომ ასეთი საშინელება დატრიალდებოდა“, — იხსენებს ტორსტენი. ბაქანზე იმდენი ხალხი იყო, რომ მან ქალიშვილთან ერთად ძლივს მოახერხა უკანასკნელ წამს ბოლო ვაგონში შესვლა. ტორსტენი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამან გადაარჩინა.

კოშმარი დაიწყო, როგორც კი მატარებელი გვირაბში შევიდა. „ვიღაცამ ჩვენს ვაგონში თქვა, ცეცხლის ალს ვხედავო“, — ყვება ტორსტენი. რამდენიმე წამის შემდეგ მატარებელი გაჩერდა: „ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით, ჯერ ვერაფერს ვხვდებოდით, მერე კი საშინელება დაიწყო. ვაგონის კარი არ იღებოდა. რამდენიმე ახალგაზრდა შეეცადა მის გაღებას თხილამურის ჯოხებით, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მივხვდი, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით — ჩაკეტილები ბოლო ვაგონში, მემანქანესთან კავშირის გარეშე. ხალხი კვამლისგან იხრჩობოდა. ცეცხლი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. როგორც იქნა, ერთმა მგზავრმა მძიმე ფეხსაცმლით მოახერხა ფანჯრის ჩამსხვრევა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ სიცოცხლისთვის უნდა მებრძოლა... ახლაც კი ვერ ვხვდები, როგორ მოვახერხე ფეხზე ადგომა, გვირაბი მჭიდრო ხელთათმანივით იყო მატარებელზე შემოტმასნილი. განძრევის საშუალებაც კი არ იყო“.

ტორსტენი ფანჯრიდან გადახტა, მას სხვებიც მიჰყვნენ. ისინი ინსტინქტურად ზევით გაიქცნენ — აელვარებული ვაგონისა და მემანქანის ცარიელი კაბინისგან შორს, მაგრამ ტორსტენი მიხვდა, რომ ეს სიკვდილის გზა იყო. „გამახსენდა ბუხარი ჩემს სახლში. როგორც კი ჩამკეტს გააღებ, ცეცხლი და კვამლი მაშინვე ზევით მიიწევს. მივხვდი, რომ გადასარჩენად ქვევით უნდა გავქცეულიყავი“.

ტორსტენი შეეცადა, ხალხი გონს მოეყვანა და ქვევით წაეყვანა, მაგრამ ყველამ როდი დაუჯერა. „თავიდან არ ვიცოდი, რამდენი ვიყავით — უკან არ ვიყურებოდი. დავიყვირე, ყველა ერთმანეთს ჩაეჭიდეთ-მეთქი და ქვევით გავიქეცი“. რამდენიმე წამის შემდეგ, ტორსტენმა ლიანდაგს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. ადგომას შეეცადა, მაგრამ მხუთავი გაზი ბლომად ჩაყლაპა და გონება თითქმის დაკარგა. მაგრამ ადამიანების ჯაჭვი არ დაბნეულა. გრადლერი თან წაათრიეს. ამ საბედისწერო მატარებლის 12-მა მგზავრმა ქვევით ჩასვლას 10 წუთი მოანდომა. მათ გარდა არავინ გადარჩენილა. წინ გაქცეულები მხუთავმა გაზმა მოახრჩო, თავად მატარებელი ისე სწრაფად დაიწვა, რომ ისინიც კი, ვინც ტორსტენის ჯგუფს გამოეკიდა, ცოცხლად დაიფერფლნენ.

### კატასტროფები გვირაბებში

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, კიტცშტაინჰორში მომხდარი ტრაგედია არც პირველია და არც ყველაზე საშინელი.

1990წ. 2 ივლისი. ეიდ-ალ-ალჰაში გამართულ ზეიმზე, საუდის ქალაქ მექაში, ალმუაისემის ნახევარკილომეტრიან გვირაბში, ხალხის მასაში გაიჭყლიტა 1426 ადამიანი.

1993წ. 2 აგვისტო. ესპანეთის ქალაქ ვეგა-დეანსოს მახლობლად რკინიგზის გვირაბში, სამგზავრო და სატვირთო მატარებლების დაჯახების შედეგად დაიღუპა 12 ადამიანი.

1995წ. 28 ოქტომბერი. ბაქოს მეტროპოლიტენში გაჩენილი ხანძრის შედეგად 300-მდე ადამიანი ცოცხლად დაიწვა, მხუთავი გაზისგან მოიგუდა და გაიჭყლიტა.

1999წ. 24 მარტი. მარგარინით სავსე ავტომანქანა დაეჯახა სამგზავრო ავტობუსს და ამის შედეგად დაიწყო ხანძარი საფრანგეთში, მონბლანის ქვეშ გაყვანილ გვირაბში. გვირაბში ჩაკეტილი აღმოჩნდა 30 მანქანა. ცეცხლისა და კვამლისგან დაიღუპა 40 ადამიანი.

2000წ. 8 აგვისტო. 13 ადამიანი დაიღუპა და 90 დაიჭრა მოსკოვში, პუშკინის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში.

*ვლასტი №46*

# ახალი ქართული წარმოება

სულ რაღაც ექვსიოდე თვეა, რაც ჩვენში თანამედროვე, უმკაცრესი მოთხოვნებისა და პრინციპების გათვალისწინებით დაფუძნდა და ამოქმედდა მცირე ფარმაცევტული საწარმო **GM Pharmaceuticals** — **ჯი-ემ-პი.**



ფარმაცევტული წარმოება თავის მხრივ ურთულესი და მაღალტექნოლოგიური პროცესია. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ სამკურნალო საშუალებები ე.წ. „სუფთა ზონაში“ ანუ საწარმოო არეში უნდა მზადდებოდეს, სადაც მკაცრად იქნება განსაზღვრული ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰაერში მიკრონაწილაკების შემცველობაც კი!

დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ე.წ. „კარგი საწარმოო პრაქტიკის“ პრინციპით „მოქმედებენ“. ეს ის პრინციპია, რომელთაც მომხმარებელი უვნებელი, ეფექტური და ხარისხიანი მედიკამენტით არის გარანტირებული.

პრეპარატის შექმნის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის აღჭურვილობა. ისინი დამცავი ხელთათმანებით, ნიღბებით და სპეცსათვალით უძღვებიან ურთულეს პროცესს. გადამწყვეტია მათი პროფესიონალიზმიც. სწორედ ამიტომაც საწარმოს ხელმძღვანელობის დიდი ძალისხმევით სპეციალისტები გამოცდილების შესაძენად ევროპასა და აშშ-ში იყვნენ წარგზავნილი. იქ მათ 6 თვის განმავლობაში დაძაბული სამუშაოს პირობებში შეისწავლეს და შეითვისეს საწარმოო მუშაობა.

საწარმოში მუდმივად მიმდინარეობს ნედლეულისა და უკვე მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლი (როგორც ადგილობრივ, ასევე წამლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ლაბორატორიაშიც).

საწარმოში მთლიანად ქართული კაპიტალი, ადგილობრივი ინვესტიციაა ჩადებული — ძალზე დიდია და საგულისხმო PSP-ს მიერ გაწეული დახმარება. ამჟამად აქ 20-მდე პრეპარატი მზადდება, რომლებიც, ძირითადად, ფართო მოხმარების მედიკამენტებს განეკუთვნებიან. ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში, სამკურნალო პრეპარატების ნუსხა 100 ერთეულამდე გაიზრდება.

დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საწარმოს მიერ შექმნილი პრეპარატები მაღალ ხარისხთან ერთად იაფი და ხელმისაწვდომია, თუმცა მედიკამენტთა შეფუთვა — დიზაინი საერთაშორისო სტანდარტების დონეს არ ჩამოუვარდება..

R




# კახი ასათიანი: „ახალი წლიდან ახალი ძალით შევუტევ...“

**სპორტის დეპარტამენტის ყოფილი შეფი ქართული ეკონომიკის „ახალგაზრდა მამებს“ ლატარიების ლიცენზირებით ვაჭრობაში სდებს ბრალს.**



მთავრობის არც ერთი წევრი — არც ერთი მინისტრი თუ დეპარტამენტის თავმჯდომარე არ შერჩენია თავის თანამდებობას იმდენ ხანს, როგორც კახი ასათიანი — სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე სრული ათი წელი მოილია. ალბათ, სხვა მიზეზებთან ერთად, ეს ხანგრძლივობაც იყო ათასი მითქმა-მოთქმისა და ჭორ-მართლის მიზეზი, რომელიც, რა დასამალია, ყოველთვის ახლდა კახი ასათიანის ბოლო წლების მოღვაწეობას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, მარადიული არაფერია ამქვეყნად — კახი ასათიანი თანამდებობიდან გადადგა და მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ამ გადადგომის შესახებ მან ჯერ კიდევ სამ თვეზე მეტი ხნის წინ გააკეთა, „საქართველოს სპორტის უფროსის“ პოსტზე ახალი კაცის მოსვლამ მაინც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მაინც გაისმის: „მოხსნეს...“, „აბა, რამდენ ხანს იქნებოდა...“ და ა.შ.

ამ საკითხებზე საუბარი პირადად ბატონ კახისთან ვარჩიეთ, რაც, ალბათ, გარკვეულწილად ნათელს მოჰფენს მისი გადადგომის რეალურ მიზეზებსა და სპორტისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

ბატონი კახი თავიდან უარს ამბობდა ინტერვიუს მოცემაზე, ბევრი რესპონდენტისათვის უკვე ტრივიალური მიზეზების გამო: ყველაფერი ნათქვამია და თან ხშირად ჩემს ნალაპარაკებს „ველარ ვცნობ“ გაზეთში დაბეჭდილსო, მაგრამ „კვირის პალიტრის“ ავტორიტეტმა და ინტერვიუს სიტყვასიტყვით დაბეჭდვის დაპირებამ გაჭრა:

**— ბატონო კახი, რატომ წახვედით თანამდებობიდან?**

— ახლა უბრალოდ გაფორმდა ეს ამბავი, თორემ თქვენც მოგეხსენებათ, რომ გადადგომის განზრახვის შესახებ ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე განვაცხადე.

ათი წელი დიდი დროა — ამ ხნის განმავლობაში რაც შემეძლო, გავაკეთე. ვინც დამიფასებს, მისი მადლობელი ვიქნები, ვინც არა...

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო — „ნაწყენი კაცის“ პოზიციით არ წავსულვარ, რადგან ვთვლი, რომ სპორტში იმაზე მეტი გაკეთდა, რაც სხვა სფეროში — ბოლო წლებში 100-120 ოქროს მედალს იღებდნენ საშუალოდ ყოველ წელს ჩვენი ათლეტები საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ასჯერ აღმართული ეროვნული დროშა და ასჯერ აჟღერებული ქართული ჰიმნია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მეტი რა უნდა გაკეთდეს სპორტში, მით უმეტეს დღევანდელი დაფინანსების პირობებში, არ ვიცი — სპორტი ხომ მრეწველობა არ არის, რომ წარმატებები შემოსავლებით განისაზღვროს.

**— ამ მხრივ მართლაც შთამბეჭდავი ციფრებია და სწორედ ამიტომ, თქვენი ნათქვამის მიუხედავად, თავისთავად იბადება „ეჭვი“ რომ რაღაცამ გაიძულათ გადადგომა...**

— კარგით, გულწრფელად ვილაპარაკოთ — კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ცუდი შედეგების გამო არ წავსულვარ, უბრალოდ სამსახური ოჯახი არ არის — ათი წელი დიდი დროა და უბრალოდ ბეზრდებათ ადამიანებს ერთმანეთი. მაგრამ ჩემი „დაღლის“ მთავარი მიზეზი მაინც სხვა იყო — ძნელია მუშაობა გუნდთან, რომლის წევრადაც არ გთვლიან და არც შენ გაქვს ამის არავითარი სურვილი. აქ პრეზიდენტს არ ვგულისხმობ, არამედ იმ ახალგაზრდულ გარემოცვას, ძირითადად ე.წ. „ეკონომიკურ ბლოკს“, რომელიც სათავეშია.

სანამ ქვეყანას ასეთი ეკონომიკური ბლოკი და, განსაკუთრებით, ასეთი ფინანსთა მინისტრი ეყოლება, რომლებიც გაგებაში არ არიან, ისე „მართავენ“ ამ სფეროს — არაფერი გამოვა. ნოღაიდელს ფინანსთა მინისტრობა მხოლოდ „სეკვესტრის ხელოვნება“ ჰგონია და არა ბიუჯეტის შევსება. რაც მთავარია, მთქმელიც არავინ გამოჩნდა — ზოგიერთი „გამძლარი“ იმალება და ხმას არ იღებს; ზოგი უვიცია და ისიც ხმას არ იღებს; ზოგი არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ეშინია, რაიმეს ლობირებას დამაბრალებენო და ისიც ჩუმადაა. ასე რომ, მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი შედეგია — ყველა ჩუმადაა.

მე კი, არ გავჩუმდები — ახლა ცოტას დავისვენებ და ახალი წლიდან ახალი ძალით შევუტევ.

**— რატომ მიჯნავთ პრეზიდენტს მისი „ახალგაზრდული ნაკრებისგან“, მის წყენას ერიდებით?**

— არაფერს არ ვერიდები. უბრალოდ, უმადურობა იქნება ჩემი მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა და აგიხსნით რატომაც: ცნობილია, რომ სპორტის დაფინანსების საკითხის გამოსასწორებლად რამდენიმე პროექტი შევიმუშავეთ, რომელთა განხორციელების შემთხვევაში თითქმის აღარ ვიქნებოდით ბიუჯეტზე დამოკიდებული. ჩვენი „ძალიან ჭკვიანი“ ფინანსთა მინისტრი და მისი თანამოაზრეები ყოველმხრივ ეცადნენ, რომ პროექტი პროექტად დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ხელთ მაქვს არაერთი წერილი და მითითება პრეზიდენტისგან, რომელიც საკითხის სასწრაფოდ განხილვას და მისთვის მოხსენებას ითხოვდა. ერთი რეზოლუცია ასეთიც კი იყო: „როდისღა მომახსენებთ, 21-ე საუკუნეში?!“

**— რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთი ამ პროექტთაგანი სპორტული ლატარიების ფაქტობრივ „მონოპოლიზაციას“ ითვალისწინებდა სპორტის დეპარტამენტის მიერ.**

— გასული წლის ბიუჯეტით 3.200.000 ლარი გვქონდა გამოყოფილი და 1.100.000 მივიღეთ. ჯერ თვით ეს თანხაც ბევრი არაფერია და ახლა ამ გენიოსმა მინისტრმა 327.000-მდე „ჩამოასეკვესტრა“ და მითითებაც მოაყოლა ღონისძიებების მუხლით. აღარც პრემიები, აღარც სტიპენდიები სპორტსმენებისთვის... ამ სიტუაციის გამოსასწორებლად იყო სწორედ ის „ლატარიების პროექტი“, რომელიც თქვენ ახსენეთ და ამაში ახალი და ორიგინალური, სხვათა შორის, არაფერი იყო — მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია მიღებული ეს პრაქტიკა: ლატარიების შემოსავლიდან მცირე ნაწილი მიდის ბიუჯეტში, ხოლო ძირითადი — რომელიმე კონკრეტული სფეროს ხმარდება: სპორტს, ხელოვნებას ან სოციალურ საკითხებს. ასევე გვინდოდა აქაც — წასულიყო 10%-მდე ბიუჯეტში, დანარჩენი კი სპორტს მოხმარებოდა, მით უმეტეს, რომ ინვესტორიც ვიშოვეთ — ინგლისური ფირმა, რომელმაც 5.000.000 დოლარი არ დაიშურა ამ საქმეში ჩასადებად, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო მაქსიმალურად ეცადა, რომ ხელი შეეშალა და მოახერხა კიდეც.

**— ბატონო კახი, ნაწყენი ჩანხართ, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: ნოღაიდელი ახალდანიშნულია, მაგრამ არც მანამდელი მინისტრები წყალობდნენ სპორტს. ისინი რაღას „გერჩოდნენ“?**

— ცხადია, იმის ილუზია არც მე მაქვს, რომ ნოღაიდელს ჩემი „ჯინი სჭირს“. უბრალოდ ლატარიების ლიცენზირების გაცემა შემოსავლის უშრეტი წყაროა მათთვის და ხელიდან გაშვება არ უნდათ.

ახლა ახალი პროექტი აქვთ გამზადებული, რომელსაც ალბათ გაიტანენ — სამი სათითით თამაში რომ არის, იმ ყალთაბანდობისთვისაც კი ცალკე ლიცენზიის გაცემაა გათვალისწინებული... იბაირამებენ და იქნებიან.

**— შევეშვათ წარსულს, ბატონო კახი. ახლა რას აპირებთ?**

— როგორც გითხარით, ჯერ დავისვენებ, შემდეგ კი — ბიზნესს მივხედავ. მაგრამ ბიზნესშიც არ ვაპირებ მხოლოდ „ფულის საკეთებლად“ მუშაობას.

საავტომობილო ბიზნესში — ავტომობილებით, სათადარიგო ნაწილებით, საბურავებით, ზეთების ვაჭრობის სფეროში, სახელმწიფო 200 მილიონ ლარს კარგავს წელიწადში. ამას დოკუმენტურად დავადასტურებ და თუ ჩვენს ფინანსისტებს „მოვერიე“, ვეცდები რაღაცა სასიკეთოდ შეიცვალოს ამ მხრივ.

**— თქვენს „მემკვიდრეზე“ რას იტყვით? იცნობთ ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილს?**

— რა უნდა ვთქვა, ახალგაზრდა კაცია და ღმერთმა ხელი მოუმართოს. თუ ჩემზე მეტს მიაღწევს ამ თანამდებობაზე, ნამდვილად გამიხარდება, რადგან ეს მხოლოდ ქართულ სპორტს წაადგება.

*მოკლედ, კახი ასათიანმა სპორტში მოღვაწეობა, ამ ეტაპზე, დაასრულა და ბიზნესში აპირებს გადასვლას, თუმცა მისი საქმიანობა, როგორც ამ ინტერვიუდან გამოჩნდა, პოლიტიკისგანაც არ იქნება შორს და „ახალი წლიდან ახალი ძალით შეტევა“, რასაც ყოფილი თავდამსხმელი კახი ასათიანი გვპირდება, ზოგიერთის კარში გატანილ გოლს თუ არა, სახიფათო მომენტს მაინც შექმნის.*

# კახი კალაძე ჯერჯერობით ისევ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელია

კიევის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველის — კახი კალაძის მოსალოდნელ ტრანსფერზე იტალიურ „მილანში“ უკვე დიდი ხანია საუბრობენ. კონკრეტული თანხაც დასახელებული იყო და თარიღიც — კალაძე იტალიაში უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს უნდა გადასულიყო.

მაგრამ ნოემბრის ბოლოც მოვიდა, კიევის „დინამომაც“ დაასრულა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე და კახი კალაძე ჯერ მაინც სლავთა ქვეყანაშია — უკანასკნელ ხანს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „მილანს“ პრობლემა შექმნია არაევროკავშირელი ფეხბურთელების ლიმიტთან დაკავშირებით, რადგან ხორვატ ზვონიმირ ბობანთან კიდევ სამი წლით გაუგრძელებია კონტრაქტი. აქედან გამომდინარე, მიუნხენის „ბაიერნის“ ვარიანტმა წამოიწია წინა პლანზე...

ერთი სიტყვით, ძალზე გაურკვეველი ვითარებაა და ამ საკითხებზე სასაუბროდ, უმჯობესად ჩავთვალეთ, თვით კახის დავკავშირებოდით.

ცხადია, შემთხვევით ვისარგებლეთ და სხვა, მკითხველისათვის საინტერესო თემებსაც შევეხეთ:

***— კახი, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა თუ არა თქვენი გადასვლა-არგადასვლის საკითხი?***

— ეს ამბავი ჯერ ისევ „ჰაერშია გამოკიდებული“. ვარიანტები, რომლებზეც პრესაში იყო საუბარი, ჩემი აზრით, მხოლოდ თქვენი კოლეგების მიერ გამოტანილი დასკვნებია და არა „მილანის“ ოფიციალური პოზიცია. ყოველ შემთხვევაში, იტალიელებმა ამის შესახებ კიევის „დინამოს“ მესვეურებს უნდა აცნობონ, მათ კი ჯერ არაფერი უთქვამთ ჩემთვის. ზამთრის სატრანსფერო სეზონი დაიწყო და, ალბათ, მალე გაირკვევა ყველაფერი.

***— მაშინ ისევ კიევის „დინამოზე“ ვისაუბროთ. რამდენიმე თვის წინ სპორტული პრესის ფურცლები მოიარა ვალერი ლობანოვსკისა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის ამბავმა. იმასაც ამბობდნენ, რომ ლობანოვსკის ავადმყოფობა არაფერ შუაშია, რამდენიმე გასვლით თამაშზე გუნდს სწორედ ამ მიზეზის გამო არ გაჰყვა მთავარი მწვრთნელიო.***

— გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ჭორია. ლობანოვსკი ღმერთად ჰყავთ უკრაინაში მიჩნეული. ერთ-ერთი უპოპულარულესი კაცია ქვეყანაში და არა მარტო საფეხბურთო წრეებში. კიდეც რომ ყოფილიყო რაიმე უკმაყოფილება, თუ ლობანოვსკი თვითონ არ მოისურვებს, მას ვერავინ გადააყენებს.

***— წლების განმავლობაში კიევის „დინამოს“ იგივე პრობლემა ჰქონდა, რაც მათ თბილისელ თანაკლუბელებს — ღირსეული მოწინააღმდეგის არყოლას ვგულისხმობ. წელს ჩემპიონთა ლიგაში „შახტარმაც“ კარგად იასპარეზა — რა ხდება უკრაინულ ფეხბურთში, მოიმატა საერთო დონემ?***

— ის, რომ დონეცკელებმა მესამე ადგილი აიღეს ლიგის ქვეჯგუფში, ხოლო ჩვენ — მეოთხე, ბევრს არაფერს ნიშნავს. კიევის „დინამოსა“ და უკრაინის სხვა კლუბებს შორის სხვაობა კვლავაც დიდია და ამიტომ ჩვენი გუნდის პრიორიტეტი ყოველთვის ჩემპიონთა ლიგაა. ცხადია, შინაურ პირველობაზე ღირსეული სპარინგპარტნიორის არყოლა თავისთავად ძალზე ცუდია, მაგრამ კიევის „დინამო“ თავისი საწვრთნელი პროცესითა და ხშირი უცხოური შეკრებებით ახერხებს ამ ნაკლის კომპენსირებას.



***— თუ ჩემპიონთა ლიგა თქვენი გუნდის პრიორიტეტია, უკრაინაში ალბათ მტკივნეულად აღიქვეს თქვენი წარუმატებელი გამოსვლა ამ ტურნირის წლევანდელ გათამაშებაში.***

— ცხადია, სასიამოვნოდ არავის დარჩენია, მაგრამ ვფიქრობ, რომ გულშემატკივარმაც და კლუბის მესვეურებმაც გაგვიგეს — ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ გარკვეული ჩავარდნა ძალიან დიდი გუნდებისთვისაც კი ჩვეულებრივი ამბავია და არც კიევის „დინამოა“ გამონაკლისი. ასე რომ, საგანგაშო, ვფიქრობ არაფერია.

***— გიორგი დემეტრაძის შესახებაც მინდა გკითხო. სააკლიმატიზაციო პერიოდი ძალიან გაუგრძელდა და როდესაც ჩემპიონთა ლიგის ერთ თამაშში ბელგიელთა წინააღმდეგ ორი გოლი გაიტანა, ყველას გვეგონა, რომ წარუმატებლობა დამთავრდა. მაგრამ, ორიოდე თვის წინ უკრაინული პრესა მის ტრანსფერზე ალაპარაკდა და ლობანოვსკისაგან „დემეს“ გაყიდვას ითხოვდნენ. ახლა როგორაა საქმე?***

— მაშინ კრიტიკა ყველამ დავიმსახურეთ და არა მარტო გიორგიმ. ცხადია, როდესაც გუნდი ვერ იგებს, სხვაზე მეტი თავდამსხმელს „ხვდება“. იმაშიც მართალი ხართ, რომ გიორგის საწყისი პერიოდი გაუგრძელდა — კიევის „დინამოს“ ყველა ვერ ეწყობა უცებ, მით უმეტეს დემეტრაძისნაირი ფეხბურთელი, რომელმაც მთელი თავისი მანამდელი კარიერა ისეთ გუნდებში გაატარა, რომლებიც უფრო ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრები იყვნენ და არა ლობანოვსკის „ტოტალური“ ფეხბურთისა.

ასე რომ, გიორგის ახლა ყველაფერი კარგად აქვს.

***— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. წარმატება სახეზეა. იტალიელებთან წაგების მიუხედავად არავის დასცდენია საყვედური ნაკრების ხელმძღვანელობისა და მოთამაშეთა მიმართ. როგორ ფიქრობ, გაგწვდებათ გაზაფხულამდე ის მზადყოფნა, რომელიც ლიტვასა და იტალიაში გამოავლინეთ?***

— ვფიქრობ, გაზაფხულზე უკეთეს ფორმაშიც კი ვიქნებით. თუ, ღმერთმა დაიფაროს, ტრავმებმა არ შეგვიშალა ხელი. ჩვენი ნაკრების წევრთა უმეტესობა ხომ ისეთ ქვეყნებში თამაშობს, სადაც გაზაფხულზე გახურებული სეზონია და ფეხბურთელები ფორმის პიკს სწორედ იმ პერიოდში აღწევენ.

ცხადია, ნაკრების კარგი თამაში მწვრთნელთა ახალმა ტანდემმაც განაპირობა — შემადგენლობა ხომ ფაქტობრივად უცვლელი დარჩა.

***— საქართველოს ნაკრების „აქილევსის ქუსლი“ ყოველთვის დაცვა იყო. ამ მხრივ ახლა უკეთესი პირი უჩანს საქმეს.***

— მართალი ხართ. ეს თვალნათლივ გვეტყობოდა მწვრთნელთა ხშირ ცვლილებასთან ერთად. ბოსკამპიდან დაწყებული, რომელმაც ჩვენთვის მაშინ უცხო — ერთ ხაზზე თამაში დაგვავალა, ყველა მწვრთნელი სხვადასხვა სისტემით თამაშობდა.

ძოძუაშვილი და ყიფიანი, ცხადია უერო ახლოს იცნობენ ჩვენს სტილს და ბუნებრივია, რომ დაცვაში თამაშიც დალაგდა. რაც მთავარია, ნაკრების ახალბედა მცველებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავი საერთაშორისო ასპარეზზე და ტოლი არ დაუდეს ტიტულოვან მოწინააღმდეგეს.

მცველს ახლა სრულიად განსხვავებული ფუნქცია აქვს, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინ — ის მხოლოდ მეტოქეთა შეტევების ჩამშლელი კი არ უნდა იყოს, არამედ საჭიროების შემთხვევაში ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა დახმარებაც უნდა შეძლოს.

***— რამ განაპირობა ნაკრების ამგვარი წარმატება — მხოლოდ მწვრთნელთა ახალმა შემადგენლობამ?***

— უკვე ამდენი ხანია უკრაინაში ვარ და შორიდან უფრო ადვილია დაკვირვება. ვფიქრობ, ბევრი რამე შეიცვალა ზოგადად ფეხბურთისადმი და კონკრეტულად ნაკრებისადმი დამოკიდებულებაში. ელემენტარულ რაღაცას გეტყვით: ადრე როდესაც საერთაშორისო მატჩზე ვიკრიბებოდით, კაციშვილი ვერ გაიგებდა, რომელი ქვეყნის ნაკრები ან საკლუბო გუნდი ვიყავით — ყველას სხვადასხვა ფორმა გვეცვა. ეს საკითხიც კი არ იყო მოგვარებული. ცხადია, ეს ელემენტარული რამ არის, მაგრამ თვალნათლივ აჩვენებს მაშინდელ მდგომარეობას ქართულ ფეხბურთში. ახლა ბევრი რამ — არა მარტო ეს, არამედ უფრო მნიშვნელოვანიც, მოგვარებულია და ამაში ფეხბურთის ფედერაციას დიდი წვლილი მიუძღვის.

***— ასე რომ, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ: საქართველოს ნაკრებს „არასაფეხბურთო მიზეზები“ ხელს ვეღარ შეუშლის სასურველი შედეგის ჩვენებაში?***

— ვფიქრობ, არც ერთ ფეხბურთელს ენა აღარ მოუბრუნდება, რომ ხელმძღვანელობაზე საყვედური დასცდეს და ნაკრების წარუმატებლობა ცუდ პირობებს დააბრალოს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, საწუწუნოდ და დამნაშავის საძებნელად არ გაგვიხდება საქმე, რადგან არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაკრები ასე ახლოს სანუკვარ მიზანთან — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ საგზურთან, რისთვის ბრძოლაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი ტურია ჩატარებული, ჩვენს გუნდს უდავოდ ძალუძს.

**გვერდი მოამზადა ზვიად გურულმა**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მფ g7-h6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს **სამ** სვლაში.



# „СПАРТАК ЧЕМПИОН!“ – როდემდე გაჰყვებათ ასეთი განწყობა რუსებს?

## ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. I ტური

***ევროპის თექვსმეტმა საუკეთესო კლუბმა ორიოდე კვირით „ამოისუნთქა“, გასულ კვირაში კი ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპში ჩაება. წლეულს კიდევ ერთი ტური გაიმართება, გამოიკვეთებიან ის ფავორიტებიც, რომლებმაც XXI საუკუნეში პირველად უნდა გამოავლინონ კონტინენტის საუკეთესო კლუბის ვინაობა. სენსაციები პირველივე ტურში დაფიქსირდა, მოსაწყენი მატჩებიც იყო და არც კარგი ფეხბურთის ნაკლებობა ყოფილა. ალექს ფერგიუსონი ისე აღაფრთოვანა „პანათინაიკოსთან“ მატჩმა, განაცხადა, „ასეთი ფეხბურთი „ოლდ ტრეფორდზე“ რახანია აღარ მინახავსო“. ჯერაც ვერ გამოსულან ზედმეტი სიხარულისგან მიღებული შოკისგან რუსები.***

### A ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი – პანათინაიკოსი 3:1

### ვალენსია-შტურმი 2:0

ამ ჯგუფში მოულოდნელი თითქოს არაფერი მომხდარა. თამაშების წინ „მანჩესტერიც“ და „ვალენსიაც“ უპირობო ფავორიტებად ითვლებოდნენ, სხვა საკითხია როგორ და რის ფასად მოიგეს მასპინძლებმა. „ვალენსიას“ „შტურმთან“ პრობლემები არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი ავსტრიელთა კარში მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა, ყველა დარწმუნებული იყო, ავსტრიელთა კარის აღება მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ. პირველ გოლს მასპინძლებმა მეორეც მალე მიაყოლეს და ყოველგვარი ეჭვი გაფანტეს. აი, „ოლდ ტრეფორდზე“ კი ბევრად საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. „პანათინაიკოსმა“ პირველივე წუთებზე შეუტია და ინგლისელთა მეკარე ბარტეზი რომ არა, მასპინძლებს სულ მცირე ორჯერ მაინც მოუწევდათ ცენტრიდან დაწყება. ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მეორე ნახევარი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, შერინგემმა ანგარიში რომ გახსნა და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა, მაგრამ პირველ ტაიმში გაწეული ჯაფა ბერძნებს მეორეში დაუფასდათ — კარაგუნისის საჯარიმო დარტყმას ბარტეზმა ვერაფერი მოუხერხა. „იუნაიტედმა“ ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და ოსტატობამაც თავისი ქნა. 80-ე და 90-ე წუთებზე პოლ სქოულზმა გაიბრწყინა და საბოლოო ანგარიში — 3:1 დააფიქსირა. „პანათინაიკოსი“ კიდევ ბევრს გაამწარებსო — დაიჩივლა ალექს ფერგიუსონმა და კარგი თამაშისათვის ორივე გუნდს მადლობა გადაუხადა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2. ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3. პანათინაიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 4. შტურმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### B ჯგუფი

### პ.ს.ჟ. – დეპორტივო 1:3

### მილანი-გალათასარაი 2:2

როგორც ჩანს, ესპანეთის „დეპორტივო“ შემთხვევით არ გამხდარა ევროპის ერთ-ერთი ურთულესი ჩემპიონატის გამარჯვებული. პირველმა გაშვებულმა გოლმა ესპანელები არ გატეხა, პირიქით: პირწმინდად წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ტაიმში „დეპორტივო“ სრულიად განსხვავებულ გუნდად წარდგა. პ.ს.ჟ. კი ბოლო 45 წუთში თავის თავს აღარ ჰგავდა, ფრანგებს აღარაფერი გამოსდიოდით და ნიკოლა ანელკას არყოფნაში მთელი მეორე ტაიმი წინ და უკან უაზრო სირბილში გაატარეს. „ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ დაგვემართებოდა“ — განაცხადა ნამატჩევს პ.ს.ჟ.-ს თავკაცმა ფილიპ ბერჟერომ. სტუმრად მოპოვებულმა სამმა ქულამ ლა კორუნიული კლუბი ჯგუფის ლიდერად აქცია. პ.ს.ჟ.-ს მეოთხედფინალში გასვლის შანსები კი მიზერული გახდა.

ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ მილანშიც. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან, სწორედ „გალათასარაი “ გახლდათ ის გუნდი, რომელმაც ძაკერონის ბიჭები ლიგის მეორე ეტაპის მიღმა დატოვა. ამიტომაც იყო, რომ უმრავლესობა ფიქრობდა — „მილანი“ შარშანდელ ჯავრს იყრიდა და თურქებს გააცამტვერებდა. კინაღამ პირიქით მოხდა. „გალა“ 2:0-ს უგებდა „მილანს“, მართალია, მეორე ტაიმი პირწმინდად წააგო, მგარამ „სან სიროზე“ მიღწეულმა ფრემ თურქებს მაინც ფრთები შეასხა. მირჩა ლუჩესკუმ — „გალას“ რუმინელმა მწვრთნელმა ისიც კი განაცხადა, ფრე არალოგიკური შედეგია და უნდა მოგვეგოო. „მადა ჭამაში მოდისო“ — ნათქვამია. თურქებს დიდი მიზნები დაუსახავთ და ვინ იცის, იქნებ ჩემპიონთა თასზეც ოცნებობენ. ოცნებას კაცი არ მოუკლავს. რაც შეეხება „მილანს“ — მისი დონის გუნდი ვალდებულია, შინ „გალათასარაი“ დაამარცხოს — რამდენი წამყვანი ფეხბურთელიც უნდა აკლდეს. შეგახსენებთ, რომ ლიგის ფინალი წელს „სან სიროზე“ გაიმართება და თუ მილანელებს ფინალში მასპინძლობა სურთ, უკეთესი თამაში მართებთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2. მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 3. გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 4. პ.ს.ჟ. | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### C ჯგუფი

### ბაიერნი-ლიონი 1:0

### სპარტაკი-არსენალი 4:1

„ბაიერნი“ „ლიონთან“ აშკარა ფავორიტი იყო, მით უმეტეს შინ და მოიგო კიდეც, თუმცა მოგებაც არის და მოგებაც. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდის თამაში ძალიან შორს იყო იმ თამაშისგან, გერმანიის უპირველეს გუნდს რომ ეკადრება. „ბაიერნმა“ მთელ მატჩში სამიოდე მომენტი შექმნა და ერთადერთი გამოიყენა. ეტყობა, ჰიტცფელდი შარშანდელი და შარშანწინდელი შეცდომების გამეორებას აღარ აპირებს. ალბათ გახსოვთ, „ბაიერნმა“ შარშან გაზაფხულის პირას მიაღწია ფორმის პიკს, როცა მადრიდის „რეალი“ ორჯერ



ცეკვა „სპარტაკური“

გაანადგურა, ნახევარფინალში კი გუნდი ფაქტობრივად „გადამწვარი“ იყო და იმავე „რეალის“ მეორეჯერ ძლევა ვეღარ შეძლო. ასეა თუ ისე, გერმანელებმა სამი ქულა მოიპოვეს და მეოთხედფინალისკენ ნაბიჯი გადადგეს.

აი, მოსკოვში კი ისტორიული მატჩი გაიმართა. რუსები ჯერაც ვერ გამოსულან იმ ეიფორიიდან, „არსენალთან“ მატჩის შემდეგ რომ დაისადგურა მათ გულებში. ხუმრობა ხომ არ არის, 4:1 მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ კლუბს. მატჩის მეორე დღეს რუსული სპორტ-ექსპრესი ისეთი სათაურით გამოვიდა, თითქოს „სპარტაკს“ ლიგის ფინალი მოეგოს. რუსებმა მართლა ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ საკითხავია, სად და როგორ ვითარებაში. „ჰაიბერის“ ნაფერებ და ნალოლიავებ მინდორს შეჩვეული „არსენალი“, „ლუჟნიკების“ გაყინულ მინდორზე უმწეო კრავივით გამოიყურებოდა. 8 გრადუსიან ყინვაში „არსენალს“ მეტის გაკეთება არც შეეძლო, კარგმა თამაშმა და რუსებისათვის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა „სპარტაკს“ მეტად საჭირო სამი ქულა მოუტანა, უეფას პრეზიდენტს — ლენარტ იუჰანსონს კი ათქმევინა — ასე თუ გააგრძელა, „სპარტაკი“ ფინალშიც გავაო, კომენტარი თქვენთვის მოგვინდია, ისე კი დავძენთ, რომ მაისის ბოლოს მილანშიც თუ მოთოვა, იქნებ „სპარტაკმა“ თასიც აიღოს. „ლუჟნიკებზე“ გატანილი 5 გოლიდან 4 ბრაზილიელების ანგარიშზეა. „არსენალიდან“ სილვინიომ, „სპარტაკიდან“ ორჯერ მარკაომ, ერთხელ კი რობსონმა გამოიჩინა თავი. ბრაზილიურ გოლებს ერთი ტიტოვმაც დაამატა და „არსენალიც“ გაცამტვერდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| 2. ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 3. ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 4. არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

### D ჯგუფი

### ლიდსი-რეალი 0:2

### ანდერლეხტი-ლაციო 1:0

„ლიდს იუნაიტედის“ ამბიციებს მადრიდის „რეალმა“ მოუღო ბოლო. „სამეფო კლუბი“ ათი თავით მაღლა იდგა მასპინძლებზე და დამსახურებულად მოუგო. ეს ერთადერთი მატჩი იყო პირველი ტურის შეხვედრებიდან, სადაც თვალნათლივ გამოჩნდა გუნდებს შორის კლასში აშკარა სხვაობა. მადრიდელთაგან იერომ და რაულმა გაიტანეს. „ლიდს იუნაიტედის“ ეპიზოდურ შეტევებს კი შედეგი არ მოჰყოლია. თამაში კი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. მომდევნო სენსაცია გამოაცხო ბრიუსელის „ანდერლეხტმა“, ამჯერად მისი მსხვერპლი რომაული გრანდი — „ლაციო“ შეიქნა. ერთადერთი გოლი 86-ე წუთზე მასპინძელთა კანადელმა ლიდერმა რაძინსკიმ გაიტანა. ამის მიუხედავად „ლაციო“ „რეალთან“ ერთად მაინც ჯგუფის უპირობო ფავორიტია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 2. ანდერლეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 3. ლაციო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 4. ლიდსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი.

## პირველი მატჩები. 21-23 ნოემბერი

ორიოდ კვირაში გამოვლინდება ის 16 კლუბი, რომლებიც გაზაფხულიდან მერვედფინალურ ეტაპზე გააგრძელებენ უეფას თასისათვის ბრძოლას. მანამდე კი 7 დეკემბერს 1/16 ფინალის საპასუხო მატჩებია. შეიძლება ითქვას, რომ ფავორიტთა უმეტესობას პირველ მატჩებში თავი არ შეურცხვენია და თუ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც დღევანდელი სიტუაციიდან ჩანს, გაზაფხულიდან უეფას თასისათვის ბრძოლას საკმაოდ გავლენიანი და პრესტიჟული კლუბები გააგრძელებენ. ყველაზე საინტერესო მატჩების მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ. „ბრიუგე“ მთელი 90 წუთი უტევდა კატალონიის „ბარსელონას“, ათიოდე მომენტი შექმნა, გოლები კი საკუთარ კარში მიიღო, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულის ბედი. მილანის „ინტერმა“ ბერლინში ძირითადი ამოცანა შეასრულა — გოლი არ გაუშვა, მართალია, ვერც თავად გაიტანა, მაგრამ საპასუხო მატჩის წინ აშკარა ფავორიტად იქცა. „რომამ“ შესუსტებული შემადგენლობით სძლია შინ „ჰამბურგს“ და ძლიერ საეჭვოა, სტუმრად ორი ბურთით რომ წააგოს, „პარმა“ 2:0-ს უგებდა „მიუნხენ 1860“-ს, თუმცა შემდეგ ორი გოლი გაუშვა და აუტკივარი თავი აიტკივა, „ლივერპული“ აშკარად მოგებას იმსახურებდა პირეოსში „ოლიმპიაკოსთან“, თუმცა არც 2:2 უნდა იყოს



ბრიუგე — ბარსელონა 0:2

ურიგო შედეგი. „ვერდერმა“ 4:1 კი წააგო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გუნდი შინ სასწაულებს ჩადის, ამ წყვილიდან ჯერ ბოლომდე გარკვეული არ უნდა იყოს მერვედფინალისტის ვინაობა, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ შინ ვერ მოუგო „რაიო. ვალეკანოს“ და ალბათ გაზაფხულიდან რუსეთის ჩემპიონატის ამარა დარჩება. ჰოკეისათვის შესაფერისი ანგარიშით — 4:4 დასრულდა ლევერკუზენის და აეკის პაექრობა. სხვა დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. მთავარი და საინტერესო გაზაფხულიდან დაიწყება.

**ჰერტა (გერმანია) — ინტერი (იტალია) 0:0**
**ოსიეკი (ხორვატია) — სლავია (ჩეხეთი) 2:0**
**პარმა (იტალია) — მიუნხენ 1860 (გერმანია) 2:2**
**შახტიორი (უკრაინა) — სელტა (ესპანეთი) 0:0**
**ლევერკუზენი (გერმანია) — აეკი (საბერძნეთი) 4:4**
**პ.ს.ვ. (ჰოლანდია) — პაოკი (საბერძნეთი) — 3:0**
**ნანტი (საფრანგეთი) — ლოზანა (შვეიცარია) 4:3**
**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ლივერპული (ინგლისი) 2:2**
**ფეინოორდი (ჰოლანდია) — შტუტგარტი (გერმანია) 2:2**
**ალავესი (ესპანეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) 1:1**
**ბრიუგე (ბელგია) — ბარსელონა (ესპანეთი) 0:2**
**რომა (იტალია) — ჰამბურგი (გერმანია) 1:0**
**ბორდო (საფრანგეთი) — ვერდერი (გერმანია) 4:1**
**ლოკომოტივი (რუსეთი) — რაიო ვალეკანო (ესპანეთი) 0:0**
**ესპანიოლი (ესპანეთი) — პორტუ (პორტუგალია) 0:2**
**რეინჯერსი (შოტლანდია) — კაიზერი (გერმანია) — გაიმართება 30 ნოემბერს.**

# „კაიზერ ფრანცს“ უკანონო შვილი ჰყავს

გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს მეოთხე ვაჟი შეეძინა. ამის შესახებ კარგა ხანია ჭორაობდნენ გერმანიაში, გასულ კვირას კი გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ გაფანტა ეჭვები. ბავშვის დაბადება თავად ბეკენბაუერმაც დაადასტურა. ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — ახალშობილის დედა არის არა „კაიზერის“ მეუღლე, არამედ „ბაიერნის“ 36 წლის მდივანი ქალი, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა 1999 წლის საშობაო დღესასწაულზე გაიცნო. „სიტუაცია საკმაოდ რთულია, პირველ რიგში ჩემი მეუღლისათვის, თავადაც არ მოველოდი, რომ ცხოვრება ასეთ სიურპრიზს მომიმზადებდა, თუმცა რას იზამ, რაც მოხდა, მოხდა! ჩემი და სიბილას (ბეკენბაუერის მეუღლე) ურთიერთობა ისეთივე დარჩება, როგორიც აქამდე იყო, კვლავ ერთად ვიცხოვრებთ“ — განაცხადა ბეკენბაუერმა, რომელსაც უკვე შვილიშვილებიც ჰყავს. კაიზერმა ისიც დაადასტურა, რომ არც უკანონო შვილს დატოვებს უყურადღებოდ და მონაწილეობას მიიღებს პატარა იოჰანის აღზრდაში.



„კაიზერი“ მეუღლესთან ერთად

# ვინ გახდება საუკეთესო?

მიმდინარე წლის 11 დეკემბერს იტალიის დედაქალაქ რომში XX საუკუნეში უკანასკნელად დასახელდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. ფიფამ სამი ოფიციალური კანდიდატი დაასახელა — პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ, ბრაზილიელი რივალდო და ფრანგი ზინედინ ზიდანი. ამ სამიდან ერთ-ერთი წლის ბოლოს პლანეტის უძლიერეს ფეხბურთელად დასახელდება. აღნიშნულ სამეულთან ერთად ყველაზე ხშირად უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს ასახელებდნენ, თუმცა „მილანის“ ფორვარდს ამ ტიტულისათვის ბრძოლა მომავალ წლებში მოუწევს. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესოდ დასახელების ყველაზე დიდი შანსი ლუიშ ფიგუს აქვს. ჯერ ერთი, იგი მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშეა, ლომის წილი მიუძღვის იმაში, რომ პორტუგალიამ ევრო-2000-ზე ნახევარფინალამდე მიაღწია და ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრების შთაბეჭდილება დატოვა. ფიგუმ ბრწყინვალედ ჩაატარა წინა სეზონის მეორე ნახევარი „ბარსელონაში“ და სტაბილურობით გამოირჩევა მადრიდის „რეალშიც“. გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო კლუბში ძველებურად ბრწყინავს, თუმცა მისმა „ბარსელონამ“ წლეულს განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია, რივალდოს მაინცდამაინც არც ნაკრებში კარგი თამაშით გამოურჩევია თავი, რასაც ხშირად საყვედურობენ ბრაზილიაშიც. რაც შეეხება ზინედინ ზიდანს — მისი რეიტინგი აშკარად დაეცა მას შემდეგ, რაც ფრანგი ზედიზედ ორჯერ გააძევეს მინდვრიდან ჩემპიონთა ლიგის მატჩებში, რამაც ფაქტობრივად განაპირობა „იუვეს“ ჯგუფიდან გავარდნა. მიუხედავად იმისა, რომ ევრო-2000-ზე ზიდანმა ბრწყინვალედ იასპარეზა, საერთო ჯამში ალბათ მაინც ფიგუს მიანიჭებენ უპირატესობას. ვნახოთ, 11 დეკემბერს მსოფლიოს 130 ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოავლენს.

# სარეკორდო ტრანსფერები ბრიტანეთში

გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის ორ ქვეყანაში — ინგლისსა და შოტლანდიაში განხორციელდა ისეთი ტრანსფერები, რომელთა მსგავსიც ამ ორ ქვეყანას არ ახსოვს. „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მცველი რიო ფერდინანდი ამიერიდან „ლიდს იუნაიტედის“ ღირსებას დაიცავს. მის სანაცვლოდ ლონდონური კლუბი 25.5 მილიონ დოლარს მიიღებს. მოლაპარაკება 22 წლის მცველის შესახებ „ლიდსსა“ და „ვესტ ჰემს“ შორის კარგა ხანია მიმდინარეობდა, თუმცა საბოლოო შეთანხმებას კლუბებმა მხოლოდ მაშინ მიაღწიეს, როცა დევიდ ოლირის გუნდმა ლონდონელებს ისეთი თანხა შეაძლია, როგორადაც ჯერ არავინ შეუძენიათ ინგლისურ კლუბებს. „ფერდინანდი დიდებული მცველია, თუმცა არც 25 მილიონია ურიგო ფული“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა ტრანსფერს „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა გარი რედნაპმა.

არანაკლებ საინტერესო გარიგება შედგა ლონდონის „ჩელსისა“ და „გლაზგო რეინჯერსს“ შორის, ლონდონელებმა შოტლანდიელებს ტორე ანდრე ფლო დაუთმეს, სანაცვლოდ კი 12 მილიონი გირვანქა მიიღეს. შოტლანდიურ საკლუბო ფეხბურთში ამხელა თანხად ჯერ არავინ გაყიდულა. ტრანსფერით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა და არც თავად ფლო მალავს აღფრთოვანებას. „ჩელსი ბრწყინვალე გუნდია, თუმცა იქ სათადარიგოთა სკამზე მიწევდა ჯდომა, რაც ჩემთვის მეტად მომაბეზრებელი იყო, არც „გლაზგო რეინჯერსია“ „ჩელსიზე“ ნაკლები, იმედი მაქვს იქ გაცილებით მეტს მივაღწევ“ — განაცხადა 27 წლის ნორვეგიელმა, რომელმაც დიკ ადვოკაატის კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



ტორე ანდრე ფლო

# ასე შეიქმნა ერთჯერადი კალმისტრები



ომის დამთავრებისთანავე ფრანგმა ბარონმა მარსელ ბიკმა გადაწყვიტა, ხელი მიეყო უჩვეულო ბიზნესისათვის.

ახალგაზრდობაში ის ბევრს მოგზაურობდა და ოცნებობდა, ჰქონოდა მსუბუქი ბარგი. მოგვიანებით იგი წერდა, — რა კარგი იქნებოდა, რომ ნივთები თვითონ აღმოჩენილიყვნენ იქ, სადაც გჭირდებათ. ნეტავ შეიძლებოდეს ძველი ნივთის გადაგდება და იქ შეძენა, სადაც მოგინდებაო...

ერთჯერადი კალმისტრის შექმნას მარსელ ბიკმა ოთხი წელი მოანდომა. შემდეგ დაიწყო ძებნა ფირმისა, რომელიც მის საქონელს გამოუშვებდა. ცდა ამაო გამოდგა, რადგან ეს ან ავანტიურა, ან თაღლითობა ეგონათ. ბიკი თავისი გამოგონებისათვის თითქმის გროშებს ითხოვდა.

სხვა გამოსავალი არ იყო, საკუთარი პროდუქცია თავად უნდა გამოეშვა.

კომპანიონთან ერთად იჯარით აიღო ძველი ფაბრიკა ქალაქ კლიშში და დაიწყო ბურთულიანი კალმისტრის გულების წარმოება. კალმისტრებს გაცილებით იაფად ყიდდა, ვიდრე სხვა ფირმები, — თითქმის საშუალო ღირებულების ნახევარ ფასად.

რისკმა გაამართლა და მოგებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

50-იანი წლებიდან ბიკის პროდუქციამ ევროპის თითქმის მთელი ბაზარი დაიპყრო, თანაც ის მილიონობით ადამიანის ჩვევებს ცვლიდა.

შემდგომში ბიკმა გამოიგონა ერთჯერადი სანთებელა და საპარსი.

დღეს კომპანია მსოფლიო ლიდერია ერთჯერადი კალმისტრების, სანთებელებისა და საპარსების წარმოებაში.

***ოგონიოკი №41***



# ტოქსიკური ზღვა

ზღვა ორი დღე საშინლად ღელავდა, ქარის სიჩქარე საათში 150 მილს აღწევდა. საფრანგეთის პორტ შერბურის შუქურიდან დენიელ ბოუსქუეთი გარემოს საგანგებო ბინოკლით ათვალიერებდა. უცებ შენიშნა, რომ დიდი ტანკერი — „ლევოლისანი" შველას ითხოვდა. ტანკერზე ყველა ნათურა ჩამქრალიყო და მეზღვაურები ცეცხლმოკიდებული ნაჭრების ფრიალით ცდილობდნენ ხმელეთზე მყოფთა ყურადღების მიპყრობას. ბოუსქუეთმა მაშველებს უხმო. ტანკერს ზვირთები ნაფოტივით ათამაშებდა. მაშველებმა შვეულმფრენებით მოახერხეს 12 იტალიელი და ორი ესპანელი მეზღვაურის გადარჩენა. „ლევოლისანის" კაპიტანმა კი გემთან ერთად ჩაძირვა არჩია და ზღვის ფსკერზე პოვა განსასვენებელი. ტანკერის ჩაძირვამ საფრანგეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პრეზიდენტმა შირაკმა მკაცრად განაცხადა, რომ არ დაუშვებს ასეთი ტანკერების საფრანგეთის ტერიტორიულ წყლებში მიმოსვლას. როგორც გაირკვა, „ლევოლისანს" მაღალტოქსიკური ტვირთი გადაჰქონდა. მის ტრიუმებში 4.000 ტონაზე მეტი სტისენი იდო, რომელიც „შელ-ოილისთვის" იყო განკუთვნილი. გემის ჩაძირვის შემდეგ ამ ნივთიერების დიდი ნაწილი ზღვაში ჩაიღვარა და კატასტროფიდან რამდენიმე მილის რადიუსზე წყლის ზედაპირი სტისენით დაიფარა. ამ არეალში ათასობით ზღვის ბინადარი დაიხოცა. კვდომა იწყო წყალმცენარეებმა.

ფრანგი „მწვანეები" შიშობენ, რომ ნივთიერების აორთქლების შემთხვევაში, მას ქარი შერბურისკენ გადაიტანს, სადაც კატასტროფა გარდაუვალი იქნება და, შესაძლოა, ასობით ადამიანი დაიღუპოს.

***ნიუზუიქ, 13 ნოემბერი***

# ეშველათ ტაივანის ძაღლებს...

ევროპის ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია ძალზე კმაყოფილია — ტაივანის პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ძაღლის ხორცის საკვებად გამოყენების აკრძალვას.



დელიკატესთა რესტორნების მფლობელები შეშფოთდნენ, ტურისტებიც გაწბილებულნი დარჩნენ. 2001 წლის 15 იანვარს დაიხურება ტაივანის ყველა ის დაწესებულება, სადაც ძაღლის ხორცის კერძებს ამზადებდნენ. იგივე ბედი ეწევა ძაღლების მომშენებელ ფირმებს. მალაზია, რომელიც გააგრძელებს ძაღლის ხორცით ვაჭრობას, 50 ათასი დოლარით დაჯარიმდება. სტატისტიკოსების ვარაუდით, უამრავი ხალხი დარჩება უმუშევარი. ახალი კანონი წყალს შეუყენებს ტაივანის ტურისტულ ბიზნესსაც. ტაივანის სარესტორნო ბიზნესის წარმომადგენლის თქმით, ევროპაში ძაღლი მეგობრად და ოჯახის წევრად მიაჩნიათ და მის ხორცს არ ჭამენ. ტაივანში კი ტურისტები სწორედ ძაღლის ხორცის გასასინჯად ჩამოდიოდნენ. თუ ეს აიკრძალა, რისთვის ჩამოვლენ!

ძაღლის ხორცის აკრძალვა გამოიწვია მისი ბარბაროსული წესით დამზადებამ. ძაღლს, ორგანიზმის გასაწმენდად, რამდენიმე დღე აშიმშილებენ. შემდეგ უმოწყალოდ სცემენ ხელკეტით ისე, რომ კუნთები სისხლით გაიჟღინთოს და ხორცი ნაზი და წვნიანი გახდეს.

ამერიკისა და ევროპის ძაღლთა დაცვის ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს, ძაღლთსაშენში საკლავად გამზადებული ცხოველები სანდო ხელს გადასცენ, ხოლო რესტორნების წინ, გააკრან აბრა: „ძაღლებს აქ უკვე აღარ ჭამენ". ეს აქცია იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ტაივანელებიც ძაღლების მეგობრები არიან.

ასე რომ, ტაივანის ძაღლებს საფრთხე აღარ ემუქრებათ.

***იზვესტია №209***

# ახალი „ტიტანიკი"



სან-ფრანცისკოს საზღვაო პორტში მალე გამოჩნდება ხომალდი, რომელიც წყლის ორი წვეთივით ემგვანება „ტიტანიკს".

ქალაქის ხელისუფლებამ ერთ გემთმშენებელ ფირმას შეუკვეთა ხომალდის მშენებლობა და 150 მლნ დოლარიც გადაუხადა. „ტიტანიკი-2" თავისი წინაპრისაგან განსხვავებით ფეხს არ მოიცვლის ნავსადგურიდან, რადგან იგი ფეშენებელური სასტუმრო იქნება და სახელმწიფო ხაზინაში წელიწადში არანაკლებ 9 მლნ დოლარს შეიტანს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №46***

# სპარტაკის მემკვიდრე

ლონდონის ცენტრში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უჩვეულო და ძალზე საინტერესო სამარხი. ეს გახლავთ რომაელი გლადიატორი ქალის საფლავი. სამარხი ჩვ. წ. აღრიცხვის საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. მიცვალებული დაკრძალულია ლონდონის იმ ნაწილში, სადაც რომაელები ცხოვრობდნენ, სასაფლაოს კედლის გადაღმა, მოშორებით. სამარხში სასანთლეთა და სასაკმეველთა შორის აღმოჩნდა ერთი თიხის ფილა გლადიატორის გამოსახულებით, რითაც ვარაუდობენ, რომ საფლავი გლადიატორი ქალისაა. ქალები არენაზე ხშირად არ გამოდიოდნენ. როგორც ამბობენ, ისინი გამოჰყავდათ მაყურებელთა ასაღელვებლად. 200 წელს კი საერთოდ აიკრძალა ქალთა ასპარეზობა.

ლონდონის აღმოჩენა პარადოქსულია. რადგან ქალი დაკრძალულია რომაელთა სასაფლაოს კედლის გარეთ, მიგვანიშნებს, რომ იგი მოკვეთილი უნდა იყოს. ისიც აშკარად ჩანს, რომ ქალი ღარიბთა წრიდან არ ყოფილა. სამარხში აღმოჩნდა სანოვაგის ჭურჭლის ნაშთი. ბრიტანეთის მუზეუმის თანამშრომლის განცხადებით, სანოვაგის ჩატანება მაშინ წესი იყო, რათა მიცვალებულის სული ღმერთამდე მისაღწევად დროდადრო მომაგრებულიყო. მიცვალებულის ძვლები მიგვითითებს, რომ იგი ახალგაზრდა მომკვდარა.

სპარტაკის მემკვიდრეთათვის ეს გასაკვირი არცაა.

***ფავორიტი №20***

# როდის ხვდება ადამიანი, რომ ვარსკვლავად იქცა?

...როცა მილიონ დოლარს ხარჯავს მაღაზიებში თუ 1000-ზე მეტი საყვარელი ჰყავს გამოცვლილი? სულაც არა. ვარსკვლავი მაშინ გრძნობს ვარსკვლავობას, როცა შეიტყობს, რომ მის დადებით თუ უარყოფით თვისებებს საზოგადოება იმეორებს, ყველაფერში მას ბაძავს.

მაგალითად, **ბრითნი სპირსისთვის** ერთ-ერთი ყველაზე მთავარია — ყავა, რომელზედაც კვირაში მომღერალი 16.000 დოლარს ხარჯავს, ვინაიდან ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე უმისოდ. ხანდახან სპირსის საყვარელი სასმლისთვის, რომელიც განსაკუთრებული რეცეპტით მზადდება, მენეჯერებს სპეციალურად უხდებათ რეაქტიული თვითმფრინავის გაგზავნა.

უფრო მარტივად წყვეტს საკითხს ჯგუფ „ოლ ჰეინთსის" სოლისტი **ნატალი ეპლტონი**, რომელიც ნერვების დასამშვიდებლად ცხვირს მანქანის გამოსაბოლქვ მილში ყოფს.

**მინი დრაივერი** საოცარი ჭორიკანაა. მას დღედაღამ შეუძლია ტელეფონზე ქაქანი..

**ლორა ინესს** („სასწრაფო") თავდავიწყებით უყვარს ტელევიზორის ყურება. შეუძლია კვირაობით იკოტრიალოს საწოლში, თუ ტელევიზორი იქვე ექნება.

**კამერონ დიასი** ჭკუას კარგავს მაღაზიებში სიარულზე. ნორმალური განწყობისათვის მისთვის აუცილებელია კვირაში ერთხელ მაინც 10.000-ობით დოლარის დახარჯვა წვრილმანებზე. და კიდევ, ის ექსტაზში ვარდება, როცა ჭუჭყიანი ტაფიდან ქონს ლოკავს.

ძლიერი სქესის წარმომადგენლები მეტ გასტრონომიულ მოთხოვნილებებს იჩენენ, ვიდრე მანდილოსნები. **ბრედ პიტი** გიჟდება რძიან და ბანანიან კოქტეილებზე, **ტომ კრუზი** შტოშის წვენზე, **ვინი ჯონსი** — ხილის მარმელადზე, **ტომ ჰენქსი** და **რობერტ დე ნირო** გრძელ ფრანგულ ბატონებზე.

თითქმის ყველა სუპერმოდელს უყვარს კარგი ჭამა და ფრჩხილების კვნეტა.

**მერაია ქერიმ** და **გვინეთ პელთროუმ** შეიძლება სული დალიონ, თუ ძილის წინ ნახევარი საათით არ ჩაწვებიან ქაფიან აბაზანაში.

**შონ პენი** მყუდროდ გრძნობს თავს მხოლოდ მაშინ, როცა მის გარშემო სრული ქაოსია, როცა ცარიელი ბოთლები მთელ ოთახშია მიმოფანტული, იატაკი სავსეა ვაშლის ნარჩენებით. **უილ სმიტი** სულიერ ჰარმონიას გრძნობს მხოლოდ მაშინ, როცა გამაყრუებელი მუსიკა ესმის.

ოსკაროსანი **მარტინ ბინი** ოღონდ საკანში ჩასვი და პურს ნუ აჭმევ. მსახიობი ხშირად მონაწილეობს ხოლმე საპროტესტო მიტინგებში და ყველანაირ ღონეს ხმარობს, რომ დააპატიმრონ. ის ყოველთვის წინასწარ აფრთხილებს სტუდიის ადმინისტრაციას, რომ უიქენდზე ციხეში აპირებს ჩაჯდომას.

**მეთიუ პერი** აზარტულად თამაშობს ლოტოს და თვლის, რომ ის საოცრად სექსუალური თამაშია. **ბენ აფლეკი** დეპრესიაში ვარდება, თუ 2 ან 3 საათს არ ითამაშებს კომპიუტერით.

***პოსლედნიე ნოვოსტი №46***



# დედოფალი მობილური კავშირის წინააღმდეგია

ინგლისის დედოფალმა ელისაბედ -მ ყველა სამეფო სასახლეში აკრძალა მობილური ტელეფონით სარგებლობა. დედოფალს ძალზე აღიზიანებს უადგილო თუ უდროო ტელეფონის ზარი. „ვის მოეწონება სადღესასწაულო ბანკეტზე გამუდმებით მომაბეზრებელი წკარუნის მოსმენა, — დაეთანხმა დედოფალს ბუკინგემის სასახლის პრესმდივანი, — ეს გონიერებისა და დახვეწილი მანერების უგულებელყოფის მიმანიშნებელია".

ადრე მობილური ტელეფონების გამორთვას სიტყვიერად ითხოვდა უინძორების წარმომადგენლობა. ეტყობა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ახლა მისმა უდიდებულესობამ ოფიციალური ბრძანება გამოსცა.

***კომერსანტი №205***



**თარაზულად**: 7. მზიური, საფლავი; 8. ბირჟა, ენა; 11. საფრანგეთი, ჟანა; 12. სამოთხე, ბაღი; 13. ხვანჭკარა, ბორდო; 14. ჩუქჩა, ველი; 17. პავაროტი, ხმა; 18. საავადმყოფო, ეკიპაჟი; 19. გორი, მტკვარი; 21. ესპანეთი, ყური; 23. ჟურნალი, გაზეთი; 25. შტირლიცი, კლოსი; 28. იქსი, მეგობარი; 31. მონაკვეთი, მიმართულება; 32. ტელევიზორი, მინა; 33. საკრავი, გუდა; 35. მეფე, გუნდი; 39. ნამგალი, ლითონი; 42. სიმსივნე, ფუნჯი; 43. ფილმი, სექსი; 44. ტრამვაი, პილოტი.

**შვეულად:** 1. ატამი, ძვალი; 2. ყავა, უბანი; 3. ერეკლე, ქალაქი; 4. ძროხა, ზანზალაკი; 5. ბასტი-ბუბუ, ექიმი; 6. ელექტროდი, პლუსი; 9. შიმპანზე, გორილა; 10. იმპერატორი, სახელმწიფო; 15. ეგვიპტე, ხარი; 16. ტექსტი, შესწორება; 17. რომი, მტკვარი; 20. ძროხა, ზაქი; 22. ინგლისი, სენიორ; 23. ამერიკა, ველი; 24. კონტინენტი, ზანგი; 26. ბუნება, ქეიფი; 27. ჭადრაკი, დედოფალი; 29. ზიტა, და; 30. წყნეთი, ბიჭვინთა; 34. ესაძე, ქალაქი; 36. სიცხე, ქნევა; 37. ძაღლი, კნუტი; 38. ფორტე, ჩუმად; 40. ანსამბლი, სამაია; 41. ტასიკო, ფრინველი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7 კარცერი; 8. აპენინი; 11. სალტე; 12. ოტავა; 13. ქსელი; 16. სამოვარი; 19 კუკარაჩა; 21. ოსეთი; 23. ნესკაფე; 24. აბელი; 26. გალუაზი; 28. გეიზერი; 33. გედია; 35. ანტალია; 36. კანოე; 37. კლინტონი; 38. ანტრაქტი; 42. ზვინი; 44. მინდი; 47. კოლტი; 48. ასფალტი; 49. რეკორდი.

**შვეულად**: 1. ფანტა; 2. ვერე; 3. ვირუსი; 4. მაყალი; 5. ველი; 6. კნუტი; 9. პასიანსი; 10. ყვინჩილა; 14. ავზი; 15. გალა; 17. რენტა; 18. სოკო; 20. უღელი; 22. თვალი; 25. ბურდა; 27. ზანგი; 29. ეგიდა; 30. თეოლოგია; 31. პაპი; 37. კონტაქტი; 34. აუტი; 36. კარი; 39. ივერია; 40. ანგარი; 41. ოდესა; 43. ფორდი; 45. ფული; 46. როკი.

## №48 (217) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 732 რესპონდენტი ჰყავდა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 271-მა ქალმა და 449 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ სატელევიზიო არხს უყურებთ ყველაზე ხშირად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა — 81 ყველაზე ხშირად „რუსთავი 2-ს“ უყურებს; მხოლოდ 6-მა მკითხველმა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **8,67** საშუალო ქულით „რუსთავი 2“ პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე საქართველოს ტელევიზიის I არხია, საშუალო ქულაა 7,69. რესპონდენტთა 16-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური კი დაახლოებით 3-მა დაუწ-ერა. უნდა აღინიშნოს, რომ II არხი საერთო ქულების რაოდენობით მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი მეხუთეზეა და ამ ნიშნით მას წინ უსწრებენ „I სტერეო“, „აჭარის ტელევიზია“ და „IX არხი“. მხოლოდ ორმა მკითხველმა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 9 ქულა. („საქართველოს ხმასაც“ ზუსტად ორმა რესპონდენტმა დაუწერა 9 ქულა). ასევე, აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილზე გასული „კავკასია“ და და მეშვიდეზე მყოფი „ევრიკა“ არც ერთ მკითხველს არ შეუფასებია მაქსიმალური ქულით.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა წილად ხვდა „აჭარის ტელევიზიას“, მკითხველთა 68-მა დაუწერა მას 1 ქულა.

თუ გავიხსენებთ ანალოგიურ თემაზე ჩვენს ამასწინდელ გამოკითხვას, ვნახავთ, რომ საპრიზო ადგილები უცვლელია — მაშინაც და ახლაც „რუსთავი 2“ ლიდერობს, შემდეგ კი I და II არხები მოდიან.




საპრიზოს ზუსტად 7 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვე-ბულები არიან თბილისელები: 63 წლის **რეზო სვანიძე,** 47 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილი,** 75 წლის თერჯოლელი **ძოჩიაშვილი** (ბარათზე სახელი არ იყო მითითებული), რუსთაველები: 36 წლის **ნანა აროშვილი,** 30 წლის **გრიგოლ ნოზაძე,** 50 წლის გელა მეტრეველი ზაჰესიდან და ერთიც — 50 წლის ინკოგნიტო **„ქართველი“.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამაარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშა-ბათს, 5 დეკემბერს, 17 საათზე.

## №49 (218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებ-ისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ სა-ზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრ-იზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგე-ბა ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვე-ყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნო-მერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწ-ილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებუ-ლი თემების თითოეული გრაფისათვის მკითხ-ველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევა-ში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწ-ილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხვე-ლის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოე-ბული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარი-ანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწი-ლეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№49 (218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგ-ის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხ-შაბათის, 6 დეკემბრის 10 საათამდე, თბი-ლისში — ხუთშაბათის, 7 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №49 (218) —
ქართული ტელეარხები
**რომელ სატელევიზიო არხს უყურებთ ყველაზე ხშირად** (ჩამოთვ-ლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№49(218) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეარხები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | I არხი | |
| 2 | II არხი | |
| 3 | აჭარის ტელევიზია | |
| 4 | რუსთავი 2 | |
| 5 | საქართველოს ხმა | |
| 6 | კავკასია | |
| 7 | ევრიკა | |
| 8 | I სტერეო | |
| 9 | IX არხი | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**დაასახელეთ პლანეტის ყველაზე სასურველი თანამედროვე ქალი**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

მკითხველის რეიტინგს 611 რესპონდენტი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენი აზრით, ვინ არის წლის ყველაზე „დიდი ცრუპენტელა?“**

როგორც ჩანს, დღეს ჩვენს მკითხველებს ყველაზე მეტად უშუქობა აწუხებთ და ვინც თავის დროზე მათ ოცდაოთხსაათიან ელექტროენერგიას დაჰპირდა, და ეს დანაპირები არ შეასრულა, სწორედ ისინი დასახელდნენ წლის ყველაზე დიდ ცრუპენტელებად.

**წლის ცრუპენტელათა პირველი ათეული ასეთია:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ედუარდ შევარდნაძე | 21,8% |
| 2. | დავით მირცხულავა (სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო) | 19,6% |
| 3. | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი | 11,0% |
| 4. | მთავრობა | 10,5% |
| 5. | მაიქლ სქოული (ეი-ი-ეს თელასი) | 5,2% |
| 6. | პარლამენტი | 2,6% |
| 7. | ზურაბ ჟვანია | 2,3% |
| 8. | კახა თარგამაძე | 1,0% |
| 9. | ზურაბ ნოღაიდელი | 0,7% |
| 10. | მიხეილ სააკაშვილი | 0,5% |

ერთმა მკითხველმა კი განაცხადა, რომ წლის ყველაზე დიდი ცრუპენტელები ჩვენ თვითონ ვართ, რადგანაც თავებს ვიტყუებთო...

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამო-ქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია

„კვირის პალიტრის“ ფოტოკორესპონ-დენტი:

— ბ-ნო დავით! ჩამოუშვით ხელი, ჩიტი გამოფრინდება.

**დ.მ.** — თუ ძმა ხარ, გამანებე თავი, ეს წუთია საბურთალოს პიკეტიდან მოვედი. „პაკრიშკების“ ბოლით ვარ მოთხუპნული.

***შალვა და ლაშა კუპატაძეები, თბილისი***

დავით მირცხულავა და ელექტრო-ენერგია დახუჭობანას თამაშობენ.

**დ.მ.** — 1, 2, 3... 10! ვიხილები და მოვდივარ! შუქო სად ხარ?

**ელენერგია** — თურქეთში ვარ, თურქეთში!

***სალომე, თბილისი***

**დ.მ.** — (ფიქრობს) ნეტავ დათვი ვიყო, დავიძინებდი ამ ზამთარს და გავიღვიძებდი გაზაფხულზე.

***იური ბერაძე, თბილისი***

**დ.მ.** — ბარიკადებმა გაავსო მშობ-ლიურ დედაქალაქი,
მომწყინდა ამდენი ჩხუბი, ქიშპი, ღრენა და კამათი,
მელიქიშვილიც ჩაკეტეს — სახლში მივიდე რაღათი,
ალადინ ხომ არ ვგონივარ, დედაც ვატირე მაგათი!

***თემურ ჯაბანაშვილი, თიანეთი***

**დ.მ.** — ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ გაზაფხულ-ზაფხულის მინის-ტრი ვარ, შუქს რა უნდა ზამთარ-ში?

***გ. ქავთარაძე, თბილისი***

ვავა დავით, ვივა პაატა!!!

***ნატალია, თბილისი***



დავით მირცხულავა

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 177 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორი-გინალურ პასუხს.***

**დ.მ.** — იმდენი იძახეს თბილისელებმა, დაუბნელდა თვალებში, ვინც შუქს არ გვაძლევსო, რომ მგონი მართლა დავბრმავდი.

***ნათელა ღვალაძე, თბილისი***

**დ.მ.** — შვილებო! მოგიკვდეთ იდიოტი ენერგომამა, რა მინდოდა დენებში.
(კ/ფ „თეთრი ბაირაღები“)

***კეკელა და მარო, თბილისი***

**დ.მ.** — ეეჰ, ეს რა სატანური აზრი მოსვლია ჩვენს მამა და მარჩენალს... შეშისა და სანთლის სამინისტროს მინისტრად დაგნიშნავო...

***უავტორო, რუსთავი***

**დ.მ.** — ნაქეიფარზე გეძინება კაცს, ეს ხალხი კი სახლში არ მიშვებს.

**ხმა გარედან:** — დენი გვინდა, დენი!!!

**დ.მ.** — მეც ბევრი რამე მინდა, მაგრამ სხვებს არ ვაწუხებ.

***გაგი გაბრიჭიძე, თბილისი***

**დ.მ.** — უჰ, რა ვქნა კაცო, თვალს მოვხუჭავ თუ არა, მაშინვე ის ოხერი ბენზინ ნავთიძე მესიზმრება. ახლაც დამესიზმრა, თითქოს მისი ძალისხმევით სავარძელი დამათმობინეს. განვედ ჩემგან, ბენზინისა და ნავთის სუნით აყროლე-ბულო მოჩვენებავ! განვედ!

***უავტორო***

**დ.მ.** — სირაქლემას ვბაძავ სი-ბრძნით,
სულ არ არის თურმე ძნელი,
ყურში ბამბა შევიტენე,
თვალზე ავიფარე ხელი,
არც ის მესმის რად შემარქვეს
დავით დამაბნელებელი!!!

***ცისანა ჩაჩანიძე, ჭიათურა***

სურათზე გამოსახულია ქართველი იოგი, რომლის 24 საათიანი „ფიქრის პოზის“ შედეგად აკუმულირებული ენერგია, თბილისის 6 საათიანი გან-ათების ტოლფასია.

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

ელექტროენერგიის ეკონომიის ახალი მეთოდი...

***მურთაზ მორჩიაშვილი, თბილისი***

— მეათე ბლოკი გაჩერდა, კვლავ გამოირთო თელასი. ენერგეტიკის მა-მებო, მე თქვენი დედაც... ყველასი.

***უავტორო***

## ფოტო განწყობისათვის



Белый танец.

ქალბატონები ირჩევენ პარტნიორებს

ბავშვი კითხულობს:

—ადამიანი თუ მაიმუნისგან წარმოიშვა, რატომ ყველა მაიმუნმა არ ინდომა ადამიანობა?

**მაგნიტური დღეები**

**28/XI 10⁰⁰–12⁰⁰ სთ-მდე**

**26/XI ◐ პირველი მეოთხედი**

## წინა სკანვორდის პასუხები



## ქართული წამალი „სალხინო“ ერთადერთი პრეპარატია, რომელსაც გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპ[illegible]იტე[illegible]ს ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [illegible]სასვ[illegible]ლთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბ[illegible]ოლოში [illegible] ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პ[illegible]ტრიწი[illegible]. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით ა[illegible]შენე[illegible]ისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის [illegible]მზ. მ[illegible]კომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედან[illegible] ნაძა[illegible]ლადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტა[illegible]ონთა[illegible] დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერს[illegible]ის მ[illegible]ებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭ[illegible]ძის [illegible]6 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - [illegible].ფშა[illegible]ლას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩე[illegible]ბასთა[illegible] ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [illegible]იონე[illegible]ში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთ[illegible]ისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობ[illegible]ლეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სი[illegible]ნაღ[illegible], ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე;* ***არსებული „სიტყვა[illegible] და [illegible]ქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტაში* ***ყუთები[illegible] დაი[illegible]ება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *დედოფლის წყაროში [illegible]ის[illegible]* ***კვირის ხუთშაბათს.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ქინე[illegible]ლსა[illegible] და დუშეთში* ***კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.***

**ყურადღე[illegible]ა: [illegible]კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპო[illegible]დე[illegible]ნტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია [illegible]კა[illegible]ნით.©**

**(48) უ[illegible]ა[illegible]ო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№48 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 30 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




ჟურნალი სასიამოვნო დასვენებისთვის




## ეს იცოდით?..

ცნობილმა იტალიელმა კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ შეკითხვაზე, რა გაძლევთ შთაგონებასო, უპასუხა, — ქათმის ბულიონიო.

ისე, დიდი მაესტროს საყვარელ კერძზე ლაპარაკია ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე, ათასწლეულში მემფისში (ეგვიპტე), ოსირისის ტაძრის კედელზე აღმოჩენილ წარწერაში. აქ ნაამბობია, თუ როგორ მოხვდა ქათამი წვნიანში.

ფარაონის მშიერმა მონამ მოიპარა ქათამი და დამალა ცხელწყლიან ქოთანში. მოგვიანებით იგი მცველებმა ჭამის პროცესში დაიჭირეს. ალბათ დასჯიდნენ კიდეც, თვით ფარაონს რომ არ ჩაეხედა ქოთანში და არ ეყნოსა საამო სურნელი. შემდეგ გემოც გაუსინჯა, მოეწონა წვნიანი და მონა სასახლის მზარეულად დანიშნა.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54 **რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.